ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

როინ მიგრიაული

# შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები
(შედარებითი ანალიზი ინზოლვენცის გერმანულ სამართალთან)

ხელმძღვანელი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ბ-ნი ავთანდილ კობახიძე

*სპეციალობა: 12.00.02 –*

- *სამოქალაქო სამართალი*
- *სამოქალაქო სამართლის პროცესი*
- *სავალასახადო სამართალი*
- *საფინანსო სამართალი*
- *შრომის სამართალი*
- *საერთაშორისო კერძო სამართალი*

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად-

თბილისი
2004

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## თავი 1. შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა

§1. მნიშვნელობა და საკანონმდებლო მოწესრიგება------------------ 1
§2. ცნება --------------------------------------------------------------2
§3. სამართლებრივი ბუნება ---------------------------------------- 4
ა) სამართალსუბიექტურობა
ბ) შპს – მეწარმე
გ) შპს – კორპორაცია
დ) შპს – კაპიტალური საზოგადოება
§4. პასუხიმგებლობა ----------------------------------------------- 9
ა) ზოგადად შპს-ის პასუხისმგებლობის შესახებ
ბ) შპს-ის პარტნიორის პასუხისმგებლობის შესახებ

## თავი 2. შპს-ის გაუქმების საფუძვლები

§1. შესავლის მაგიერ -------------------------------------------- 15
§2. შპს-ის გაუქმების სხვა საფუძვლების შესახებ ----------------- 15
§3. გაუქმება როგორც შპს-ის მოსპობის
სამართლებრივი წინაპირობა ----------------------------------- 17
§4. შპს-ის გაკოტრება როგორც გაუქმების საფუძველი ----------- 20
§5. ლიკვიდაცია ------------------------------------------------- 22
ა) ლიკვიდაციის შინაარსის შესახებ
ბ) გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავების შესახებ
გ) ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირი (ლიკვიდატორი)
§6. არსებობის დამთავრება ---------------------------------------- 27
§7. რეესტრიდან ამოშლა------------------------------------------- 28
§8. მოსპობილი საზოგადოების არსებობის აღდგენა ---------------- 30
§9. შპს-ის გაუქმების შედეგები ------------------------------------ 31
ა) მიზნის შეცვლა
ბ) უფლებაუნარიანობის შენარჩუნება
გ) სხვა შედეგები

## თავი 3. შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა

§1. შესავლის მაგიერ --------------------------------------------- 36
§2. შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის საფუძვლები ------------------ 37
ა) კერძო სამართალსუბიექტურობა
ბ) საკმარისი ქონების არსებობა
§3. გაკოტრებაუნარიანობის დასაწყისი ---------------------------- 40
§4. გაკოტრებაუნარიანობის დასასრული -------------------------- 44
§5. გაკოტრებაუნარიანობის სხვა შემთხვევები ------------------- 47

## თავი 4. შპს-ის გაკოტრების საფუძვლები

§1. შესავლის მაგიერ ---------------------------------------------------- 52
§2. გადახდისუუნარობა ------------------------------------------- 53
ა) შინაარსი და დადგენა
ბ) დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ
§3. ზედავალიანება ----------------------------------------------- 56
ა) შინაარსი და დადგენა
ბ) ზედავალიანების ბალანსის აქტივი
გ) ზედავალიანების ბალანსის პასივი
§4. მოსალოდნელი გადახდისუუნარობა ------------------------ 63

## თავი 5. შპს-ის ორგანოები გაკოტრებისას

§1. შპს როგორც ვალაუვალი მოვალე --------------------------- 66
§2. შპს-ის ორგანოების არსებობის გაგრძელება ---------------- 67
§3. შპს-ის ორგანოების უფლებამოსილება გაკოტრებისას ------- 69
ა) შპს-ის ორგანოების უფლებები
ბ) შპს-ის ორგანოების მოვალეობები
§4. შპს-ის წარმომადგენლობა რამდენიმე დირექტორის მიერ ------ 72
§5. პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები შპს-ს გაკოტრებისას -------------------------------------------75
ა) პარტნიორთა კრების ფუნქციები
ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები
§6. შპს-ის ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობების დამთავრება ---------------------------------- 81
§7. გაკოტრების მმართველისა და შპს-ის ორგანოების მოქმედებების სფეროების გამიჯვნა ------------------------------------------- 87

## თავი 6. გაკოტრების განცხადების შეტანის წარმოება

§1. გაკოტრების განცხადება როგორც გაკოტრების წარმოების გახსნის წინაპირობა ------------------------------------------ 92
§2. გაკოტრების განცხადების შეტანის უფლებამოსილება -------- 92
§3. გაკოტრების განცხადების უკან გატანა ----------------------- 96
§4. გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება ------------ 97
ა) წინაპირობები
ბ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები
გ) ვალდებულებისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა

## თავი 7. შპს-ის გაკოტრების მასა

§1. შესავლის მაგიერ ---------------------------------------------- 103
§2. შპს-ის გაკოტრების მასის შემადგენლობა ---------------------- 103
ა) საფირმო სახელწოდება
ბ) შპს-ის მოთხოვნა პარტნიორის მიმართ
გ) ანაზღაურების მოთხოვნები
§3. გაკოტრების მასა საინვესტიციო საზოგადოებებში ----------- 114
§4. საწარმო - გაკოტრების მასის შემადგენელი ნაწილი --------- 115
ა) საწარმო – სამეწარმეო სამართლის მიხედვით
ბ) საწარმო – გაკოტრების სამართლის მიხედვით

## თავი 8. პარტნიორი შპს-ის გაკოტრების დროს

§1. პარტნიორის შესატანი და მისი მოთხოვნები ------------------ 126
§2. პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი --------------------- 130
§3. პარტნიორის გაკოტრების გავლენა შპს-აზე ------------------ 134

## თავი 9. შპს-ის გაკოტრების წარმოების დამთავრება

§1. გაკოტრების წარმოების დამთავრების საფუძვლები ---------- 138
§2. შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ ----------------------------------------- 141

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაკაშვილი ნიკოლოზ/ძნელაძე გია, "საწარმოს საწყისი გასაყიდი ფასის სწორი განსაზღვრისათვის", ჟურნალში: „ეკონომიკა“ (მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება), 2001წ. №1-2

2. ზემლერი იოჰანეს, "სამეთვალყურეო საბჭო სააქციო საზოგადოების იერარქიაში", წიგნში: "საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში", თბილისი 2000, გვ. 43-54

3. კობახიძე ავთანდილ, "სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სამოქალაქო პროცესის სუბიექტები", ıı, თბილისი 2002

4. კობახიძე ავთანდილ, "სამოქალაქო სამართალი, ı, ზოგადი ნაწილი", თბილისი 2001

5. ლაზარაშვილი ლალი, "სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება" თბილისი 2003წ.

6. მიგრიაული როინ, "შესავალი გაკოტრების სამართალში", დამხმარე სახელმძღვანელო, 1-ლი გამოცემა, თბილისი 1999

7. მიგრიაული როინ, "გაკოტრების სამართლის ზოგიერთი საკითხი", წიგნში: " სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული", თბილისი 1996, გვ. 347-356

8. მიგრიაული როინ, წინათქმა, წიგნში: "საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წაროების შესახებ, გერმანული თარგმანითა და გერმანულ ქართული იურიდიული ლექსიკონით (გაკოტრების სამართალი), 1-ლი გამოცემა, თბილისი, 1997 წ.

9. მიგრიაული როინ, წინათქმა, წიგნში: "საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წაროების შესახებ, განახლებული ტექსტითა და გაკოტრების წარმოების დოკუმენტების ნიმუშებით", 1-ლი გამოცემა, თბილისი, 2001 წ.

10. მიგრიაული როინ, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან)", ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, 2002წ. №1(5), გვ. 39-50, ასევე ჟურნალი "სამართალი", 2002წ. №11-12, გვ. 45-53

11. მიგრიაული როინ, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება", ჟურნალი "ნოტარიატი, სანოტარო და კერძო სამართლის მიმოხილვა. პრაქტიკა", 2003წ. №1, გვ. 30-40

12. მიგრიაული როინ, "გაკოტრების კრედიტორი, როგორც გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მხარე", ჟურნალი "ალმანახი", №5 1998

13. მიქაძე პაატა, "უძრავი ქონების შეფასება", მე-2 კანადური გამოცემა, თბილისი, 2003

14. მჭედლიშვილი ნოდარ/მიგრიაული როინ, “შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული)”, თბილისი, 1992

15. ქოქრაშვილი ქეთევან, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თანამედროვე სამართალში. შედარებითი სამართლებრივი ანალიზი", ავტორეფერატი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 1999

16. ქოქრაშვილი ქეთევან, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია", ჟურნალში "მართლმსაჯულების მაცნე", 1998წ. №1, გვ. 31

17. ქოქრაშვილი ქეთევან, "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება", ჟურნალში "მართლმსაჯულების მაცნე", 1997წ. №4, გვ. 34

18. შენგელია ეკა, "სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია", ჟურნალი "სამართალი" 1998წ. №7-8

19. ცერცვაძე გიორგი, "საწარმოს ცნებს კერძო სამართალში", ჟურნალი "სამართალი" 2002წ. №11-12

20. ძამუკაშვილი დავით, “სამრეწველო საკუთრება, კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა”, თბილისი, ññ, 1998

21. წულაია ზაურ, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მე-2 ტომი, თბილისი 2001

22. ჭანტურია ლადო/ნინიძე თედო, "მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები", 1-ლი გამოცემა, თბილისი 1996

23. ჭანტურია ლადო/ნინიძე თედო, "მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები", მე-2 გამოცემა, თბილისი 1998

24. ჭანტურია ლადო/ნინიძე თედო, “მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი”, მე-3 გამოცემა, თბილისი 2002

25. ჭანტურია ლადო, “შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში”, თბილისი 1997

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები (სუსგ),

27. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1999წ. იანვარი–ივნისი

28. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2001წ.

29. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, ავტორთა კოლექტივი, წიგნი 1, თბილისი 1992, გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალი“

30. App, Michael: Die Insolvenzordnung, 1995

31. Baur, Fritz /Stürner, Rolf: Insolvenzrecht (ein Lehrbuch), 3. völl., neubearb., Auflage, Heidelberg 1991

32. Baumbach, Adolf / Hueck, Alfred, GmbH-Gesetz, 15. völlig neubearb. Auflage, München 1988

33. Baumann, Jürgen: Konkurs und Vergleich, 2. überarb., Auflage, Bielefeld 1981

34. BGHSt Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen

35. Bork, Reinhard: Insolvenzordnung (Taschenausgabe), München 1995

36. Böhle-Stamschräder/Kilger, Konkursordnung, 13. Aufl., München 1981

37. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15., völlig neubearbeitete Auflage, München 1988

38. Einhundert Jahre Konkursordnung 1877-1977, Festschrift (Hrsg. von W. Uhlenbruck, B. Klasmeyer, B. Kübler), Köln 1977

39. Fischer/Lutter, GmbH-Gesetz, Kommentar, 11. Aufl. Köln, 1985

40. Gesetz zur Reform der Insolvenzrechts, Referentenentwurf mit allgemeiner Begründung und Begründung zu den einzelnen Vorschriften, Bundesanzeiger 5.12.1989 Nr. 227a

41. Greifelds Rechtswörterbuch, 13. Auflage, München 1996

42. Haack, Michael: Der Konkursgrund der Überschuldung bei Kapital- und Personengesellschaften (Europäische Hochschulschriften: Reihe 2, Rechtswissenschaft, Bd. 247), Frankfurt (M) 1980

43. Handwörterbuch der Rechtswissenschaft, (Hrsg. von F. Stier-Somlo und A. Elfter), Band 3, Berlin 1928

44. Heilman, Hans /Schmid, Stefan: Grundzüge des Insolvenzrechts, 2. Auflage, München 1994

45. Insolvenz-Handbuch /von Hans Arnold... Hrsg. von Peter Gottwald, München 1990

46. Jäger, Ernst, Lehrbuch des Deutschen Konkursrechts, 9. Auflage, 1932

47. Jaeger, Ernst: Konkursordnung mit Einführungsgesetzen (Kommentar), 8. Auflage, Berlin 1958

48. Jaeger, Ernst/Lent, Friedrich/Weber, Friedrich: Kommentar zur Konkursordnung, 8. Auflage, Berlin 1958

49. Jaeger, Ernst/Lent, Friedrich/Weber, Friedrich: Konkursordnung mit Einführungsgesetzen, 8. Auflage, 1973

50. Kilger, Joachim: Der Konkurs des Konkurses, KTS, 1975

51. Kilger, Joachim/Karsten Schmidt, Konkursordnung mit Gesamtvollstreckungsordnung, Kurzkommentar, 16. Aufl. München 1993

52. Kilger, Joachim/Böhle-Stamschräder, A., Konkursordnung, Kurzkommentar, 13. Aufl. München 1981

53. Klunzinger, Eugen: Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Auflage, München 1984

54. Knieper, Rolf/Boguslavskij, Mark, Konzept zur Rechtsberatung in Transformationsstaaten, Eschborn 1995

55. Köbler, Gerhard: Rechtsgeschichte, 2. Auflage, München 1978

56. Kohler, J.: Lehrbuch des Konkursrechts, 2. Aufl. 1903

57. Kruse, Bruno: Kapitalersetzender Gesellschafterdarlehen in der Krise der GmbH: eine konkurs- und konkursstrafrechtliche Untersuchung (Kieler Schriften zum Strafrecht), Frankfurt (M) 1987

58. Kuhn, Georg /Uhlenbruck, Wilhelm /Mentzel, Franz: Konkursordnung (Kommentar), 10. völlig neu bearbeitete Auflage, München 1986

59. Menger, Hans-Peter: Die Überschuldung des Unternemens (Entsteheung, Feststellung, Rechtsfolgen, Beseitigung), GmbH-Rundschau, 1982, 10

60. Mohrbutter, Jürgen: Handbuch des gesamten Vollstreckungs- und Insolvenzrecht, 2. Auflage, 1974

61. Moxter, Adolf: Bilanzlehre, Wiesbaden 1974
62. Peters, Hans: Geschichtliche Entwicklung und Grundfragen der Verfassung (Bearbeitet von J. Salzwedel und G. Erbel), 1969

63. Peterson, Julius/Kleinfeller, Georg: Konkursordnung für das Deutsche Reich nebst dem Einführungsgesetz, 3. Auflage, 1892

64. Schaub, Bernhard: Die GmbH in der Krise - Krieterien für die Feststellung von Zahlungsunfähigkeit, Überschuldung und Kreditunwürdigkeit, DStR(Deutsches Steuerrecht), 1993, 40

65. Schmidt, Karsten: Wege zum Insolvenzrecht der Unternehmen: Befunde, Kritik, Perspektiven, (Beiträge zum Insolvenzrecht: Bd 7), Köln 1990

66. Schmidt, Karsten, Gesellschaftsrecht, 2., völlig neu bearb, und erw. Aufl. - Köln; Berlin; Bonn; München, 1991

67. Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl., München 1992

68. Uhlenbruck, Wilhelm: Das neue Insolvenzrecht: Insolvenzordnung und Einführungsgesaetz nebst Materialien, Berlin 1994

69. Uhlenbruck, Wilhelm: Insolvenzrecht: Grundriß für Studium und Praxiß (Recht und Praxiß; Bd 13), Bonn 1979

70. Uhlenbruck, Wilhelm: Zur Krise des Insolvenzrechts, NJW, 1975

71. Uhlenbruck, Wilhelm, Die GmbH & Co KG in Krise, Konkurs und Vergleich, 1977

72. Wandler/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., Mänchen 1993

73. Wenger, Leopold: Institutionen des römischen Zivilprozeßrechts, München 1925

74. Wiedemann, Herbert: Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, München 1980

75. ZIP (Zeitschrift für Wirtschaftsrecht und Insolvenzpraxis)

76. Шершеневич Габриэл Феликсович, Конкурсный Процесс, Москва 2000

## გამოყენებული კანონმდებლობა

1. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 1996წ. რედაქცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №19-20, ივლისი, 1996

2. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 2001წ. რედაქცია, სსმ, №11, 2001

3. "მეწარმეთა შესახებ", საქართველოს რესპუბლიკის კანონი თბილისი 1994, გამომცემლობა „ჟჯშ“

4. "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991წ. 25 ივლისის კანონი

5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, თბილისი 1995, გამომც. "ნორმა"

6. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", 1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით, თბილისი 1997, გამომც. "სამართალი"

7. "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", 1997წ. რედაქცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №47-48, 1997წ.

8. "საქართველოს საგადასახადო კოდექსი" საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №32, 1997წ.

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი 2002

10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1996წ.

11. "საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი" საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი, №6 1973წ

12. Bürgerliches Gesetzbuch (BGB)

13. Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung (GmbH-Gesetz)

14. Gesetz betreffend Kapitalanlagegesellschaften (KapAnlGG)

15. Handeslgesetzbuch (HGB)

16. Insolvenzordnung (InsO)

17. Konkursordnung (KO)

18. Strafgesetzbuch (StrGB)

19. Umwandlungsgeset

## თავი 1. შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა

## §1. მნიშვნელობა და საკანონმდებლო მოწესრიგება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (მას შემოკლებით შპს-ას უწოდებენ) კაპიტალური სამეწარმეო საზოგადოების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თუკი 1999 წელს რეგისტრირებულ საწარმოებს შორის შპს-ების რაოდენობა 19 ათასზე მეტს შეადგენდა, 2001 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი უკვე 27 ათას აღემატება. სამეწარმეო კაპიტალურ საზოგადოებებს შორის შპს-ების ხვედრითი წილი 1999 წლისათვის 89%-ს აღწევდა[1]. კაპიტალურ სამეწარმეო საზოგადოებებეს შორის შპს ყველაზე გავრცელებული ტიპის კაპიტალური საზოგადოებაა აგრეთვე ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი იგი მოწესრიგებულია კანონმდებლობით. გერმანიაში, მაგალითად, მისი რიცხვი დღესდღეისობით 500.000 აღემატება.

შპს-ის დაფუძნებისაკენ მისწრაფება, მისი ასეთი გავრცელება განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. ჯერ ერთი, თუკი შევადარებთ შპს-ს სხვა, არცთუ უმნიშვნელო კაპიტალურ საზოგადოებას – სააქციო საზოგადოებას, მისგან განსხვავებით, შპს გამოირჩევა მარტივი სამართლებრივი აგებულებით, ასევე გამარტივებული მმართველობით. გარდა ამისა, შპს-ს დაარსების პროცედურა უფრო ლიბერალურია, ვიდრე სააქციო საზოგადოებისა[2]. მეორეც, პიროვნული საზოგადოებებისაგან განსხვავებით, შპს ხასიათდება ე.წ. „კორპორატიული საფარვლით". ასეთი "საფარვლით იმოსება" შპს-ის პარტნიორი, რომლის პასუხისმგებლობაც ზოგადად არ დგება საზოგადოების კრედიტორების წინაშე. პიროვნულ საზოგადოებაში კი პარტნიორი მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს საზოგადოების ვალდებულებებისათვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, როგორც საწარმოს ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა, ქართულ სამართალში პირველად აისახა 1991 წელს, როდესაც მიღებული იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ". აღნიშნული კანონით საწარმოს ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ 1991წ. კანონი, მუხლები 11

---

[1] 1999წ. ივნისის ოფიციალური მონაცემებით, 61.330-ზე მეტი საწარმოდან კაპიტალური სამეწარმეო საზოგადოებათა საერთო რიცხვი შეადგენს 21.600-ს, ხოლო მათ შორის შპს – 19.200 (შდრ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1999წ. იანვარი–ივნისი, გვ. 72), ხოლო 2001 წლისათვის შპს-ების რიცხვი შეადგენდა 27.022, ანუ საწარმოთა 33,2%-ს (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2001წ. გვ. 22)

და 15). თუმცა 80-იანი წლების დასასრულს საქართველოში ადგილი ჰქონდა შპს-ის მსგავსი წარმონაქმნების შექმნას. აღნიშნულ სუბიექტს, რომელშიც ერთ-ერთ პარტნიორად უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოდიოდა, „ერთობლივ საწარმოს" უწოდებდნენ. ერთობლივი საწარმოები იქმნებოდნენ საკავშირო ნორმატიული აქტის საფუძველზე და იგი ითვალისწინებდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირებასაც (შდრ. სსრკ 1990 წლის კანონი "სსრკ-ში საწარმოების შესახებ", მუხლი 2).

გერმანიის ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში შპს პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს იქნა შემოღებული, როდესაც 1892 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ (GmbHG)[3]. შპს-ის სამართლებრივი ფორმის დამკვიდრებით კანონმდებელს სურდა სააქციო საზოგადოების გვერდით შეექმნა კაპიტალური საზოგადოების მეორე ფორმა, რომელშიც კაპიტალის ჩადება შესაძლებელი უნდა გამხდარიყო პირადი აქტიურობისა და რისკის გარეშე[4]. შემოღების შემდეგ შპს, როგორც სამართლებრივი ფორმა, სწრაფად გავრცელდა გერმანიის მთელ იმპერიაში. ეს ფორმა მალევე იქნა გადაღებული როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალში[5]. მართალია, დღემდე შპს-ს გერმანულმა კანონმა ბევრი ცვლილება განიცადა, მაგრამ ამ ცვლილებებით შპს-ის სამართლებრივ საფუძვლებს არ განუცდიათ ხელშეხება.

## §2. ცნება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნებამ ქართულ სამართალში რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება. კანონის თავდაპირველ (1994წ.) რედაქციაში კანონის 44-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს შპს-ის ცნებას, ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით: **საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა – საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით**[6]. მოგვიანებით (1996 დეკემბერში) განხორციელებული ცვლილებით მოცემული ცნებიდან ამოღებული იყო წინადადების ბოლო

---

[2] შდრ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა თბილისი 1998, გვ. 16

[3] RGBl. გვ. 477

[4] Waldner/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., 1993, გვ.1

[5] შდრ. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 1997, გვ. 295-296

[6] შდრ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, გამომცემლობა JUS, თბილისი 1994

ნაწილი, რომელიც მითითებას აკეთებდა პარტნიორის პასუხისმგებლობაზე[7]. თუმცა 44-ე მუხლის სახეცვლილება ამით არ იქნა დასრულებული. 1999წ. ივნისში კიდევ ერთხელ იქნა შეცვლილი აღნიშნული მუხლი და შპს-ის ცნება დღეისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა**[8].

შპს-ის ცნების რამდენჯერმე შეცვლა ადასტურებს ქართველ კანონმდებელთა მცდელობას, ზუსტად ასახონ და წარმოაჩინონ ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ შპს-ის ცნების ბოლო ფორმულირება სრულყოფილად ასახავს და გადმოსცემს მის დამახასიათებელ ნიშნებს.

ქართული სამართლისაგან განსხვავებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანულ კანონში არ არის ცალკე მოცემული შპს-ის ცნება. თუმცა ამას არ შეუშლია ხელი გერმანელი მეცნიერებისათვის, სხვადასხვა ინტერპრეტაციით გადმოეცათ იგი ლიტერატურაში. ეს შესაძლებელი გახდა შპს-ის შესახებ კანონის სხვადასხვა მუხლებზე (კერძოდ: §§1, 5, 13) დაყრდნობით, რომლებშიც გადმოცემულია შპს-ათვის დამახასიათებელი სხვადასხვა კრიტერიუმი.

გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებებით, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთი ან რამდენიმე პარტნიორისაგან შემდგარი საზოგადოება საკუთარი სამართალსუბიექტურობით, რომელსაც აქვს შესატანებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი**[9].

ანდა: **შპს არის სავაჭრო საზოგადოება საკუთარი სამართალსუბიექტურობით, რომელიც შეიძლება შეიქმნას კანონით ნებადართული ნებისმიერი მიზნისათვის და მისი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების ქონება**[10].

ამრიგად, ორივე ქვეყნის სამართალი და ლიტერატურა გარკვეულწილად მსგავსად გადმოსცემს შპს-ის ცნებას, რომელშიც ძირითადად გამოკვეთილია საზოგადოებისა და მისი პარტნიორების პასუხიმგებლობა. ამასთან, გერმანული შპს-ის მიზნები უფრო ფართოა და

---

7 შდრ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, 1997 წ. 5 იანვრის მდგომარეობით, თბილისი 1997, გამომცემლობა "სამართალი"

8 სსმ, №24(31), 1999

9 Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1991, გვ. 817

10 Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Aufl., 1981, გვ. 188

არ შემოიფარგლება მხოლოდ მოგების მიღებაზე სწრაფვით, რაც დამახასიათებელია ქართული შპს-ათვის. გარდა ამისა, ქართული იურიდიული ლიტერატურისა და სამართლისათვის უცხოა მსჯელობა იმის შესახებ, რომ შპს-ის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია შესატანებად. ასეთი მოწესრიგება მიღებულია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალისათვის, რომელიც დაყოფილია აქციებად[11].

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ცნების მიზანია, გადმოსცეს დახასიათებული ობიექტის (მოვლენის, ხდომილების და ა.შ.) ზოგადი და კონკრეტული ნიშნები და განასხვავოს ის სხვა ობიექტებისაგან. თუმცა კონკრეტული ნორმატიული აქტი არ უნდა დაემსგავსოს სახელმძღვანელოს – იგი არ უნდა იქნას ცნებებით გადატვირთული. ცნებას კანონმდებელმა უნდა მიმართოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. კერძოდ, როდესაც ჩნდება სრულიად ახალი ობიექტი და სამართალურთიერთობებში დგება მისი მოწესრიგების აუცილებლობა, ან სახეცვლილება განიცადა უკვე არსებული ობიექტის შინაარსმა და საჭირო ხდება მისი შეცვლილი შინაარსის განმარტება, ანდა სხვადასხვა ობიექტი შინაარსობრივად იმდენად არის მიმსგავსებული ერთმანეთთან, რომ აუცილებელი ხდება დეფინიციებით მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. როგორც ობიექტის შინაარსი არ არის მუდმივი, ასევე არ არის მუდმივი მისი ცნებაც. ამიტომ კანონმდებელი ყოველმხრივ უნდა ერიდოს მის ასახვას ნორმატიულ აქტში და იგი მიანდოს ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკას.

დღევანდელ ქართულ სამართალში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ნორმატიულ აქტებში აისახოს მოსაწესრიგებელი ობიექტების ცნებები. ასევეა სამეწარმეო სამართალშიც, სადაც გადმოცემულია ყველა საზოგადოების, მათ შორის შპს-ის ლეგალური დეფინიციაც.

## §3. სამართლებრივი ბუნება

იმისათვის რომ სრულად იქნას წარმოჩენილი შპს-ს სამართლებრივი ბუნება, საჭიროა ერთობლივად იქნას დახასიათებული მისი ზოგადი და კონკრეტული ნიშნები.

შპს-ის ზოგადი ნიშნებია: სამართალსუბიექტობა, მეწარმეობა, კორპორაციულობა, კაპიტალურობა (საწესდებო კაპიტალის ქონა), საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა. ხოლო კონკრეტული ნიშნებია: საწესდებო კაპიტალის შესატანებად დაყოფადობა,

---

[11] შდრ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, თბილისი 1998, გვ. 276, 308

პარტნიორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საზოგადოების ვალდებულებებისათვის და სხვ. განვიხილოთ ეს ნიშნები.

*ა) სამართალსუბიექტობა*

როგორც ქართული, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის **იურიდიული პირი** (შდრ. კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხლი 2.6, ასევე GmbHG, §13.1). მას, როგორც ასეთს, აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს (შდრ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24; GmbHG, §13). ამიტომ სწორედ შპს როგორც სამართლის სუბიექტი, და არა მისი პარტნიორები, არის ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოხატვას პოულობს ზოგად უფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე კი, შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებებისა და მოთხოვნების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, სხვა კომერციული იურიდიული პირის პარტნიორი და ა.შ.. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 1.1.), შპს-ას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი, მათ შორის წესდებით გაუთვალისწინებელი საქმიანობა, იქცეს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ისე, რომ მისი წესდება არ უთითებდეს ასეთი მონაწილეობის სახეობასა და ფარგლებზე. (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 1.1)

შპს-ის უფლებაუნარიანობა (სამართალსუბიექტობა) იწყება შესაბამის რეესტრში მისი რეგისტრაციისთანავე. სწორედ ამ მომენტიდან შპს გვევლინება როგორც კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სუბიექტი ("მეწარმეთა შესხებ" კანონი, მუხლი 2.5.) გერმანული სამართალიც შპს-ის როგორც იურიდიული პირის წარმოშობას უკავშირებს მის რეგისტრაციას სავაჭრო რეესტრში[12].

შპს-ას შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, ანუ მას ზოგადი უფლებაუნარიანობის გარდა, გააჩნია პროცესუნარიანობაც. პროცესზე იგი წარმოდგენილი იქნება დირექტორის მიერ. ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები მიმართულია უშუალოდ შპს-ის და არა მისი პარტნიორების ან დირექტორების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

თავისი სამართალსუბიექტობიდან გამომდინარე, შპს არის აგრეთვე გაკოტრებაუნარიანი. თუმცა ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

---

12 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. München 1988, §10, Rdn.4, გვ. 160

*ბ) შპს – მეწარმე*

ქართული სამართალი შპს-ას ახასიათებს როგორც სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეს, ანუ მეწარმეს. მეწარმე უშუალოდ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ხოლო სამეწარმეო საქმიანობად განიხილება მოგებაზე ორიენტირებული, ორგანიზებულად და დამოუკიდებლად განხორციელებული მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 1.1). ამრიგად, მეწარმის დასახასიათებლად ქართული სამართალი ჩამოთვლის რამდენიმე ნიშანს, კერძოდ: მოგების მიზანი, საქმიანობა მართლზომიერება და არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა. შესაბამისად, ქართული სამართალი შპს-ას არ განიხილავს მეწარმედ, თუკი იგი მრავალჯერადად, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად არ ახორციელებს რაიმე მართლზომიერ საქმიანობას, და იმავდროულად არ გააჩნია მოგების მიზანი.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიიჩნევს სავაჭრო საზოგადოებად (GmbHG, §13.3). რა თქმა უნდა, სავაჭრო საზოგადოება ზოგადი ცნებაა იმ საზოგადოებათა დასახასიათებლად, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ანუ წარმოადგენენ მეწარმეებს. აქ იგრძნობა იმ ტრადიციების ერთგვარი გავლენა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში ჩაეყარა. ამ დროს სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველი იყო ვაჭრობა, რომელიც წარმოადგენდა მაშინდელ „მოვაჭრეთა“ საქმიანობის ძირითად საგანს. მოცემულმა ტრადიციამ ასახვა ჰპოვა აგრეთვე იმ პერიოდის სამართლებრივ აქტებში. ამის დასტურია მაშინდელი „სავაჭრო კოდექსები“ და მის საფუძველზე წარმოშობილი სავაჭრო სამართალი.

გერმანული სავაჭრო სამართალი ასევე განვითარდა გერმანული სავაჭრო კოდექსის (Handelsgesetzbuch) საფუძველზე. აღნიშნული კოდექსი მეწარმეს Kaufmann–ს („მოვაჭრე კაცი“, „ვაჭარი“, იგივე „კომერსანტი“) უწოდებს (HGB, Art. 1.1). ამრიგად, გერმანული სავაჭრო სამართლის მიხედვით, შპს წარმოადგენს Kaufmann-ს. უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო კოდექსთან ერთად დღეს გერმანიაში მრავალი სპეციალური კანონია მიღებული, რომლებიც აწესრიგებენ კონკრეტულ მეწარმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს (მაგალითად, კანონები სააქციო საზოგადოებათა შესახებ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ, კოოპერატივების შესახებ და ა.შ.). აღნიშნული კანონების მიღებით გერმანიაში სავაჭრო სამართალი უკვე გასცდა თავის ისტორიულ ჩარჩოებს და საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სამეწარმეო სამართალს.

ერთადერთი განსხვავება, რომელიც თავს იჩენს ქართულ და გერმანულ შპს-ებს შორის, არის საქმიანობის მიზანი. ქართული სამართალი სამეწარმეო საზოგადოებების, მათ შორის შპს-ის საქმიანობის მიზნად მოგების მიღებას ასახელებს. მაშასადამე, ქართული სამართლის მიხედვით, შპს შეიძლება შეიქმნას ყველა კომერციულ სფეროში (გარდა საბანკო საქმიანობისა). ხოლო დაზღვევის სამართალი პირდაპირ მიუთითებს, რომ სადაზღვევო საწარმო (მზღვეველი) უნდა შეიქმნას აგრეთვე შპს-ის ფორმით (შდრ. "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" 1996წ. კანონი, მუხლი 2 და "დაზღვევის შესახებ" 1997წ. კანონი, მუხლები 2 და 9).

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი, განსხვავებით, ქართული სამართლისაგან, მეწარმეს არ შემოზღუდავს რაიმე კონკრეტული მიზნით. შპს-ის გერმანული კანონი შპს-ის საქმიანობის მიზნად მიუთითებს, მაგალითად, ნებისმიერ კანონით ნებადართულ მიზანზე (GmbHG, §1). შესაბამისად, დაშვებულია, რომ მეწარმე არ იყოს შექმნილი მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განსახორციელებლად, ანუ მას არ გააჩნდეს მოგების მიღების მიზანი. ეს კი, თავის მხრივ, არ გამორიცხავს შპს-ის მეშვეობით აგრეთვე არაკომერციული (მაგ., სახელოვნებო, სამეცნიერო, კულტურული, საქველმოქმედო და სხვა ჰუმანიტარული) საქმიანობის განხორციელებას. ამიტომ არის რომ გერმანიაში შპს-ის ფორმით გვხვდება პროფესიული გაერთიანებები, საპენსიო და ურთიერთდახმარების სალაროები[13]. გერმანიაში შპს იქმნება აგრეთვე საჯარო ამოცანების განსახორციელებლად. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება" (GTZ), რომელიც გერმანიის მთავრობის სახელით და გერმანიის საბიუჯეტო (გადამხდელთა) ფინანსებით ახორციელებს ისეთ საჯარო ფუნქციებს, როგორიცაა განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

მაშასადამე, ქართული სამართლის მიხედვით ყველა მეწარმე შექმნილია სამეწარმეო საქმიანობის, ანუ მოგების მიღებაზე დაფუძნებული (არაერთჯერადი) საქმიანობის მიზნით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა, ვინც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, აუცილებლად მეწარმეა. სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს არაკომერციული (არასამეწარმეო) სუბიექტიც, თუმცა მას უნდა გააჩნდეს დამხმარე ხასიათი და ემსახურებოდეს საერთო მიზანს (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 30.1).

მოგების მიღება მეწარმისათვის შესაძლებელია მხოლოდ სამეურნეო (კომერციული) საქმიანობის განხორციელებით. სამეურნეო საქმიანობა კი ხორციელდება საწარმოს

მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს მეწარმის ეკონომიკურ-ფინანსურ ერთეულს. ამიტომ მოგებაზე ორიენტირებული შპს ძირითადში უძღვება საწარმოს, ანუ გვევლინება საწარმოს მფლობელ სუბიექტად (Unternehemensträger). მისგან განსხვავებით, შპს, რომელიც მისდევს არაკომერციულ საქმიანობას, ვერ იქნება საწარმოს მფლობელი სუბიექტი.

ცალკე უნდა აღინიშნოს შპს-ის, როგორც მეწარმის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად და ორგანიზებულად განხორციელება.

სამეწარმეო საქმიანობის **დამოუკიდებლად** განხორციელებაში იგულისხმება ის, რომ შპს თავისი სახელით, აგრეთვე თავისი ქონებრივი რისკით იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებაშიც იგი არ არის დამოკიდებული სამართლის სხვა სუბიექტის ნებაზე. იგი სამართლებრივად თვითმყოფადი სუბიექტია. შესაბამისად, სწორად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ მეწარმის დამოუკიდებლობაში იგულისხმება მისი სამართლებრივი და არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა[14].

რაც შეეხება შპს-ის **ორგანიზებულობას**, იგი, ჯერ ერთი, გამოხატულებას პოულობს კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში. მეორეც, მას გააჩნია განსაზღვრული მმართველობის ორგანოები, რომელთა მეშვეობითაც იგი ორგანიზებულად წარმართავს თავის სამეწარმეო საქმიანობას. და მესამეც, მასში კანონით დადგენილი წესით არის ორგანიზებული საბუღალტრო საქმე.

მეწარმის დახასიათებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მისი საწარმოსთან მიმართების საკითხიც. მაგალითად, ქართული სამეწარმეო სამართალი მეწარმეს საწარმოსთან აიგივებს. მეწარმეთა შესახებ კანონში ჩამოთვლილი სამეწარმეო საზოგადოებები იმავდროულად საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს წარმოადგენენ ("მეწარმეთა შესახებ კანონი", მუხლი 2.1) შესაბამისად, საწარმოდ განიხილება შპს-აც.

გერმანული სამართალი შპს-ას და სხვა მეწარმეებს არ განიხილავს საწარმოებად. საწარმოს, გერმანული სამართლის მიხედვით, აქვს მხოლოდ სამართლის ობიექტის დანიშნულება. მას მართავს და უძღვება კონკრეტული მეწარმე, მათ შორის შპს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შპს განიხილება როგორც საწარმოს მფლობელ სუბიექტად (Unternehemensträger). ამასთან, აღნიშნული ფუნქცია შპს-ას როგორც მეწარმეს აქვს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა იგი სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს.

---

13 Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Kommentare und Formularbuch, 8. Aufl. München 1992, გვ. 7

14 იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, თბილისი 1998, გვ. 4

სამეწარმეო საზოგადოებასა (მეწარმესა) და საწარმოს შორის განსხვავება თავს იჩენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, მაგალითად, საზოგადოება გაუქმდება და მისი ლიკვიდაციისას მოხდება მისი მთლიანი ქონების, მათ შორის საწარმოს მთლიანად გასხვისება. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ საზოგადოება გაქრება რეესტრში ამოშლის შედეგად, ხოლო გასხვისების შემდეგ საწარმო გააგრძელებს არსებობას უკვე სამართლის სხვა სუბიექტის მფლობელობაში.

*გ) შპს – კორპორაცია*

შპს არის გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა, რადგანაც იგი არ არის დამოკიდებული თავის პარტნიორებზე, კერძოდ, კი მათ ინდივიდუალურ თვისებებზე. ამასთან, პარტნიორის სიკვდილი ან მისი გამოსვლა საზოგადოებიდან არ გამოიწვევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტას და მის დაშლას[15]. გერმანიაში ასეთი სახის კაპიტალური გაერთიანებები, მათ შორის შპს განიხილება როგორც კორპორაცია (Körperschaft)[16].

*დ) შპს – კაპიტალური საზოგადოება*

შპს არის კაპიტალური საზოგადოება, რადგანაც პარტნიორების მონაწილეობა მასში დაფუძნებულია არა მათ პირად შრომაზე, არამედ კაპიტალის ჩადებაზე – თითოეულ პარტნიორს შეაქვს განსაზღვრული ქონებრივი შესატანი (კაპიტალი) საზოგადოებაში სპეციალურად ამისათვის შექმნილ საწესდებო კაპიტალში (Stammkapital). საწესდებო კაპიტალი დაყოფილია სწორედ პარტნიორთა შესატანებად.

## §4. პასუხისმგებლობა

*ა) ზოგადად შპს-ის პასუხისმგებლობის შესახებ*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საზოგადოების სახელწოდებაში ჩართული სიტყვები: "შეზღუდული პასუხისმგებლობა", ნიშნავს სწორედ იმას, რომ შპს-ის პასუხისმგებლობა შემოიზღუდება, ანუ შემოიფარგლება მხოლოდ მთელი მისი ქონებით[17].

---

[15] იხ. ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 302

[16] შდრ. K. Schmidt, გვ. 543 ff.

[17] შდრ. აგრეთვე ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, თბილისი 1998, გვ. 274-275

პასუხისმგებლობის სიდიდის განსაზღვრისას ვალების ოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოების ვალები თანხობრივ გამოხატულებაში შეიძლება შპს-ის ქონების ღირებულებას აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, შპს პასუხს აგებს მხოლოდ არსებული ქონებით. შპს-ის პასუხისმგებლობა ზღვარდადებულია ქონების ღირებულების ოდენობით, ამიტომ იგი ვერ გადაიხდის იმაზე მეტს, რაც აღემატება მის ქონებას.

შპს პასუხისმგებელია არა მხოლოდ საწესდებო კაპიტალში არსებული ქონებით, არამედ სხვა ქონებითაც, რომელიც, მართალია, არ არის შეტანილი საწესდებო კაპიტალში, მაგრამ საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია მის ბალანსზე როგორც აქტივი. საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონება წარმოადგენს შპს-ის მთლიანი ქონების შემადგენელ ნაწილს. შპს-ის მთლიანი ქონებისა და საწესდებო კაპიტალის ღირებულებები შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს. ეს ხდება მაშინ, როდესაც შპს-ის მთლიანი ქონება მხოლოდ საწესდებო კაპიტალისაგან შედგება. ასეთ დამთხვევას აქვს ადგილი, მაგალითად, საზოგადოების დაფუძნების მომენტისათვის. შპს-ის მთლიანი ქონება შეიძლება იყოს საწესდებო კაპიტალზე ნაკლებიც, თუკი საწესდებო კაპიტალი გახარჯულია.

მთლიანი ქონებით შპს-ის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს მისი სამართალსუ-ბიექტობიდან. შპს როგორც იურიდიული პირი, დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით. ეს პრინციპი აღიარებულია აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 24.1)

*ბ) შპს-ის პარტნიორის პასუხისმგებლობის შესახებ*

შპს-ის პასუხისმგებლობისაგან გამიჯნულია მისი პარტნიორის პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობების გამიჯვნის ეს პრინციპი აღიარებულია ორივე ქვეყნის სამართალში. მოცემული პრინციპი ეფუძნება საზოგადოებისა და პარტნიორის ქონებების გამიჯვნის პრინციპს. თავის მხრივ, „ქონების გამიჯვნის პრინციპი“ (Trennungsprinzip), რომელიც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში უფრო დეტალურად არის გამოკვლეული, აღიარებს გაერთიანების (Verband), მათ შორის კორპორაციის, როგორც იურიდიული პირის ქონების განცალკევებულობასა და თვითმყოფადობას არა მხოლოდ მესამე პირების, არამედ აგრეთვე ამ გაერთიანების წევრების მიმართ[18]. ეს პრინციპი ვრცელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართაც, რომელიც მიჩნეულია როგორც გაერთიანების

[18] შდრ. Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, München 1980, გვ. 198

ერთ-ერთი ფორმა[19]. მაშასადამე, შპს-ის ქონებაც ემიჯნება მისი პარტნიორის ქონებას. "ქონების გამიჯვნის პრინციპი" ჯერ კიდევ საჭიროებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დეტალურ გამოკვლევასა და დამუშავებას.

თავის მხრივ, განცალკევებულად განიხილება შპს-ის პარტნიორის ქონებაც. ეს არის ქონების განცალკევებული მასა, რომელზეც ხელი მიუწვდებათ მხოლოდ პარტნიორის პირად კრედიტორებს. მსგავსად, შპს-ის ქონებისა, რომელზეც მიქცევის უფლება აქვს მხოლოდ საზოგადოების კრედიტორებს.

შპს-ის სახელწოდებაში ჩართული სიტყვები – „შეზღუდული პასუხისმგებლობა" – იწვევდა ერთგვარ გაუგებრობას საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მოცემული სიტყვები ისე გაიგებოდა, თითქოს საქმე ეხებოდა პარტნიორების პასუხისმგებლობის შეზღუდვას შპს-ის კრედიტორების წინაშე. ამასთან, შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრებოდა შესატანების ოდენობით. ამგვარი მოსაზრება განმტკიცებული იყო აგრეთვე 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქართულ კორპორაციულ სამართალში. ამ პერიოდის კანონმდებლობაში, მაგალითად, პირდაპირ იყო მითითებული, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია მისი შესატანის ოდენობით (შდრ. "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" 1991წ. კანონი, მუხლი 15, აგრეთვე დებულება „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ", მუხლი 11). კანონის ამ ნორმას მხარს შპს-ის შესახებ მაშინდელი პირველი კომენტარიც უბამდა[20].

პარტნიორთა პასუხისმგებლობა შპს-აში არათუ არ იზღუდება, უფრო მეტიც, იგი ზოგადად არც დგება[21]. ყველა ვალდებულება, რაც წარმოეშობა საზოგადოებას, უნდა შესრულდეს მხოლოდ მისი ქონებიდან. პარტნიორის პირადი ქონება არ ზარალდება შპს-ის ვალების გამო. პარტნიორის ერთადერთი „ზარალი" იმაში გამოიხატება, რომ იგი კარგავს თავის შესატანს, რომელსაც საზოგადოება გამოიყენებს თავისი ვალების დასაფარავად[22]. ეს უკანასკნელი ხომ ახლა უკვე საზოგადოების საკუთრებად და, შესაბამისად, მისი ქონების შემადგენელ ნაწილად იქცა! პარტნიორს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში (მოგების განაწილება, ლიკვიდაცია და სხვ.) მიიღოს ეს ქონება ნატურით, თუკი იგი, რა

---

19 იგივე, გვ. 3-4

20 იხ. ნ. მჭედლიშვილი, რ. მიგრიაული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (კრებული), თბ. 1992, გვ. 18-19

21 იხ. Wandler/Wölfel, So gründe und führe ich eine GmbH, 3. Aufl., München, 1993, გვ. 4

22 Wandler/Wölfel, გვ. 5

თქმა უნდა, სახეზეა, ანდა მოითხოვოს შეტანილი ქონების ღირებულების ექვივალენტი ფულადი თანხა[23].

პარტნიორმა შესატანი შეიძლება უფრო ადრე შეიტანოს, ვიდრე შპს-ის პასუხისმგებლობა დადგება კრედიტორების წინაშე. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ პარტნიორმა შესატანი საზოგადოების მომავალი ვალის გასასტუმრებლად შეიტანა. თუმცა შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ უკვე არსებული ვალების გასასტუმრებლად საზოგადოებას დასჭირდეს პარტნიორთა თანხების მოზიდვა. ასეთი მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს დამატებითი შესატანის შეტანით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ვერ ვიტყვით, რომ პარტნიორი უშუალოდ პასუხისმგებელი ხდება საზოგადოების ვალებისათვის. აქ, მთავარია, იმის გაგება, რომ როგორც პირველადი შესატანი, ისე დამატებითი შესატანი შესრულების შედეგად იქცევა საზოგადოების ქონებად, რის სანაცვლოდაც პარტნიორი იღებს ექვივალენტურ უფლებამოსილებას საზოგადოების ქონების მიმართ, განსაკუთრებით დივიდენდების განაწილებისას ან საზოგადოების ქონების ლიკვიდაციისას. მაშასადამე, პარტნიორი, როგორც ასეთი, არავითარ ქონებრივ ზარალს თუ უფლებრივ დანაკლისს არ განიცდის საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებისას — მას როგორც პარტნიორს პასუხს არავინ მოსთხოვს.

პარტნიორის პასუხისმგებლობის მიმართ ასეთი მიდგომა არსებობს ორივე ქვეყნის სამართალში. თუმცა გერმანული სამართალი, განსაკუთრებით, სასამართლო პრაქტიკა გამონაკლისს უშვებს შპს-ის ერთადერთ პარტნიორზე (Alleingesellschafter). ერთადერთ–პარტნიორიან შპს-ას სხვაგვარად "ერთკაცა შპს"-ას (Einmann-GmbH) უწოდებენ. ერთკაცა შპს ასევე იურიდიული პირია. შესაბამისად, სამართლებრივად ემიჯნებიან ერთმანეთს თვითონ საზოგადოება და მისი ერთადერთი პარტნიორი. "ქონების გამიჯვნის პრინციპის" (Trennungsprinzip) მიხედვით, საზოგადოების ქონება და პარტნიორის პირადი ქონება ეკუთვნით სამართლის სხვადასხვა სუბიექტს[24]. თითოეული ეს სუბიექტი პასუხს აგებს თავისი განცალკევებული ქონების ფარგლებში.

ერთკაცა შპს-ის პარტნიორის მიმართ გამონაკლისს ის წარმოადგენს, რომ ერთადერთ პარტნიორს შეიძლება პასუხი მოსთხოვონ საზოგადოების ვალების გამო და მისი პირადი ქონება მიაქციონ შპს-ის ვალების დასაფარავად. მაშასადამე, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში პირდაპირ არის აღიარებული ქონების გამიჯვნის პრინციპის დარღვევა (Durchbrechung des Trennungsprinzips). ხოლო ეს შემთხვევები ასევე ასახულია

---

23 Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, გვ. 198

იურიდულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ “ქონების გამიჯვნის პრინციპი” ნაკლებად პრინციპული აღმოჩნდა “კრედიტორთა დაცვის ნორმებთან” (Gläubigerschutzvorschriften) მიმართებაში. მათი გათვალისწინება, პირველ რიგში, მოეთხოვება ერთკაცა შპს-ის ერთადერთ პარტნიორს. მას არ შეუძლია, მაგალითად, შეეხოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალს. ხოლო თუკი შპს-ის ერთადერთი პარტნიორი თავის საკუთარ ქონებას შეურევს შპს-ის ქონებასთან, მაშინ საზოგადოების კრედიტორების დაზარალების შემთხვევაში იგი პასუხს აგებს საზოგადოების ვალების გამო თავისი კერძო ქონებითაც[25].

თუმცა განსაზღვრულ სიტუაციებში უნდა იქნას გათვალისწინებული ერთკაცა შპს-ში ეკონომიკური კავშირები და პიროვნული დაკავშირებულობა და სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და ხდომილებების მიკუთვნება ერთკაცა შპს-დან მის ერთადერთ პარტნიორზე და პირიქით[26].

ქართულ სამეწარმეო სამართალში ასევე აშკარად არის გამიჯნული პარტნიორის პასუხისმგებლობა შპს-ის პასუხისმგებლობისაგან. სწორედ ამისკენ იყო მიმართული 1999წ. მეწარმეთა კანონის 44-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება. მოცემულ მუხლში პირდაპირ ჩაიწერა, რომ საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა[27]. ამ მუხლით გათვალისწინებულია ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პარტნიორს შეიძლება მოჰკითხონ საზოგადოების ვალების გამო. უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს ცვლილება განიცადა ასევე მეწარმეთა კანონი ზემოაღნიშნულმა 3.4 მუხლმა. ცვლილების შეტანამდე დადგენილი იყო პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა, ანუ იგი პასუხს აგებდა მთელი თავისი ქონებით, თუკი მას სრულად არ ექნებოდა შეტანილი საწესდებო კაპიტალში თავისი შესატანი.

დღეს არსებული მოწესრიგებით პარტნიორის პასუხისმგებლობა განსხვავებულად დგება იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორი ბოროტად არ გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. შესატანის სრულად შეუტანლობის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ შეუტანელი შესატანის ოდენობით. ხოლო პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების

---

24 იხ. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §1, Rdn. 55, გვ. 30.

25 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §1, Rdn. 55, გვ. 30

26 Baumbach/Hueck, §1, Rdn. 56, გვ. 30-31.

27 სსმ, №24(31), 1999

შემთხვევაში პარტნიორი სრულად აგებს პასუხს მაშინაც კი, როდესაც მას შესატანი სრულად აქვს შეტანილი.

„ბოროტად გამოყენებაში“ 1999წ. ცვლილებამდე იგულისხმებოდა საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის არასწორი ფორმირება. დღევანდელი მოწესრიგებით კი „ბოროტად გამოყენებად“ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც არ იქნება უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი – არა. მხოლოდ ამ პირობების არსებობისას შეიძლება მოჰკითხონ პარტნიორის ქონებას. ამრიგად, ქართულ სამართალშიც არის აღიარებული “ქონების გამიჯვნის პრინციპის” დარღვევა.

შპს-ის პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.4. მუხლის მიხედვით სხვა არაფერია, თუ არა „კორპორატიულ საფარველში“ შეღწევა, რომლითაც შემოსილია იგი შპს-ში. “კორპორატიული საფარველი” იცავს პარტნიორის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის ქონებას შპს-ის კრედიტორებისაგან. პარტნიორისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის პირად ქონებას არ მოჰკითხავენ შპს-ის ვალების გამო.

„კორპორატიულ საფარველში“ შეღწევის (Durchgriff) შესაძლებლობას ითვალისწინებს როგორც ქართული[28], ისე გერმანული სამართალი[29]. “კორპორატიულ საფარველში” შეღწევით უქმდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის მდგომარეობა და საზოგადოების კრედიტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაკმაყოფილდნენ უშუალოდ პარტნიორის პირადი ქონებიდან. ამით ისპობა გამიჯვნა შპს-ისა და მისი პარტნიორის ქონებებს შორის და ორივე სუბიექტი განიხილება როგორც ერთი მთლიანობა. შესაბამისად, შპს-ის პასუხისმგებლობა იმავდროულად მისი პარტნიორის პასუხისმგებლობადაც განიხილება[30].

---

[28] ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მუხლი 3, გვ. 67
[29] შდრ. GmbH-Gesetz, Art. 13, Rdn. 10-18, გვ. 196-200
[30] Sudhoff, Der Gesellschaftervertrag der GmbH, გვ. 15

# თავი 2. შპს-ის გაუქმების საფუძვლები

## §1. შესავლის მაგიერ

შპს-ის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა წარმოადგენს მოცემული შპს-ის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს. აღნიშნული საფუძველი პირდაპირ არის მითითებული, მაგალითად, შპს-ის გერმანულ კანონში (შდრ. GmbHG §60 Abs. 1, Nr. 4). ქართული სამეწარმეო სამართალი, რომელიც იმავდროულად კაპიტალური საზოგადოებების სამართალიცაა, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, არ ჩამოთვლის შპს-ის გაუქმების არც ერთ საფუძველს. მაშასადამე, ქართულ სამეწარმეო სამართალში არ არსებობს აგრეთვე გაკოტრების წარმოების გახსნა შპს-ის გაუქმების თვითმყოფადი საფუძვლის სახით. მეწარმეთა ქართული კანონი მხოლოდ ერთგან, ისიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების თავში, კერძოდ, 28-ე მუხლში მიუთითებს ამ საზოგადოების გაუქმების საფუძვლად გაკოტრების წარმოების გახსნას.

გაკოტრების წარმოების გახსნა, თავისი თავისებურებების გამო, გაუქმების "განსაკუთრებულ" საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი თავისებურება განსაკუთრებით აშკარა ხდება, თუკი მას გაუქმების სხვა "ჩვეულებრივ" (ორდინარულ) საფუძვლებს შევადარებთ, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

## §2. შპს-ის გაუქმების სხვა საფუძვლების შესახებ

გერმანულ საკორპორაციო სამართალში შპს-ის გაუქმების სხვა საფუძვლებიდან აღსანიშნავია გაუქმების ისეთი კანონისმიერი საფუძვლები, როგორიცაა, მაგალითად, პარტნიორთა გადაწყვეტილება, ვადის გასვლა (განსაზღვრული დროით შექმნილი საზოგადოებისათვის), სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ. გაუქმების ანალოგიური კანონისმიერი საფუძვლები გააჩნიათ სხვა კაპიტალურ საზოგადოებებსაც.

ქართულ სამეწარმეო სამართალში, როგორც უკვე აღვნიშნე, არ არის მოცემული კაპიტალური საზოგადოებების გაუქმების საფუძვლები. გაუქმების საფუძვლები არ არის ჩამოთვლილი აგრეთვე სამოქალაქო სამართალში. ხოლო "მეწარმეთა შესახებ" კანონის 28-ე მუხლში მოცემული ჩამონათვალი ეხება მხოლოდ ისეთ პიროვნულ სამეწარმეო საზოგადოებას როგორიცაა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მხოლოდ

კანონის ანალოგიის გამოყენებით შეიძლება ამ საფუძვლების გავრცელება აგრეთვე სხვა პიროვნული (კს) და ყველა კაპიტალური საზოგადოებების გაუქმების მიმართ.

აქვე აღსანიშნავია, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 28-ე მუხლი მითითებულ საფუძვლებს "ლიკვიდაციის საფუძვლებად" მოიხსენიებს, მაგრამ თავისი სამართლებრივი შინაარსით მათ "ლიკვიდაციის" ინსტიტუტთან არაფერი აქვთ საერთო – ეს საფუძვლები სხვა არაფერია, თუ არა მოცემული სამეწარმეო საზოგადოების "გაუქმების საფუძვლები". გაუქმებას და ლიკვიდაციას, როგორც დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტებს, სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვები გააჩნიათ. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებს მხოლოდ უმნიშვნელო გამოკვლევა ეძღვნება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში[31].

გერმანული შპს-ის სამართალი, ისევე როგორც სხვა კორპორაციების სამართალი, "გაუქმებას", როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, გამოხატავს ერთი საერთო ტერმინით – Auflösung, და მას არსებითად განასხვავებს სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან როგორიცაა "ლიკვიდაცია" (Liquidierung).

გაუქმების კანონისმიერი საფუძვლების მიმართ გერმანულ საკორპორაციო სამართალში მოქმედებს "დახურულ რიცხვთა" (numerus clausus) პრინციპი – ისინი შესაბამის კანონებში ამომწურავად არის ჩამოთვლილი. თუმცა იგივე კანონები არ გამორიცხავენ აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ კაპიტალური საზოგადოება გაუქმებულ იქნას სხვა (მათ შორის არაკანონისმიერი) საფუძვლითაც, რომლებიც შეიძლება დაწესებული იქნას საზოგადოების წესდებით. გაუქმების ამ საფუძვლებს გაუქმების სტატუტური საფუძვლები ეწოდება (შდრ. GmbHG §60 Abs. 2).

თავისთავად ცხადია, რომ "გაუქმებასა" და "ლიკვიდაციას" სხვადასხვა სამართლებრივი შინაარსი აქვთ. ამიტომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის 28-ე მუხლში მითითება უნდა ყოფილიყო სწორედ "გაუქმების" (და არა "ლიკვიდაციის") საფუძვლებზე. ქართული სამეწარმეო სამართლის აღიარებულ კომენტარში იყო იმის მცდელობა, რომ 28-ე მუხლში ჩამოთვლილი ლიკვიდაციის საფუძვლები სხვა ტერმინით გადმოეცათ. კერძოდ, ავტორებმა მას საზოგადოების "შეწყვეტის" საფუძვლები უწოდეს[32]. სამწუხაროდ, კომენტარი მხოლოდ ტერმინის გადმოცემით შემოიფარგლა და შემდგომში აღარ იქნა

---

31 იხ. როინ მიგრიაული, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი", 2002წ. №1(5), გვ. 39-50

32 იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა თბილისი 1998, გვ. 249

გაანალიზებული მისი შინაარსი, ყოველ შემთხვევაში არ ყოფილა მცდელობა იმისა, რომ ახსნილიყო, თუ რითი განსხვავდებოდა სიტყვა “შეწყვეტა” მუხლის სათაურსა და დისპოზიციაში მითითებული “ლიკვიდაციისაგან”.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ქართული სამეწარმეო სამართალი ერთი ნორმატიული აქტით – “მეწარმეთა შესახებ” კანონით – გამოისახა, მიზანშეწონილი იყო, გაუქმების ზოგადი კანონისმიერი საფუძვლები მის ზოგად ნაწილშივე ყოფილიყო მოცემული. ამით ისინი იქცეოდნენ გაუქმების საერთო საფუძვლებად ყველა სამეწარმეო საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, სავსებით გამართლებული იქნებოდა, თუკი კაპიტალური (და არა მხოლოდ კაპიტალური საზოგადოებების) გაუქმების ზოგად საფუძვლებს მოაწესრიგებდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, კერძოდ კი იგი აისახებოდა “პირების” თავში.

იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად იქნას წარმოჩენილი ზოგადად კაპიტალური საზოგადოების “გაუქმების” ინსტიტუტი, საჭიროა მისი შეპირისპირება არა მხოლოდ “ლიკვიდაციის” ინსტიტუტთან, არამედ გერმანულ სამართალში, თეორიასა და პრაქტიკაში დეტალურად დამუშავებულ და აპრობირებულ ინსტიტუტებთან როგორიცაა კაპიტალური საზოგადოების არსებობის დამთავრება (Beendigung) და ამოშლა (Erlöschen). განვიხილოთ თითოეული მათგანი.

## §3. გაუქმება როგორც შპს-ის მოსპობის სამართლებრივი წინაპირობა

კორპორაციის, მათ შორის შპს-ის გაუქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია. სამწუხაროდ, გაუქმება როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი წინა საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე უცხო იყო ქართული სამართლისათვის[33]. გაუქმების ინსტიტუტი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული აგრეთვე არც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, გარდა უმნიშვნელო გამოკვლევისა[34]. ქართული სამართლის საპირისპიროდ, გერმანული სამართალი უფრო დეტალურად და სიღრმისეულად

---

[33] 1999წ. მიღებული იქნა კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, სადაც პირველად აღინიშნა ასეთი კორპორაციის გაუქმების შესახებ. ამან შემდგომი ბიძგი მისცა გაუქმების ინსტიტუტის განვითარებას, რის შედეგიც იყო ის, რომ 2001წ. უკვე „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონში გამოყენებული იქნა ტერმინი მოვალის გაუქმების შესახებ და იგი უშუალოდ დაუპირისპირდა ტერმინს „ლიკვიდაცია“ (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, 2001წ. რედაქცია, მუხლი 9, სსმ, №11, 2001)

გადმოსცემს ამ ინსტიტუტს. ამიტომ ქვემოთ შევეცდები, გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მოკლედ დავახასიათო აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი.

გერმანული სამართალი განსაკუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებს ზოგადად სამეწარმეო საზოგადოების, და განსაკუთრებით შპს-ის ‘‘გაუქმების’’ ინსტიტუტს. ამასთან, იგი საზოგადოების **გაუქმებას** (Auflösung) განასხვავებს სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან როგორიცაა საზოგადოების **არსებობის დამთავრება** (Beendigung)[35]. არსებობის დამთავრებას სხვაგვარად აგრეთვე "სრულ დამთავრებას" (Vollbeendigung) უწოდებენ.

გერმანული სამართალი და თეორია ‘‘გაუქმებაში’’ არ გულისხმობს კაპიტალური საზოგადოების არსებობის სრულ მოსპობას, მის უცაბედ გაქრობას სამართალბრუნვიდან. შპს-ის გაუქმებით არ ხდება მისი არსებობის საბოლოო დასრულება. შპს-ის გაუქმებიდან მის სრულ მოსპობამდე ძევს დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის დროსაც ხორციელდება საზოგადოების საქმეების დამთავრება და წყდება მისი ქონების ბედი. მაშინ როცა, არსებობის დამთავრება თავისთავად მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებამ შეწყვიტა თავის არსებობა, ანუ იგი როგორც სამართლის სუბიექტი აღარ არსებობს. თავის მხრივ, კაპიტალური საზოგადოების, და მათ შორის შპს-ის გაუქმებასა და არსებობის დამთვარებას შორის არსებობს ერთგვარი კაუზალური დამოკიდებულება. გაუქმება შეიძლება მიზეზად იქცეს, ანუ საფუძვლად დაედოს საზოგადოების არსებობის დამთავრებას, მის სრულ მოსპობას. მაგრამ საზოგადოების ყოველი გაუქმება როდი გამოიწვევს მისი არსებობის უცილობელ დამთავრებას – გაუქმებული საზოგადოება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კვლავ იქნას გაგრძელებული. მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირი (კაუზა), რომელიც არსებობს საზოგადოების გაუქმებასა და არსებობის დამთავრებას (მოსპობას) შორის, მხოლოდ ფაკულტატური ხასიათისაა.

თავისი სამართლებრივი შინაარსით, **გაუქმება** გამოდის საზოგადოების არსებობის დამთავრების, ანუ მისი მოსპობის სამართლებრივ საფუძვლად. კერძოდ, კაპიტალური საზოგადოებაში გაუქმება გამოხატულებას პოულობს, ერთის მხრივ, გაუქმების ან გაუქმების შედეგების მქონე **გადაწყვეტილების** არსებობაში, ხოლო, მეორეს მხრივ, გარკვეული **ხდომილების** დადგომაში. პირველ შემთხვევაში, მაგალითად, გადაწყვეტილება

---

34 შდრ. როინ მიგრიაული, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან), ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, 2002წ. №1(5), გვ. 39-50

35 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl., München 1988, გვ. 1092 ff.

შეიძლება მომდინარეობდეს ან საზოგადოების წევრებისაგან (პარტნიორთა ან აქციონერთა კრების გადაწყვეტილება), ან – სასამართლოსაგან (მაგალითად, გაკოტრების წარმოების გახსნა). ამ დროს შპს-ის გაუქმება მიიღწევა საზოგადოების ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება გაუქმების ხდომილებას, ამ დროს შპს-ის გაუქმებას იწვევს იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც იქნა საზოგადოება შექმნილი.

გაუქმების გადაწყვეტილების მიღება ან შეთანხმებული ვადის გასვლა არ იწვევს შპს-ის არსებობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. გაუქმების მეშვეობით შპს ასე უბრალოდ "არ ქრება ჰაერში". გაუქმებით, როგორც უკვე აღვნიშნე, იქმნება სამართლებრივი წინაპირობა იმისათვის, რომ შპს ორგანიზებულად მივიდეს თავისი არსებობის დამთავრებამდე და სამართლებრივად სრულ მოსპობამდე.

შპს-ის გაუქმების გარემოების დადგომისთანავე დღის წესრიგში დგება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა. ამასთან, ეს საკითხები მოწესრიგებული უნდა იქნას მანამდე, ვიდრე მოხდება შპს-ის სრული დამთავრება. კერძოდ, საქმე ეხება იმ **ვალდებულებების შესრულებას**, რომლებიც ჰქონდა შპს-ას გაუქმების გარემობის დადგომის მომენტისათვის (დაუმთავრებელი ვალდებულებები). ხომ არ შეიძლება, რომ ისინი უბრალოდ იქნას "ჩამობერტყილი". შესაბამისად, დაუმთავრებელი ვალდებულებები საჭიროებს შესრულებას. გარდა ამისა, შპს შეიძლება თვითონ იყოს კრედიტორი, ანუ მას შეიძლება ჰქონდეს **მოთხოვნები** მესამე პირთა მიმართ. თავისი არსებობის სრულ დამთავრებამდე შპს-ის მიერ ასევე განხორციელებული უნდა იქნას აღნიშნული მოთხოვნები.

გაუქმების გარემოების დადგომამდე შპს შეიძლება წარმართავდეს **სასამართლო პროცესებს**. დაუშვებელია ამ პროცესების იგნორირება, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ადგილი აქვს სააქტივო პროცესს, რომელმაც შეიძლება შპს-ის ქონებას დამატებით რაიმე წამატოს. ამდენად, აღნიშნული პროცესები ასევე საჭიროებენ დამთავრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს იმას, რომ თავისი არსებობის შეწყვეტამდე საზოგადოებამ საფუძვლიანად უნდა დაასრულოს არსებული სამართლებრივი ურთიერთობები[36].

საფუძვლიანად არის გადასაწყვეტი აგრეთვე შპს-ის **ქონების** საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ გაუქმების შემდეგ შპს-მ შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, ამდენად საჭიროა მანამდე გაირკვეს მისი ქონების საკითხიც. ქონების საკითხის გარკვევაში იგულისხმება ის, რომ შპს-ის არსებობის შეწყვეტის შემდეგ მისი ქონება არ დარჩეს "ჰაერში გამოკიდებული", არამედ იგი დანაწილდეს უფლებამოსილ პირებზე. ქონებაზე

უფლებამოსილ პირებად კი გვევლინებიან ან შპს-ის კრედიტორები (თუკი ისინი არსებობენ), ან შპს-ის პარტნიორები, თუკი კრედიტორების ვალების დაფარვის შემდეგ კიდევ დარჩება რაიმე შპს-ს ქონებიდან. ასეთ შემთხვევაში მათ ნარჩენი ქონება გაუნაწილდებათ თავიანთი წილების პროპორციულად. ამიტომ შპს-ის გაუქმების შემდეგ მისი ქონება რეალიზებულ უნდა იქნეს, ანუ უნდა იქცეს ფულად და წარიმართოს სწორედ უფლებამოსილი პირების დასაკმაყოფილებლად. თუკი ქონების დანაწილების შემდეგ აღარაფერი დარჩა, მაშინ შპს როგორც **უქონელი სუბიექტი** უნდა ამოიშალოს სავაჭრო რეესტრიდან. სწორედ ასე წესრიგდება უქონელი პირების საკითხი გერმანულ სამართალში (შდრ. კანონი ‘‘რეესტრიდან ამოშლის‘‘ შესახებ (Löschungsgesetz, §2 I 1)

ამრიგად, შპს-ის **გაუქმებას** ჯერ კიდევ არ მივყავართ მისი არსებობის დამთავრებამდე, მას უპირატესად მოსდევს **დამასრულებელი ღონისძიებები**. ამ ღონისძიებების მიზანია მოვალის საქმეების დამთავრება (Abwicklung), რომელიც აღსრულდება შპს-ის ვალდებულებითი და ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებით. საქმეების დამთავრების ამ პროცედურას სხვაგვარად **ლიკვიდაცია** (Liquidierung) ეწოდება[37]. ხოლო პირს, რომელიც საქმეების დამთავრებას ახორციელებს, ლიკვიდატორად (Liquidator) მოიხსენიება. ლიკვიდატორს გერმანულ ლიტერატურაში ასევე პირდაპირი მნიშვნელობით მოიხსენიებენ და მას ”საქმეების დამამთავრებელს” (Abwickler) უწოდებენ[38].

მიუხედავად იმისა, რომ გაუქმება სრულიად განსხვავებული ინსტიტუტია კერძო სამართალში და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ქართული სამეწარმეო სამართალი არათუ არ ჩამოთვლის კაპიტალური საზოგადოებების გაუქმების საფუძვლებს, არ აღიარებს აგრეთვე თვით **გაუქმების** ცნებასაც[39]. გაუქმება, როგორც სამართლის თვითმყოფადი ინსტიტუტი, არ არის დამუშავებული აგრეთვე ქართულ საკორპორაციო ლიტერატურაშიც. თუმცა, ლიტერატურაში არის მცდელობა იმისა, რომ საზოგადოების გაუქმების ინსტიტუტი გადმოცემული იქნას ისეთი ტერმინებით, როგორიცაა "საზოგადოების დაშლა" ან "საზოგადოების შეწყვეტა"[40].

---

36 შდრ. K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl, 1991, §11 V, გვ. 266

37 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl., გვ. 1092

38 შდრ. Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, Komentar und Formularbuch, 8. Aufl., 1992, გვ. 606-607

39 თუმცა კანონპროექტის თავდაპირველ გერმანულ ვარიანტში მოცემული იყო გაუქმების ცნება (Auflösung), რომელიც თარგმნისას დაკარგულ იქნა. კანონის გერმანულ ვერსიაშიც 28-ე მუხლი სწორედ გაუქმების საფუძვლებს (Auflösungsgründe) ჩამოთვლის (შდრ. მეწარმეთა კანონი, სამენოვანი გამოცემა, თბ. 1995, გვ. 235.

40 იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 1-ლი გამოცემა, თბილისი 1996, გვ. 141-142, აგრეთვე იგივე, მე-2 გამოცემა, თბილისი 1998, გვ.180-181, 249

## §4. შპს-ის გაკოტრება, როგორც გაუქმების საფუძველი

საფუძველი. გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი პირდაპირ არ მიუთითებს გაკოტრებაზე, როგორც შპს-ის გაუქმების საფუძველზე. თუმცა როგორც სამეწარმეო, ისე გაკოტრების სამართლის ზემოთ მოცემული ანალიზი იძლევა საპირისპიროს მტკიცების საშუალებას – გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა იწვევს შპს-ის გაუქმებას, შემდგომში მის ლიკვიდაციასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, – აგრეთვე მის ამოშლას სამეწარმეო რეესტრიდან. ამ დროს ლიკვიდაცია ხორციელდება გაკოტრების წარმოების ფარგლებში გაკოტრების მმართველის მიერ.

შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნა, ანუ გაუქმების მოცემული საფუძვლის დადგომა როდი იწვევს შპს-ის არსებობის იმწუთიერ შეწყვეტას. გაკოტრების წარმოების გახსნით, მართალია, უქმდება შპს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასევე ისპობა მისი სამართლებრივი არსებობა (rechtliche Existenz)[41]. გაუქმების მიუხედავად, შპს ინარჩუნებს სამართალსუბიექტობას, იგი კვლავ აგრძელებს არსებობას როგორც იურიდიული პირი.

გაკოტრების წარმოების გახსნისას ასევე საფუძვლიანად უნდა გადაწყდეს გაუქმებული შპს-ის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები და, რაც მთავარია, უნდა გაირკვეს მისი დარჩენილი ქონების ბედი, რათა იგი გადავიდეს უფლებამოსილი პირების (აქ: კრედიტორების) ხელში. აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად კი განხორციელდება შესაბამისი დამასრულებელი (ანუ სალიკვიდაციო) ღონისძიებები, როგორიცაა: გაკოტრების მასის მოძიება და დადგენა, მოთხოვნების განხორციელება, აქტივების რეალიზაცია და მიღებული ამონაგებით გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილება გაკოტრების ტაბულაში დადგენილი რიგითობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაკოტრების კრედიტორებზე ამონაგების განაწილების შემდეგ შპს-ას აღარ დარჩება ქონება, იგი როგორც **უქონელი სუბიექტი** ამოიშლება სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრიდან.

ამრიგად, სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებით გაკოტრების საქმის წარმოება ემსგავსება ორდინარულ (ჩვეულებრივ) სალიკვიდაციო წარმოებას, იმ განსხვავებით, რომ იგი სახელმწიფოს მიერ უფრო მეტად არის მოწესრიგებული და ხორციელდება სასამართლოს სათანადო ზედამხედველობით. თავის მხრივ, გაკოტრების მმართველი, თავისი მოქმედების შინაარსით ემსგავსება ლიკვიდატორს. კერძოდ, იგი თავის

[41] Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §63 Rdn.36, გვ. 1141

მფლობელობაში იღებს და მართავს ვალაუვალი მოვალე—შპს-ს ქონებას და ახორციელებს მასთან დაკავშირებულ ყველა დამასრულებელ ღონისძიებას.

შპს-ის ქონებაზე გახსნილი გაკოტრების წარმოება შეიძლება შეწყდეს მანამდე, ვიდრე სალიკვიდაციო ღონისძიებები დასრულდება, ანუ საბოლოოდ განაწილდება გაკოტრების მასა. მაგალითად, წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საგაკოტრებო მორიგების დადება გაკოტრების კრედიტორებს შორის ან გაკოტრების საფუძვლის გაუქმება. გაკოტრების წარმოების შეწყვეტით ისპობა ის საფუძველი, რამაც გამოიწვია შპს-ის გაუქმება. ამით შპს დაუბრუნდება გაუქმებამდე არსებულ მდგომარეობას, ანუ იგი კვლავ შეიძენს მოქმედი საზოგადოების (werbende Gesellschaft) სტატუსს.

## §5. ლიკვიდაცია

### *ა) ლიკვიდაციის შინაარსის შესახებ*

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, გაუქმების გარემოების დადგომით შპს მაშინვე არ ამოიშლება სავაჭრო (სამეწარმეო) რეესტრიდან. იგი კვლავ აგრძელებს არსებობას, ვიდრე სრულყოფილად არ დამთავრდება არსებული სამართლებრივი ურთიერთობები და საფუძვლიანად არ გადაწყდება მისი ქონების საკითხი. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაუქმებული შპს მივიდეს თავისი არსებობის საბოლოო შეწყვეტამდე, უნდა განხორციელდეს შპს-ის ე.წ. **დამასრულებელი ღონისძიებები**. დამასრულებელი ღონისძიებები წარმოებს სწორედ სპეციალურ წარმოებაში, რომელსაც **სალიკვიდაციო წარმოება,** ან უბრალოდ **ლიკვიდაცია** ეწოდება. ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ ლიკვიდატორის (ან ლიკვიდატორების) მიერ.

დამასრულებელ ღონისძიებებს დეტალურად აღწერს როგორც გერმანული, ისე ქართული სამართალი. მაგალითად, “მეწარმეთა შესახებ“ ქართული კანონი ჩამოთვლის ისეთ დამასრულებელ ღონისძიებებს, როგორიცაა: მიმდინარე საქმეების დამთავრება, აქტივების განხორციელება, საზოგადოების ვალდებულებების შესრულება, აქტივების გაყიდვა, ვალების დაფარვა, და ბოლოს, დარჩენილი ქონების განაწილება პარტნიორებს შორის ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2, აბზ. 3, წინადად. 1). აქტივების განხორციელებისა და საზოგადოების ვალდებულებების შესრულებისას ლიკვიდატორებმა საზოგადოება უნდა წარმოადგინონ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, ამასთან, მათ შეუძლიათ წარმართონ ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავრონ საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულონ დავები, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, დადონ ახა-

ლი გარიგებებიც ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2, აბზ. 3, წინადად. 2). მსგავსადააა აღწერილი დამასრულებელი ღონისძიებები შპს-ის გერმანულ კანონში, რომლის თანახმადაც ლიკვიდატორებმა უნდა დაამთავრონ მიმდინარე საქმეები, შეასრულონ გაუქმებული საზოგადოების ვალდებულებები, მოიზიდონ გაუქმებული საზოგადოების მოთხოვნები, საზოგადოების ქონება ფულად აქციონ (im Geld umsetzen), დაფარონ საზოგადოების ვალები და გაანაწილონ დარჩენილი ქონება შპს-ის პარტნიორებს შორის (GmbHG, §§70, 72, 73).

ამრიგად, შპს-აში დამასრულებელი ღონისძიებები გამოიხატება არსებული (დაუმთავრებელი) სამართლებრივი ურთიერთობების (ხელშეკრულებების, სასამართლო პროცესების) დამთავრებაში, შპს-ის ქონების მოძიებასა და, შესაბამისად, სალიკვიდაციო მასის ფორმირებაში, აგრეთვე საზოგადოების ქონების რეალიზაციაში და ამონაგებით როგორც შპს-ის კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში, ისე დარჩენილი თანხის განაწილებაში პარტნიორებს შორის. შესაბამისად, ლიკვიდაციისას გამოიკვეთება ორი სხვადასხვა ფაზა: საქმეების დამთავრება საზოგადოების გარე სამყაროსთან, კერძოდ, კი კრედიტორთა დაკმაყოფილება და მუშაკთა უზრუნველყოფა, რომელსაც მოყვება მეორე ფაზა, როგორიცაა შპს-ის პარტნიორებს შორის ქონების შიდა ურთიერთგამიჯვნა (interne Auseinandersetzung)[42]. აქ უკვე საქმე ეხება დარჩენილი ქონების დანაწილებას პარტნიორებს შორის.

შპს-ის სალიკვიდაციო წარმოება დამთავრებულად ჩაითვლება, თუ ლიკვიდატორები სრულყოფილად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ანუ დაამთავრებენ საზოგადოების მიმდინარე საქმეებს, თავს მოუყრიან შპს-ის მთელ ქონებას, მათ შორის მოიზიდავენ დარჩენილ მოთხოვნებს, მოახდენენ ამ ქონების რეალიზაციას (ფულად ქცევას), დააკმაყოფილებენ კრედიტორებს, ხოლო დარჩენილ ქონებას გაანაწილებენ შპს-ის პარტნიორებს შორის.

საერთოდ, ლიკვიდაციის დასრულების შემდგომ შპს-ის არსებობის შემდგომი გაგრძელებისათვის გადამწყვეტი მნიშნელობა ენიჭება იმას, დარჩება თუ არა სალიკვიდაციო მასაში რაიმე ქონება. თუ ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ შპს-ას აღარ დარჩება არავითარი ქონება, მაშინ იგი უნდა ამოიშალოს რეესტრიდან. თუკი შპს-ის პარტნიორები უარს განაცხადებენ ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე (რომელიც მათ უნდა გაუნაწილდეს თავიანთი წილების პროპორციულად), მაშინ ეს ქონება დარჩება შპს-ის საკუთრებაში. ქონების დატოვებით პარტნიორები ერთგვარი სახით უგრძელებენ

---

42 Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, 1980, გვ. 147

გაუქმებულ შპს-ას არსებობის ხანგრძლივობას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პარტნიორების ფორმალური გადაწყვეტილება შპს-ის არსებობის გაგრძელების (Fortsetzung) შესახებ.

*ბ) გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავების შესახებ*

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გაუქმება როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი განსხვავდება ლიკვიდაციის ინსტიტუტისაგან. გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავებას განაპირობებს მათივე სამართლებრივი შინაარსი. სამწუხაროდ, ქართულ სამართლებრივ, და არა მხოლოდ სამართლებრივ ცნობიერებაში სიტყვა "ლიკვიდაცია" აღიქმება როგორც ამა თუ იმ სუბიექტის მოსპობა, მისი სრული გაუქმება. ამ ტერმინს განსაკუთრებული გაგება აქვს გამოიყენება საპოლიციო პრაქტიკაში, როდესაც მას დამნაშავის მოსპობასთან აიგივებენ. შესაბამისად, ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულმა ლიკვიდაციის ასეთმა შინაარსმა თავისი ასახვა ჰპოვა იურიდიულ პირებთან მიმართებაშიც. იურიდიული პირის ლიკვიდაცია აქამდე გაგებული იყო და დღესაც გაიგება როგორც მისი არსებობის შეწყვეტა, როგორც მისი გაქრობა "სამართლებრივი ცხოვრებიდან". ხოლო როდესაც 90-იან წლებში სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურად ჩაებნენ სამეწარმეო იურიდიული პირები, მათზეც ანალოგიურად გავრცელდა ლიკვიდაციის გაბატონებული გაგება.

გერმანულ სამართალში, და მის საფუძველზე განვითარებულ სამართლებრივი თეორიაში უკვე აღარ იწვევს დავას Verband-ის[43] გაუქმებისა და ლიკვიდაციის ინსტიტუტების განსხვავებული სამართლებრივი შინაარსი. ამასთან, გერმანულ სამართალსა და თეორიაში სიღრმისეულად არის დახასიათებული Verband-ის არსებობის მოსპობა – მისი გაუქმებიდან არსებობის სრულ დამთავრებამდე. გერმანულ სამართალსა და ლიტერატურაში დეტალურად არის გამოკვლეული სავაჭრო საზოგადოების, კერძოდ, კაპიტალური საზოგადოების გაუქმების, და მათ შორის შპს-ის გაუქმების საკითხები. მკაფიოდ არის წარმოჩენილი სამართლის აღნიშნული ინსტიტუტის თვითმყოფადობა ლიკვიდაციის ინსტიტუტთან შედარებით. შესაბამისად, ადვილი ხდება გარკვეული ანალოგიების მოძიება ქართულ სამართალში, რამაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ორივე ინსტიტუტის სამართლებრივი შინაარსის სწორ განმარტებას. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველი გახდება სწორი და თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკისა.

---

43 Verband-ის ფორმებად გერმანულ ლიტერატურაში მიჩნეულია სავაჭრო საზოგადოება (Gesellschaft) და კავშირი (Verein). შდრ. ამასთან დაკავშირებით Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, München 1980, გვ. 673

გაუქმებისაგან ლიკვიდაციის განსხვავებას განაპირობებს აგრეთვე ამ უკანასკნელის პრაქტიკული ხასიათი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ლიკვიდაცია წარმოადგენს პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება ლიკვიდატორის მიერ. ხოლო გაუქმება კი განიხილება როგორც ლიკვიდაციის თეორიული წინაპირობა. გარდა ამისა, გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცესების განსხვავებულობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ თუ გაუქმების პროცესის მონაწილეებად გვევლინებიან შპს-ის პარტნიორი (პარტნიორები) ან სასამართლო, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ, სამაგიეროდ ლიკვიდაციის პროცესის "ბატონად", მის ძირითად მონაწილედ გვევლინება ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს ან შპს-ის დირექტორი, ან სხვა მესამე პირი.

გაუქმებისაგან ლიკვიდაციის განსხვავებულობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ გაუქმება, დროის მიმდინარეობის თვალსაზრისით, ყოველთვის იმწუთიერი მოვლენაა — იგი იწყება და მთავრდება გაუქმების გარემოების დადგომისთანავე, ანუ როგორც კი იქნება გადაწყვეტილება მიღებული ან ვადა დამდგარი. მაშინ როცა, ლიკვიდაციის განხორციელება დროშია გაჭიმული — იგი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაშიც კი. გერმანულ პრაქტიკაში ყოფილა, მაგალითად, შემთხვევები, როდესაც ლიკვიდაციის პროცესი 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განხორციელებულა[44].

შპს-ის გაუქმება რომელიმე საფუძვლით სრულებითაც არ ნიშნავს მის იმავდროულ ლიკვიდაციას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ამ ორივე გარემოებას გააჩნია სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა. თუკი გაუქმება არის შპს-ის არსებობის მოსპობის სამართლებრივი საფუძველი, მისი თეორიული წინაპირობა, სამაგიეროდ, ლიკვიდაცია წარმოადგენს გაუქმების დამაგვირგვინებელ აქტს, მის პრაქტიკულ განხორციელებას. ლიკვიდაცია წარმოადგენს პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ხორციელდება ლიკვიდატორის მიერ.

გარდა ამისა, გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცედურების განსხვავებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ თუ გაუქმების პროცედურის მონაწილეებად გვევლინებიან შპს-ის პარტნიორი (პარტნიორები) ან სასამართლო, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ, სამაგიეროდ ლიკვიდაციის პროცედურის "ბატონად", მის ძირითად მონაწილედ გვევლინება ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს ან შპს-ის დირექტორი, ან სხვა მესამე პირი.

---

[44] შდრ. ამასთან დაკავშირებით ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, 1998, გვ 184.

გერმანული სამართალი გამოკვეთილად იცავს გაუქმებისა და ლიკვიდაციის თანამიმდევრობას. მაგალითად, შპს-ის კანონის 65-ე მუხლის თანახმად, შპს-ის გაუქმების შესახებ ლიკვიდატორების მიერ უნდა გაკეთდეს განაცხადი სავაჭრო რეესტრში სარეგისტრაციოდ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება საზოგადოების ლიკვიდაციის პრაქტიკული განხორციელება, რომლის ერთ-ერთი პირველი ღონისძიებაა შპს-ის გაუქმების შესახებ ინფორმაციის სამჯერ გამოქვეყნება ინფორმაციის საჯარო საშუალებებში. აღნიშნული ნორმაც ადასტურებს, რომ საზოგადოების გაუქმება ყოველთვის წინ უსწრებს ლიკვიდაციას. სამწუხაროდ, ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ იქნა დამკვიდრებული, რომ გაუქმების გარემოება ჩაიწეროს სამეწარმეო რეესტრის ფორმულარებში (თუნდაც, შენიშვნის გრაფაში).

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიკვიდაცია ყოველთვის როდი მოსდევს საზოგადოების გაუქმებას. ზოგიერთ შემთხვევაში (რაც გამონაკლისის სახით გვხვდება) ლიკვიდაციის საჭიროება შეიძლება არც დადგეს და ამიტომ იგი გამოტოვებული იქნას. ეს არის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, გაუქმებულ შპს-ას არ აქვს რაიმე ქონება, რის გამოც აზრი ეკარგება დამასრულებელი ღონისძიებების განხორციელებას[45]. აღნიშნული ღონისძიებები ხომ გარკვეულ ხარჯებთან და დროსთან არიან დაკავშირებულნი. თუ არ არსებობს ქონება, შესაბამისად, არ არსებობს არსებული ვალდებულების შესრულების გარანტიაც.

მიუხედავად იმისა, რომ გაუქმება და ლიკვიდაცია სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებია, სამწუხაროდ, ქართულ სამეწარმეო სამართალში დღემდე ვერ მოხერხდა ამ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ინსტიტუტის შესაბამისი ცნებებით ურთიერთგამიჯვნა. დღეისათვის ეს ორი ინსტიტუტი ქართულ კერძო სამართალში გადმოცემულია ერთი ცნებით – "ლიკვიდაცია" ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14, აგრეთვე სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 39). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იყო უკვე იმის მცდელობა, რომ გაუქმების ინსტიტუტი განსხვავებული ცნებით გამოეხატათ, ვიდრე ეს ლიკვიდაციაა. მაგრამ სამართალში ამ მოსაზრებამ ჯერჯერობით ასახვა ვერ ჰპოვა. ამიტომ ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთისაგან განსხვავება სასამართლო პრაქტიკას უნდა მივანდოთ. ხოლო ვიდრე პრაქტიკა სწორ გადაწყვეტას შემოგვთავაზებს, სამართალში მოცემული ლიკვიდაციის ინსტიტუტი ორმაგი გაგებით უნდა ავხსნათ: ერთის მხრივ, – ვიწრო გაგებით, როდესაც მას მინიჭებული აქვს წმინდა სალიკვიდაციო ღონისძიებების დატვირთვა ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლები 14.2 და 14.3) და მეორეს მხრივ, – ფართო გაგებით, როცა ლიკვიდაცია გათანაბრებულია გაუქმებასთან ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლები 5.7, 14.1.1 და 28)

*გ) ლიკვიდაციის განმხორციელებელი პირი (ლიკვიდატორი)*

ცალკე საკითხია შპს-აში იმ პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც აქვს ლიკვიდაციის განხორციელების უფლება. როგორც ქართული, ისე გერმანული სამართალი შპს-ში ლიკვიდატორად ამწესებს საზოგადოების ხელმძღვანელს, ანუ დირექტორს, ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2; GmbHG §66 I). თუმცა გერმანული სამართალი უშვებს აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით აგრეთვე სხვა პირი დაინიშნოს ლიკვიდატორად. ქართული სამართლის მიხედვით, სხვა პირის (რომელიც არ არის დირექტორი) დანიშვნა ლიკვიდატორად შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2)

“მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ აძლევს შპს-ის პარტნიორებს უფლებას, წესდებით ან ცალკეული გადაწყვეტილებით გააფართოონ ლიკვიდაციის განმხორციელებელ პირთა წრე. გარდა ამისა, ორივე სამართლის თანახმად, ლიკვიდატორად არადირექტორის დანიშვნის წინაპირობაა მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობა. ამასთან, ორივე ქვეყნის სამართალი ითვალისწინებს სასამართლოზე მიმართვას (შუამდგომლობას) ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. თუმცა გერმანული შპს-ის სამართლის მიხედვით ასეთი უფლება მინიჭებული აქვს მცირე წილის მქონე პარტნიორებს (GmbHG §66 II)

## §6. არსებობის დამთავრება

"არსებობის დამთავრების" ინსტიტუტი უცხოა არა მხოლოდ ქართული სამართლისათვის, არამედ აგრეთვე – ქართული იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკისათვის. სამაგიეროდ, აღნიშნული ინსტიტუტი სრულყოფილად არის დამუშავებული გერმანულ ლიტერატურაში.

გერმანული ლიტერატურა სავაჭრო საზოგადოების დამთავრებას, უფრო კონკრეტულად კი, მის "სრულ დამთავრებას" (Vollbeendigung) უწოდებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც გაუქმებასთან ერთად განხორციელებულია საზოგადოების ლიკვიდაცია და მისი მთელი ქონება უნარჩენოდ, ანუ მთლიანად არის დანაწილებული. ამრიგად, დროის მიხედვით, საზოგადოების არსებობა სრულად დამთავრდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე განხორ-

[45] ამის შესახებ იხ. K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1991, გვ. 267

ციელებულია ლიკვიდაცია და დამთავრებულია რეალიზებადი აქტივ-ქონების უნარჩენო დანაწილება[46]. შესაბამისად, გაუქმება დროის მიხედვით, ყოველთვის წინ უსწრებს არსებობის დამთავრებას, ხოლო ეს უკანასკნელი კი დგება ყოველთვის ლიკვიდაციის შემდეგ.

გერმანული სავაჭრო საზოგადოების არსებობის დამთავრების მოწესრიგება ანალოგიურად გამოიყენება აგრეთვე შპს-ის მიმართ. შესაბამისად, შპს-ის გაუქმება არ იწვევს მაშინვე მისი არსებობის შეწყვეტას – გაუქმებული შპს ისევ აგრძელებს არსებობას მანამდე, სანამ მისი ქონება უნარჩენოდ არ დანაწილდება უფლებამოსილ პირებზე. პერიოდი შპს-ს გაუქმებიდან მისი არსებობის სრულ დამთავრებამდე, ანუ ვადა, რაც შეიძლება დასჭირდეს საქმეების დამთავრებას (ლიკვიდაციას), შეიძლება, ჩვეულებრივ, გაგრძელდეს 3 თვეზე, 6 თვეზე, ხოლო დიდი საწარმოების შემთხვევაში – აგრეთვე 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

შპს-ის ლიკვიდაციის უნარჩენო დასრულება საკმარისი სამართლებრივი საფუძველია იმისა, რომ იგი შემდგომში ამოიშალოს სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრიდან.

მართალია, შპს-ის გაუქმებას უპირატესად მოსდევს ლიკვიდაცია, მაგრამ შპს-ამ შეიძლება თავისი არსებობა დაასრულოს აგრეთვე ლიკვიდაციის გარეშეც. ლიკვიდაციის გარეშე შპს-ის არსებობის დამთავრებას ადგილი აქვს, მაგალითად, მისი შერწყმის ან გარდაქმნის დროს. თუმცა არც შერწყმა და არც გარდაქმნა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, ამიტომ მათ განხილვას აქ არ შევუდგები.

## §7. რეესტრიდან ამოშლა

გერმანული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამეწარმეო საზოგადოების მათ შორის შპს-ის სავაჭრო რეესტრიდან (Handelsregister) ამოშლას.

სავაჭრო რეესტრიდან ამოშლა (Löschung) – არის არსებობადამთავრებული საზოგადოების ფორმალური გაფორმება. რეესტრიდან ამოშლას ექვემდებარება მხოლოდ სრულად დამთავრებული შპს.

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომელიც რეესტრიდან ამოშლას უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს. კერძოდ, საზოგადოების არსებობის დამთავრების მომენტი დაკავშირებულია არა იმასთან, რომ სალიკვიდაციო ღონისძიებები დამთავრდა და ქონება აღარ არსებობს, არამედ – უშუალოდ რეესტრიდან ამოშლასთან[47]. ამ

---

[46] შდრ. K. Schmidt, გვ. 269
[47] Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl., München, 1988, §60, Rdn. 3, გვ. 1092

მოსაზრების ავტორები ძირითადად ემყარებიან ამოშლის შესახებ კანონს (Löschungsgesetz). ამ კანონის §2 I-ის თანახმად, უქონელი საზოგადოების დამთავრება დგება მხოლოდ სავაჭრო რეესტრში ამოშლით. მაშასადამე, ამ მოსაზრებით, ამოშლას ერთგვარი გავლენა აქვს არსებობის დამთავრებაზე – ეს უკანასკნელი დგება მხოლოდ ამოშლის შედეგად. აღნიშნული მოსაზრების ავტორები უფრო შორს მიდიან და არსებობის დამთავრებას მეტ თვითმყოფადობას ანიჭებენ რეესტრიდან ამოშლასთან მიმართებაში, როდესაც აცხადებენ, რომ ამოშლა გავლენას ვერ მოახდენს დამთავრებაზე, თუკი საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს რაიმე ქონება[48].

გერმანულ ლიტერატურაში არსებობს სხვა უფრო გაბატონებული მოსაზრება, რომელიც ამოშლის ინსტიტუტს ანიჭებს მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს. ამ მოსაზრების თანახმად, ამოშლას არ აქვს სამართლებრივი ზეგავლენა საზოგადოების არსებობის დამთავრებაზე. ამოშლით ფორმალურად ფორმდება მხოლოდ უქონელი საზოგადოების არსებობის დამთავრება. ხოლო თუკი დამთავრებულ საზოგადოებას ამოშლის შემდეგ კვლავ აღმოაჩნდა რაიმე ქონება, მაშინ გერმანული სამართლის თეორია იცნობს რეესტრიდან ამოშლილი (ანუ მოსპობილი) საზოგადოების "გაცოცხლების", მისთვის "სიცოცხლის დაბრუნების" (Wiederbelebung) ინსტიტუტს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა არარსებული ("მკვდარი") საზოგადოებისათვის არსებობის აღდგენა.

ამრიგად, გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, შპს-ის რეესტრიდან ამოშლას წინ უნდა უძღოდეს არა მხოლოდ გაუქმება, როგორც საზოგადოების მოსპობის სამართლებრივი საფუძველი, არამედ აგრეთვე ლიკვიდაცია, როგორც საქმეების დამამთავრებელი პრაქტიკული ღონისძიება, და, სულ ბოლოს, ქონების აღარარსებობა. იმ შემთხვევაში, თუ ლიკვიდაცია გამოტოვებული იქნა, მაშინ შპს-ის რეესტრიდან ამოშლა დაეფუძნება მხოლოდ გაუქმებას და ქონების არარსებობას. სავაჭრო რეესტრიდან ამოშლის შემდეგ შპს როგორც სამართლის სუბიექტი წყვეტს არსებობას, ანუ დგება მისი სამართლებრივი სიკვდილი.

ქართული სამეწარმეო სამართალი "რეესტრიდან ამოშლის" ცნების ნაცვლად იცნობს "რეგისტრაციის გაუქმების" ცნებას (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.8, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 348). საკამათოა საკითხი, "რეგისტრაციის გაუქმების" ინსტიტუტი თავისი შინაარსით შეესაბამება თუ არა გერმანულ სამართალში არსებული "რეესტრიდან ამოშლის" ინსტიტუტს. საზოგადოების

---

48 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §74, Rdn. 16, გვ. 1224

რეგისტრაციის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც სასამართლო[49], ასევე – საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორი ან მესამე პირი. ამასთან, რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობა უნდა იყოს ხარვეზი რეგისტრაციის პირობებში, რომლის გამოსასწორებლადაც მეწარმეთა კანონით დაწესებულია 3-თვიანი ვადა. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს რეგისტრაციის გაუქმებას აგრეთვე "მნიშვნელოვანი მიზეზის" გამო, ასევე შესაბამისი ვადის დაწესებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 348, აბზაცები 1 და 2)

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ "რეგისტრაციის გაუქმება" – ეს არ არის "რეესტრიდან ამოშლა", არამედ იგი წარმოადგენს საზოგადოების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროდ, ქართული საპროცესო სამართალი "რეგისტრაციის გაუქმებას" აიგივებს "ამოშლასთან" (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 348, 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადება). ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან კანონმდებელმა ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთთან გაათანაბრა სრულიად გაუაზრებლად. საზოგადოების ამოშლა, როგორც საზოგადოების თანმიმდევრული დასრულების დამამთავრებელი ეტაპი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ. მაშასადამე, 3-თვიანი ხარვეზის (ან სასამართლოს მიერ დანიშნული პროცესუალური) ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოება მაშინვე კი არ ამოიშალება რეესტრიდან, არამედ ამ ქმედებას წინ უნდა უსწრებდეს სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. ხომ არ არის გამორიცხული, რომ "შეცდომით რეგისტრირებულ საწარმოს" ჰქონდეს მნიშვნელოვანი ღირებულების ქონება (მაგალითად, საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ნივთი), ჰყავდეს კრედიტორები და ა.შ. რეესტრიდან ამოშლამდე უნდა მოხდეს ამ ქონების რეალიზაცია და მისი ამონაგების განაწილება კრედიტორებზე ან სხვა უფლებამოსილ პირებზე.

მაშასადამე, ქართულ სამართალში დადგენილი წესი იმის შესახებ, რომ სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ "ხარვეზიანი საწარმოს" რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს, არ ნიშნავს მის დაუყოვნებლივ ამოშლას რეესტრიდან. სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოება გადადის გაუქმების რეჟიმში და წინა პლანზე იწევს ლიკვიდაციის განხორციელების აუცილებლობა.

---

[49] "მეწარმეთა შესახებ" კანონის პროექტის გერმანულ ვერსიაში პირდაპირ იყო მითითებული სასამართლოს "ინიციატივაზე" (von Amts wegen). მაგრამ შემდგომში კანონის ქართულ ტექსტში ეს სიტყვა საერთოდ დაიკარგა (შდრ. "საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ", სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული)

## §8. მოსპობილი საზოგადოების არსებობის აღდგენა

კორპორაციულ სამართალში გერმანული იურიდიული აზროვნების მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ სამართლებრივად მოსპობილი საზოგადოების სამართლებრივი „გაცოცხლების“, მისი არსებობის აღდგენის (Wiederbelebung) ინსტიტუტის შემოღება და მისი კლასიკურად დამუშავება. მაშინ როცა ქართულ სამართალსა და ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ რა განსხვავებაა „გაუქმებისა“ და „ლიკვიდაციის“ ინსტიტუტებს შორის, გერმანული ლიტერატურა შეისწავლის და იკვლევს მოსპობილი (რეესტრიდან ამოშლილი) საზოგადოების არსებობის აღდგენის პრობლემებს. შესაბამისად, დღეს უკვე გერმანული სასამართლო პრაქტიკისათვისაც უცხო აღარ არის ამ ინსტიტუტის გამოყენება.

საერთოდ, კაპიტალური საზოგადოების "სამართლებრივი აღდგენის" საკითხი წამოიჭრება მაშინ, თუ ამოშლის შემდეგ მას ისევ აღმოაჩნდება განაწილებას ქვემდებარე ქონება (აქტივები)[50]. სამართლებრივად დაუშვებელია, რომ ბუნებაში არსებულ ქონებას არ გააჩნდეს თავისი პატრონი. ამიტომ აღმოჩენილი ქონება მანამდე განეკუთვნება ამოშლილ საზოგადოებას, სანამ იგი სამართლებრივად არ გადავა სხვის საკუთრებაში. ახალი მესაკუთრე შეიძლება გახდეს როგორც კრედიტორი, რომელმაც სრულად ვერ დაიკმაყოფილა თავისი მოთხოვნა წინა გასანაწილებელი ქონებიდან, ისე – პარტნიორი, რომელმაც ვერ მიიღო დარჩენილი ქონება. ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის (პირების), ანუ მომავალი მესაკუთრის (მესაკუთრეების) გამოსავლენად უნდა განხორციელდეს აღმოჩენილი ქონების ხელახალი ლიკვიდაცია. ასეთ ლიკვიდაციას გერმანული სამართალი და ლიტერატურა ამოშლის შემდგომ ან “დამატებით ლიკვიდაციას” (Nachtragsliquidation) უწოდებს. ამრიგად, დამატებითი ლიკვიდაცია ტარდება საზოგადოების რეესტრიდან ამოშლის შემდეგ. ხოლო საზოგადოება საბოლოოდ მოსპობილად, ანუ სრულად დამთავრებულად მიიჩნევა მხოლოდ ამ აღმოჩენილი ქონების სრული განაწილებისა და ქონების სრული უქონლობის დადგომის შემდეგ[51].

დამატებითი ლიკვიდაცია შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე გაკოტრების შედეგად ლიკვიდირებული და მოსპობილი შპს-ის მიმართ. არ არის გამორიცხული, რომ გაკოტრების მმართველმა მასაში არ (ან ვერ) მოიზიდოს მოვალის კუთვნილი რაიმე ნივთი. ხოლო თუკი

---

გამოცემა, თბილისი 1995, გამომც. "ნორმა", გვ. 209), სამაგიეროდ, სასამართლოს "ინიციატივაზე" ხასგასმულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლში.

50 შდრ. K. Schmidt, გვ. 275

51 უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Crisolli/Groschuff/Kaemmel, Umwandlung und Löschung von Kapitallgesellschaften, 3. Aufl. 1937

ეს ნივთი აღმოჩენილი იქნა მოგვიანებით, ანუ შპს-ის რეესტრიდან ამოშლის შემდეგ, მაშინ დღის წესრიგში დადგება გაუქმებული შპს-ის ქონების დამატებითი გაკოტრების საკითხი. დამატებით გაკოტრებას ახლა უკვე განახორციელებს გაკოტრების სასამართლოს მიერ დანიშნული გაკოტრების დამატებითი მმართველი, ანდა იგივე მმართველი, რომელმაც, მართალია, გაკოტრების წარმოების დამთავრებით დაასრულა თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილება, მაგრამ სასამართლომ შეიძლება იგი დანიშნოს დამატებით მმართველად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გაკოტრების დამატებითი წარმოების ნაცვლად ჩატარდეს დამატებითი ლიკვიდაცია ხელახლა დანიშნული ლიკვიდატორის მონაწილეობით.

## §9. შპს-ის გაუქმების შედეგები

*ა) მიზნის შეცვლა*

შპს-ის გაუქმებას შედეგად მოსდევს მისი თავდაპირველი **მიზნის შეცვლა**[52]. გაუქმებამდე შპს განიხილება, როგორც მოგებაზე ორიენტირებული საზოგადოება, ვინაიდან მის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. ასეთ საზოგადოებას გერმანული სამართალი **მოქმედ საზოგადოებას** (werbende Gesellschaft) უწოდებს. აღნიშნული ტერმინი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საზოგადოება კვლავ მოქმედებაშია და აქტიურად ეწევა წესდებით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობას. ასეთ საზოგადოებას სხვაგვარად **აქტიური საზოგადოებაც** შეიძლება ეწოდოს. ამის საპირისპიროდ, "სალიკვიდაციო საზოგადოება" განიხილება როგორც **პასიური საზოგადოება**.

გაუქმების შემდეგ შპს-ის მოგების მიღების მიზანი იცვლება და მისთვის ამოსავალი ხდება არსებობის დამთავრება (Beendigung). არსებობის სრულად დამთავრებამდე უნდა დამთავრდეს არსებული საქმეები და გაირკვეს ჯერ კიდევ დარჩენილი ქონების საკითხი, რომელიც, პირველ რიგში, დანაწილდება შპს-ის კრედიტორებს შორის. აღნიშნული ღონისძიებები (დამასრულებელი ღონისძიებები), როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ხორციელდება ლიკვიდაციის პროცესში. მაშასადამე, გაუქმების შემდეგ შპს-ის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ლიკვიდაციის განხორციელება.

შპს-ის გაუქმების შემდეგ ლიკვიდაციის მიზანი გაბატონებულ ადგილს იკავებს, ხოლო მოგების მიღება კი მის ერთ-ერთ ქვემიზნად იქცევა. მაგალითად, გაუქმებულმა საგამომცემლო შპს-ამ შეიძლება კვლავ გააგრძელოს თავისი საგამომცემლო საქმიანობა

[52] Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, გვ. 1093

(ვთქვათ, წიგნის გამოცემა), რომელიც, რა თქმა უნდა, მოგების მიღებისკენ იქნება მიმართული, მაგრამ მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს სალიკვიდაციო ღონისძიებების აღსრულებას. ლიკვიდაციის მიზანი, ამრიგად, არ სპობს საერთოდ შპს-ის თავდაპირველ მიზანს – მოგების მიღებას, არამედ განსაზღვრული დროით ავიწროებს მას და გადასწევს უკანა პლანზე. მოგების მიღების მიზანი კვლავ გადმოიწევს წინა პლანზე, თუკი ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ შპს არ მოისპობა და იგი კვლავ გააგრძელებს თავის საქმიანობას.

გერმანულ სამართალში ლიკვიდაციაზე ორიენტირებულ საზოგადოებას, სხვაგვარად, **სალიკვიდაციო საზოგადოებასაც** უწოდებენ. შესაბამისად, არსებობს სალიკვიდაციო შპს-აც.

მიზნის შეცვლა გარეგნულად არ არის შესამჩნევი. სალიკვიდაციო შპს გარეგნულად არაფრით განსხვავდება მოქმედი, ანუ აქტიური შპს-გან, გარდა იმისა, რომ საზოგადოების ორგანოების ადგილს დაიკავებს ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები).

*ბ) უფლებაუნარიანობის შენარჩუნება*

ნებისმიერი საფუძვლით გაუქმებული შპს კვლავ ინარჩუნებს უფლებაუნარიანობას, მათ შორის გარიგებაუნარიანობას, პროცესუნარიანობას, საჯარო რეესტრში (საადგილმამულო წიგნში) ჩაწერის უნარიანობას და სხვ.

შპს-ის უფლებაუნარიანობა, მართალია, კვლავ გრძელდება, მაგრამ იგი იფარგლება ლიკვიდაციის მიზნით. შპს-ის უფლებაუნარიანობა მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით განხორციელდეს სალიკვიდაციო ღონისძიებები და განაწილდეს საზოგადოების ქონება. საკუთარი ქონების არსებობა ერთგვარად უხანგრძლივებს გაუქმებულ შპს-ას "სამართლებრივ ცხოვრებას".

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაუქმებული შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის შესახებ. შპს-ის უფლებაუნარიანობა მოიცავს აგრეთვე მის გაკოტრებაუნარიანობასაც. მაშასადამე, ნებისმიერი საფუძვლით გაუქმებისას, შპს არ კარგავს აგრეთვე გაკოტრებაუნარიანობას. საზოგადოების გაუქმება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ლიკვიდაციას. გაუქმებულ შპს-ას შეიძლება ჰქონდეს ქონება, რომლის ბედიც უნდა გადაწყდეს სწორედ სალიკვიდაციო წარმოებაში. შპს-ის ლიკვიდატორი, თავის მხრივ, უფლებამოსილია შეიტანოს გაკოტრების განცხადება.

ინზოლვენცის გერმანული სამართალი, განსხვავებით გაკოტრების ქართული სამართლისაგან, უშუალოდ აწესრიგებს გაუქმებული იურიდიული პირის გაკოტრებაუნარიანობის საკითხს. კერძოდ, ინზოლვენცის დებულების (Insolvenzordnung) §11 (3) მიუთითებს, რომ იურიდიული პირის გაუქმების შემდეგ მის ქონებაზე გაკოტრების

წარმოების გახსნა მანამდეა დაშვებული, ვიდრე ქონების განაწილება არ დასრულებულა. აღნიშნული დებულება ანალოგიურად ვრცელდება შპს-აზე როგორც იურიდიულ პირზე. ამრიგად, გაკოტრების წარმოება შეიძლება გაიხსნას შპს-ის სალიკვიდაციო სტადიაზეც, როდესაც მისი ქონება ჯერ კიდევ არ არის განაწილებული, ანუ როცა რაიმე საფუძვლით გაუქმებული შპს-ის ქონება ჯერ კიდევ ადგილზეა. თუ გაუქმებულ შპს-ას საერთოდ არ აღმოაჩნდა ქონება, ან ქონება არასაკმარისია, მაშინ გაკოტრების წარმოება არ გაიხსნება (ან შეწყდება გახსნილი წარმოება) გაკოტრების მასის უკმარისობის გამო.

*გ) სხვა შედეგები*

მიუხედავად გაუქმებისა, მოქმედ (აქტიურ) და გაუქმებულ (პასიურ) შპს-ებს შორის არსებობს იდენტურობა[53]. იდენტურობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება გარეშე ურთიერთობებში, როდესაც შპს კვლავ გვევლინება **იურიდიულ პირად** და, შესაბამისად – უფლებაუნარიან სუბიექტად, რომელსაც შეუძლია დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და ა.შ. თუმცა მას მიზნად აღარ აქვს მოგების მიღება.

გაუქმებულ შპს-აში არ იცვლება აგრეთვე საფირმო სახელწოდება. თუმცა, გერმანული სამართალი სავალდებულო მოთხოვნად მიიჩნევს იმას, რომ სალიკვიდაციო სტადიაზე მყოფ საზოგადოებას დაემატოს ლიკვიდაციის მიმანიშნებელი დამატება (GmbHG, §68 II ). მაგალითად: "შპს მშენებელი ლიკვიდაციაში" ან "სალიკვიდაციო შპს მშენებელი" შესაბამისად, საზოგადოების სახელით შესრულებული ხელმოწერებისას ლიკვიდატორმა საქმიან წერილებზე უნდა მიუთითოს ლიკვიდაციის შესახებ.

რაც შეეხება შპს-ის შიდა ურთიერთობებს, ისინიც გარკვეულწილად უცვლელი რჩება, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა. შპს-ის გაუქმება გავლენას არ ახდენს საზოგადოების **წესდებაზე** და არ გამოიწვევს მისი შეცვლის აუცილებლობას. შესაბამისად, ძალაში რჩება საზოგადოების საქმიანობის საგანი. ლიკვიდაციის დროს, მართალია, დაშვებულია წესდების ცვლილებაც, მაგრამ ასეთმა ცვლილებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს საქმეების დამთავრებაზე.

შენარჩუნდება აგრეთვე **საზოგადოების ორგანოები** – პარტნიორთა კრება და სამეთვალყურეო საბჭო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე – მათი ფუნქციები. პარტნიორთა კრება რჩება საზოგადოების უმაღლეს ორგანოდ. თუმცა იგი კარგავს

---

[53] Fischer/Lutter, GmbH-Gesetz, Kommentar, 11. Aufl. Köln, 1985, §69, Rdn. 1, გვ. 538

ლიკვიდატორის დანიშვნისა და გათავისუფლების ფუნქციას. შპს-ის გაუქმებით არ იცვლება აგრეთვე ის პროცედურები, რაც დადგენილია შპს-ის წესდებით საზოგადოების ორგანოების მოწვევასა და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით.

შპს-ის გაუქმების დროს თანამდებობას ინარჩუნებს აგრეთვე საზოგადოების დირექტორი. თუმცა მას ეზღუდება სალიკვიდაციო მასის მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება.

გაუქმებულ შპს-აში უცვლელი რჩება აგრეთვე საზოგადოების გარეშე ურთიერთობები. გაუქმების გარემოების დადგომა გავლენას არ ახდენს გაუქმებამდე არსებულ სამართალურთიერთობებზე. ლიკვიდატორი, რომელიც საზოგადოების ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენლად გვევლინება, ვალდებულია ჩაერთოს ამ ურთიერთობებში და დაამთავროს ისინი. ლიკვიდატორს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ასევე ახალ გარიგებებში (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2, აბზ. 3; GmbHG §70) შესაბამისად, არ შეიძლება შეიზღუდოს ლიკვიდატორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება[54]. ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის აკრძალვასთან დაკავშირებული ნორმები ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 9.4)

შპს-ის გაუქმება არ იწვევს პარტნიორთა ვალდებულების გაუქმებას დარჩენილი ან დამატებითი შესატანების მიმართ. უფრო მეტიც, ლიკვიდატორს შეუძლია სალიკვიდაციო მასაში მოიზიდოს ყველანაირი თანხა, რაც აუცილებელია საქმეების დამთავრებისათვის, მათ შორის პარტნიორთა დარჩენილი და დამატებითი შესატანები. სწორედ ამას გულისხმობს "აქტივების განხორციელება", რომელიც მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად ლიკვიდატორის მოვალეობას შედგენს ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.2, აბზ. 3). შპს-ის გერმანული კანონი პირდაპირ მიუთითებს ლიკვიდატორის მოვალეობაზე, მოიზიდოს საზოგადოების მოთხოვნები (GmbHG §70) უფრო ფართო მოწესრიგების გვთავაზობს §69, როდესაც შესატანებთან დაკავშირებით გამოსაყენებლად სავალდებულოს ხდის §§19-25-ს. ამ დროს ლიკვიდატორს შეუძლია პარტნიორთა გადაწყვეტილების გარეშე განახორციელოს შესატანების მოზიდვა. ამრიგად, გაუქმებული შპს-ის მიმართ არ გამოიყენება შპს-ის კანონის §46, №2, რომლის თანახმადაც შესატანების მოთხოვნა, ჩვეულებრივ, ანუ მოქმედი შპს-ის შემთხვევაში პარტნიორთა კომპეტენციას განეკუთვნება.

შპს-ის გაუქმებით, როგორც უკვე აღვნიშნე, ხდება საზოგადოების მიზნის შეცვლა, ანუ მოგების მიღების მიზანი იცვლება ლიკვიდაციის მიზნით. ლიკვიდაციის დროს

ლიკვიდატორის ერთ-ერთი ძირითად ამოცანად განიხილება საზოგადოების ქონების გაყიდვა (ფულად ქცევა) და ოპტიმალური სალიკვიდაციო ამონაგების მიღება.

მოქმედი შპს-აგან განსხვავება თავს იჩენს იმაშიც, რომ გაუქმებულ შპს-აში დაუშვებელია პარტნიორებს შორის მოგების განაწილება. სალიკვიდაციო შპს-ში მიღებული მოგება არ შეიძლება მოხმარდეს აგრეთვე წარმოების გაფართოებას. მთელი მიღებული მოგება, როგორც უკვე აღვნიშნე, მოხმარდება შპს-ის დარჩენილი საქმეების დამთავრებას და მისი კრედიტორების დაკმაყოფილებას.

გაუქმებული შპს შეიძლება კვლავ გარდაიქმნას მოქმედ შპს-ად, თუკი პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ (Fortsetzungsbeschluss). თუმცა ასეთი რამ გამორიცხულია, როდესაც შპს-ის გაუქმება ხდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში გახსნილი წარმოება წარიმართება ლიკვიდაციის (და არა სანაციის ან რეაბილიტაციის) გზით, რის შედეგადაც მთელი ქონება დანაწილდება გაკოტრების კრედიტორებზე.

---

[54] Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §70 Rdn.2, გვ. 1189

# თავი 3. შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა

## §1. შესავლის მაგიერ

შპს არის გაკოტრებაუნარიანი სუბიექტი, რაც გულისხმობს მის უნარს, მოგვევლინოს ვალაუვალ მოვალედ გაკოტრების წარმოებაში. ვალაუვალ მოვალედ ყოფნა, თავის მხრივ, ნიშნავს გაკოტრების წარმოების გახსნის შესაძლებლობას შპს-ის ქონებაზე.

შპს-ის გაკოტრებაუნარიანობას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი გარემოება. ერთის მხრივ, შპს-ას გაკოტრების უნარი ენიჭება იმის გამო, რომ იგი კერძო სამართალის სუბიექტია. კერძო სამართალსუბიექტურობა გაკოტრებაუნარიანობის უდავო საფუძველია. მეორეს მხრივ, შპს-ის გაკოტრებაუნარიანობას განაპირობებს ის, რომ მას უნდა გააჩნდეს აღსრულებას, ანუ რეალიზაციას ქვემდებარე საკმარისი ქონება. ქონება საკმარისი უნდა იყოს გაკოტრების წარმოების ხარჯების დასაფარავად. კერძო სამართალსუბიექტურობასთან შედარებით საკმარისი ქონების არსებობა შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის აუცილებელი საფუძველია. ქონების საკმარისობის აუცილებლობა დამუშავებულია გაკოტრების ქართულ სამართალში[55].

რაც შეეხება შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის ცნებას, იგი არ არის კონკრეტულად მოცემული არც ქართულ და არც გერმანულ სამართალში. გაკოტრების კანონში შეუძლებელია მისი სრულყოფილად გადმოცემა. ამიტომაც ეს საკითხი მთლიანად ლიტერატურას მიენდო. თუმცა ორივე ქვეყნის ლიტერატურაში არ არის იმის მცდელობა, რომ გადმოსცენ კონკრეტულად შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის ცნება. ლიტერატურაში არის მოსაზრებები მხოლოდ ზოგადად გაკოტრებაუნარიანობის ცნების ირგვლივ. თავის მხრივ, გერმანული ლიტერატურა უფრო მეტ მეცნიერულ შეხედულებას გვთავაზობს გაკოტრებაუნარიანობის ცნების დასახასიათებლად. ეს ბუნებრივიცაა – გაკოტრების ქართული თეორია მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხს.

ორივე ქვეყნის გაკოტრების ლიტერატურაში გაკოტრებაუნარიანობის ცნება სხვადასხვა შინაარსით დაიტვირთა. ერთ შემთხვევაში, მაგალითად, გაკოტრებაუნარიანობა განსაზღვრულია როგორც პირის უნარი მიაღწიოს გაკოტრების სპეციალურ

[55] იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, დამხმარე სახელმძღვანელო, 1-ლი გამოცემა, თბილისი, 1999, გვ. 17-18

მდგომარეობას[56], მეორე შემთხვევაში – როგორც პირის უნარი, დაექვემდებაროს გაკოტრებას, ანუ გამოვიდეს ვალუვალ მოვალედ გაკოტრების წარმოებაში[57]. ესენია გაბატონებული შეხედულებები. თუ რომელია ამათგან რეალობასთან უფრო დაახლოებული დეფინიცია, ეს უკვე მომავალი დისკუსიების საგანია.

გერმანული ლიტერატურა განხილავს გაკოტრებაუნარიანობას ინზოლვენცის სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად[58]. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში გაკოტრებაუნარიანობა მიჩნეულია გაკოტრების წარმოების ერთ-ერთ (მატერიალურ) წინაპირობად[59].

განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, გაკოტრების ქართულმა სამართალმა, 2001წ. განხორციელებული ნოვაციით განსაზღვრა გაკოტრებაუნარიანობის დასაშვებობის (არსებობის) კრიტერიუმები. კერძოდ, დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია გაკოტრებაუნარიანობის არსებობა პირის მიმართ, რომელსაც აქვს ქონება. გაკოტრებაუნარიანობა დასაშვებია აგრეთვე განცალკევებული ქონების, მაგალითად, სამკვიდროს ქონების მიმართ („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 1). გაკოტრებაუნარიანობის დასაშვებობის აღნიშნული კრიტერიუმები, სამაგიეროდ, დეტალურად იყო დამუშავებული გაკოტრების გერმანულ ლიტერატურაში.

## §2. შპს-ს გაკოტრებაუნარიანობის საფუძვლები

### *ა) კერძო სამართალსუბიექტობა*

ქართული სამართლის მიხედვით შპს კერძო სამართლის იურიდიული პირია. როგორც იურიდიული პირი, შპს არის უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი. გაკოტრებაუნარიანობაც მისი უფლებაუნარიანობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. თავის მხრივ, გაკოტრების ქართული სამართალი პირდაპირ მიუთითებს კერძო სამართლის იურიდიული პირების, მათ შორის შპს-ის, გაკოტრებაუნარიანობის შესახებ. კერძოდ, გაკოტრების კანონის (2001წ. რედაქციის) თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება შეიძლება გაიხსნას აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირის ქონებაზე („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, 2001წ. რედაქცია, მუხლი 2.1). კერძო

---

[56] Baumann, Konkurs und Vergleich, Lehrbuch, 2. Aufl. გვ. 23

[57] როინ მიგრიაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15

[58] იხ. ამასთან დაკავშირებით Baur/Stürner, Insolvenzrecht, 3. Aufl. გვ. 75-77, Baumann, Konkurs und Vergleich, Lehrbuch, 2. Aufl. გვ. 23-24, App, Die Insolvenzordnung, გვ. 51

[59] შდრ. Baur/Stürner, გვ. 75, Baumann, გვ. 23, ასევე როინ მიგრიაული, გვ. 14

სამართლის იურიდიული პირების გაკოტრებაუნარიანობაზე იყო მსჯელობა აგრეთვე კანონის 1996 წლის რედაქციაშიც.

შპს კერძო სამართლის იურიდიული პირია გერმანული სამართლის მიხედვითაც (GmbHG§13)[60]. ინზოლვენცის[61] გერმანულ სამართალშიც პირდაპირ არის აღნიშნული კერძო სამართლი იურიდიული პირების ინზოლვენცუნარიანობის (ანუ გაკოტრებაუნარიანობის) შესახებ. ინზოლვენცის შესახებ 1994წ. დებულებამ (Insolvenzordnung) ინზოლვენცუნარიანად აღიარა კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირი, რომელთა ქონების მიმართაც დასაშვებად მიიჩნია ინზოლვენცის წარმოების გახსნა (InsO, §11). მართალია, ინზოლვენცის დებულების §11 მიუთითებს ყველა იურიდიულ პირზე, მაგრამ აქ იგულისხმება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამორიცხვა ინზოლვენცის წარმოებიდან მოწესრიგებულია §12-ით.

გერმანიის გაკოტრების 1877წ. დებულება (Konkursordnung)[62] ამ მხრივ უფრო ნაკლები სრულყოფილებით გამოირჩეოდა. ჯერ ერთი, იგი არ იძლეოდა გაკოტრებაუნარიანი სუბიექტების ზოგად ჩამონათვალს. თუ არ ჩავთვლით §213-ს, სადაც საუბარი იყო ზოგადად იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების წარმოების გახსნაზე. აქედან გამომდინარე, გაუგებარი ხდებოდა სააქციო საზოგადოების განსაკუთრებულად გამოყოფა §207-ში, მაშინ როცა სხვა კაპიტალურ საზოგადოებებზე, მათ შორის შპს-ზე, საერთოდ არაფერი იყო თქმული. ხოლო §213 უთითებდა §207-ზე, როგორც გამოსაყენებლ ნორმაზე.

გაკოტრების სამართლის რეფორმამდე, ანუ ინზოლვენცის ახალი დებულების მიღებამდე, როცა ყველა იურიდიული პირი ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული გაკოტრებაუნარიან სუბიექტად, შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის საკითხს აწესრიგებდა შპს-ის შესახებ სპეციალური კანონი. მასში მითითებული ნორმები შინაარსობრივად ემთხვეოდა სააქციო საზოგადოებისათვის გაკოტრების დებულების (KO) §207-ში მოცემულ ნორმებს. გარდა ამისა, შპს-ის კანონი თვითონვე უთითებდა გაკოტრების დებულების §207-სა და §208-ზე, როგორც შპს-ის მიმართ შესაბამისად გამოსაყენებელ ნორმებზე.

კერძო სამართალსუბიექტობასთან ურთიერთკავშირში განიხილება აგრეთვე შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის დაწყებისა და დასრულების საკითხები. კერძოდ, გასარკვევია,

---

60 შდრ. Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts, 3. Aufl.1984, გვ.188

61 „ინზოლვენცი" (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადახდისუუნაროს, ვალაუვალს. აღნიშნული ტერმინი დაუდო საფუძვლად ევროპის ბევრმა ქვეყანამ თავის გაკოტრების სამართალს (გერმანია, ინგლისი)

იწყება თუ არა შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა მისი როგორც იურიდიული პირის წარმოშობასთან ერთად და მთავრდება თუ არა იგი შპს-ის გაუქმებასთან ერთად. ამ საკითხებზე დეტალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

*ბ) საკმარისი ქონების არსებობა*

იმისათვის, რომ მოქმედი შპს-ის მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ქონება. ქონების საკმარისობაში იგულისხმება ის, რომ მისი ღირებულება საკმარისი უნდა იყოს გაკოტრების წარმოებაში წარმოშობილი ხარჯების დასაფარავად. ეს ხარჯები, თავის მხრივ, არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოს ხარჯებით. ამ ქონების საფუძველზე უნდა მოხდეს აგრეთვე გაკოტრების წარმოებაში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება[63].

გაკოტრების მოსამართლე, ვიდრე გახსნის წარმოებას, უნდა დარწმუნდეს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის სიმყარეში. მოვალეს ქონება უნდა ჰქონდეს საერთოდ ან იგი საკმარისი იყოს მოსალოდნელი ხარჯებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფარავად. ქონების არქონა ან არასაკმარისი ქონების არსებობა საფუძველია იმისა, რომ სასამართლომ უარი თქვას გაკოტრების წარმოების გახსნაზე ან შეწყვიტოს უკვე გახსნილი წარმოება. ამასთან, როდესაც საუბარია ქონების არასაკმარისობაზე, ამ შემთხვევაში კანონი მიუთითებს მის ისეთ სიმცირეზე, რომლითაც ვერ დაიფარება გაკოტრების წარმოებაში წარმოქმნილი აუცილებელი ხარჯებიც კი (შდრ. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 9.1). ასეთ აუცილებელ ხარჯებს შპს-ის გაკოტრების დროს მიეკუთვნება არა მხოლოდ სასამართლოს ხარჯები, არამედ აგრეთვე გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის (თუკი სავარაუდოა კრედიტორთა კომიტეტის შექმნა) გასამრჯელო, ასევე მოვალის ქონების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები. ეს, განსხვავებით ფიზიკური პირი-მოვალისაგან, რომლის გაკოტრების დროსაც აუცილებელ ხარჯებად განიხილება აგრეთვე პირადად მისი და მისი ოჯახის წევრებისათვის გაკოტრების მასიდან გადასახდელი სარჩო შდრ. (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 19 „ა“).

---

62 ამ დებულებასთან და გაკოტრების გერმანული სამართლის საფუძვლებთან დაკავშირებით იხ. Г.Ф Шершеневич, Конкурсный Процесс, Москва 2000, გვ. 53-59.

63 შდრ. როინ მიგრიაული, შესავალი ..., გვ. 61

მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შემოწმების შესაძლებლობა გაკოტრების სასამართლოს აქვს გაკოტრების განცხადების განხილვის სტადიაზე. ამ დროს გაკოტრების სასამართლო მთელი სერიოზულობითა და ყურადღებით უნდა მოეკიდოს მოვალის გაკოტრებაუნარიანობის დადგენას, რათა უსაფუძვლოდ არ აამოქმედოს გაკოტრების წარმოების მანქანა. გაკოტრების სასამართლოს ფრთხილი მიდგომა იმითაცაა განპირობებული, რომ გაკოტრების წარმოება მასშტაბური წარმოებაა, რომელშიც ჩართული აღმოჩნდება ხოლმე სამართლის სუბიექტთა არც თუ უმნიშვნელო წრე. გარდა ამისა, მასის არარსებობის შემთხვევაში გაკოტრების წარმოების გახსნა იმითაცაა გაუმართლებელი, რომ ამ დროს ინიშნება გაკოტრების მმართველი, რომელმაც უნდა "მართოს" არარსებული ან უმნიშვნელო ოდენობის გაკოტრების მასა.

ამრიგად, ვალაუვალი მოვალის, მათ შორის შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული საკმარისი ქონების არსებობასთან. ქონების არარსებობა, თავისთავად, აცლის შპს-ას უნარს, იყოს ვალაუვალი მოვალე. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს საკმარისი ქონების არსებობა პირის გაკოტრებაუნარიანობის აუცილებელ საფუძველს. ქონების არასაკმარისობა, თავის მხრივ, წარმოადგენს გაკოტრების სასამართლოს მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის თქმის საფუძველს.

ქონება რომ გადამწყვეტი კომპონენტია გაკოტრების წარმოებაში, ამას ადასტურებს გაკოტრების წარმოების სამართლებრივი შინაარსი. გაკოტრების წარმოება ხომ სალიკვიდაციო წარმოების (ლიკვიდაციის) ერთ-ერთი სახეს წარმოადგენს[64]. ხოლო ლიკვიდაციის დროს ადგილი აქვს ქონების მიმართ განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა: ქონების მოძიება, ინვენტარიზაცია, გაყიდვა, კრედიტორებზე განაწილება და ა.შ. ამდენად წარმოუდგენელია სალიკვიდაციო წარმოების განხორციელება იმაზე, რაც არ არსებობს.

შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა, ამრიგად, პირდაპირ კავშირშია არა მხოლოდ მის სამართალსუბიექტურობასთან, არამედ აგრეთვე მის ქონებრივ მდგომარეობასთან. გაკოტრების ქართულმა სამართალმა, შესაბამისად, გაკოტრებაუუნაროდ აღიარა როგორც უქონელი, ასევე მცირექონებიანი შპს.

ინზოლვენცის გერმანული სამართალიც არ იძლევა პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ ქონების საკმარისობა არის გაკოტრებაუნარიანობის აუცილებელი საფუძველი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაკოტრებაუნარიანობის შესახებ მსჯელობას ადგილი აქვს მხოლოდ სამართლის თეორიაში. ინზოლვენცის გერმანული დებულება მასის არასაკმარისობას

უკავშირებს გაკოტრების განცხადების უკან დაბრუნებას (InsO, §26). არასაკმარისობაში, თავის მხრივ, იგულისხმება წარმოების ხარჯების დაფარვის შეუძლებლობა. ხარჯებს მიეკუთვნება როგორც სასამართლოს ხარჯები, ისე გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის გასამრჯელო

ინზოლვენციის გერმანული სამართალი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ არასაკმარისი ქონების მქონე, ანუ გაკოტრებაუუნარო მოვალე იქცეს გაკოტრებაუნარიანად, თუკი რომელიმე მესამე პირის მიერ შეტანილი იქნება წინასწარი თანხა (Vorschuss), რაც საკმარისი იქნება წარმოების ხარჯების დასაფარავად (InsO, §26 III).

### §3. გაკოტრებაუნარიანობის დასაწყისი

ქართული სამეწარმეო სამართლის მიხედვით, შპს იურიდიული პირის სტატუსს იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 2.5).

კერძო სამართლის სუბიექტის სტატუსის შეძენისას, შპს იძენს აგრეთვე უნარს, იყოს გაკოტრების სამართლის სუბიექტი, ანუ გამოვიდეს ვალაუვალ მოვალედ. შპს-ას გაკოტრებაუნარიანად პირდაპირ აღიარებს გაკოტრების სამართალი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს გაკოტრების წარმოების გახსნას კერძო სამართლის იურიდიულ პირების მიმართ (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 2.1), როგორსაც წარმოადგენს აგრეთვე შპს.

გერმანული სამართლის მიხედვითაც უდავოა აგრეთვე სავაჭრო რეესტრში რეგისტრირებული შპს-ის ინზოლვენცუნარიანობა. შპს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს (GmbHG, §13) და აქედან გამომდინარე, მის ქონებაზე შეიძლება გაიხსნას ინზოლვენციის წარმოება (InsO, §11).

ის, რომ რეესტრში რეგისტრირებული და იურიდიული სტატუსით აღჭურვილი შპს გაკოტრებაუნარიანია, არ არის სადაო. სადისკუსიოა მხოლოდ ის, გაკოტრების უნარს შპს რეესტრში რეგისტრაციისთანავე იძენს, თუ – უფრო ადრე, დაარსების საწყის სტადიაზე.

რადგანაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ არ არსებობს აშკარად ჩამოყალიბებული პოზიციები ამასთან დაკავშირებით, მე შევეცდები განვიხილო გერმანულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები, რომლებიც გაკოტრებაუნარიანობის დაწყებას შპს-ის დაარსებასთან მიმართებაში განიხილავენ.

---

64 შდრ. როინ მიგრიაული, შესავალი ..., გვ. 18

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, კაპიტალური საზოგადოება, მათ შორის შპს, გადის დაარსების ორ სტადიას – შექმნისა და წარმოშობის სტადიას. თავდაპირველად, დამფუძნებლები აღწევენ შიდა შეთანხმებას შპს-ის (ან სხვა კაპიტალური საზოგადოების) დაარსების შესახებ, რის შედეგადაც იქმნება დაფუძნების წინარე საზოგადოება (Vorgründungsgesellschaft). დაარსების ეს სტადია დასრულდება სტატუტის[65] ხელმოწერითა და ნოტარიული დამოწმებით (GmbHG, §2), რის შედეგადაც კაპიტალური საზოგადოება შექმნილად ითვლება. ასეთ საზოგადოებას დაფუძნების საზოგადოებასაც (Gründungsgesellschaft) უწოდებენ[66]. სხვა შემთხვევაში შექმნილ საზოგადოებას აგრეთვე წინარე საზოგადოებას უწოდებენ. პარტნიორების მიერ შეთანხმებულ სტატუტში განისაზღვრება მათ მიერ საწესდებო კაპიტალში განსახორციელებელი შესატანები (ე.ი. ხდება იმავდროულად ქონების ფორმირებაც). დაარსების მეორე, დამამთავრებელი სტადია არის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია, რის შემდეგაც საზოგადოება (შპს) წარმოიშობა[67].

შექმნილი, მაგრამ ჯერ კიდევ რეესტრში სათანადოდ ჩაუწერელი შპს-აც წარმოადგენს წინარე საზოგადოებას, ანუ წინარე შპს-ას. წინარე საზოგადოებები დღეს უკვე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული „წინარე საზოგადოების" სამართლებრივი ბუნება[68]. მით უმეტეს, რომ სამართალი არ აღიარებს წინარე საზოგადოებას რაიმე სამართლებრივ ფორმად.

თავისთავად, წინარე საზოგადოება არ არის რაიმე ახალი სამართლებრივი ფორმა. როგორც ქართულ, ასევე გერმანულ კერძო სამართალში გამოყენებულია *numerus clausus* პრინციპი, რომლის თანახმადაც. კერძო სამართალში დაშვებულია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული იურიდიული პირები[69]. მაშასადამე, კერძო სამართალი იძლევა იურიდიული პირების ამომწურავ ჩამონათვალს და ამ ჩამონათვალში წინარე საზოგადოება, მით უფრო წინარე შპს არ გვხვდება.

წინარე საზოგადოების სამართლებრივი ბუნების გასარკვევად მისი სამართლებრივი სტატუსი უნდა შევუპირისპიროთ კერძო სამართალში უკვე არსებული სუბიექტების სამა-

---

65 გერმანულ სამართალში „სტატუტი" გამოიყენება როგორც საზოგადოების ხელშეკრულების (Gesellschaftsvertrag), ისე წესდების აღსანიშნავად

66 იხ. H. Wiedemann, Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, München 1980, გვ. 146

67 H. Wiedemann, იქვე

68 „წინარე საზოგადოების" სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით იხ. რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, დამხმარე სახელმძღვანელო, 1-ლი გამოცემა, გვ. 19-20

69 იხ. ასევე ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 243

რთლებრივ სტატუსთან. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მისი გაკოტრებაუნარიანობის საკითხიც. გარდა ამისა, წინარე შპს-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც. თუკი წინარე შპს კანონით აღიარებულ რომელიმე სამართლებრივ ფორმასთან იქნება მიმსგავსებული, ადვილად შეიძლება ამ დროს შემოისაზღვროს აგრეთვე განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირთა წრე.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში წინარე საზოგადოების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრაში არ არის ერთიანი აზრი. ნაწილი ავტორებისა წინარე საზოგადოებას განიხილავს გერმანიის სამოქალაქო სამართლის საზოგადოებად (BGB-Gesellschaft)[70]. სხვა მოსაზრებით, იგი გათანაბრებულია ღია სავაჭრო საზოგადოებასთან (OHG)[71] ან განიხილება უფლებაუუნარო კავშირად (nichtrechtsfähiger Verein, §54 BGB)[72].

ქართულ სამართალში წინარე საზოგადოება თავისი სამართლებრივი სტატუსით უფრო ახლოს დგას სამოქალაქო სამართლის ამხანაგობასთან[73]. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და შეიძლება საკუთრებაში განცალკევებულად ჰქონდეს ქონება.

შექმნილი, მაგრამ ჯერ კიდევ რეესტრში ჩაუწერელი შპს, ანუ წინარე შპს გაკოტრებაუნარიანია. მისი გაკოტრებაუნარიანობა დაკავშირებულია იმ განცალკევებული ქონების არსებობასთან, რომელიც იქმნება სწორედ დაარსების პირველ სტადიაზე, ანუ შპს-ის შექმნისას. ამიტომ წინარე შპს თავისი სტატუსით შეიძლება გავათანაბროთ არა ყველა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტთან, არამედ მხოლოდ იმათთან, რომელთაც გააჩნიათ განცალკევებული ქონება.

შესაბამისად, წინარე შპს არ შეიძლება შევადაროთ BGB-Gesellschaft-ს. მის დამფუძნებლებს ხელშეკრულებით ერთმანეთთან მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი მოვალეობები აკისრიათ, რომლებიც მიმართულია მომავალში უფლებაუნარიანი საზოგადოების ერთობლივად შექმნისაკენ. თავად გერმანული სამართალი არ აღიარებს ამ საზოგადოებას გაკოტრებაუნარიანად იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნია განცალკევებული ქონება[74]. წინარე შპს-ას კი ყოველთვის აქვს განცალკევებული, სპეციალური ქონება,

---

70 Fischer in Großkommentar AktG §16 Anm. 26; Schilling in Hachenburg GmbHG §11 Anm. 3

71 Ganßmüller GmbH-Rdsch. 1953 გვ. 120; Dehoff, die Konkursfähigkeit der Gründervereinigung der Kapitalgesellschaften und der Genossenschaft, Heidelb. Diss. 1968, გვ. 11ff.

72 შდრ. Baumbach-Hueck, AktG § 29 Rn. 4 mit Nachw.

73 რ. მიგრიაული, შესავალი ..., გვ. 19-20

74 Böhle-Stamschräder/Kilger, §1, Anm.9, გვ. 27, Kuhn-Uhlenbruck, Konkursordnung, Kommentar, §207 Vorbem. B, გვ. 1768

რომელიც იქმნება ერთობლივად დამფუძნებელთა (პარტნიორთა) მიერ საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შესატანებისაგან.

წინარე შპს გერმანულ სამართალში უფრო ახლოს დგას ღია სავაჭრო საზოგადოებასთან (OHG). აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება წინარე საზოგადოების აქტიურობას რეგისტრაციამდელ პერიოდში. კერძოდ, თუ წინარე საზოგადოება ამ პერიოდში შეუდგება მომავალში ჩაფიქრებული კომერციული საქმეების განხორციელებას, როგორც სრულუფლებიანი მეწარმე, მაშინ იგი გარდაიქმნება ღია სავაჭრო საზოგადოებად, რომელიც გაკოტრებაუნარიანია გერმანული სამართლის მიხედვით. მართალია, OHG-ს არ გააჩნია განცალკევებული საერთო ქონება და კრედიტორების წინაშე პარტნიორები არიან პასუხისმგებელნი თავიანთი კერძო ქონებით, მაგრამ მას გაკოტრებაუნარიანად აღიარებს თვითონ სამართალი. წინარე შპს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას განხილული OHG-დ (მიუხედავად დამფუძნებელთა ნებისა), თუკი დამფუძნებელთა ერთობლიობა უძღვება სრულყოფილ სამეწარმეო საწარმოს (vollkaufmänisches Unternehmen) და საერთოდ არ ესწრაფვის ან უკვე აღარ ესწრაფვის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციას[75]. უფლებაუუნარო კავშირს (nichtrechtsfähiger Verein) გერმანული სამართალი ათანაბრებს იურიდიულ პირთან და აქედან გამომდინარე, აღიარებს მას გაკოტრებაუნარიანად (InsO, §11). შესაბამისად, შეიძლება წინარე შპს გაუთანაბრდეს უფლებაუუნარო კავშირს.

წინარე შპს, რომელსაც მიზნად აქვს, იქცეს საწარმოს მფლობელ სუბიექტად, წარმოადგენს თავისებური სახის სამართლებრივ ქმნილებას. იგი გერმანიის ფედერალურმა სასამართლო პალატამ თავის გადაწყვეტილებებში განსაზღვრა როგორც თავისებური სახის გაერთიანება (უფლებაუუნარო შპს, უფლებაუუნარო სს), რომლის მიმართაც გამოიყენება მომავალში შესაქმნელი კაპიტალური საზოგადოების სამართალი, თუ ეს უკანასკნელი პირობის სახით არ ითვალისწინებს რეგისტრაციით მისაღწევ უფლებაუნარიანობას[76]. ასეთი სახის (უფლებაუუნარო) წინარე საზოგადოების მიმართ შეუძლებელია პირდაპირი მტკიცება მისი გაკოტრებაუნარიანობის შესახებ, ვინაიდან გაკოტრების სამართალი გაკოტრებაუნარიანობის სისტემას აგებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული კაპიტალური საზოგადოების ტიპების მიმართ[77].

წინარე შპს, რომელიც საბოლოოდ იურიდიული პირის წარმოქმნას ემსახურება, ამ უკანასკნელის განვითარების წინა სტადიაა. ამასთან, ყველა იმ უფლებებისა და მოვალეო-

---

[75] Kuhn-Uhlenbruck, §207, Vorbem. D, Rdn 10, გვ. 1780

[76] იხ. BGH, Bd. 20, S. 281f; Dilcher, JuS 1966, გვ. 90

ბების გათვალისწინებით, რაც ახასიათებს მომავალში შესაქმნელ იურიდიულ პირს, განურჩევლად ამ იურიდიული პირის მომავალი სამართლებრივი ფორმისა. წინარე შპს სხვა არაფერია, თუ არა თავისებური სახის უფლებაუუნარო, განუყოფადი გაერთიანება, რომელიც კორპორაციულადაა ორგანიზებული, და გაკოტრების სამართლებრივი გაგებით, შეიძლება განხილულ იქნას როგორც იურიდიული პირი[78]. გარდა პიროვნებების კორპორაციულად ორგანიზებულობისა, იურიდიულ პირთან სიახლოვეს განაპირობებს, რაც მთავარია, კოლექტიური (ერთობლივი) ქონება, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი პასუხისმგებლობაუნარიანობა[79] და რომელზეც შეიძლება ჩატარდეს გაკოტრების დამოუკიდებელი წარმოება[80]. შესაბამისად, წინარე შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის მოწესრიგება უნდა დაეფუძნოს ინზოლვენციის დებულების (InsO) §11-ს, რომელშიც მოცემულია ზოგადად იურიდიული პირის გაკოტრების მოწესრიგება. ამრიგად, დამფუძნებელთა კუთვნილი ერთობლივი სპეციალური ქონება არის წინარე საზოგადოების გაკოტრებაუნარიანობის აღიარების წინაპირობა. ამრიგად, წინარე შპს-ის სტატუსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა იწყება მისი დაარსებისთანავე, ე.ი. ვიდრე იგი სასამართლოს მიერ შესაბამის რეესტრში იქნება რეგისტრირებული.

## §4. გაკოტრებაუნარიანობის დასასრული

შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის დასრულება პირდაპირ კავშირშია მისი სამართალსუბიექტურობის დამთავრებასთან. ეს იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ზოგადად კაპიტალური საზოგადოების სამართალსუბიექტურობის დასრულებასთან ერთად მთავრდება აგრეთვე მისი უფლებაუნარიანობაც. გაკოტრებაუნარიანობა კი საზოგადოების უფლებაუნარიანობის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ისევე როგორც პროცესუნარიანობა, გარიგებაუნარიანობა და რეესტრებში ჩაწერის უნარიანობა.

იურიდიულ ლიტერატურაში სადისკუსიოდ არის ქცეული საზოგადოების სამართალსუბიექტურობის დასრულების მომენტი. კერძოდ, როდის შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალური საზოგადოების, მათ შორის შპს-ის არსებობა დამთავრდა – მისი გაუქმებისას,

---

77 შდრ. Jaeger/Lent/Weber, გვ. 680

78 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 3 b), გვ. 681

79 შდრ.Kuhn-Uhlenbruck, § 207, Rdn. 2a, გვ. 1832

80 დაახლოებით ასეთივე აზრია გამოთქმული ე. იეგერის კომენტარებში. შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207,208, Anm 3 b), გვ. 683

ლიკვიდაციისას თუ რეესტრიდან ამოშლისას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ[81], შპს-ის არსებობა არ მთავრდება მისი გაუქმების გარემოების დადგომით, არამედ აქ ამოსავალია სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულება და უფლებამოსილ პირებზე ქონების უნარჩენოდ დანაწილება. მაშასადამე, შპს-ის სამართალსუბიექტურობის დამთავრების აუცილებელი პირობაა ლიკვიდაციის შედეგად მისი ქონების სრულად განაწილება. ამიტომ არის, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქონების არსებობა განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების სამართალსუბიექტურობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ლიკვიდაციის შემდეგ კაპიტალურ საზოგადოებას მაინც დარჩა რაიმე ქონება, მაშინ არ შეიძლება ვისაუბროთ მისი როგორც იურიდიული პირის მოსპობაზე. კაპიტალური საზოგადოება მანამდე აგრძელებს არსებობას, ვიდრე იგი ჯერ კიდევ განკარგავს ქონებრივ ღირებულებებს[82]. მხოლოდ ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ, ანუ სარეალიზაციო აქტივ-ქონების უნარჩენო განაწილების შემთხვევაში ლაპარაკობენ იურიდიულ ლიტერატურაში საზოგადოების სრულ დამთავრებაზე (Vollbeendigung)[83], რაც შესაბამისად გულისხმობს მისი სამართალსუბიექტურობის მოსპობას. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საზოგადოების სრული დამთავრების (ლიკვიდაციის დასრულების) გაფორმებას სავაჭრო რეესტრში, კერძოდ, საზოგადოების ამოშლას რეესტრიდან. რეესტრიდან ამოშლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალური საზოგადოება, როგორც სამართლის სუბიექტი, აღარ არსებობს.

ქართულ სამართალში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი არ გვაძლევს იგივე მოსაზრების განვითარების უფლებას. სამართლებრივად არ არის აგრეთვე მოწესრიგებული საზოგადოების რეესტრიდან ამოშლის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები, განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც არსებობს საზოგადოების რეესტირდან ამოშლის სპეციალური კანონი (Löschungsgesetz). ამიტომ დღეს შეუძლებელია პირდაპირ იმის მტკიცება, რომ შპს, რომლის მიმართაც დამთავრდა სალიკვიდაციო წარმოება, უნდა ამოიშალოს რეესტრიდან. ერთადერთი ნორმა, რომელზეც შეიძლება აიგოს გერმანულ ლიტერატურაში განვითარებული მსგავსი მსჯელობა, არის მეწარმეთა კანონის 5.8 მუხლი. კერძოდ, მივყვეთ აღნიშნული მუხლის ლოგიკას: შპს-ისათვის ქონების არსებობა (თავდაპირველად საწესდებო კაპიტალის სახით) რეგისტრაციის ერთ-ერთ პირობაა, რაც მის სამეწარმეო რეესტრში ჩაწერას განაპირობებს. ხოლო ქონების უქონლობა კი უნდა

---

81 იხ. ზემოთ თავი 2, §5

82 Insolvenzrechts-Handbuch /von Hans Arnold ... Hrsg. von Peter Gottwald, 1990, §81, Rdn. 4, გვ. 773

83 შდრ. K. Schmidt, Gesellschaftsrecht, §11 V, გვ. 266 ff

განვიხილოთ როგორც რეგისტრაციის ამ პირობის შეუსრულებლობა, რის გამოც უქონელი შპს-ის რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს, ანუ უნდა იგი უნდა ამოიშალოს აღნიშნული რეესტრიდან. ამოშლილი შპს უკვე კარგავს თავის სამართალსიბიექტურობას და მიიჩნევა, რომ მისი არსებობა სრულად დამთავრდა. იგივე ლოგიკის განვითარება შეიძლება აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად. კერძოდ, აღნიშნული მუხლი იძლევა იურიდიული პირის ცნებას, რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ,,საკუთარი ქონების არსებობა“. ხოლო ქონების უქონლობა, თავისთავად, ეჭვის ქვეშ აყენებს იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობას.

სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრიდან ამოშლამდე, და შესაბამისად, სრულად დამთავრებამდე, შპს ისეთივე გაკოტრებაუნარიანია, როგორიც იყო იგი თავისი აქტიურობის (მოქმედების) პერიოდში, ხოლო მისი სამართალსუბიექტურობის მოსპობა განაპირობებს თავისთავად მისი გაკოტრებაუნარიანობის დამთავრებასაც. შესაბამისად, გაუქმების ან ლიკვიდაციის პროცესში მყოფი შპს მანამდეა გაკოტრებაუნარიანი, ვიდრე არ მოისპობა მისი სამართალსუბიექტურობა. გერმანულ სამართალში გაუქმებული შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის შესახებ პირდაპირ არის მითითება. ასეთი ნორმები მოცემულია როგორც ინზოლვენცის დებულებაში, ისე შპს-ის კანონში (იხ. InsO, §11, Abs. 2, აგრეთვე GmbHG §63 Abs. 2). ამ ნორმების თანახმად, შპს-ის გაუქმების შემდეგ მის ქონებაზე მანამდე არის დაშვებული გაკოტრების წარმოების გახსნა, ვიდრე არ იქნება დამთავრებული ქონების განაწილება.

გერმანული ლიტერატურა უშვებს აგრეთვე შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის გაგრძელების შესაძლებლობას მისი ქონების განაწილებისა და სალიკვიდაციო წარმოების დამთავრების შემდეგაც. ამას ადგილი შეიძლება მაშინ ჰქონდეს, თუკი ლიკვიდაციის დროს დარჩება ქონების გაუნაწილებელი ნაწილი, ანდა მოგვიანებით აღმოჩნდება რაიმე ქონება, რომელიც საკმარისი აღმოჩნდება დამატებითი ლიკვიდაციის განსახორციელებლად.

საზოგადოების საკმარისი ქონება შეიძლება გამოვლენილ იქნას კრედიტორთა შეცილების გზით ან თვით საზოგადოების ორგანოების მოთხოვნისას (თუკი მოხდება, მაგალითად, ქონების ადრეული განაწილება), ანდა თუკი განაწილების დროს გამორჩენილი იქნებოდა ქონების ზოგიერთი საგანი[84]. აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, საბოლოო განაწილება და ლიკვიდაციის დამთავრება არის თუ არ უკვე ასახული სავაჭრო რეესტრში, ანუ შპს ამოშლილია თუ არა უკვე რეესტრიდან. თუ ქონების გამოვლენა მოხდა რეესტრში ჩაწერამდე, მაშინ სადაო აღარაა შპს-ის გაკოტრებაუნარიანობის გაგრძელება. სხვა საქმეა,

როცა შპს უკვე ამოშლილია სავაჭრო რეესტრიდან, ანუ როცა იგი როგორც სამართალსუბიექტი უკვე აღარ არსებობს სამართალბრუნვაში. შეიძლება ჩაითვალოს თუ არა ამ დროს გაგრძელებულად მისი გაკოტრებაუნარიანობა? ეს საკითხი სადაოა იურიდიულ ლიტერატურაშიც. თუმცა უმრავლესობა გერმანელი ავტორებისა მაინც დადებითად პასუხობს[85], და არც თუ უსაფუძვლოდ. თუკი საზოგადოების ქონება გამორჩენილი იყო განაწილების დროს და იგი მოგვიანებით გამოვლინდება, მაშინ ასევე რეალური უნდა იყოს ამ ქონების მესაკუთრის გაკოტრებაუნარიანობის არსებობაც. გამოვლენილი ქონება, თუკი იგი ლიკვიდურია და შეიძლება გაიყიდოს, იგი, თავისთავად, წარმოადგენს საზოგადოების გაკოტრებაუნარიანობის შენარჩუნების საფუძველს.

ამრიგად, გერმნულ ლიტერატურაში განვითარებული მოსაზრების თანახმად, გაუქმებული შპს-ის გაკოტრებაუნარიანობისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოესწრება თუ არა მისი ლიკვიდაციის ჩაწერა სავაჭრო რეესტრში. შპს-ის ქონების გამოვლენის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება დამატებითი ლიკვიდაციის (Nachtragsliquidation) აუცილებლობა. დამატებით ლიკვიდაციას განახორციელებს მარეგისტრირებელი სასამართლოს მიერ დანიშნული დამატებითი ლიკვიდატორი (Nachtragsliquidator) და არა საზოგადოების წესდებით განსაზღვრული წინა (ჩვეულებრივი, ორდინარული) ლიკვიდატორი. ამ უკანასკნელის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება მთავრდება საზოგადოების ამოშლასთან ერთად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოს მიერ იგივე ლიკვიდატორი იქნას დანიშნული დამატებით ლიკვიდატორად.

### §5. გაკოტრებაუნარიანობის სხვა შემთხვევები

გერმანული სამართლის მიხედვით, შპს გაკოტრებაუნარიანია მაშინაც, როდესაც სასამართლოს მიერ იგი ბათილად (nichtig) არის გამოცხადებული. შპს-ის ბათილობა შეიძლება განაპირობებული იყოს მისი წესდების ხარვეზიანობით. კერძოდ, წესდებაში გამორჩენილი იყოს ისეთი გარემოებები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა შპს-ის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის. ამიტომ შპს-ის კანონი უთითებს წესდების "წონად", ანუ “არსებითი ხასიათის ხარვეზზე” (schwerwiegende Mängel)[86]. გერმანულ სამართალში უშუალოდ არის ჩამოთვლილი წესდების ხარვეზიანობის

---

84 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 4 a), გვ. 685

85 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 4 a), გვ. 686; Scholz/K. Schmidt §63 GmbHG, Anm. 1

86 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §75, გვ. 1225-1227

რამდენიმე გარემოება, კერძოდ, წესდება ხარვეზიანად მიიჩნევა, თუ იგი არ შეიცავს დებულებებს საწესდებო კაპიტალის სიდიდის ან საწარმოს საქმიანობის საგნის შესახებ, ანდა საქმიანობის საგნის შესახებ დებულებები მოკლებულია ნამდვილობას (GmbHG, §75 I). წესდებაში ასეთი ხარვეზის არსებობა საზოგადოების პარტნიორს ან მისი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს (დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს) ანიჭებს უფლებას საზოგადოების ბათილად გამოცხადების მოთხოვნით შეიტანონ სარჩელი.

ქართული სამეწარმეო სამართალი არ იცნობს საზოგადოების ბათილობის ინსტიტუტს, თუმცა ასევე უშვებს წესდების ხარვეზიანობის შესაძლებლობას (შდრ "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.7). ქართული იურიდიული ლიტერატურა ასევე მიუთითებს წესდების ისეთ არსებით ხარვეზებზე, როგორიცაა საწესდებო კაპიტალის, პარტნიორების მიუთითებლობა და ა.შ[87]. თუმცა ქართული სამეწარმეო სამართალი წესდების ხარვეზიანობის შემთხვევაში ითხოვს არა საზოგადოების ბათილობას, არამედ მისი რეგისტრაციის გაუქმებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ასევე პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.8 I).

შპს-ის ბათილობის, ისევე როგორც მისი რეგისტრაციის გაუქმების საკითხი შეიძლება წარმოიშვას მისი რეგისტრაციის შემდეგაც. ბათილად გამოცხადებამდე და შესაბამისი რეგისტრაციის გაუქმებამდე, შპს განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.8 II). წესდებაში არსებითი დებულებების არარსებობა ან სინამდვილეს შეუსაბამობო დებულებების არსებობა გავლენას არ ახდენს შპს-ის სამართლებრივ მდგომარეობაზე[88] – იგი განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული შპს. რადგანაც რეესტრში ყოფნის განმავლობაში შპს-ის სამართალსუბიექტურობა შენარჩუნებულია, შესაბამისად, ხელუხლებელი რჩება მისი გაკოტრებაუნარიანობაც.

გერმანული სამართლის მიხედვით, შპს-ის ბათილობა სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრში უნდა იქნას ჩაწერილი. მანამდე უნდა განხორციელდეს ბათილი შპს-ის ლიკვიდაცია. მისი ლიკვიდაციისას გამოიყენება იგივე ნორმები, რაც გაუქმებული შპს-ის ლიკვიდაციისას (GmbHG, §77 I), გაუქმებული შპს კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გაკოტრებაუნარიანია. იგივე მოსაზრება უნდა იქნას განვითარებული ქართულ სამართალში ხარვეზიანი შპს-ის

---

[87] ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონი კომენტარი, მე-2 გამოც. თბილისი 1998, გვ. 87
[88] Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 1, გვ. 678

რეგისტრაციის გაუქმებისას. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი უნდა ჩაიწეროს სამეწარმეო რეესტრში და ლიკვიდაციის დამთავრებამდე შპს განხილული უნდა იქნას სალიკვიდაციო საზოგადოებად, რომელიც ფლობს გაკოტრებაუნარიანობას.

გაკოტრებაუნარიანობის ერთგვარ გადატანასთან გვექნება საქმე ორი შპს-ის შერწყმის შემთხვევაში. თუ შერწყმა მოხდა მიერთების გზით, მაშინ მიერთებული შპს, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, ისპობა რეესტრში შერწყმის რეგისტრაციისთანავე. რაც შეეხება მის ქონებას, იგი საბალანსო ღირებულებებით, აუდიტორული შეფასების გარეშე, გადადის შერწყმულ (ანუ მიმღებ) შპს-ში[89]. ამასთან, მიერთებული შპს-ის ქონება, ვალდებულებების ჩათვლით, ლიკვიდაციის გარეშე გადადის მიმღებ საზოგადოებაზე[90]. მიერთებული შპს-ის გაკოტრებაუნარიანობა, რომელსაც ფლობდა იგი და რომელიც დაკავშირებული იყო მის ქონებასთან, ასევე გადაიტანება მიმღებ შპს-აზე ქონების გადასვლასთან ერთად. მიმღები შპს-ის გაკოტრების შემთხვევაში, გაკოტრებას დაექვემდებარება, მისი მთელი ქონება, მიერთებული შპს-დან გადმოსული ქონების ჩათვლით. მაშასადამე, გადმოსულ ქონებაზე არ ჩატარდება გაკოტრების ცალკე, განსაკუთრებული წარმოება.

თუ ორი შპს შეერწყმება ერთმანეთს ახალი საზოგადოების შექნის გზით (მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა), მაშინ შერწყმის რეგისტრაციასთან ერთად ისპობა ორივე შერწყმული შპს, ე.ი. როგორც სამართლის სუბიექტები გაერთიანების შემდეგ ისინი აღარ არსებობენ[91]. შერწყმული საზოგადოებების მთელი ქონება გადადის ახალ შპს-აზე. შესაბამისად, ორივე შპს-ის გაკოტრებაუნარიანობაც გადაიტანება ახლად შექმნილ საზოგადოებაზე, რომლის მთელ ქონებაზეც შეიძლება გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება[92]. შერწყმული საზოგადოების ქონება შედგება წინანდელი ორივე შპს-ის ქონებისაგან.

თუ შერწყმის რეგისტრაციამდე უკვე იყო გახსნილი გაკოტრების წარმოება შერწყმაში მონაწილე ერთ-ერთ შპს-აზე, მაშინ შერწყმაც გამოირიცხება მანამდე, ვიდრე გაკოტრების წარმოება არ შეწყდება ან არ გაუქმდება[93].

შერწყმისაგან განსხვავებით, როდესაც ხდება გაკოტრებაუნარიანობის გადატანა მიმღებ საზოგადოებაზე, შპს-ის გარდაქმნისას სხვა სამართლებრივი ფორმის კაპიტალურ სა-

---

89 იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონი კომენტარი, მე-2 გამოც. თბილისი 1998, გვ. 202

90 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 5, გვ. 686

91 იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონი კომენტარი, მე-2 გამოც. თბილისი 1998, გვ. 200

92 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 5, გვ. 687

ზოგადოებად (მაგალითად, სააქციო საზოგადოებად), პირიქით, ადგილი აქვს გაკოტრებაუნარიანობის შენარჩუნებას. ასეთ გარდაქმნას გერმანული ლიტერატურაში „ფორმაშეცვლით გარდაქმნას“ უწოდებენ. ამ დროს ადრინდელი (ანუ შპს) და გარდაქმნილი (ანუ სს) კაპიტალური საზოგადოებები ერთმანეთის იდენტურია[94]. ფორმაშეცვლით გარდაქმნას იცნობს ჩვენი იურიდიული ლიტერატურაც[95]. გარდაქმნილი საზოგადოება (სს) იგივეა, რაც წინა შპს, ოღონდ შეცვლილი სამართლებრივი ფორმით. რაც შეეხება ქონებას, მისი გადასვლა კი არ ხდება გარდაქმნილ საზოგადოებაზე, არამედ იგი რჩება იმავე საზოგადოებაში, რომელსაც მხოლოდ სამართლებრივი ფორმა შეეცვალა. იგივე ითქმის გაკოტრებაუნარიანობაზეც, რომელიც უცვლელად შენარჩუნდება ფორმაშეცვლილ საზოგადოებაში.

გერმანული სამართალი და ლიტერატურა იცნობს ისეთ ინსტიტუტსაც როგორიცაა გაკოტრებაუნარიანობის შეყოვნება. გაკოტრებაუნარიანობის შეყოვნებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შპს გარდაიქმნა პიროვნულ საზოგადოებად (ღია სავაჭრო საზოგადოებად ან კომანდიტურ საზოგადოებად) ან სამოქალაქო სამართლის საზოგადოებად (BGB-Gesellschaft). ამ დროს შპს გაუქმდება, როგორც კი მოხდება გარდაქმნის რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში, ხოლო მისი ქონება ვალდებულებებთან ერთად გადავა ქონების მფლობელ ახალ სუბიექტზე. ამასთან, ქონების მფლობელმა ახალმა სუბიექტმა მასზე გადმოსული ქონება განსაზღვრული დროის განმავლობაში განცალკევებით უნდა მართოს და მხოლოდ გარდაქმნის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ შეუძლია გააერთიანოს იგი თავის ქონებასთან[96]. ამ პერიოდის განმავლობაში, ახალ სუბიექტზე გადასული ქონება გაუქმებული შპს-ის კრედიტორებისათვის განიხილება ისევ შპს-ის ქონებად. მაგრამ თუ გაუქმებული შპს-ის სალიკვიდაციო წარმოება უფრო ადრე დამთავრდა და მისი სამართალსუბიექტურობა, შესაბამისად ადრევე (ე. ი. 6 თვის გასვლამდე) მოისპო, მაშინ, რა თქმა უნდა, მისი ქონება ადრე გადმოვა სამართლის ახალი სუბიექტის საკუთრებაში. შესაბამისად, ახალ სუბიექტზე გადამოვა გაუქმებული შპს-ის გაკოტრებაუნარიანობაც.

გაუქმებული შპს-ის ქონება ახალ სუბიექტზე გადასვლამდე შეიძლება განვიხილოთ განსაკუთრებულ ქონებად (Sondervermögen), რომელიც განცალკევებულად აგებს პასუხს მისი კრედიტორების წინაშე. მაშასადამე, გაკოტრებაუნარიანობაც მითითებული პერიოდის

---

93 შდრ. Kuhn-Uhlenbruck, § 207, Rdn. 5b, გვ. 1833
94 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 5, გვ. 687
95 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, იგივე, გვ. 188-197
96 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 7, გვ. 687

განმავლობაში დროებით შეყოვნდება გაუქმებულ შპს-ის მიმართ, ხოლო მისი ლიკვიდაციის დამთავრებისთანავე (ან შეიძლება უფრო ადრეც), გადავიდეს ქონების მფლობელ ახალ სუბიექტზე.

## თავი 4. შპს-ს გაკოტრების საფუძვლები

### §1. შესავლის მაგიერ

შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოება შეიძლება გაიხსნას არა მხოლოდ გადახდისუუნარობის შემთხვევაში. შპს-ის მიმართ გაკოტრების წარმოების გახსნის საფუძველია აგრეთვე მისი ზედავალიანებაც. შპს-ის გაკოტრების გახსნის ორივე ზოგადი საფუძველი აღიარებულია, როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალში (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 2; GmbHG §63 1, InsO, §§7, 19). გერმანული სამართალი გაკოტრების აღნიშნულ საფუძვლებს, შემოკლებით “წარმოების გახსნის საფუძვლებს” (Eröffnungsgründe) უწოდებს[97]. რადგანაც ორივე საფუძველი მიმართულია გაკოტრების საქმის გახსნისაკენ, ამიტომ შედარებითი ანალიზისათვის მათ მოკლედ გაკოტრების (ინზოლვენცის) საფუძვლები შეიძლება ეწოდოთ[98].

ორივე ქვეყნის სამართლის მიხედვით, გადახდისუუნარობა წარმოადგენს გაკოტრების წარმოების გახსნის ზოგად საფუძველს. იგი თანაბრად ვრცელდება ქონების მფლობელი ყველა სუბიექტის (Vermögensträger) - ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. რაც შეეხება ზედავალიანებას, იგი გაკოტრების წარმოების გახსნის ზოგადი საფუძველია მხოლოდ იურიდიული პირებისათვის[99].

ინზოლვენცის გერმანულმა სამართალმა ჯერ კიდევ 1999 წლიდან შემოიღო გაკოტრების (ინზოლვენცის) მესამე, ახალი საფუძველიც - მოსალოდნელი გადახდისუუნარობა (Drohende Zahlungsunfäigkeit). ამ საფუძვლით განცხადების შეტანა შეუძლია მხოლოდ მოვალეს, რომელსაც საფრთხე ემუქრება, გახდეს გადახდისუუნარო, თუკი იგი სავარაუდოდ ვერ შეძლებს არსებული გადახდის ვალდებულებების შესრულებას მათი დადგომის პერიოდში (InsO, §18). ქართულმა სამართალმა მხოლოდ 2001წ. განხორციელებული ნოვაციით შემოიღო გაკოტრების ახალი საფუძველი – მოსალოდნელი გადახდისუუნარობა, რომელიც ასევე დაიშვება მხოლოდ მოვალის განცხადების შემთხვევაში (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 2, პუნქტი 2, წინად. 3).

გადახდისუუნარობა და ზედავალიანება შპს-ის გაკოტრების (ინზოლვენცის) დამოუკიდებელი საფუძვლებია. ისინი შეიძლება მოცემული იყოს როგორც ცალ-ცალკე, ისე – ორივე ერთად. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ზედავალიანებული შპს იქცეს

---

97 App, Insolverdnung, 1995, გვ. 52

98 ასევე “გაკოტრების საფუძვლებს“ უწოდებდა ქართული იურიდიული ლიტერატურა გადახდისუუნარობასა და ზედავალიანებას (შდრ. რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, გვ. 20-30), ვიდრე 2001წ. ნოვაციით თვით გაკოტრების სამართალში არ დამკვიდრდა აღნიშნული ტერმინი (შდრ. გაწკა, მუხლი 2)

99 App, Insolvenzordnung, 1995, გვ. 23, ასევე რ. მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, გვ. 20-24

გადახდისუნარიანად, თუკი იგი, მაგალითად, კრედიტს მიიღებს, და პირიქით, შპს არ იყოს ზედავალიანებული, მაგრამ სახეზე იყოს გადახდისუნარიანობა, თუკი იგი ვერ შეძლებს თავისი აქტივების ფულად ქცევას[100].

ამასთან, როდესაც საუბარია გადახდისუუნარობაზე, იგულისხმება შპს-ის, როგორც იურიდიული პირის, უუნარობა, ანუ მისი შეუძლებლობა, შეასრულოს ვადამოსული ფულადი ვალდებულებები. რაც შეეხება ზედავალიანებას, იგი განიხილება შპს-ის ქონებასთან მიმართებაში. ზედავალიანება არის ერთგვარი შედეგი, რომელიც დგება შპს-ის ქონების საბალანსო მაჩვენებლების ღირებულების შეფარდებისას.

გაკოტრების (ინზოლვენცის) ორივე ზოგადი საფუძველი თანაბარია ერთმანეთის მიმართ - ორივე გაკოტრების წარმოების გახსნის თანაბარი ღირებულების მქონე წინაპირობაა[101]. სასამართლო თანაბრად, ერთამანეთისაგან დამოუკიდებლად ამოწმებს თითოეულ საფუძველს და მხოლოდ მას შემდეგ გახსნის გაკოტრების საქმის წარმოებას, როდესაც დარწმუნდება რომელიმე, თუნდაც ერთი, საფუძვლის არსებობაში.

გაკოტრების განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირის მიერ შეიძლება გაცხადებული იყოს გაკოტრების ერთი საფუძველი, მაგრამ სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნიოს მეორე საფუძვლის არსებობა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ მაინც უნდა გახსნას გაკოტრების წარმოება, ვინაიდან გაკოტრების განცხადებაში თავისთავად ვლინდება განმცხადებლის ნება, გაიხსნას გაკოტრების წარმოება, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სასამართლოს მიერ, თუკი, რა თქმა უნდა, სახეზე იქნება გაკოტრების წარმოების ყველა წინაპირობა[102].

### §2. გადახდისუუნარობა

#### *ა) შინაარსი და დადგენა*

შპს-ის გადახდისუუნარობა განსაკუთრებულად არ წესრიგდება გერმანულ და ქართულ სამართალში. ასევე არ აქცევენ მას მეცნიერები განსაკუთრებული ყურადღებას. ეს იმით აიხსნება, რომ შპს-ს გადახდისუუნარობაში არ ვლინდება რაიმე თავისებურება, რაც ყურადსაღები შეიძლება გამხდარიყო მკვლევართათვის. შპს-ის უუნარობა გადახდის

---

[100] Baur/Stürner, Insolvenzrecht, 3. Aufl., 1991, გვ. 78

[101] შდრ. Jaeger-Lent-Weber, §§207, 208 Anm. 18, გვ. 701

[102] გაკოტრების წარმოების წინაპირობების შესახებ. შდრ. როინ მიგრიაული, შესავალი ..., თავი II, გვ. 14-30

ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ისეთი თავისებურებებით ხასიათდება, როგორც, ვთქვათ, ფიზიკური პირის გადახდისუუნარობა.

შპს-ის გადახდისუუნარობა, სხვა სუბიექტების გადახდისუუნარობის მსგავსად, არის გადახდის საშუალებების უქონლობით განპირობებული ხანგრძლივი უუნარობა, ასრულოს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი უკვე დამდგარი ფულადი ვალდებულებები[103]. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება გადახდისუუნარობის ლეგალურ დეფინიციას, რომელიც მსგავსი დებულებებით გადმოიცემა ორივე ქვეყნის სამართალში ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 2 II; InsO, §17 II).

გადახდისუუნარობისათვის დამახასიათებელი და მისი ცნებიდან გამომდინარე ძირითადი ნიშნები (მაგალითად, მოვალის მიერ ვადამოსული ვალდებულებების შესრულების უუნარობა, ფულადი საშუალებების სავარაუდოდ ხანგრძლივი უქონლობა, მიზეზობრივი კავშირი უუნარობასა და ფულის უქონლობას შორის, გადახდის ვალდებულების არსებობა, მათი შესრულების დრომოსულობა) ასევე ჰპოვებს ასახვას შპს-ის გადახდისუუნარობის დახასიათებისას.

გადახდისუუნარობა, როგორც გაკოტრების სამართლის ინსტიტუტი, ზოგადად უკვე არის გამოკვლეული და დახასიათებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში[104]. ისინი თანაბრად მიესადაგება აგრეთვე შპს-ის გადახდისუუნარობას. წინამდებარე ნაშრომში მსურს ყურადღება მივაპყრო მხოლოდ გერმანულ ლიტერატურაში არსებულ ზოგიერთ მოსაზრებას, რომლებიც ეფუძნებიან პრაქტიკულ გადაწყვეტებსაც.

გერმანულ ლიტერატურაში, მაგალითად, მოვალის გადახდისუუნარობის სიმყარესთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოვალის "მომენტალურ არალიკვიდურობასა" (Zeitpunktsilliquidität)[105] და "პერიოდულ არალიკვიდურობას" (Zeitraumilliquidität)[106]. მომენტალური არალიკვიდურობის დროს შეიძლება მოვალეს კონკრეტული მომენტისათვის (ვთქვათ, კვირა დღეს) მართლაც არ გააჩნდეს ფულადი სახსრები, მაგრამ იგი არ მიიჩნევა გადახდისუუნაროდ, რადგან კვირა დღეს მას არ შეეძლო გამოეტანა ბანკიდან თავისი ფული, რომლითაც სრულად გაისტუმრებდა ვალს. ამრიგად, მოვალის მომენტალური არალიკვიდურობა აღმოფხვრადია, განსხვავებით პერიოდული არალიკვიდურობისაგან, რომლის დროსაც მოვალის გადახდისუუნარობა საპროგნოზოა უახლოესი პერიოდისათვის -

---

103 შდრ. Kuhl/Uhlenbruck, Konkursordnung, Kommentar, 1986, §102, Rdn. 2, გვ. 1271

104 იხ. როინ მიგრიაული, შესავალი ..., გვ. 21-23

105 Baur/Stürner, Insolvenzrecht, 3. Aufl. 1991, გვ. 78, Kuhn-Uhlenbruck, Rdn. 2ff, გვ. 1272

106 იქვე

იგი უახლოეს მომავალშიც ვერ იშოვის ვალების დასაფარავად საჭირო ფულად სახსრებს. გადახდისუუნარობა ამრიგად უმთავრესად მაშინ არსებობს, როდესაც მოვალის შეუძლებლობა (უუნარობა) მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდება. გერმანულ ლიტერატურაში და მართლმსაჯულებაში გადახდისუუნარობის ხანგრძლივობისათვის დღემდე აბსოლუტურად განსაზღვრული კრიტერიუმი ჯერ არ დაუდგენიათ. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, რომელიც ხან 10 დღეზე მეტი ხნით შემოიფარგლება, ხან - 4 კვირით, ხან - 6 კვირით, ხანაც - 8 კვირით. უფრო რადიკალურ მოსაზრებას გადახდისუუნარობის დადგენის ხანგრძლივობა ერთ კვირამდეც კი დაჰყავს, როდესაც ამ პერიოდის განმავლობაში არ იქნება, მაგალითად, რამოდენიმე თამასუქი განაღდებული[107]. რა თქმა უნდა, მყარი ვადის შემოღება გადახდისუუნარობის არსებობის დადგენისათვის არასწორი იქნებოდა. იგი ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს თითოეული მოვალის მიმართ. გარდა ამისა, სათვალავში უნდა იქნეს მიღებული, როგორც კონკრეტული ვალდებულებებითი ურთიერთობები, ისე ამ ურთიერთობათა სიხშირე დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის.

შპს-ის გადახდისუუნარობის დადგენის თვალსაზრისით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, გადახდისუუნარობის გადმოცემას “ლიკვიდურობის ბალანსის“ მეშვეობით. აღნიშნულ ბალანსში ხდება, ერთის მხრივ, გადახდის (ფულადი) საშუალებებისა (ლიკვიდური საშუალებებისა) და, მეორეს მხრივ, ფულადი (ვადამოსული) ვალდებულებების ერთმანეთთან შეპირისპირება. ასეთი შეპირისპირების საფუძველზე ამოყვანილი უარყოფითი სალდო გადახდისუუნარობის დამადასტურებელია. შპს-ას შეიძლება ჰქონდეს იმდენი ქონებრივი საგანი (ნივთი), რომ მათი შეფასებითი ღირებულება რამდენჯერმეც კი აღემატებოდეს ფულად ვალდებულებებს. მაგრამ კრედიტორისათვის ქონება კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ, პირველ რიგში, ფული, რომელიც უნდა გადაუხადოს მას შპს-ამ ვადის დადგომისთანავე. მაშასადამე, შპს-ის გადახდისუუნარობას განსაზღვრავს მისი არალიკვიდურობა, ანუ ფულადი სახსრების არარსებობა ფულადი ვალდებულებების შესრულების მომენტისათვის. თუკი შპს-ას თვითონ არ სურს თავისი ქონებრივი საგნების ლიკვიდაცია, ანუ მათი ფულად ქცევა, რათა გადაიხადოს ვალები, მაშინ მის ქონებაზე უნდა გაიხსნას გაკოტრების წარმოება, რათა უკვე გაკოტრების მმართველმა აქციოს ფულად გაკოტრების მასა და დააკმაყოფილოს გაკოტრების კრედიტორთა მოთხოვნები.

*ბ) დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ*

---

[107] შდრ. Kuhn/Uhlenbruck, გვ. 1274

შპს-ის დირექტორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შპს-ის გადახდისუუნარობის დადგომის პერიოდს. ამ დროს შპს-ის დირექტორებმა, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ არა უგვიანეს სამი კვირისა, გადადისუუნარობის დადგომის დღიდან უნდა შეიტანონ გაკოტრების განცხადება (მეწარმეთა შესახებ კანონი, მუხლი 14.1.3 I; GmbHG, §64 I).

გადახდისუუნარობის დადგომის შემთხვევაში განცხადების შეუტანლობა დაკავშირებულია დირექტორების პასუხისმგებლობასთან, კერძოდ, შპს-ის დიექტორს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ( "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.1.3 II; GmbHG, §64 II). გერმანული სამართლის მიხედვით, განცხადების შეუტანლობის გამო დირექტორს შეიძლება დაეკისროს აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (GmbHG, §84). 1964წ. ქართული სისხლის სამართალი არ ადგენდა კაპიტალური საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის ასეთი სახის პასუხისმგებლობას, მაგრამ სისხლის სამრთლის ახალმა 1999წ. კოდექსმა უკვე გაითვალისწინა დირექტორის პასუხისმგებლობა განცხადების შეუტანლობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 207).

გადახდისუუნარობის გარემოების დადგომის სწორად გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა შპს-ის დირექტორს გაუმართლებლად არ დაეკისროს პასუხისმგებლობა. თავისი შინაარსით, გადახდისუუნარობის დადგომა გულისხმობს არა მარტო ფორმალურად ვალის გადახდის ვადის დადგომას, არამედ კრედიტორის მოთხოვნის არსებობასაც. მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში დირექტორმა შეიძლება ივარაუდოს, რომ კრედიტორი უარს აცხადებს მასზე. ამიტომ იგი შეიძლება მშვიდად იყოს და არ იჩქაროს გაკოტრების განცხადების შეტანა.

## §3. ზედავალიანება

### *ა) შინაარსი და დადგენა*

შპს-ის ზედავალიანება მაშინ არის სახეზე, როდესაც საზოგადოების ქონება (აქტივი) ვეღარ ფარავს მის ვალდებულებებს (პასივს) ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 2 IV; InsO §19 II, GmbHG §64 I, წინადად. 2). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზედავალიანება სახეზეა, როცა ბალანსის აქტივის მხარეზე წარმოდგენილი ქონება უფრო

მცირეა, ვიდრე პასივის მხარეზე წარმოდგენილი ვალები[108], ე.ი. ხდება პასივების გადაჭარბება აქტივებზე.

შპს-ის ზედავალიანება ასევე უნდა იქნეს დადგენილი. ზედავალიანების დადგენა იურიდიული პრობლემაა. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია საწარმოო-სამეურნეო მეთოდთან ერთად, ვინაიდან ქონების შეფასების საკითხები წინა პლანზეა წამოწეული[109]. კანონმდებელი, მართალია, სხვადასხვა ნორმებში იძლევა ზედავალიანების ლეგალურ ცნებას, მაგრამ, სამაგიეროდ, არსად არ აწესრიგებს მისი დადგენის საკითხებს.

ზედავალიანების დადგენის მექანიზმების დამუშავება მხოლოდ პრაქტიკაში იქნა შესაძლებელი. სწორედ პრაქტიკიდან გამომდინარე, ზედავალიანების დასადგენად აუცილებელი პირობაა, პირველ რიგში, შპს-ის ქონების შეფასება, ხოლო შემდგომში მისი შეფასებითი ღირებულებების შეპირისპირება ვალდებულებების თანხასთან. თუ ქონების ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება ვალების თანხებთან შედარებით, მაშინ შპს-ის ზედავალიანებაც სახეზე იქნება. პასივის მხარეზე წარმოდგენილი ვალდებულებები ნაკლებად პრობლემატურია – ისინი ძირითადში პირდაპირ არიან თანხაში გამოხატულნი. გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული მხოლოდ აქტივის მახარეზე არსებული ქონების შეფასება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შეფასების სახვადასხვა კრიტერიუმისა და პრინციპის საფუძველზე. რადგანაც კანონმდებლობით არ არის დადგენილი შეფასების ერთიანი კრიტერიუმები და პრინციპები, ამდენად ქონების შემფასებელი სპეციალისტები (ვთქვათ, აუდიტორები, საექსპერტო დაწესებულებები და სხვ.) იყენებენ შეფასების საკუთარ მეთოდიკას.

საგადასახადო ბალანსზე[110] დაყრდნობით შეუძლებელია რაიმეს თქმა ზედავალიანების არსებობაზე, ვინაიდან მასში საზოგადოების აქტივი და პასივი ყოველთვის დაბალანსებულია, ანუ გაწონასწორებულია და არასდროს არ ხდება რომელიმე ამ ღირებულებათა ერთმანეთზე გადაჭარბება. გერმანიაში შპს-ის შესახებ კანონშიც საუბარია წლიურ (Jahresbilanz) ან შუალედურ ბალანსზე (Zwischenbilanz) (GmbHG §64 Abs. I). მაგრამ ზედავალიანების დასადგენად, მიუხედავად იმისა, დადგენა ხორციელდება სპეციალისტისა თუ საკუთარი შემოწმების მეშვეობით, ამოსავალია არა საგადასახადო ბალანსი, არამედ "ქონებრივი ბალანსი" (Vermögensbilanz), რომელსაც სხვაგვარად **ზედავალიანების**

108 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 3, გვ. 1277
109 Kuhn-Uhlenbruck, §102

**ბალანსსაც** (Überschildungsbilanz) უწოდებენ[111]. ქონებრივი ბალანსის ერთ მხარეს განთავსდება შპს-ის ყველა ქონებრივი საგანი (აქტივი), ხოლო მეორე მხარეს – ყველა ვალდებულება (პასივი). შესაბამისად, ქონებრივი ბალანსის აქტივის მხარეს მოხვდება შპს-ის საწესდებო კაპიტალიც. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ბალანსში იგი პასივის მხარესაა მოთავსებული.

ზედავალიანების ბალანსი წარმოადგენს ბალანსის განსაკუთრებულ სახეს. მას, პირველ რიგში, მიზნად აქვს მოიკვლიოს და თავი მოუყაროს მოვალის (აქ: შპს-ის) ყველა ქონებასა და ყველა ვალდებულებას და ერთმანეთთან შეპირისპირებით დაადგინოს ზედავალიანება[112].

ზედავალიანების დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობა უფრო სამეწარმეო (საზოგადოებათა) სამართალში აქვს, ვიდრე გაკოტრების (ინზოლვენცის) სამართალში. სამეწარმეო (საზოგადოებათა) სამართლის მიხედვით, შპს-ის ორგანოები (კერძოდ, დირექტორი ან დირექტორები) ვალდებულნი არიან, ისევე როგორც გადახდისუუნარობის დროს, ზედავალიანების შემთხვევაშიც დაუყონებლივ შეიტანონ გაკოტრების განცხადება ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.1.3 I; GmbHG §64). გადახდისუუნარობისაგან განსხვავებით, რომლის დადგომაც გარკვეულწილად კრედიტორის აქტიურობაზეც არის დამოკიდებული, ზედავალიანების დადგენა უშუალოდ დირექტორის ინიციატივას ეფუძნება. ამიტომ შპს-ის ორგანოები ვალდებულნი არიან ძირითადი აქცენტი ზედავალიანების შემოწმებაზე გადაიტანონ, რათა არ დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

ზედავალიანების შემოწმების შედეგებზეა ზოგჯერ დამოკიდებული შპს-ის ორგანოების მიერ ისეთი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების შემდგომ არსებობას. მაგალითად, შპს-ის დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შპს-ის სასამართლოსგარეშე სანაციის (რეაბილიტაციის) შესახებ, ზედავალიანებული შპს-ის გაკოტრების სახით ლიკვიდაციის შესახებ, ანდა სასამართლოსმიერი მორიგების განხორციელებით იძულებითი ლიკვიდაციის თავიდან აცილებისა და საწარმოების (წარმოებების) შენარჩუნების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ზედავალიანების შემოწმება შპს-ის ორგანოების მიერ ხდება, უპირველესად, საწარმოების გადარჩენის თვალსაწიერიდან. ხოლო შპს-ის ზედავალიანების შემოწმება, როგორც წესი,

---

110 "საგადასახადო ბალანსში" იუგლისხმება საზოგადოების ის წლიური ბალანსი, რომელიც წარედგინება საგადასახადო ორგანოებს მომდევნო წლის განსაზღვრულ პერიოდში. გერმანულ ლიტერატურაში ასეთ ბალანსს "სავაჭრო ბალანსს" (Handelsbilanz) უწოდებენ.

111 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6b, გვ. 1287

112 იგივე, §102, Rdn. 6b, გვ. 1287

უნდა განხორციელდეს იმ პერიოდში, როდესაც მისი საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან განადგურებულნი ეკონომიკური სიძნელეების გამო[113].

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შპს-ის ზედავალიანების დასადგენად გამოიყენება ქონებრივი, ანუ ზედავალიანების ბალანსი, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება აქტივები და ნამდვილი პასივები. ნამდვილ პასივებში იგულისხმება ვალდებულებები საწესდებო კაპიტალის, თავისუფალი რეზერვებისა (freie Rücklagen) და სხვა არანამდვილი პასივის მუხლების გარეშე[114]. დეტალურად ქვემოთ არის განხილული, თუ კონკრეტულად რა სახის აქტივები ან პასივები განთავსდება "ქონებრივ ბალანსში".

*ა) ზედავალიანების ბალანსის აქტივი*

აქტივის მხარეს "ქონებრივ (ზედავალიანების) ბალანსში" ჩაიწერება შპს-ში არსებული ყველა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ღირებულება, რომლებიც გაყიდვაუნარიანნი (Verkaufsfähig) იქნებოდნენ ლიკვიდაციის შემთხვევაში[115]. აქ საუბარია იმ ქონებრივ საგნებზე, რომლებიც გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მიეკუთვნებოდნენ გაკოტრების მასას, კერძოდ კი სავალდებულო მასას (Sollmasse)[116].

შპს-ის **ძირითადი საშუალებები** – მიწის ნაკვეთები, მანქანა-დანადგარები, აგრეთვე **ფინანსური კაპიტალდაბანდებანი**, როგორიცაა, მაგალითად, წილობრივი მონაწილეობა, ფასიანი ქაღალდები და სხვ. ბალანსში საბაზრო ფასით უნდა იქნან ჩაწერილი[117].

ქონებრივი ღირებულებების შეფასება უნდა მოხდეს მათი სალიკვიდაციო ღირებულებების (Liquidationswerte) მიხედვით, რომლებიც შეესაბამება ნორმალურ გარემოებებში განხორციელებულ ლიკვიდაციას[118]. საქართველოს პრაქტიკაში გაყიდვაუნარიანობისათვის თავდაპირველად ამოსავალი შეიძლება იყოს მისი საბალანსო ღირებულება, ანუ შესაძლებლობა იმისა, რომ იგი გასხვისდეს სულ მცირე საბალანსო ღირებულებებით მაინც. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბალანსო ღირებულება ყოველთვის ზუსტად არ ასახავს ქონების რეალურ ღირებულებას.

---

113 ამასთან დაკავშირებით იხ. Jaeger/Lent/Weber, §§ 207, 208 Anm. 19, გვ. 702
114 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6h, გვ, 1291
115 იგივე, §102, Rdn. 6i, გვ, 1291
116 „სავალდებულო მასის" შესახებ იხ. როინ მიგრიაული, შესავალი ..., გვ. 120-122
117 Kuhn-Uhlenbruck, იქვე
118 Jaeger/Lent/Weber, §§207,208 Rdn, 20.

შპს-ის კუთვნილი მატერიალური ქონებრივი საგნების გარდა, აქტივის მხარეს წარმოდგენილი უნდა იყოს **საზოგადოების მოთხოვნები პარტნიორების მიმართ**, საწესდებო კაპიტალში შეუტანელი შესატანები, აგრეთვე დამატებითი შესატანები (Nachschüsse), თუკი მათი შეტანის შესახებ პარტნიორებს უკვე მიღებული აქვთ შესაბამის გადაწყვეტილება. სამაგიეროდ, აქტივის მხარეს არ განთავსდება პარტნიორის წილი.

აქტივის მხარეს ქონებრივ ბალანსში უნდა აისახოს აგრეთვე **არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები**, როგორიცაა: კონცესიები, სავაჭრო ნიშნებზე უფლებები, პატენტები. მართალია მათ აქვთ დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა[119], მაგრამ მათ შეფასებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, თუკი რომელიმე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მაგალითად, კონცესია შპს-თან უშუალოდ არის დაკავშირებული, მაშინ იგი გაყიდვაუუნაროა (Verkaufsunfähig) და მისი ღირებულება ბალანსში ნულის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საწარმო მთლიანად იქნება გასხვისებული[120].

წლიური ბალანსისაგან განსხვავებით, ქონებრივი (ზედავალიანების) ბალანსის აქტივში ჩაიწერება აგრეთვე ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: **საფირმო სახელწოდება** (ფირმა), **კლიენტურა**, **წარმოების საიდუმლოებები**. თუმცა საფირმო სახელწოდების აქტივის მხარეს მოთავსება (ანუ აქტივაცია) დღეს სადაოდ არის ქცეული[121]. საფირმო სახელის ბალანსში აყვანა შეიძლება სწორადაც არ იქნას მიჩნეული. მაგრამ თუკი საწარმოს კარგი გამოძახილი აქვს, ამასთან, თუკი სახელში ჩართულია ერთ-ერთი პარტნიორის სახელი, ამან შეიძლება აუცილებლად გამოიწვიოს სახელში ჩართული გუდვილის აქტივაცია[122].

შეფასებას ექვემდებარება და შესაბამისად, ქონებრივ ბალანსში მოთავსდება აგრეთვე **საბრუნავი საშუალებები**.

გერმანული სამართლის მიხედვით დაშვებულია, რომ შპს-ას ჰქონდეს საკუთარი წილი თავისსავე საზოგადოებაში. ქართული სამეწარმეო სამართალი გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას, როდესაც პირდაპირ აცხადებს, რომ დაუშვებელია საკუთარი წილის შეძენა ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 46.6). ამიტომ გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრია, რომ საკუთარი წილი არ იქნას ჩაწერილი ზედავალიანების ბალანსში, ვინაიდან შპს-ის ლიკვიდაციის (ასევე გაკოტრების) დროს მას არ გააჩნია რაიმე

---

119 შდრ. Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn, 6k, გვ. 1292

120 Kuhn-Uhlenbruck, იქვე

121 აქტივაციის წინააღმდეგია, მაგალითად, მ. ჰააკი, M. Haak, Der Konkursgrund der Überschuldung bei Kapital-und Personengesellschaften, გვ. 100

122 Kuhn-Uhlenbruck §102, Rdn. 6k, გვ. 1292

ღირებულება[123]. ეს აიხსნება იმით, რომ შპს-ის მიერ საკუთარი წილის გასხვისება პრაქტიკულად გამორიცხულია, ვინაიდან ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ შპს შეიძლება ამოიშალოს რეესტრიდან და მის ე.წ. არალიკვიდურ წილს არავინ შეიძენს.

**მიწოდებისა ან შესრულების მოთხოვნები** ქონებრივ ბალანსში ჩაიწერება მათი საბალანსო ღირებულებით. თუმცა უნდა განხორციელდეს აგრეთვე ფასშესწორებები (Wertberichtigungen)[124].

რაც შეეხება საგაკოტრებო შეცილებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, ისინი აქტივში არ განთავსდება, რადგანაც წარმოიშობიან მხოლოდ გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ. ამ მოთხოვნების განხორციელება ხდება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიერ[125].

*ბ) ზედავალიანების ბალანსის პასივი*

ზედავალიანების ბალანსის პასივის მხარეს განთავსდება, ერთის მხრივ, შპს-ის ვალდებულებები, მეორეს მხრივ, – მის მიმართ არსებული მოთხოვნები. ამასთან, გადახდისუუნარობისაგან განსხვავებით, ზედავალიანების ბალანსში ჩაიწერება როგორც ვადამოსული ვალდებულებები, ისე ის ვალდებულებები, რომელთა შესრულების ვადაც ჯერ არ არის დამდგარი. ვალდებულების საბალნსო ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომელიც საჭიროა ვალის დაფარვის დღისათვის[126].

ვალდებულებად განიხილება ყველა ვალი, რომელიც გაკოტრების (ინზოლვენციის) წარმოების გახსნის შემთხვევაში იქცეოდა გაკოტრების (ინზოლვენციის) მოთხოვნად (გაკოტრების (ინზოლვენციის) მოთხოვნის ლეგალური დეფინიციის შესახებ იხ. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 6 I; InsO §38). მაშასადამე, პასივის მხარეს განთავსდება შპს-ის ვალდებულებები გაკოტრების კრედიტორების მიმართ, ანუ მათი ქონებრივი მოთხოვნები.

წლიური (საგადასახადო) ბალანსის თავისებურება იმაშია, რომ საწესდებო კაპიტალი და თავისუფალი რეზერვები, აგრეთვე საბალანსო ღირებულებების ფასშესწორებები (Wertberichtigungen) ჩაიწერება პასივის მხარეს. მისგან განსხვავებით, ზედავალიანების ბალანსში შპს-ის საკუთარი კაპიტალი არ აისახება პასივის მხარეს. ამას თავისი ახსნა

---

123 Kuhn-Uhlenbruck §102, Rdn. 6k, გვ. 1292

124 Uhlenbruck, Die GmbH & Co KG in Krise, Konkuts und Vergleich, 1977, გვ. 91, 117

125 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 20, გვ. 704

126 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 21, შ. 704; აგრეთვე Kuhn-Uhlenbruck, §122, 1295 Rdn. 6q, გვ. 1295

აქვს. კერძოდ, საგადასახადო ბალანსში საკუთარი კაპიტალის პასივის მხარეს განთავსება (ანუ პასივაცია) გარკვეულწილად უზრუნველყოფს შპს-ის კრედიტორებს. უზრუნველყოფა იმაში გამოიხატება, რომ პასუხსაგები კაპიტალის შესანარჩუნებლად საჭირო ქონება არ იქნება გადახდილი პარტნიორებზე კრედიტორების საზიანოდ[127], ანუ იგი შპს-ში დარჩება და წარიმართება კრედიტორების დასაკმაყოფილებლად.

გერმანული სამართლის მიხედვით, ზედავალიანების ბალანსში პასივის მხარეს ხვდება **მუშაკთა ვადამოსული საპენსიო მოთხოვნები**[128]. განსხვავებით ქართული საფინანსო და საპენსიო სამართალისაგან, გერმანული ანალოგიური სამართალი საპენსიო გადახდებს აკისრებს არა ცენტრალიზებულ საპენსიო არასაბიუჯეტო ფონდებს, როგორც ეს საქართველოშია, არამედ უშუალოდ დამსაქმებელს (აქ: შპს-ას). გერმანული სამართლის მიხედვით, მომავალი საპენსიო ვალდებულებებისათვის საწარმოში უნდა შეიქმნას სარეზერვო ფონდები, რომლებიც პასივის სახით იქნებიან წარმოდგენილნი.

ზედავალიანების ბალანსის პასივში განთავსდება აგრეთვე **დაუმთავრებელი (მოლივლივე) გარიგებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები**. ისინი ბალანსში ჩაიწერება შესრულების სავარაუდო ღირებულებით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შპს-ას, ეკონომიკური სატუაციის გამო მომავალში საერთოდ აღარ შეუძლია, ან შეთანხმებულ ვადაში ვერ ახერხებს მიწოდების ან შესრულების განხორციელებას, ანდა ფულის გადახდას, მაშინ შესრულების ღირებულება ნულს უტოლდება, ხოლო მოხდება მხოლოდ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის პასივაცია[129].

ზედავალიანების ბალანსის პასივში აიყვანება აგრეთვე **შპს-ის ვალდებულებები თავისი პარტნიორების მიმართ**[130]. ამ შემთხვევაში საუბარია სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შპს-ასა და მის პარტნიორს, როგორც მესამე პირს შორის. გერმანული სამართალი სხვადასხვაგვარად უდგება შპს-ის ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა პარტნიორისაგან მიღებული სესხით. პარტნიორის სესხი, რომელიც შპს-ას მიეცა არა კრიზისის პერიოდში, არამედ ჩვეულებრივ სიტუაციაში, უნდა იქნას დაბრუნებული. ამიტომ პარტნიორის მოთხოვნა სესხის უკან დაბრუნების შესახებ ზედავალიანების დადგენისას უნდა ჩაიწეროს ბალანსში როგორც ვალდებულება. გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში, პარტნიორი მონაწილეობს მასში როგორც

---

127 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6o, გვ. 1293
128 იგივე, §102, Rdn. 6p, გვ. 1294
129 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6r, გვ.1295
130 Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6u, გვ.1296

კრედიტორი. ამასთან უნდა აღინიშნოს, თუ პარტნიორი-კრედიტორი უარს განაცხადებს თავის მოთხოვნაზე ან გადაინაცვლებს კრედიტორთა დაკმაყოფილების მომდევნო რიგებში, ამით მას შეუძლია მიაღწიოს ზედავალიანების აღმოფხვრას. რაც შეეხება "პარტნიორის კაპიტალშემცვლელ სესხს" (Kapitalersetzende Gesellschsfterdarlehen), შპს-ის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ან მისი გაკოტრების დროს პარტნიორს არ წარმოეშობა არავითარი მოთხოვნა საზოგადოების მიმართ. შესაბამისად, ასეთი ვალდებულება არ ექვემდებარება ზედავალიანების პასივში განთავსებას[131].

რაც შეეხება სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ შპს-ის ვალდებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, შესატანის ან დამატებითი შესატანის (Nachschuß) უკან დაბრუნება, მათი შესრულება დაუშვებელია საზოგადოების კრიზისის ან გაკოტრების პერიოდში. ასევე არ ხდება ამ დროს პარტნიორებზე მოგების განაწილება. ამიტომ ეს ვალდებულებები არ აისახება ზედავალიანების ბალანსში[132]. ეს აიხსნება იმით, რომ შპს-ის პარტნიორი არ წარმოადგენს საზოგადოების პრივილეგირებულ კრედიტორს სხვა კრედიტორებთან შედარებით. იგი დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ ქონებიდან, რაც დარჩება არაპარტნიორ კრედიტორებზე განაწილების შემდეგ.

### §4. მოსალოდნელი გადახდისუუნარობა

გაკოტრების (ინზოლვენციის) ზოგადი საფუძვლების – გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების გარდა, ორივე ქვეყნის სამართალი იცნობს გაკოტრების კიდევ ერთ საფუძველს – მოსალოდნელ გადახდისუუნარობას (Drohende Zahlungsunfähigkeit). აღნიშნული საფუძველი განიხილება გაკოტრების კერძო საფუძვლად. იგი გერმანულ სამართალში შემოღებული იქნა 1994 წელს, ინზოლვენცის ახალი დებულების (Insolvenzordnung) მიღებისას, ხოლო ქართულ სამართალში – 2001 წელს, როდესაც განხორციელდა ნოვაცია გაკოტრების სამართალში. მოსალოდნელი გადახდისუუნარობის როგორც გაკოტრების საფუძვლის შემოღება განპირობებულია ისევ და ისევ ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი (ვალუვალი) მოვალის გადარჩენის სურვილით[133].

---

131 ამის შესახებ დეტალურად იხილე თავი 8, §2

132 შდრ. Kuhn-Uhlenbruck, §102, Rdn. 6u, გვ.1296

133 იხ. რ. მიგრიაული, წინათქმა, „საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, განახლებული ტექსტით და გაკოტრების წარმოების დოკუმენტების ნიმუშებით", 1-ლი გამოცემა, თბილისი, 2001, გვ. 6

მოსალოდნელი გადახდისუუნარობა გაკოტრების განსაკუთრებული საფუძველია. მისი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ საფუძვლით გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გაკოტრების (ინზოლვენცის) წარმოების დაწყების ინიციატივა უშუალოდ მოვალისაგან მომდინარეობს. შესაბამისად, მოვალე წარმოადგენს განცხადების შეტანაზე ერთადერთ უფლებამოსილ პირს.

მოსალოდნელი გადახდისუუნარობა ასახავს მოვალის ისეთ ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც არცთუ ისე მძიმე და უიმედოა, ვიდრე გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შემთხვევაში. ამ უკანასკნელი საფუძვლების წინაპირობაა მოვალის უკიდურესად მძიმე ეკონომიკური კოლაფსი, ანუ როდესაც მოვალეს უკვე აღარ შესწევს უნარი, შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები, ანდა მას აღარ გააჩნია საკმარისი სარეალიზაციო ქონება არსებული ვალდებულებების დასაფარავად. მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მდგომარეობა – ერთგვარი შანსია მოვალისათვის, რათა გაკოტრების ორგანიზებულ წარმოებაში თავი დააღწიოს მოსალოდნელ ეკონომიკურ გართულებებს, მათ შორის შედეგიანი რეაბილიტაციის განხორციელებით. სავარაუდო (საეჭვო) გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ვიდრე მოვალე არ იქცევა ნამდვილ გადახდისუუნაროდ ან ზედავალიანებულად, მას ეძლევა არჩევანის შესაძლებლობა: ან გადარჩენისათვის წინასწარი ზრუნვა, ან ეკონომიკური განადგურება. ხოლო გადარჩენისათვის ზრუნვა გამოიხატება გაკოტრების განცხადების წინასწარ შეტანაში. არჩევანის მიცემას მოვალისათვის ის უპირატესობა აქვს, რომ მას აღარ მოუწევს ლოდინი[134], რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, განსხვავებით მორიგების განცხადების (Vergleichsantrag) შემთხვევაში. მორიგების განცხადების შეტანისას მოვალე უნდა დაელოდოს მისი ბედის გადაწყვეტას სხვა პირთა (კრედიტორთა) მიერ, თუკი ისინი ერთმანეთში მიაღწევენ შეთანხმებას მოვალის საწარმოების სასამართლოსმიერი რეაბილიტაციის (რეორგანიზაციის) განხორციელების თაობაზე. ხოლო ახალი საფუძვლის გარემოების დადგომის შემთხვევაში მოვალის ბედი უკვე თავად მასზეა დამოკიდებული.

მოვალისათვის გაკოტრების განცხადების შეტანის უფლებამოსილების მინიჭება იმითაც არის განპირობებული, რომ მხოლოდ მას შეუძლია შეაფასოს რეალურად თავისი ეკონომიკური მდგომარეობა და დროულად შეიცნოს მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მდგომარეობა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მოვალის კრედიტორი ვერ იქნებოდა ის ფიგურა, ვინც წინასწარ ჩასწვდებოდა მოვალის მოსალოდნელ ეკონომიკურ გართულებებს.

---

134 App Michael, Die Insolvenzordnung, გვ. 53

მით უმეტეს, რომ კრედიტორი, რომლის ვალდებულების შესრულების ვადებიც ჯერ არ არის დამდგარი, გარეგნული ნიშნებით (ვთქვათ, გადახდების შეჩერებით) ვერ შეიცნობს მოვალის მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მდგომარეობას.

კრედიტორის გამორიცხვა განცხადების შეტანისაგან იმითაც არის გამოწვეული, რომ მან განცხადება არ გამოიყენოს მოვალის მიმართ ზეწოლის საშუალებად.

გაკოტრების ახალი საფუძვლის შემდგომი უპირატესობა იმაშია, რომ განცხადების შეტანით მოვალე აღწევს ცალკეული კრედიტორების აღსრულებების შეჩერებას (გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი, მუხლი 7 IV; InsO §89) ამასთან, შეჩერება ხორციელდება ისეთი მომენტისათვის, როდესაც მოვალის საწარმოები ჯერ კიდევ ლიკვიდურნი და წარმოებაუნარიანნი არიან[135].

# თავი 5. შპს-ის ორგანოები გაკოტრებისას

## §1. შპს როგორც ვალაუვალი მოვალე

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შპს წარმოადგენს გაკოტრებაუნარიან სუბიექტს, ანუ იგი შეიძლება მოგვევლინოს ვალაუვალ მოვალედ გაკოტრების წარმოებაში. მაშასადამე,

135 App, გვ. 53

გაკოტრების წარმოებაში ვალაუვალ მოვალედ გამოდის თვითონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება როგორც სამართლის სუბიექტი.

შპს-ას საგაკოტრებო ურთიერთობებში წარმოადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი – დირექტორი ან ლიკვიდატორი. ამ უკანასკნელის წარმომადგენლობას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, თუკი შპს-ის გაკოტრება გაიხსნა ლიკვიდაციის სტადიაზე.

დირექტორის (ლიკვიდატორის) სრული, ანუ **შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** გრძელდება მანამდე, ვიდრე დაინიშნება გაკოტრების მმართველი. ხოლო გაკოტრების მმართველის დანიშვნისთანავე, გადავა რა მასზე მოვალის ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, საზოგადოების დირექტორის (ლიკვიდატორის) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იზღუდება, თუმცა არ უქმდება. აღნიშნული უფლებამოსილების შენარჩუნებას განაპირობებს ის გარემოება, რომ გაკოტრების წარმოებაში ვალაუვალ მოვალეს რჩება გარკვეული უფლებამოსილება, რომელიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების დირექტორის მიერ. ამ მოვალეობების შეუსრულებლობა იწვევს განსაზღვრულ პასუხისმგებლობასაც. იგივე შეიძლება ითქვას ლიკვიდატორზეც.

გაკოტრების წარმოების გახსნა შპს-ის ქონებაზე წარმოადგენს მისი გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს[136]. აღნიშნული საფუძვლით შპს-ის გაუქმება არ იწვევს მისი სამართალსუბიექტობის დამთავრებას. შპს როგორც სამართლის სუბიექტი აგრძელებს არსებობას საგაკოტრებო ლიკვიდაციის მიზნისათვის. მაშასადამე, შპს-ის სამართალსუბიექტობა გრძელდება მანამდე, ვიდრე მას ჯერ კიდევ აქვს რაიმე ქონება, ხოლო მისი განაწილება ან ჯერ არ არის დაწყებული, ან თუ დაწყებულია, ჯერ არ არის დამთავრებული. მხოლოდ ქონების სრულად განაწილებისა და ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ მოხდება შპს-ის ამოშლა რეესტრიდან, რითაც დასრულდება კიდეც მისი სამართალსუბიექტობა.

გაკოტრების წარმოების გახსნის შედეგად შპს-ის გაუქმებასთან ერთად იცვლება მისი მიზანიც. კერძოდ, საზოგადოების ადრინდელ მიზანს – მოგების მიღებას[137] ცვლის კანონით განსაზღვრული გაკოტრების მიზანი.

### §2. შპს-ის ორგანოების არსებობის გაგრძელება

---

136 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. თავი 2, §9

137 გერმანულ სამართალში შპს სხვა მიზნებსაც (მაგალითად, საქველმოქმედო, კულტურული და ა.შ.) შეიძლება ისახავდეს

გაკოტრების წარმოების გახსნა არ იწვევს შპს-ის ორგანოების (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა კრება) გაუქმებას – ისინი აგრძელებენ არსებობას. გაკოტრების წარმოებაში შპს-ის ორგანოები არათუ ზედმეტნი, არამედ ზოგჯერ საჭირონიც კი არიან. ეს – მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებს სპეციალურად ამისათვის დანიშნული გაკოტრების მმართველი.

შპს-ის, როგორც ვალაუვალი მოვალის საქმიანობა გრძელდება გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგაც, თუმცა ახლა უკვე სხვა, კერძოდ, გაკოტრების მიზნისათვის. გაკოტრების წარმოებაში ვალაუვალ მოვალეს – შპს-ას კვლავ რჩება გარკვეული უფლებამოსილება როგორც გაკოტრების წარმოებაში (მაგალითად, ვალაუვალი მოვალე ასაჩივრებს გაკოტრების წარმოების გახსნის განჩინებას), ისე გაკოტრების წარმოების გარეშე ურთიერთობებში (მაგალითად, შპს მოწვეულია სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სემინარზე ან კომისიაზე). ამ შემთხვევაში შპს-ის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს **დირექტორი**, როგორც ვალაუვალი მოვალის კანონიერი წარმომადგენელი. მაშასადამე, შპს-ის ორგანოებიდან (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა კრება) მესამე პირებთან ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანია დირექტორის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის როლი.

გაკოტრების წარმოების გახსნამდე შპს შეიძლება სხვა საფუძვლით ყოფილიყო გაუქმებული და დაწყებულიყო სალიკვიდაციო პროცედურა. ამ დროს მას წარმოადგენს ამისთვის სპეციალურად დანიშნული პირი – ლიკვიდატორი. უმრავლეს შემთხვევაში ლიკვიდატორად შეიძლება დანიშნული იქნას ისევ საზოგადოების დირექტორი. შპს-ას როგორც ვალაუვალ მოვალეს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ლიკვიდატორი.

ამდენად, გაკოტრების წარმოების დროს შპს როგორც ვალაუვალი მოვალე მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ან მისი ადრინდელი (კანონიერი ან საწესდებო) ორგანოს (დირექტორის) ან დანიშნული ლიკვიდატორის მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის უფლებამოსილება ძალზედ შეზღუდულია გაკოტრების წარმოებაში. მისი უფლებამოსილების შეზღუდვა ვრცელდება იმ ქონების მიმართ, რომელიც მოხვდა გაკოტრების მასაში და რომელზეც ხელი მხოლოდ დანიშნულ გაკოტრების მმართველს მიუწვდება. სამაგიეროდ, დირექტორის უფლებამოსილება ვრცელდება შპს-ის იმ ქონებაზე, რომელსაც გაკოტრების მმართველი გამოანთავისუფლებს გაკოტრების მასიდან, აგრეთვე იმაზე, რომელიც კანონით არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. რაც შეეხება გაკოტრების კანონით დადგენილ

მართვის სფეროს, აქედან დირექტორი მთლიანად გამოირიცხება[138]. გაკოტრების წარმოებაში დირექტორის უფლებამოსილებათა შეზღუდვა განპირობებულია აგრეთვე შპს-ის მიზნის შეცვლით. გაკოტრების წარმოების გახსნამდე შპს-ის მიზანი მოგებისაკენ იყო ორიენტირებული, ხოლო დირექტორი მოწოდებული იყო სწორედ მოგებაზე ორიენტირებული საქმეების (ბიზნესის) საკეთებლად. სამაგიეროდ, წარმოების გახსნის შემდეგ მოგების მიზანი იცვლება გაკოტრების მიზნით. ხოლო დირექტორის საქმიანობის ასპარეზი ვიწროვდება, ვინაიდან იგი შემოფარგლულია მხოლოდ ე.წ. "არალიკვიდური" ქონებით, რაც არ აძლევს მას დიდი ბიზნესის გაკეთების საშუალებას.

რაც შეეხება შპს-ის სხვა ორგანოებს – **პარტნიორთა კრებას** და **სამეთვალყურეო საბჭოს**, თუკი ასეთი შექმნილია, მათი უფლებამოსილება გაკოტრების წარმოების დროს უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე საზოგადოების დირექტორისა. თუმცა ეს ორგანოები სრულად ახორციელებენ კანონით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს (ვთქვათ, წესდების შეცვლა, დირექტორის დანიშვნა და სხვ.), გარდა გაკოტრების მასის მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული საქმეებისა.

შპს-ის გაკოტრების წარმოების განმავლობაში ერთმანეთისაგან განსხვავდება გაკოტრების მმართველისა და გაკოტრების სხვა ორგანოების (კრედიტორთა კრება, კრედიტორთა კომიტეტი) მოქმედების სფერო, რომელიც გაკოტრების მიზნითაა შემოფარგლული. განსხვავებულია აგრეთვე შპს-ის ადრინდელი ორგანოების (დირექტორი, პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო) მოქმედების სფერო, რომელიც არც თუ ისე ფართოა და იზღუდება როგორც გაკოტრების მმართველის მოქმედების სფეროთი, ისე – გაკოტრების მიზნით. ამას ემატება კიდევ ერთი სფერო, რომელშიც ხდება გაკოტრების მმართველისა და შპს-ის ორგანოების უფლებამოსილებათა გადაჯაჭვა, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს კოლიზიებამდე, ანდა მათი ურთიერთმოქმედება აუცილებელი გახადოს[139].

### §3. შპს-ის ორგანოების უფლებამოსილება გაკოტრებისას

იმისათვის, რომ კონკრეტულად გავერკვეთ გაკოტრების წარმოებაში შპს-ის ორგანოების უფლებამოსილებაში, საჭიროა ცალ-ცალკე იქნას დახასიათებული თითოეული ორგანოს უფლებამოსილება და კომპეტენცია.

გაკოტრების წარმოებაში შპს-ის დირექტორის მოქმედების არეალი შემოიფარგლება იმ უფლებამოსილების განხორციელებით, რომელიც გაკოტრების წარმოებაში კანონით მინიჭებული აქვს შპს-ას როგორც ვალაუვალ მოვალეს. დირექტორის საქმიანობაც სწორედ

---

138 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 28, გვ. 709

იმიტომაა გაგრძელებული, რომ მან სრულად განახორციელოს ვალაუვალი მოვალის წარმომადგენლობა, და შესაბამისად, დაიცვას მისი კანონიერი ინტერესები გაკოტრების წარმოებაში. თუკი შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოება გაიხსნება იმ დროს, როდესაც იგი სალიკვიდაციო სტადიაში იმყოფებოდა, მაშინ ვალაუვალი მოვალის უფლებებსა და მოვალეობებს, განახორციელებს დანიშნული ლიკვიდატორი.

*ა) შპს-ის ორგანოების უფლებები*

შპს-ის, როგორც ვალაუვალი მოვალის უფლებების დახასიათებისას აღსანიშნავია გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლოს დადგენილებების **გასაჩივრების უფლება**. გაკოტრების ქართული კანონი, ვიდრე მასში 2001წ. შევიდოდა ცვლილებები, ზოგადად მიუთითებდა სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე[140]. ხოლო ახალი რედაქციით დაშვებულია სასამართლოს მხოლოდ იმ დადგენილებების გასაჩივრების უფლება, რაც გაკოტრების კანონითაა დაშვებული[141].

გერმანული კანონი, რომელიც უფრო დეტალური და კონკრეტულია, ცალკე გამოჰყოფს, ერთის მხრივ, ზოგადად გაკოტრების სასამართლოს გადაწყვეტილების **კერძო საჩივრით** გასაჩივრების უფლებას (InsO, §6 I) და, მეორეს მხრივ, ცალკე მიუთითებს კონკრეტული დადგენილებების, მაგალითად, გაკოტრების წარმოების გახსნის განჩინების (InsO, §34), ან ინზოლვენცის გეგმის გასაჩივრების უფლების შესახებ (InsO, §253) და ა.შ.

ვალაუვალი მოვალის სახელით გაკოტრების სასამართლოს განჩინებების მიმართ კერძო საჩივრის შეტანის უფლება მიკუთვნებული აქვს სწორედ შპს-ს დირექტორს (ან ლიკვიდატორს).

შპს-ას, როგორც ვალაუვალ მოვალეს აქვს აგრეთვე გარკვეულ საკითხებზე სასამართლოსათვის **განცხადებით მიმართვის უფლება**. მაგალითად, განცხადებით მან შეიძლება მოითხოვოს გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტა ( ‘‘გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ‘‘ კანონი, მუხლი 30 I “დ”, InsO, §213). გერმანული კანონი ითვალისწინებს აგრეთვე მოვალის მოთხოვნას სამომრიგებლო სხდომასთან მოთხოვნების შესამოწმებელი სხდომის გაერთიანების შესახებ (გაკოტრების (ინზოლვენცის) მოთხოვნის

---

139 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 28, გვ. 710

140 შდრ. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 1996წ. რედაქცია, პარლამენტის უწყებები, №19-20, ივლისი, 1996, მუხლი 31 I

141 შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 2001წ. რედაქცია, სსმ, №11, 2001მუხლი 31 I

ლეგალური დეფინიციის შესახებ იხ. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი“, მუხლი 6 I; InsO §38 InsO, §236) და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ვალაუვალი მოვალის ისეთი უფლება, როგორიცაა **შესაგებლის შეტანა გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშის წინააღმდეგ** (‘‘გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი მუხლი 26 IV InsO, §83)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, შპს-ის როგორც ვალაუვალი მოვალის ყველა ამ უფლებამოსილებას განახორციელებს შპს-ის დირექტორი (ან ლიკვიდატორი), როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი მესამე პირებთან, მათ შორის გაკოტრების სასამართლოსთან ურთიერთობაში.

*ბ) შპს-ის ორგანოების მოვალეობები*

გარდა უფლებებისა, შპს-ას როგორც ვალაუვალი მოვალეს გაკოტრების წარმოებაში აკისრია აგრეთვე განსაზღვრული მოვალეობებიც, რომელთა შესრულებაც ეკისრება შპს-ის დირექტორს (ლიკვიდატორს).

ქართული სამართლის მიხედვით, მოვალისათვის განსაზღვრული მოვალეობების დაკისრება იწყება მანამდე, ვიდრე გაიხსნება გაკოტრების წარმოება. მაგალითად, ჯერ კიდევ განცხადების განხილვის სტადიაზე მოვალეს ეკისრება **სასამართლოში დოკუმენტების წარდგენის მოვალეობა**. კერძოდ, მან სასამართლოს უნდა წარუდგინოს თავისი ქონების, კრედიტორებისა და მოვალეების ნუსხები (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი $6^1$ II ). გერმანული სამართალი დოკუმენტების წარდგენის მოვალეობას უწოდებს “ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას” (Auskunftspflicht). კერძოდ, ვალაუვალი მოვალე ვალდებულია გაკოტრების სასამართლოს მიაწოდოს ცნობები, რომლებიც აუცილებელია გაკოტრების განცხადების ირგვლივ გადაწყვეტილების მისაღებად (InsO, §20). ასეთივე მოვალეობა ეკისრებოდა მოვალეს ადრე მოქმედი გაკოტრების დებულებითაც, ოღონდ – აგრეთვე გაკოტრების მმართველის, კრედიტორთა კომიტეტისა და კრედიტორთა კრების წინაშე (KO, §100).

გაკოტრების გერმანული სამართალი მოვალეს აკისრებს აგრეთვე ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა **ფიცის მეშვეობით დადასტურება** (eidesstaatliche Versicherung), კერძოდ, შპს-ის დირექტორს ეკისრება ვალდებულება, დაფიცებით დაადასტუროს შპს-ის ქონების შესახებ ინფორმაცის სისრულე (InsO, §153 II). ქართული სამართალი არ იცნობს

დაფიცებით დადასტურების ინსტიტუტს, ამიტომაც მან ასახვა არ ჰპოვა გაკოტრების სამართალში.

ორივე ქვეყნის სამართალი ითვალისწინებს დირექტორის პასუხისმგებლობას აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, ქართული სამართალი პასუხისმგებლობას ადგენს შეგნებულად არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 6[1] III). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის პირდაპირი ნორმა, რომელიც დასჯადად გამოაცხადებდა მოვალის ასეთ ქმედებას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქონების შესახებ არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდება გულისხმობს მოვალის განზრახვას, დამალოს თავისი ქონება ან მისი ნაწილი და ხელმიუწვდომლად აქციოს იგი კრედიტორებისათვის, მაშინ მისი ასეთი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული[142]. თავის მხრივ, გერმანული სამართალი ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ფიცით ცრუ დადასტურებისათვის (StGb (Strafgesetzbuch), §§156, 163).

ვალაუვალი მოვალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას წარმოადგენს მოთხოვნების შესამოწმებელ სხდომაზე **განმარტების მიცემა გაკოტრების კრედიტორთა მოთხოვნების ირგვლივ** ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 18 IV).

დაკისრებული მოვალეობების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გაკოტრების როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალში დაშვებულია შპს-ის დირექტორის (ასევე ლიკვიდატორის) როგორც ვალაუვალი მოვალის წარმომადგენლის იძულებით მოყვანა (zwangsweise Vorführung) სასამართლოში („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 14 Ia; InsO, §98 II). გერმანული სამართალი ითვალისწინებს აგრეთვე მის დაპატიმრებასაც (in Haft nehmen) (InsO, §98 II).

## §4. შპს-ის წარმომადგენლობა რამდენიმე დირექტორის მიერ

შპს-ში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას შეიძლება ახორციელებდეს რამდენიმე დირექტორიც. საზოგადოება მათ შეიძლება წარმოადგინონ ან ერთობლივად ან ცალ-ცალკე, ანდა წესდებით გათვალისწინებული სხვა წესით (მაგ., სამი დირექტორიდან მხოლოდ ორი

142 შდრ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი მე-2 ტომი, თბ. 2001წ, გვ. 247

წარმოადგენდეს ერთობლივად საზოგადოებას). ხოლო ლიკვიდაციის დროს შპს-ის წარმომადგენლობა შეიძლება განახორციელოს ასევე რამდენიმე ლიკვიდატორმა.

რამდენიმე დირექტორის (ლიკვიდატორის) არსებობისას წარმომადგენლობის სახე და წესი უნდა განისაზღვროს შპს-ის წესდებით და იგი იმავდროულად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო რეესტრში („მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 9.4, მე-2 აბზაცი). გერმანული შპს-ის სამართალი ისეთ შემთხვევასაც აწესრიგებს, როდესაც წესდებით ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი წარმომადგენლობის წესები. ასეთ დროს ყველა დირექტორი (ლიკვიდატორი) ერთობლივად წარმოადგენს შპს-ას (GmbHG, §35 II, მე-2 წინადადება, §68 I, მე-2 წინადადება).

საგაკოტრებო ურთიერთობებში შპს-ის დირექტორები (ლიკვიდატორები) ვალაუვალ მოვალეს წარმოადგენენ იმავე ფორმითა და წესით, როგორც ეს განსაზღვრულია მათი წესდებით, ხოლო გერმანული სამართლის მიხედვით – აგრეთვე კანონის ძალით, როდესაც წესდებით ეს წესი განსაზღვრული არ არის.

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში თითოეულ დირექტორს (ლიკვიდატორს) შეუძლია გაკოტრების წარმოებაში განცალკევებულადაც განახორციელოს შპს-ის როგორც ვალაუვალი მოვალის ზოგიერთი უფლებამოსილება. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ უფლებას როგორიცაა გაკოტრების განცხადების შეტანა. გერმანიის ინზოლვენცის დებულებით, განცხადების შეტანის უფლება აქვს წარმომადგენლობითი ორგანოს თითოეულ წევრს, ანუ თუ საქმე შპს-ას ეხება – თითოეულ დირექტორს, ხოლო ლიკვიდაციის სტადიაზე – აგრეთვე თითოეულ ლიკვიდატორს (InsO, §15 I). 2001წ. ნოვაციის განხორციელებამდე გაკოტრების ქართული კანონი პირდაპირ არ ანიჭებდა ცალკეულ დირექტორს უფლებას, დამოუკიდებლად შეეტანა გაკოტრების განცხადება. კერძოდ, კანონი განცხადების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებდა ზოგადად მოვალეს (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 1996წ. რედაქცია, პარლამენტის უწყებები, №19-20, ივლისი, 1996, მუხლი 6 I), მაგრამ არ აზუსტებდა ცალკეული დირექტორის უფლებამოსილებას განცხადების შეტანასთან დაკავშირებით. ამიტომ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ქართული კანონით ყველა დირექტორს ცალ-ცალკე ჰქონდა მინიჭებული განცხადების შეტანის უფლებამოსილება. 2001წ. საკანონმდებლო ნოვაციით გაკოტრების განცხადების დამოუკიდებლად შეტანის უფლება მიეცა უკვე თითოეულ დირექტორს, ვინაიდან კანონმა დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ განცხადება არ იქნას ხელმოწერილი ყველა დირექტორის მიერ (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 2001წ რედაქცია, მუხლი $6^1$ IV).

ერთი დირექტორის (ლიკვიდატორის) მიერ გაკოტრების განცხადების შეტანამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი სხვა დირექტორებთან (ლიკვიდატორებთან), რომლებიც განცხადების შეტანის წინააღმდეგნი იყვნენ, ან უბრალოდ არ ჰქონდათ განცხადების შეტანის სურვილი. ასეთ შემთხვევაში, კანონმა გაითვალისწინა, რომ სასამართლომ მოუსმინოს მათ (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 2001წ. რედაქცია, მუხლი $6^1$ IV; InsO, §15 II). ამ დირექტორების მოსმენით სასამართლოს შეუძლია გაერკვეს განცხადების შეუტანლობის მიზეზებში.

გერმანული სამართალი განცხადების შემტან დირექტორს ანიჭებს აგრეთვე კერძო საჩივრით სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებას, თუკი უარს მიიღებს გაკოტრების წარმოების გახსნაზე (InsO, §34 I). გაკოტრების ქართული კანონის 31-ე მუხლი მხოლოდ ზოგადად საუბრობს ვალაუვალი მოვალის უფლებამოსილებაზე, რომ გაასაჩივროს სასამართლოს განჩინებები. მაშასადამე, გასაჩივრების უფლება აქვს ყველა დირექტორს, როგორც ვალაუვალი მოვალის წარმომადგენლებს.

გაკოტრების განცხადების შეუტანლობას უკავშირდება შპს-ის დირექტორის (ასევე ლიკვიდატორის) პასუხისმგებლობის საკითხიც. აქ საუბარია, ერთის მხრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ და, მეორეს მხრივ, სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ქართულ სამართალში დირექტორისა და ლიკვიდატორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იქნა სისხლის სამართლის ახალი კოდექსით, რომელიც ამოქმედდა 2000წ. 1 იანვრიდან. ამ დროს შეიძლება დავუშვათ, რომ თუკი ერთ-ერთი დირექტორი (ლიკვიდატორი) შეიტანს გაკოტრების განცხადებას, მისმა ამ მოქმედებამ უნდა გაათავისუფლოს დანარჩენი დირექტორები (ლიკვიდატორები) სისხლის-სამართლებრივი და ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან.

შპს-თვის როგორც ვალაუვალი მოვალისათვის სასამართლო დადგენილების, მათ შორის, წარმოების გახსნის განჩინების ჩაბარებისას საკმარისია მისი ჩაბარება შპს-ის ერთი დირექტორისათვის. ერთი წარმომადგენლისათვის ჩაბარების საკმარისობის პრინციპი განმტკიცებულია გერმანულ სამოქალაქო საპროცესო დებულებაში. კერძოდ, აღნიშნული დებულების §171 მე-3 ნაწილის თანახმად, მრავალი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისას, საკმარისად მიიჩნევა ჩაბარების განხორციელება ერთი მათგანის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო ნორმები კი შესაბამისად გამოიყენება გაკოტრების წარმოებაში (InsO, §4). მართალია, ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არა გვაქვს მსგავსი ნორმა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ამოვიდეთ სამეწარმეო სამართალში განმტკიცებული დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებიდან, რომელიც არ შეიძლება

შეიზღუდოს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 9.4). სასამართლო დადგენილების ჩაბარებით მყარდება აგრეთვე ერთგვარი “სამართლებრივი ურთიერთობა” მესამე პირთან (აქ: სახელმწიფოსთან) და ეს აქტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუკი იგი განხორციელდა შპს-ის ერთ-ერთი დირექტორის მიმართ.

ამრიგად, შპს-ის ერთ-ერთი დირექტორისათვის სასამართლოს დადგენილების ჩაბარება ისეთი ქმედებაა, რომელიც ჩაითვლება განხორციელებულად ზოგადად ვალაუვალი მოვალის მიმართ. ამის საპირისპიროდ, არსებობს ქმედებები, რომლებიც ვალაუვალი მოვალის მიმართ განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი იგი მიმართულია ყველა დირექტორის მიმართ. მაგალითად, ვალაუვალი მოვალის ყველა დირექტორი უნდა იქნას მოწვეული კრედიტორთა იმ კრებაზე, რომელზეც უნდა მოხდეს ინზოლვენცის გეგმის (Insolvenzplan) განხილვა და კენჭისყრა (InsO, §235 III). იგივე ითქმის მოთხოვნების შესამოწმებელ სხდომაზე, რომელზეც ვალაუვალმა მოვალემ განმარტება უნდა მისცეს კრედიტორთა მოთხოვნების ირგვლივ (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 18 IV). ამ დროს განმარტება უნდა მისცეს შპს-ის ყველა დირექტორმა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში.

შპს-ის, როგორც ვალაუვალი მოვალის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება საზოგადოების ყველა წარმომადგენელზე (დირექტორზე, ლიკვიდატორზე), რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანი ვალდებულია პირადად შეასრულოს მოვალეზე დაკისრებული მოვალეობები. ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის წარდგენის მოვალეობას, ხოლო გერმანული სამართლის მიხედვით – აგრეთვე ფიცის ქვეშ დადასტურებას.

### §5. პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები შპს-ის გაკოტრებისას

შპს-ის გაკოტრებისას პარტნიორთა კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუკი ასეთი ორგანო შექმნილია წესდების შესაბამისად) შეუნარჩუნდებათ კანონით ან წესდებით მინიჭებული ფუნქციები, თუ ისინი შეესაბამება გაუქმებული შპს-ის მდგომარეობას ან არ მოიცავენ იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც შედის გაკოტრების მმართველის ფუნქციებში[143].

---

143 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 31, გვ. 712

*ა) პარტნიორთა კრების ფუნქციები*

გერმანული სამართლის მიხედვით, პარტნიორთა კრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მიეკუთვნება, მაგალითად, გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილების მიღება **შპს-ის საქმიანობის გაგრძელების შესახებ** (GmbHG, §60 I Nr. 4). თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება შეიძლება მხოლოდ მაშინ წარმოიშვას, თუკი გაკოტრების მასის განაწილებისა და გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ შპს-ას კიდევ დარჩება რაიმე ქონება (რაც ნაკლებად სავარაუდოა) ან დაიდება საგაკოტრებო მორიგება გაკოტრების კრედიტორებთან და განხორციელდება საწარმოს გადარჩენის ღონისძიებები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პარტნიორთა კრების კომპეტენცია **შპს-ის დირექტორის დანიშვნასა** (Bestellung) და **გამოწვევასთან** (Abberufung) დაკავშირებით. როგორც დანიშვნის, ისე გამოწვევის აქტი მიიღება პარტნიორთა კრებაზე ( "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 47.3 „პ"; GmbHG, §46, პუნქტი 5) და ფორმდება პარტნიორთა კრების ოქმით. დირექტორის დანიშვნა და მისი გამოწვევა წარმოადგენს განსაზღვრულ აქტს, რომელიც გერმანულ ლიტერატურაში დახასიათებულია, ერთის მხრივ, როგორც სამეწარმეო–სამართლებრივი ქმედება[144], ხოლო მეორეს მხრივ, – „კორპორაციული აქტი" (Körperschaftsakt)[145]. პარტნიორთა კრების მიერ დირექტორის დანიშვნა არ განიხილება ვალდებულებითი სამართლის ჭრილში. დირექტორის „დანიშვნა" (Bestellung) უნდა განვასხვავოთ „სამუშაოზე აყვანის", ანუ „დაქირავებისაგან" (Anstellung), რომლის საფუძველიცაა „დაქირავების ხელშეკრულება" (Anstellungsvertrag)[146]. თუ დანიშვნა დირექტორს აქცევს შპს-ის ორგანოდ და მის კანონიერ წარმომადგენლად, ამის საპირისპიროდ, „დაქირავება" (Anstellung) შეეხება სახელშეკრულებო ურთიერთობას დირექტორსა და შპს-ას შორის, ანუ საკუთრივ დირექტორის ხელშეკრულებას[147]. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობა დანიშნულ დირექტორსა და შპს-ას შორის ემსგავსება, ერთ შემთხვევაში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ან სამსახურის გაწევის ხელშეკრულებას

144 Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, 1992, 8. Aufl. გვ. 227

145 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Aufl. 1988, §6, გვ. 126

146 Sudhoff, გვ. 227

147 Sudhoff, იქვე; Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §6, Rdn. 13, გვ. 126

(Dienstvertrag), თუკი დირექტორი იღებს გასამრჯელოს თავისი ამ საქმიანობისათვის[148]. ასეთი ურთიერთობების დროს შემსრულებელს დავალებული აქვს გარკვეული საქმეებისათვის ზრუნვა (Geschäftsbesorgung). ამიტომ არის, რომ გერმანული სამოქალაქო სამართალი სამსახურის გაწევის ხელშეკრულებას განსაზღვრული საქმეებისათვის ზრუნვის ხელშეკრულებას (Geschäftsbesorgungsvertrag) უწოდებს. შესაბამისად, მითითება ხდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) §611-სა და შემდგომ მუხლებზე, რომლებიც აწესრიგებენ სწორედ სამსახურის გაწევის სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე §675-ზე, რომელიც აწესრიგებს საქმეების სასყიდლიან ზრუნვასთან (entgeltliche Geschäftsbesorgung) დაკავშირებულ ურთიერთობებს. მეორე შემთხვევაში შპს-ასა და დირექტორის შორის ურთიერთობა მიახლოებულია დავალების (Auftrag) სამართლებრივ ურთიერთობასთან, თუკი დირექტორი უსასყიდლოდ ასრულებს თავის სამუშაოს[149]. ამ დროს მითითება ხდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) §662 და შემდგომ მუხლებზე. დავალების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ დირექტორი ახორციელებს ისეთ მინდობილ მოქმედებას, როგორიცაა საზოგადოების ხელმძღვანელობა (მართვა). თუმცა აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

დანიშვნის აქტით დანიშნული დირექტორის თანამდებობას სხვაგვარად „ორგანულ (ან ორგანოსმხრივ) თანამდებობას“ (Organstellung) უწოდებენ. დანიშვნის აქტით დირექტორი ორგანულად მიბმული ხდება დამნიშვნელი ორგანოს (ანუ პარტნიორთა კრების) წინაშე. ორგანული თანამდებობა აფუძნებს მხოლოდ სპეციფიურ ორგანულ უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე – წარმომადგენლობით ძალაუფლებას (Vertretungsmacht). თუმცა ორგანული თანამდებობით დირექტორსა და საზოგადოებას შორის სამართლებრივი ურთიერთობა მაინც არასრულყოფილად წესრიგდება. კერძოდ, ორგანული თანამდებობა არაფერს ამბობს დირექტორის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოცულობაზე და არც საზოგადოების საპასუხო შესრულებაზე დირექტორის მიმართ, კერძოდ, მისი განსაზღვრული სოციალური ინტერესების დაცვაზე, გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე და სხვ[150].

რაც შეეხება დირექტორის გამოწვევას (Abberufung), გერმანული სამართლის მიხედვით იგი ხორციელდება დანიშვნის აქტის გაუქმებით (GmbHG, §38), რომელიც ისევ პარტნიორთა

---

148 Sudhoff, გვ. 227
149 იხ. Sudhoff, იგივე, გვ. 227

კრებაზე მიიღება. აღნიშნულის შესახებ პირდაპირაა მითითებული შპს-ის კანონის §38-ში. რაც შეეხება ქართულ სამართალს, იგი ასე პირდაპირ არ საუბრობს დანიშვნის აქტის გაუქმებაზე და დირექტორის გამოწვევას მხოლოდ პარტნიორთა კრების კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს. საქართველოში არსებული სამეწარმეო პრაქტიკა საერთოდ ერიდება ტერმინს „გამოწვევა“ და უპირატესობას დირექტორის „თანამდებობიდან გათავისუფლებას“ ანიჭებს. ამრიგად, დირექტორის გამოწვევა (ანუ მისი გათავისუფლება), ქართული სამართლის მიხედვით, უშუალოდ გამოწვევის (გათავისუფლების) აქტით ხორციელდება. თუმცა გერმანული სამართალი „გამოწვევასა“ (Abberufung) და „გათავისუფლებას“ (Entlassung) განსხვავებულ ინსტიტუტებად განიხილავს და ნორმატიულად მიჯნავს კიდეც მათ ერთმანეთისაგან (შდრ. GmbHG, §46, Nr.5). გარდა ამისა, გერმანული სამართალი პირდაპირ მიუთითებს, რომ დირექტორი შეიძლება გამოწვეული (თანამდებობიდან გათავისუფლებული) იქნას კრების მიერ ნებისმიერ დროს, ამასთან, ისე, რომ არ იქნას მითითებული გაწვევის (გათავისუფლების) საფუძველი[151]. ქართული სამართალი აქაც დუმს. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ დირექტორის გათავისუფლება ასევე შეიძლება საფუძვლის მითითების გარეშე.

დირექტორთან მიმართებაში პარტნიორთა კრების კომპეტენციაა ასევე დირექტორთან **შრომის ხელშეკრულების დადება** და **შეწყვეტა** ( მეწარმეთა შესახებ კანონი, მუხლი 47.3 „პ“). გერმანული იურიდიული ლიტერატურა აზუსტებს ხელშეკრულების ტიპს და დირექტორთან დასადებ ხელშეკრულებას უწოდებს არა “შრომით ხელშეკრულებას” (Arbeitsvertrag), არამედ “სამსახურის გაწევის" ხელშეკრულებას (Dienstvertrag, GmbHG, §46, Nr.5). გერმანულ ლიტერატურაში მითითებული Dienstvertrag მიეკუთვნება ურთიერთმხრივ ხელშეკრულებას და განმარტებულია როგორც "შეპირებული სამსახურის გაწევის" (Leistung der versprochenen Dienste) ხელშეკრულება[152]. სამეწარმეო საზოგადოებებში, მათ შორის შპს-აში კი დირექტორისათვის განსაზღვრულ სამუშაოს (სამსახურს) წარმოადგენს სწორედ **საზოგადოების ხელმძღვანელობა**, ანუ მართვა. შესაბამისად, იგი სრულიად სხვა სახის ხელშეკრულებაა, ვიდრე შრომის ხელშეკრულება (Arbeitsvertrag), რომლის მხარეებად ქართული შრომის სამართლის მიხედვით გამოდიან, ერთის მხრივ, თვითონ დირექტორი (ადმინისტრაციის სახით) და, მეორეს მხრივ, დაქირავებული მუშაკი, ხოლო

---

150 უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §35, Rdn. 7 ff., გვ. 441-442

151 Sudhoff, იგივე, გვ. 267

152 Creifelds, Rechtsörterbuch, 13. Aufl.1996, გვ. 295

ხელშეკრულების საგანია მუშაკის მიერ საზოგადოებაში განსაზღვრული სამუშაოს შესრულება მისი სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით ( “შრომის კანონთა კოდექსი“, მუხლი 16). შპს-ის მიერ დირექტორთან დადებული ხელშეკრულების მხარეებად გამოდიან თვით შპს და დირექტორი. ამდენად, დირექტორის ხელშეკრულებას არაფერი აქვს საერთო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც მოწესრიგების სულ სხვა საგანს გვთავაზობს.

“დაქირავების ხელშეკრულების” დადება იმდენადაა საინტერესო დირექტორისათვის, რომ მასში დეტალურად განისაზღვრება საზოგადოებასთან მისი კონკრეტული ურ-თიერთობის საკითხები, როგორიცაა საქმიანობის სახე, სამუშაო დრო, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ხელფასი, ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის მივლინების და სხვა ხარჯებისა), სამსახურებრივი ბინითა და სამსახურებრივი ავტომანქანით სარგებლობა, შვებულება და სხვ[153]. ამის საპირისპიროდ, დანიშვნის აქტი მხოლოდ დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის ინფორმაციას შეიცავს. სხვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი კი ღიად არის დარჩენილი.

შპს-ის სახით დირექტორთან ურთიერთობაში გამოდის პარტნიორთა კრება, რომელსაც შეიძლება წარმოადგენდეს ან ყველა პარტნიორი ან ერთი პარტნიორი, კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. სამეწარმეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმება ეკისრება იმ პარტნიორს, რომელიც თავმჯდომარეობდა დირექტორის დამნიშვნელ კრებას. თუ შპს-აში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ საზოგადოებას დირექტორთან ურთიერთობაში წარმოადგენს ეს ორგანო. ამრიგად, შპს-ის სახელშეკრულებო ურთიერთობა დირექტორთან უფრო მაღალი ხარისხისა და დონის ურთიერთობაა, ვიდრე ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის ურთიერთობა.

დირექტორის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ქართულ სამართალში დირექტორთან დასადებ ხელშეკრულებას ეწოდოს არა “შრომის ხელშეკრულება“, არამედ – „საზოგადოების მართვის ხელშეკრულება“, როგორც ეს მიღებულია გერმანულ სამართალში, ანდა შეიძლება გამოყენებული იქნას ტერმინი „სასამსახურო ხელშეკრულება“[154], როგორც ეს მეწარმეთა კანონში სააქციო საზოგადოების

---

153 Sudhoff, Der Gesellschaftsvertrag der GmbH, 1992, 8. Aufl. გვ. 227

154 “მეწარმეთა შესახებ” კანონპროექტის გერმანულ ვარიანტში, ისევე როგორც 1995 წელს გამოცემულ კანონის გერმანულ ტექსტში ტერმინი „შრომითი ხელშეკრულება“ არ ფიგურირებდა. მასში მითითებული იყო “სასამსახურო ხელშეკრულება, როგორც Dienstvertrag.-ის თარგმანი. იხ. ამასთან

დირექტორთან მიმართებაშია ნახმარი ( "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 55.8 "ვ"). აღნიშნული ტერმინის გამართლება იმითაც შეიძლება, რომ დირექტორის საქმიანობა სწორედ საზოგადოებისათვის შეპირებული "სამსახურის გაწევასთან" არის დაკავშირებული.

ქართულ სამეწარმეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დირექტორთან არ იდება არავითარი ხელშეკრულება და იგი საზოგადოებაზე სამართლებრივად „მიბმული" ხდება მხოლოდ დანიშვნის აქტით. შესაბამისად, დანიშნული დირექტორის გამოწვევაც (გათავისუფლებაც) იმავე ორგანოს კომპეტენციაა, ვინც იგი დანიშნა თანამდებობაზე (მაგალითად, პარტნიორთა კრება ან სამეთვალყურეო საბჭო). ეს არის ამ ორგანოს შეუვალი უფლებამოსილება. სხვა საკითხია დირექტორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა. ამის უფლება აქვს როგორც პარტნიორთა კრებას, ასევე გაკოტრების მმართველს. თუმცა ამის შესახებ დეტალურად უფრო ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად, შპს-ის დირექტორის დანიშვნა ან გამოწვევა (გათავისუფლება) არ შედის გაკოტრების მმართველის ფუნქციებში. მას ხელი მიუწვდება მხოლოდ იმ მუშაკების საკადრო საკითხების გადაწყვეტაზე, რომელებიც არ ინიშნებიან ან არ თავისუფლდებიან თანამდებობიდან პარტნიორთა კრების მიერ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარტნიორთა კრების კომპეტენცია **სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა-განთავისუფლება**, თუკი შპს-აში ასეთი საბჭო არსებობს. პარტნიორთა კრების ეს უფლებამოსილება გარკვეულწილად ხელს უწყობს პარტნიორების მიერ საზოგადოებაში საკუთარი პოლიტიკის გატარებას და ამიტომ იგი უცვლელი რჩება გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგაც.

გაკოტრების გერმანული სამართალი და მართლმსაჯულება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს მიაკუთვნებს სასამსახურო ურთიერთობების (Dienstverhältnisse) სფეროს[155], ანდა განიხილავენ მას როგორც ნარდობის ხელშეკრულებიდან (Werkvertrag) წარმოშობილ ურთიერთობას და აფუძნებენ მას გერმანული სამოქალაქო კოდექსის (BGB) §611-სა და შემდგომ, ასევე §631-სა და შემდგომ მუხლებზე. ამ მუხლების თანახმად, ის პირი, ვინც სამუშაოს შესრულების ან სამსახურის გაწევის ხელშეკრულების დროს თანხმობა განაცხადა სამუშაოს შესრულებაზე, ან სამსახურის გაწევაზე (Dienste zusagt), ვალდებულია შეასრულოს (გასწიოს) შეპირებული

---

დაკავშირებით "მეწარმეთა შესახებ" კანონის სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, Art.47.3, პუნქტი "O", თბილისი 1995, გამომც. "ნორმა", გვ. 244)

155 ასე მაგალ., Böhle-Stamschräder/Kilger, §22 3), გვ. 109; Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 32, გვ. 715

სამუშაო (სამსახური), ხოლო მიმღები ვალდებულია გადაუხადოს გასამრჯელო (BGB, §611 ff.). იგივე წესებია დადგენილი ნარდობის ხელშეკრულებისას (BGB, §631 ff.; სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 629 და შემდგომი მუხლები). თუმცა გერმანული ლიტერატურა უფრო იქითკენ იხრება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დამყარებული ურთიერთობა განიხილოს როგორც დავალებიდან (Auftrag) წარმოშობილი ურთიერთობა (შდრ. BGB, §662 ff.).

გაკოტრების წარმოებაში პარტნიორთა კრებას შენარჩუნებული აქვს ისეთი უფლებამოსილებაც, როგორიცაა საზოგადოების **წესდებაში ცვლილებების შეტანა**, თუკი ასეთი ცვლილებები არ ეწინააღმდეგება გაკოტრების მიზანს, ანუ ამ ცვლილებებით საფრთხე არ ექმნება გაკოტრების მასაში შესული ქონების არსებობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორთა კრება ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგალითად, საფირმო სახელწოდების (ფირმის) შეცვლის შესახებ, რომელიც, როგორც გაკოტრების მასის შემადგენელი ნაწილი, განიკარგება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიერ და გასხვისდება მხოლოდ შპს-ის წარმოებასთან ერთად.

*ბ) სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები*

სამეთვალყურეო საბჭო, თუკი ასეთი შექმნილია შპს-ში, აგრძელებს კანონით მისთვის დაკისრებული განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს კვლავ რჩება დირექტორის (ლიკვიდატორის) საქმიანობის **ზედამხედველობის ფუნქცია**, მაგრამ იგი არ გავრცელდება ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებზე, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭო ვერ მისცემს თანხმობას დირექტორს იმ ქონების განკარგვაზე, რომელზეც მას აღარ გააჩნია „ბატონობა“. შესაბამისად, ზედამხედველობა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ დირექტორის (ლიკვიდატორის) „არაქონებრივ“ საქმიანობაზე, რომლისთვისაც განმსაზღვრელი უნდა იყოს სწორედ გაკოტრების მიზანი.

სამეთვალყურეო საბჭოს განსაკუთრებულ ფუნქციებში (და არა გაკოტრების მმართველის ფუნქციებში) შედის აგრეთვე **შპს-ის დირექტორის დანიშვნა** და **გამოწვევა**, ასევე დირექტორთან **ხელშეკრულების დადება** და **შეწყვეტა** (იგულისხმება შრომის, ანუ საზოგადოების მართვის ხელშეკრულება). ამასთან, დირექტორის დანიშვნა-გამოწვევაზე და მასთან წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შესახებ გამოიყენება ყველა ის წესი, რაც ზემოთ ვისაუბრეთ პარტნიორთა კრებასთან დაკავშირებით. მაშასადამე, გაკოტრების წარმოებაში სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორის

გამოწვევა (განთავისუფლებაც) ისევ ამ ორგანოს კომპეტენციაა. ხოლო დადებული ხელშეკრულების მოშლაზე ხელი მიუწვდება აგრეთვე გაკოტრების მმართველს. თუმცა ამის შესახებ ასევე დეტალურად შემდეგ თავში.

### §6. შპს-ის ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობების დამთავრება

როგორც უკვე აღინიშნა, შპს-ის ორგანოები გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგაც განაგრძობენ არსებობას, თუმცა – შეზღუდული უფლებამოსილებით. ისინი ჩამოცილებულნი არიან გაკოტრების წარმოების მართვის სფეროს, რომელიც მთლიანად გადაცემული აქვს გაკოტრების მმართველს. თავიანთ შეზღუდულ უფლებამოსილებებს შპს-ის ორგანოები ახორციელებენ საკუთარი პასუხისმგებლობითა და გაკოტრების მმართველისაგან დამოუკიდებლად. თავის მხრივ, გაკოტრების მმართველს არა აქვს უფლება ჩაერიოს შპს-ის ორგანოების ამ კომპეტენციებში.

გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ დგება საკითხი, თუ ვის აქვს უფლება შპს-ის ორგანოებთან, კერძოდ, მის წევრებთან (დირექტორთან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან) დაასრულოს მათ მიმართ არსებული სამართლებრივი ურთიერთობები, ანდა აქვს თუ არა გაკოტრების მმართველს საკმარისი კომპეტენცია იმისა, რომ ჩაერიოს იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვა მის დანიშვნამდე და მისგან დამოუკიდებლად.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შპს-ის ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა როგორც დანიშვნის აქტით, ისე ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად განსხვავებულია აგრეთვე გაკოტრების მმართველის ამ ურთიერთობებში ჩარევის ხარისხიც. მაგალითად, გაკოტრების მმართველს არა აქვს უფლება გამოიწვიოს (გაათავისუფლოს თანამდებობიდან) შპს-ის დირექტორი, ლიკვიდატორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ვინაიდან ისინი კორპორაციულ-სამართლებრივი აქტით (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება) ორგანულად მიბმულნი არიან უშუალოდ საზოგადოებასთან. ამდენად შპს-ის ორგანოს წევრის გამოწვევა თვით შპს-ის შეუვალი კომპეტენციაა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დანიშვნის აქტი არ წარმოშობს შპს-ის ორგანოს წევრის გასამრჯელოს მოთხოვნას.

განსხვავებულად წყდება საკითხი, როდესაც საქმე ეხება შპს-ის ორგანოების წევრებთან დადებულ ხელშეკრულებას. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას ხდება გაკოტრების მმართველის ჩანაცვლება ყველა იმ ხელშეკრულებაში, რომლებიც დადებული იყო მოვალის მიერ. მაშასადამე, შპს-ის ადგილს ხელშეკრულებებში იკავებს გაკოტრების

მმართველი, რომელიც შეაფასებს ყველა ამ ხელშეკრულების ავ-კარგიანობას და აირჩევს, შემდგომში გააგრძელოს თუ შეწყვიტოს ისინი.

გაკოტრების მმართველი ხდება შპს-ისა და **დირექტორს** შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის, კერძოდ, დაქირავების ხელშეკრულების (Anstellungsvertrag) მონაწილე. აღნიშნული ხელშეკრულება, თავის მხრივ, ეფუძნება გასამრჯელოს მიღების მოთხოვნას. ამ დროს გასარკვევია, თუ რამდენად ზემოქმედებს შპს-ის გაკოტრება აღნიშნულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და შეუნარჩუნდება თუ არა შპს-ის დირექტორს ანაზღაურების მიღების მოთხოვნა. ანაზღაურების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ შპს-ის ორგანოები ისევ არსებობენ და გარკვეულწილად აქტიურებიც არიან. თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ მათი შენახვა უკვე აღარ შედის გაკოტრების მასის ინტერესებში, რადგანც ეს მძიმე ტვირთად აწვება მას[156]. ამიტომ ამ ხელშეკრულების გაგრძელება გაკოტრების მმართველის შეხედულებაზეა დამყარებული.

გერმანული სამართალი პირდაპირ ანიჭებს უფლებას გაკოტრების მმართველს, როგორც უკვე ხელშეკრულების მხარეს, მოშალოს (kündigen) დირექტორთან დაქირავების ხელშეკრულება (Anstellungsvertrag). მისი ეს უფლება განმტკიცებულია ინზოლვენცის დებულების (Insolvenzordnung) §113-ში, რომლის თანახმადაც, გაკოტრების მმართველს შეუძლია ვადამდე მოშალოს განსაზღვრული სამუშაოს შესრულებაზე (სამსახურის გაწევაზე) დაფუძნებული ურთიერთობა (Dienstverhältnis). იგივე ითქმის დირექტორთან დადებულ საზოგადოების მართვის ხელშეკრულებაზე (Dienstvertrag), რომელიც ასევე იქცევა გაკოტრების მმართველის მხრიდან შეწყვეტის საგნად. თავის მხრივ, დირექტორს შეუძლია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო გაკოტრების წარმოებაში მოგვევლინოს, როგორც გაკოტრების კრედიტორი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (შდრ. InsO, §113 I, წინად. 3).

დირექტორთან ხელშეკრულების მოშლით გაკოტრების მმართველი მაინც ვერ აღწევს დირექტორის თანამდებობიდან საბოლოოდ გათავისუფლებას (ანუ გამოწვევას). აქ გასათვალისწინებელია ის, რომ გაკოტრების მმართველის მიერ ხელშეკრულების მოშლით "შეირყევა" (zum Erliegen bringt) მხოლოდ დაქირავების ურთიერთობა (Anstellungsverhältnis) და არავითარ შემთხვევაში – ორგანოსმხრივი ურთიერთობა (Organverhältnis)[157]. როგორც

---

156 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 32, გვ. 713 ff.

157 Kuhn-Uhlenbruck, Konkursordnung, Kommentar, 10. Aufl. 1986, გვ. 481

უკვე აღვნიშნეთ, ორგანოსმხრივი (ორგანული) ურთიერთობის დასრულება მხოლოდ შპს-ის შესაბამისი ორგანოს (პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს) კომპეტენციაა. მიუხედავად გაკოტრების მმართველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლისა, დირექტორი კვლავ ინარჩუნებს თანამდებობას (დანიშვნის აქტი ხომ ძალაშია) და იგი ორგანულად დამოკიდებული რჩება მისი დამნიშვნელი ორგანოს წინაშე. შესაბამისად, როგორც თანამდებობაშენარჩუნებულ პირს, დირექტორს უფლება აქვს შპს-ის სახელით განახორციელოს საზოგადოების (როგორც ვალაუვალი მოვალის) გარკვეული უფლებები გაკოტრების წარმოებაში.

გაკოტრების მმართველის მიერ დირექტორთან ხელშეკრულების მოშლას შედეგად ის მოსდევს, რომ გაუქმდება დირექტორის გასამრჯელოს მოთხოვნის, ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა უფლებები (მათ შორის ხარჯების ანაზღაურების, შვებულებით სარგებლობის, საზოგადოების ქონების გამოყენების და სხვ. უფლებები). გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ხელშეკრულების მოშლა სპობს დირექტორის ურთიერთობას გაკოტრების მასასთან, მაგრამ არა საზოგადოებასთან[158].

დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტა არ აუქმებს დირექტორის საპროცესო უფლებებს, რომლებიც მას შეუძლია მოვალის (აქ: შპს-ის) სახელით განახორციელოს გაკოტრების წარმოებაში. მას შეუძლია, მაგალითად, მოვალის სახელით გაასაჩივროს გაკოტრების სასამართლოს განჩინებები, მონაწილეობა მიიღოს რეაბილიტაციის პროცედურაში, სადაოდ აქციოს გაკოტრების კრედიტორის მოთხოვნები და ა.შ. დირექტორს შეუძლია აგრეთვე გააგრძელოს ის სასამართლო პროცესები, რომლებიც გაკოტრების მასასთან არ არის დაკავშირებული. ამრიგად, ხელშეკრულების მოშლის შედეგად დირექტორის უფლებრივი მდგომარეობა დანარჩენ, გაკოტრებისაგან თავისუფალ სფეროებში ხელუხლებელი რჩება[159].

გაკოტრების ქართული სამართალი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, საერთოდ არ აწესრიგებს მოვალის ორგანოებთან, განსაკუთრებით კი დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობების დასრულების საკითხებს. ანალოგიის სახით ვერ გამოვიყენებთ გაკოტრების კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც შეეხება მოვალის საწარმოში არსებული შრომითი (და არა საზოგადოების მართვის) ურთიერთობების ვადამდე შეწყვეტას. გარდა ამისა, აღნიშნულ ნორმაში საუბარია ვალაუვალი მოვალის საწარმოში დასაქმებულ მუშაკებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტაზე. ხოლო შპს-ის დირექტორი არ

---

158 Kuhn-Uhlenbruck, გვ. 481

159 Kuhn-Uhlenbruck, გვ. 1802

წარმოადგენს ვალაუვალი მოვალის საწარმოს მუშაკს. იგი თავად წარმოადგენს ვალაუვალ მოვალეს და თვითონ გამოდის მოვალის საწარმოში მუშაკების დამქირავებლად. ამ მუხლში საუბარია აგრეთვე მოვალის საწარმოზე და არა თვითონ მოვალეზე ან მის ორგანოებზე.

ასეთ შემთხვევაში, როდესაც ნორმატიულად მოუწესრიგებელია შპს-ის ორგანოებთან სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტის საკითხები, ამოსავალი უნდა იყოს მაინც გაკოტრების მმართველის არჩევანის უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ვალაუვალ მოვალესთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ბედი. ეს იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების მმართველმა თვითონ უნდა ამოირჩიოს, მოუშალოს დაქირავების (სასამსახურო) ხელშეკრულება შპს-ის დირექტორს თუ გააგრძელოს მასთან არსებული ურთიერთობა.

გაკოტრების წარმოების გახსნით არ უქმდება შპს-ის დირექტორის მოთხოვნა საზოგადოების მიმართ შრომითი გასამრჯელოს გადახდასთან დაკავშირებით. გაკოტრების წარმოების გახსნის დღიდან აღნიშნული მოთხოვნა, ვიდრე არ დასრულდება დაქირავების (სასამსახურო) ხელშეკრულება, მიმართულია გაკოტრების მასის წინააღმდეგ. იგი დაკავშირებულია ორმხრივი (ურთიერთმხრივი) ხელშეკრულების შესრულებასთან. ამიტომ ასეთი მოთხოვნა გაკოტრების მასიდან პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 19 „ბ“; InsO §55 Nr.2). გერმანულ ლიტერატურაში გაკოტრების მასიდან შესასრულებელ ასეთ ვალდებულებებს განიხილავენ როგორც მასის ვალდებულებებს (Masseverbindlichkeiten).

დირექტორის შრომითი გასამრჯელო ყოველთვის “ზედმეტ” ტვირთად აწვება გაკოტრების მასას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირ შემთხვევაში შპს-ის გაკოტრებამდე მიყვანა დირექტორის მხრიდან არასწორი მართვის (ზოგჯერ დანაშაულებრივი ქმედებების) შედეგია. ამიტომ გაკოტრების მმართველს შეუძლია გამოიყენოს მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფრო მოკლე ვადა, თუკი ასეთი დათქმულია სასამსახურო ხელშეკრულებით.

ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება ითქვას იმის შესახებაც, დირექტორმა გასამრჯელო სრული ოდენობით უნდა მიიღოს, თუ მისი ოდენობა უნდა მიესადაგოს გაკოტრებაში მის შეკვეცილ ფუნქციებს. გერმანულ ლიტერატურაში და მართლმსაჯულებაში ავტორთა უმრავლესობა მაინც იქითკენ იხრება, რომ დირექტორისათვის გასამრჯელოს გადახდა, მიუხედავად მასის ზედმეტად გადატვირთვისა, უნდა მოხდეს სრული ოდენობით და გაკოტრების მმართველს არ უნდა მიეცეს გასამრჯელოს შემცირების უფლება. უკიდურეს შემთხვევაში ასეთი შემცირების შესაძლებლობა კანონით უნდა იქნას მოწესრიგებული.

**სამეთვალყურეო საბჭო** (თუკი ასეთი არსებობს), მართალია, კვლავ განაგრძობს არსებობას გაკოტრების წარმოების გახსნის შემდგომ, მაგრამ მისი მოქმედების სფეროც ძალზედ შევიწროებულია. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მას კვლავ რჩება დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და მასზე კონტროლის გაწევის უფლება.

თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებს არ მიაკუთვნებენ სასამსახურო ურთიერთობების (Dienstverhältnisse) სფეროს[160], მაშინ მათთან ურთიერთობების დასრულების საკითხი არ მოხვდება ინზოლვენცის დებულების (InsO) §113-ისა და §114-ის მოწესრიგების ქვეშ. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან არსებული ურთიერთობის დასამთავრებლად გამოიყენება ინზოლვენცის დებულების §115, რომლის მიხედვითაც მოვალის მიერ გაცემული ყველა დავალება, რომელიც შეეხება გაკოტრების მასას მიკუთვნებულ ქონებას, უქმდება გაკოტრების წარმოების გახსნისთანავე. თუმცა გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, დავალების საფუძველზე გადაცემული საქმეები მარწმუნებლის მიერ უსასყიდლოდ უნდა იქნას შესრულებული. მაშასადამე, ამან არ შეიძლება გამოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მხრიდან გაკოტრების მასის "შეხება", რაც შეიძლება გამოიხატოს გასამრჯელოს მოთხოვნაში. §115 შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იღებენ რაიმე ანაზღაურებას (რასაც უფრო ხშირად აქვს ადგილი პრაქტიკაში), რაც წარმოების გახსნის შემდეგ ტვირთად დააწვება გაკოტრების მასას.

თუკი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მაშინ მისი დამთავრებისათვის კონკრეტულად გამოიყენება ინზოლვენცის ახალი კანონის §116, რომელიც თავის მხრივ, მითითებას ახდენს §115-ზე[161]. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაკოტრების წარმოების გახსნისთანავე აუქმებს მოვალის მიერ გაცემულ ყველა დავალებას.

სამეთვალყურეო საბჭო ფაქტიურად უფუნქციოდ რჩება, თუკი დირექტორი გაკოტრების წარმოების გახსნისთანავე დასტოვებს თანამდებობას. სამეთვალყურეო საბჭოს უმოქმედობა კი, თავისთავად, კითხვის ქვეშ აყენებს მისი წევრების ანაზღაურების, და შესაბამისად, გაკოტრების მასის ზედმეტად დავალიანების საკითხს. ასეთ შემთხვევაში მათ

---

160 ასე მაგალითად, Böhle-Stamschräder/Kilger, §22 3), გვ. 109; Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 32, გვ. 715

161 შდრ. Böhle-Stamschräder/Kilger, §22, 3) c, გვ. 110. მართალია, ავტორი მიუთითებს გაკოტრების ძველი დებულების პარაგრაფზე, მაგრამ ეს ნორმა შინაარსობრივად თითქმის უცვლელად აისახა გაკოტრების (ინზოლვენცის) ახალ კანონში.

აღარ შეუძლიათ თავიანთი საქმიანობისათვის (თუკი კიდევ დარჩათ რაიმე ფუნქცია) მოითხოვონ ანაზღაურება გაკოტრების მასიდან.

იგივე შეიძლება ითქვას **ლიკვიდატორზე**, რომელსაც ერთადერთი ძირითადი საზრუნავი აქვს – მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაცია. შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ ლიკვიდატორიც უფუნქციოდ რჩება, ვინაიდან შპს-ის ქონებაზე სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორცილება უკვე გაკოტრების მმართველის ამოცანად იქცევა. აქედან გამომდინარე, ლიკვიდატორთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ასევე ხვდება ინზოლვენცის დებულების §115 და §116 მოწესრიგების ქვეშ, რაც ითვალისწინებს ამ ურთიერთობის დამთავრებას გაკოტრების წარმოების გახსნისთანავე.

გაკოტრების წარმოების გახსნა ართმევს ლიკვიდატორს მასის წინააღმდეგ ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი როგორც ვალაუვალი მოვალის ორგანო კვალავ აგრძელებს არსებობას. იგივე წესი გავრცელდება დირექტორზე, რომელიც შპს-ის წესდების თანახმად თავიდანვე იქნებოდა ლიკვიდატორად "გამწესებული" და გაკოტრების წარმოების გახსნამდე შეუდგებოდა ლიკვიდატორის მოვალეობების განხორციელებას. ხოლო თუკი წესდებით განსაზღვრული იყო სხვა ლიკვიდატორის (ლიკვიდატორების) დანიშვნა, მაშინ დირექტორს შეუნარჩუნდება მოთხოვნა ანაზღაურებაზე, სამსახურის გაწევის ურთიერთობებიდან გამომდინარე.

### §7. გაკოტრების მმართველისა და შპს-ის ორგანოების მოქმედებების სფეროების გამიჯვნა

გაკოტრების სამართალში პრობლემატურია გაკოტრების მმართველის მოქმედებათა სფეროს გამიჯვნა შპს-ის ორგანოების მოქმედებათა დარჩენილი სფეროსაგან. ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტია იმის ცოდნა, აქვს თუ არა შპს-ის ორგანოების იურიდიულ მოქმედებებს შეხება გაკოტრების მასასთან, ანუ უფრო კონკრეტულად: ხომ არ ხდება ამ იურიდიული მოქმედებებით გაკოტრების მასის შემცირება. აქ არ იგულისხმება შპს-ის ყველა იურიდიული მოქმედება. აქ საუბარია მხოლოდ ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ხორციელდება ზოგადად ვალაუვალი მოვალის კომპეტენციის ფარგლებში და არაფერი აქვს საერთო გაკოტრების წარმოებასთან და განსაკუთრებით გაკოტრების მასასთან.

მაგალითად, გაკოტრების მასასთან არა აქვს შეხება შპს-ის მიერ განხორციელებულ ისეთ იურიდიულ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია პარტნიორის მიერ საკუთარი წილის (წილის ნაწილის) დათმობასთან. ასეთ შემთხვევაში წილის გადაცემისათვის

წესდებით შეიძლება დათქმული იყოს საზოგადოების **ნებართვის** ან **თანხმობის** (Genehmigung) აუცილებლობა (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 46.4; GmbHG §15 Abs.5). ნებართვის (თანხმობის) გამცემი ორგანო შეიძლება იყოს როგორც პარტნიორთა კრება, ისე საზოგადოების დირექტორი[162]. ასეთი ნებართვის (თანხმობის) მიცემა ყოველთვის წარმოადგენს შპს-ის შესაბამისი ორგანოს კომპეტენციას, აგრეთვე – შპს-ის გაკოტრების მიმდინარეობისას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, გადასაცემი წილი ბოლომდე არის ანაზღაურებული თუ – არა.

გაკოტრების მასასთან არა აქვს შეხება აგრეთვე პარტნიორთა გადაწყვეტილებას **დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების** შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ყოველთვის წარმოადგენს შპს-ის ამ ორგანოს განსაკუთრებულ კომპეტენციას, თუკი წესდებით ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) არ ექნება დაკისრებული (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 47.3; GmbHG §46 Nr.5). მაგრამ თუკი დირექტორის გათავისუფლება დაკავშირებულია შპს-ის წინაშე ნაკისრი მოვალეობების დარღვევასთან, მაშინ შპს-ას წარმოეშობა დირექტორის მიმართ **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა** (Ersatzanspruch). აღნიშნული მოთხოვნა განიხილება უკვე როგორც შპს-ის მოთხოვნა და იგი გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ იქცევა გაკოტრების მასის შემადგენელ ნაწილად. ასეთ შემთხვევაში, ანუ გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ პარტნიორთა კრება (პარტნიორი) უკვე აღარ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს დირექტორს ზიანის ანაზღაურება. გახსნილ წარმოებაში დირექტორის წინააღმდეგ ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება წარმოადგენს მხოლოდ გაკოტრების მმართველის კომპეტენციას.

გაკოტრების მმართველისა და შპს-ის ორგანოების მოქმედებათა სფეროების გამიჯვნის პრობლემა დგება აგრეთვე მაშინ, როცა საქმე ეხება შპს-ის (როგორც ვალაუვალი მოვალის) **სასამართლო პროცესებს**. თუ ამ სასამართლო პროცესებით "ხელშეხებას" განიცდის გაკოტრების მასა, ანუ მისი შედეგები გარკვეულ ასახვას ჰპოვებს გაკოტრების მასის მდგომარეობაზე (გაზრდის ან შეამცირებს მის მდგომარეობას), მაშინ ისინი წარიმართება ან გაგრძელდება გაკოტრების მმართველის მონაწილეობით. გაკოტრების მმართველი, რომელიც პროცესებში მონაწილეობს როგორც მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე), გვევლინება შპს-ის ინტერესების გამომხატველად. ლიტერატურაში აღნიშნულ პროცესებს "მასის პროცესებსაც" უწოდებენ. თუ მასის პროცესი შპს-ის სასარგებლოდ

---

162 იხ. ლადო ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოც. 1998, გვ.

დამთავრდა, მაშინ გაკოტრების მასის შემადგენლობა გაიზრდება დამატებითი ქონებით, ხოლო წაგების შემთხვევაში გაკოტრების მასიდან უნდა გავიდეს გარკვეული ქონება კრედიტორებისა და სასამართლო ხარჯების გასასტუმრებლად[163]. თუკი სასამართლო პროცესი არ შეეხება გაკოტრების მასას, არამედ გაკოტრებისაგან თავისუფალ ქონებას (მაგ., ახალშენაძენს), მაშინ გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაშიც კი შპს-ის ორგანოებს (აქ: დირექტორებს) უნარჩუნდებათ მისი წარმართვის უფლებამოსილება, ისე რომ არ მოხდება საქმის წარმოების შეჩერება ან შეწყვეტა.

გერმანული საპროცესო სამართალი ზოგადად ითვალისწინებს პროცესის შეწყვეტას (Unterbrechung), თუკი გაიხსნება გაკოტრების წარმოება. ამასთან, როგორც აღვნიშნე, პროცესის შეწყვეტა არ მოხდება, თუკი იგი არ შეეხება გაკოტრების მასას (იხ. ZPO §240). ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ შპს-ის ორგანოებს უნარჩუნდებათ გაკოტრებისაგან თავისუფალ ქონებაზე მართვისა და განკარგვის უფლება. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ასევე განაახლონ (aufnehmen) ის პროცესები, რომლებიც უარყოფილი იქნა გაკოტრების მმართველის მიერ (InsO §85 II). გაკოტრების ქართული სამართალი არ აწესრიგებს ვალაუვალი მოვალის უფლებას, განაახლოს გაკოტრების მმართველის მიერ უარყოფილი პროცესი. თუმცა ვალაუვალი მოვალე, თუკი თვლის, რომ გაკოტრების მმართველის მიერ უარყოფილი პროცესით შეიძლება დაზარალდეს მისი ინტერესი, მაშინ სასამართლოსადმი მიმართვის მისი ეს უფლება უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნა ყოველთვის არ აღჭურავს გაკოტრების მმართველს უფლებამოსილებით, წარმართოს სასამართლო პროცესები. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარია, რომ პროცესის საგანი არ იყოს გაკოტრების მასა, რათა საფრთხე არ დაემუქროს მის შემცირებას. ამიტომ გაკოტრების წარმოების მიმდინარეობის დროსაც შეიძლება დაიწყოს ისეთი პროცესები, სადაც გაკოტრების მმართველს არაფერი ესაქმება. ასეთ პროცესს მიეკუთვნება, მაგალითად, პარტნიორის დავა შპს-ის წინააღმდეგ თავისი წევრობის (პარტნიორობის) დადასტურების ან წილის გასხვისებაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით. შესაბამისად, ეს სარჩელი მიმართული იქნება არა გაკოტრების მმართველის, არამედ შპს-ის (თუმცა უკვე ვალაუვალი მოვალის) წინააღმდეგ. ხოლო პროცესში შპს-ის როგორც პროცესუალური მხარის

---

286

ინტერესების გამომხატველად იქნება შპს-ის დირექტორი. გაკოტრების მასის ხელშეხება არ ხდება აგრეთვე იმ დავის დროსაც, რომელიც შეეხება პარტნიორის მიერ საკუთარი წილის შესაბამისი კომპენსაციის მიღებას. თუკი სასამართლო დააკმაყოფილებს პარტნიორის მოთხოვნას, იგი კომპენსაციის თანხას მიიღებს არა გაკოტრების მასიდან, არამედ იმ თანხებიდან, რომლებიც დარჩება გაკოტრების მასის განაწილების შემდეგ. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი, რა თქმა უნდა, რეალურად რაიმე კიდევ დარჩება მასაში.

გაკოტრების მმართველისა და შპს-ის ორგანოების მოქმედებათა სფეროების გამიჯვნა შეიძლება პრობლემატური გახდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სასამართლო პროცესს, რომელზეც საცილოდ არის ქცეული (anfechten) პარტნიორთა განსაზღვრული გადაწყვეტილება, მიღებული კანონის ან წესდების დარღვევის გამო. ასეთ პროცესს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში "შესაცილებელ პროცესს" (Anfechtungsprozeß) უწოდებენ[164]. შპს-ის არასწორმა წარმომადგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი არასათანადო მოპასუხედ ქცევა. წარმომადგენლის განსაზღვრა კი დამოკიდებულია სარჩელის სახეზე. რამდენადაც მოპასუხედ ასეთ პროცესში გვევლინება შპს, ამდენად გასარკვევია, თუ ვინ იქნება მისი როგორც ვალაუვალი მოვალის წარმომადგენელი — გაკოტრების მმართველი თუ შპს-ის დირექტორი. ცხადია, რომ პარტნიორთა გადაწყვეტილება ყოველთვის საზოგადოების შიდა საქმეებს როდი შეეხება. ზოგიერთ გადაწყვეტილებას შეიძლება გააჩნდეს აგრეთვე "ქონებრივი დატვირთვა". ამიტომ ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ქონებრივ-სამართლებრივი ხასიათისაა. შესაბამისად, ამ პროცესში შპს-ის წარმომადგენლად ყოველთვის გაკოტრების მმართველი გამოვა, ვინაიდან საქმე შეიძლება დამთავრდეს გაკოტრების მასის შემადგენლობის შეცვლით (გაზრდით ან შემცირებით). ამდენად, ასეთ პროცესზე შპს სათანადო მოპასუხის სტატუსით იქნება აღჭურვილი.

თუკი სარჩელი საზოგადოების შიდა საქმეებს ეხება (ანუ არაქონებრივი სახისაა), მაშინ შპს-ის წარმომადგენლად შესაცილებელ პროცესში გამოვა მისი ორგანო (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო). საზოგადოების შიდა საქმეებს, მართალია, გაკოტრებასთან (კერძოდ, გაკოტრების მასასთან) არავითარი კავშირი არა აქვთ, მაგრამ შესაცილებელმა პროცესმა შეიძლება მაინც მოახდინოს გავლენა გაკოტრების მასაზე, და შესაბამისად, — გაკოტრების დამთავრებაზე. ამ დროს არ არის გამორიცხული, რომ შპს-ის

---

163 როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, 1-ლი გამოც., 1999, გვ. 111

164 იხ. Jaeger, Ernst/Lent, Friedrich/Weber, Friedrich: Kommentar zur Konkursordnung, 8. Auflage, Berlin 1958, §§207, 208

წარმომადგენლად გამოვიდეს გაკოტრების მმართველი. ამას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, როცა სარჩელის დაკმაყოფილებისას პარტნიორთა გადაწყვეტილება ბათილად იქნებოდა ცნობილი, ხოლო ასეთ ბათილობას კი შეიძლებოდა გამოეწვია გაკოტრების მასის აქტივების შემცირება[165]. მაგალითად, პარტნიორთა კრებამ უსაფუძვლოდ უთხრა უარი პარტნიორს წილის საბაზრო ღირებულებით კომპენსაციაზე, რამაც ზიანი მიაყენა მას. პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბათილად იქნება რა ცნობილი კრების გადაწყვეტილება, შპს-ას დაეკისრება ზიანის ანაზღაურება, რაც გაკოტრების მასიდან უნდა იქნას გადახდილი. ხოლო თუკი გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებით ხელუხლებელი დარჩება გაკოტრების მასა, მაშინ მოპასუხის რანგში მოგვევლინება ვალაუვალი მოვალე – შპს-ის დირექტორი.

პარტნიორთა შეცილებული გადაწყვეტილება შეიძლება შეეხებოდეს შპს-ის ორგანიზაციის ისეთ საკითხს, როგორიცაა, მაგალითად, დირექტორის დანიშვნა (ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევა). ამ დროს, რა თქმა უნდა, იგი არავითარ შემთხვევაში არ შეეხება საზოგადოების ქონებას. ამიტომ საზოგადოების გაკოტრებისას შესაცილებელ პროცესში ვალაუვალი მოვალე, როგორც მოპასუხე, წარმოდგენილი იქნება თავისი ორგანოებით. გაკოტრების წარმოების გახსნისას კი დაუმთავრებელი პროცესი არ შეწყდება, ვინაიდან იგი არ შეეხება გაკოტრების მასას. სხვაგვარად იქნება საქმე პარტნიორთა იმ გადაწყვეტილების შეცილებისას, რომლითაც ხდება თანამდებობიდან დირექტორის (ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის) ვადამდე გათავისუფლება (გაწვევა). ასეთ შემთხვევაში, თუკი დირექტორს (სამეთვალყურეო საბჭოს წევრს) გააჩნია გასამრჯელოს მიღების მოთხოვნა, მაშინ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, რა თქმა უნდა, მოსპობს აგრეთვე ამ მოთხოვნასაც. მაგრამ თუ შესაცილებელ პროცესში პარტნიორთა ეს გადაწყვეტილება ბათილად იქნება ცნობილი, მაშინ გათავისუფლებულ პიროვნებას აღუდგება აღნიშნული მოთხოვნა. გასამრჯელოს მიღების მოთხოვნა, რომელიც წარმოშობილია გაკოტრების წარმოების გახსნამდე და მოიცავს გაკოტრებამდელ პერიოდს, გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ მიმართული იქნება გაკოტრების მასის წინააღმდეგ. გერმანული სამართლის მიხედვით, თუკი პროცესი არ იქნება დამთავრებული გაკოტრების წარმოების გახსნამდე, მაშინ გაკოტრების წარმოების გახსნისას, გერმანიის საპროცესო დებულების 240-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო პროცესი შეწყდება. მოპასუხის წარმომადგენლად ამ პროცესში მოგვევლინება გაკოტრების მმართველი, ვინაიდან გასამრჯელოს დაკმაყოფილება უნდა მოხდეს გაკოტრების მასიდან.

---

165 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 35, გვ. 721

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც შეცილებულია პარტნიორთა გადაწყვეტილება შპს-ის გაუქმების შესახებ. გერმანული სამართლის მიხედვით, გაკოტრების წარმოების გახსნა არ გამოიწვევს შესაცილებელი პროცესის შეწყვეტას. ამ გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს გაკოტრების წარმოების დამთავრებაზე, ვინაიდან გაკოტრების წარმოების გახსნაც, თავის მხრივ, შპს-ის (იძულებითი) გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია (GmbHG, §60 Nr.4), ისევე, როგორც პარტნიორთა გადაწყვეტილება მისი ნებაყოფლობითი გაუქმების შესახებ.

საინტერესოა პარტნიორთა იმ გადაწყვეტილების შეცილება, რომლითაც დადგენილია საწესდებო კაპიტალის გაზრდა (GmbHG §55). ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაამდეგი, უპირველეს ყოვლისა, გაკოტრების მმართველი უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ფაქტი გაკოტრების წარმოების გახსნამდე უკვე ჩაიწერებოდა სავაჭრო (სამეწარმეო) რეესტრში. ამ დროს გაკოტრების მასას გააჩნია მოთხოვნა დამატებითი შესატანების შეტანასთან დაკავშირებით. ხოლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში გაკოტრების მასას აღარ ექნებოდა ასეთი მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ შესატანები უკვე შეტანილია, მაშინ მათი უკან დაბრუნების მოთხოვნის განხორციელებით დაზარალდება გაკოტრების მასა, რომლიდანაც უნდა გადაუხადონ პარტნიორებს[166].

შპს-ის პარტნიორი, რომელიც სადაოდ ხდის (ეცილება) პარტნიორთა გადაწყვეტილებას დამატებითი შესატანების შეტანასთან დაკავშირებით (GmbHG §§26, 46 Nr.2), გაკოტრების წარმოების გახსნამდე იგი შესაცილებელ პროცესს წარმართავს ვალაუვალი მოვალის (ანუ შპს-ის) წინააღმდეგ. ხოლო გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, როდესაც განახლდება შეწყვეტილი პროცესი, შპს-ის წარმომადგენლად გამოვა უკვე გაკოტრების მმართველი, ვინაიდან გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადება შემცირების საფრთხეს შეუქმნის მასის აქტივს. თუკი პარტნიორი შესაცილებელ საჩივარს აღძრავს უშუალოდ გაკოტრების წარმოებაში, მაშინ შპს-ის წარმომადგენლად შესაცილებელ პროცესში თავიდანვე გაკოტრების მმართველი გამოვა.

# თავი 6. გაკოტრების განცხადების შეტანის წარმოება

## §1. გაკოტრების განცხადება როგორც გაკოტრების წარმოების გახსნის წინაპირობა

გაკოტრების წარმოება თავისით არ იხსნება. მას ამისათვის ესაჭიროება გარკვეული ბიძგი. ასეთი ბიძგის როლს ასრულებს სწორედ გაკოტრების განცხადება. გაკოტრების ქართული და ინზოლვენცის გერმანული სამართლიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მოვალის ქონებაზე გაკოტრების (ინზოლვენცის) საქმის წარმოება იხსნება განცხადების საფუძველზე ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 6 (1); InsO, §13). გაკოტრების განცხადების შეტანას ლიტერატურაში გაკოტრების წარმოების „ფორმალურ წინაპირობას" უწოდებენ[167].

განცხადების შეტანა წარმოადგენს აგრეთვე შპს-ის ქონებაზე გაკოტრების (ინზოლვენცის) წარმოების გახსნის ფორმალურ წინაპირობას. გაკოტრების განცხადების შეტანისათვის არ არის დადგენილი რაიმე სპეციალური ფორმა. თუმცა ქართულმა სამართალმა 2001წ. განხორციელებული ნოვაციის შემდეგ დააწესა მინიმალური ნორმატიული მოთხოვნები ცალკე მოვალის მიერ შესატან გაკოტრების განცხადებაზე, და ცალკე – გაკოტრების კრედიტორის განცხადებაზე ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლები $6^1$ და $6^2$).

გაკოტრების განცხადება სასამართლოს შეიძლება წარედგინოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაკოტრების განცხადება უნდა ჩაიწეროს სასამართლოს კანცელარიაში. ხოლო განცხადების შინაარსში გარკვევით უნდა იქნას გამოხატული, რომ განცხადების შემტანს სურს მოვალის გაკოტრება. აღსანიშნავია, რომ განცხადების ზეპირად წარდგენისას სასამართლოს კანცელარიის შესაბამისმა თანამდებობის პირმა განმცხადებლისაგან უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კანონში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

## §2. გაკოტრების განცხადების შეტანის უფლებამოსილება

განცხადების შეტანის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის სამართალი ერთიანია მოვალესთან (ჩვენს შემთხვევაში შპს-თან) მიმართებაში.

---

166 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 35, გვ. 721

167 როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, 1-ლი გამოცემა, 1999, გვ. 26-27

განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ კრედიტორის შემთხვევაში. გაკოტრების ქართული სამართალი განცხადების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ გაკოტრების კრედიტორს, ანუ პირს, რომელსაც შპს-ის მიმართ ქონებრივი პრეტენზიები წარმოეშვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 6.1, წინადადება 2). გაკოტრების (ინზოლვენცის) 1994წ. გერმანული სამართალი, ქართული სამართლისაგან განსხვავებით, აფართოებს კრედიტორთა წრეს და განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირად აცხადებს არა მხოლოდ გაკოტრების კრედიტორს, არამედ ნებისმიერ კრედიტორს, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი ინტერესი წარმოების გახსნის მიმართ (InsO, §14).

გაკოტრების განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ კრედიტორთა წრის გაფართოება უცხო არ იყო აგრეთვე გერმანიის 1877წ. გაკოტრების დებულებისათვის (Konkursordnung), რომელიც, გაკოტრების კრედიტორის გარდა, განცხადების შეტანის უფლებას ანიჭებდა აგრეთვე მასის ზოგიერთ კრედიტორსაც. მაგალითად, მუშაკებს, სავაჭრო წარმომადგენლებს და სხვ. შეეძლოთ შეეტანათ განცხადება წარმოების გახსნამდე ექვსი თვის მიუღებელ გასამრჯელოზე (KO, §103 II). მართალია, გერმანული სამართალი ასეთ კრედიტორებს, რომელთაც მოთხოვნა წარმოების გახსნამდე წარმოეშვათ, მასის კრედიტორთა რანგში ჩარიცხავს, მაგრამ თავიანთი სამართლებრივი ბუნებით ისინი ემსგავსებიან გაკოტრების ქართულ სამართალში დახასიათებულ გაკოტრების კრედიტორებს. როგორც აღვნიშნე, გაკოტრების ქართული სამართალი გაკოტრების კრედიტორის სტატუსს ანიჭებს ყველა კრედიტორს, ვისაც მოვალის მიმართ მოთხოვნა წარმოეშვა გაკოტრების წარმოების გახსნამდე. ამიტომ გასაგები ხდება 1877წ. გაკოტრების დებულების მიდგომა, რომელიც განცხადების შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებდა უკვე არსებული მოთხოვნის მქონე კრედიტორებს.

ინზოლვენცის ახალმა გერმანულმა სამართალმა შემოიღო წარმოების გახსნისადმი კრედიტორის "სამართლებრივი ინტერესის" (rechtliches Interesse) მდგომარეობა, რითაც უფრო გააფართოვა იმ კრედიტორთა წრე, რომელთაც შეუძლიათ განცხადების საფუძველზე მოითხოვონ გაკოტრების წარმოების გახსნა. მაშასადამე, წარმოების გახსნის მიმართ სამართლებრივი ინტერესი შეიძლება გააჩნდეს არა მხოლოდ გაკოტრების (ინზოლვენცის) კრედიტორს, არამედ საკუთრებისა და უზრუნველყოფილ კრედიტორსაც. ქართული სამართლის მიხედვით კი არც საკუთრების, და არც უზრუნველყოფილ კრედიტორს არა აქვს უფლება შეიტანოს გაკოტრების განცხადება. ეს აიხსნება იმით, რომ მათ მოვალის მიმართ აქვთ მხოლოდ სანივთო-სამართლებრივი პრეტენზიები, რომლებიც სამართლებრივად არ წარმოად-

გენენ ქონებრივ პრეტენზიებს. გაკოტრების ქართული კანონი განცხადების შეტანის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ქონებრივი პრეტენზიის მქონე კრედიტორს, ანუ გაკოტრების კრედიტორს[168].

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყნის სამართალი ერთიანია იმასთან დაკავშირებით, რომ გაკოტრების (ინზოლვენცის) წარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ კერძო ინიციატივით. სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტს არა აქვს უფლება, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე (von Amts wegen), ანუ თავისი ინიციატივით გახსნას გაკოტრების წარმოება. მას როგორც საჯარო სამართლის სუბიექტს ასევე არა აქვს უფლება მოითხოვოს გაკოტრების წარმოების გახსნა, თუკი არ არსებობს მისი სამართლებრივი ინტერესი კონკრეტულ წარმოებაში. სამართლებრივი ინტერესი კი სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოგვევლინება როგორც გაკოტრების კრედიტორი. ხოლო გაკოტრების კრედიტორად სახელმწიფო შეიძლება ჩაერთოს წარმოებაში არა მხოლოდ კერძო სამართლებრივი (ნასყიდობა, ქირავნობა და ა.შ.), არამედ აგრეთვე საჯარო სამართლებრივი (მაგ., გადასახადის გადაუხდელობა) ურთიერთობებიდან გამომდინარე.

ამრიგად, სახელმწიფო, თუკი მას არ გააჩნია ქონებრივი პრეტენზია მოვალის წინააღმდეგ, არ შეიძლება გამოვიდეს გაკოტრების წარმოების გახსნის ინიციატორად. საერთოდ, მოვალის წინააღმდეგ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია თვითონ შეარჩიოს თავისი უფლების განხორციელების ხერხები. კერძოდ, მას შეუძლია თავისი მოთხოვნა განაცხადოს ან ჩვეულებრივ სამოქალაქო-საპროცესო სააღსრულებო წარმოებაში, ანდა – გაკოტრების წარმოებაში. ხოლო წარმოების გახსნის მიზნით სახელმწიფოს მიერ ინიციატივის გამოჩენა გამოიწვევდა კრედიტორის ამ არჩევანის უფლების შეზღუდვას[169].

მოვალე–შპს-ის სახელით განცხადების შეტანის უფლება აქვს საზოგადოების დირექტორს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ გერმანული შპს-ის კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ შპს-ას სასამართლო და სასამართლოსგარეშე ურთიერთობებში წარმოადგენს დირექტორი (GmbHG, §35). ქართული სამეწარმეო სამართალი, მართალია, ზოგადად საუბრობს შპს-ის დირექტორის უფლებამოსილებაზე, წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 9.4), მაგრამ, ცხადია, რომ მესამე პირად მოიაზრება აგრეთვე სასამართლო. შპს შეიძლება

---

168 გაკოტრების კრედიტორის სტატუსთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, 1-ლი გამოცემა, 1999, გვ. 70-72

169 Insolvenzrechts-Handbuch /von Hans Arnold ...§7,Rdn. 3, გვ. 110

წარმოადგინოს აგრეთვე ლიკვიდატორმა, თუკი საზოგადოება იმყოფება ლიკვიდაციის სტადიაში. შესაბამისად, გაკოტრების განცხადების შეტანის უფლებამოსილება მიენიჭება აგრეთვე ლიკვიდატორს.

პრაქტიკაში შეიძლება დავა გამოიწვიოს ისეთი მოვალე–შპს-ის განცხადების დაშვებამ, სადაც რამდენიმე დირექტორი ან ლიკვიდატორია და იგი შეტანილია მხოლოდ ერთი დირექტორის ან ერთი ლიკვიდატორის მიერ. გაკოტრების ქართული სამართალი 2001 წლამდე არ აწესრიგებდა ამ შემთხვევას. მხოლოდ 2001წ. განხორციელებული ნოვაციის შედეგად შეივსო ეს ხარვეზი – კანონი აუცილებლად მოითხოვს ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი დირექტორის (ან ლიკვიდატორის) დამაჯერებლობას გაკოტრების საფუძვლის მტკიცებისას[170]. განხორციელებული ნოვაცია შესაბამისობაში მოვიდა ინზოლვენციის გერმანული სამართალის ანალოგიურ ნორმებთან, (InsO, §15 II) გარდა ამისა, ორივე სამართალი ამჟამად უკვე ერთიანია დანარჩენი დირექტორების (ლიკვიდატორების) მიმართ, რომლებმაც არ მოითხოვეს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა – მათ სასამართლომ უნდა მოუსმინოს.

შპს-ის პარტნიორს არ აქვს გაკოტრების განცხადების შეტანის უფლება, ვინაიდან იგი როგორც ასეთი არ გამოხატავს საზოგადოების ნებას მესამე პირებთან მიმართებაში. პარტნიორს გააჩნია მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ[171]. შესაბამისად, მას არა აქვს უფლება წარმოადგინოს შპს მესამე პირების წინაშე ან იმოქმედოს მისი სახელით. ეს წესი ვრცელდება შპს-ის ერთადერთი პარტნიორის მიმართაც.

რამდენადაც გაკოტრების-სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალეს წარმოადგენს თავად შპს, ამდენად მისი სახელით, როგორც უკვე აღვნიშნე, გაკოტრების განცხადება შეაქვს დირექტორს (ლიკვიდატორს). შპს-ის პარტნიორებმა კრებაზე შეიძლება მიიღონ კიდეც გადაწყვეტილება გაკოტრების განცხადების შეტანის (ან შეტანის დაუშვებლობის) შესახებ, მაგრამ პარტნიორთა ეს გადაწყვეტილება არ არის მავალებლი დირექტორისათვის (ლიკვიდატორისათვის). შპს-ს პარტნიორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაკოტრების განცხადების შეტანა, თუ იგი იმავდროულად არის დირექტორი ან ლიკვიდატორი.

შპს-ის პარტნიორს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა საზოგადოების მიმართ და შესაბამისად მოგვევლინოს მის ერთ-ერთ კრედიტორადაც. მაგალითად, მისი მოთხოვნა შპს-

---

170 შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი, 2001წ. რედაქცია, სსმ, №11, 2001, მუხლი $6^1$

171 იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, თბ. 1998, გვ. 20

ის მიმართ შეიძლება წარმოიშვას დივიდენის გაუნაწილებლობასთან ან შპს-ის მხრიდან მის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაშიც იგი შპს-ის როგორც მოვალის სახელით ვერ შეიტანს გაკოტრების განცხადებას. მას შეუძლია განცხადება შეიტანოს მხოლოდ როგორც კრედიტორმა. თუმცა გერმანული სამართლის მიხედვით, პარტნიორი-კრედიტორის მოთხოვნა უკანა რიგში გადაიწევს გაკოტრების სხვა ჩვეულებრივ კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებაში[172].

## §3. გაკოტრების განცხადების უკან გატანა

ცალკე მსჯელობის საგანია გაკოტრების განცხადების უკან გატანა. გაკოტრების ქართული სამართალი 2001 წლამდე, ანუ ნოვაციამდე ასევე არ აწესრიგებდა ამ საკითხს. არ არსებობდა აგრეთვე პირდაპირი ნორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ განმცხადებელს უფლება არ ჰქონდა, უარი ეთქვა თავის განცხადებაზე. საერთოდ, გაკოტრების განცხადებაზე უარის თქმა ემსგავსება ისეთ სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტს, როგორიცაა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 272 „გ“). ამდენად, ნოვაციის განხორციელებამდე ამ საკითხს გარკვეულწილად ავსებდა სამოქალაქო საპროცესო სამართალი გაკოტრების კანონის მე-4 მუხლზე დაყრდნობით. ეს ნორმა, თავის მხრივ, იძლეოდა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას. 2001წ. 10 აპრილის ცვლილებებით გაკოტრების კანონმა უკვე უშუალოდ მოაწესრიგა განცხადების უკან გატანის შესაძლებლობა. გაკოტრების განცხადების უკან გატანის საკითხებს აწესრიგებს აგრეთვე ინზოლვენცის გერმანული კანონი (InsO, §13 II).

გაკოტრების განცხადების უკან გატანასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრების განცხადება მხოლოდ მანამდე შეიძლება უკან იქნას გატანილი, ვიდრე სასამართლო გახსნის გაკოტრების საქმის წარმოებას. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ მოვალე ხდება წარმოების პასიური მხარე, ხოლო წარმოების მართვის სადავეები მთლიანად გადადის გაკოტრების მმართველზე. გარდა ამისა, სამართალუზრუნველყოფის (Rechtssicherheit) ინტერესების გათვალისწინებით, დაუშვებელია განცხადების უკან წაღებით ეჭვის ქვეშ დადგეს გახსნილი წარმოება, რომელიც გარკვეულ შედეგებს წარმოშობს მესამე პირთა მიმართ[173].

---

172 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 22, გვ. 707

173 Gesetz zur Reform der Insolvenzrechts, Referentenentwurf mit allgemeiner Begründung und Begründung zu den einzelnen Vorschriften, Bundesanzeiger 5.12.1989 Nr. 227a, გვ. 15-16

გაკოტრების განცხადების უკან გატანა არ შეიძლება მაშინაც, თუკი სასამართლო უარს ეტყვის განმცხადებელს წარმოების გახსნაზე და სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა.

გაკოტრების განცხადების უკან გატანის უფლება წარმოეშობა მხოლოდ შპს-ის იმ დირექტორს (ლიკვიდატორს), რომელიც შეიტანს განცხადებას[174]. სხვა დირექტორი მხოლოდ მაშინ შეიძენს განცხადების გამოტანის უფლებას, როცა განცხადების შემტანი დირექტორი წარმოების გახსნამდე გათავისუფლებული იქნება თანამდებობიდან.

## §4. გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება

*ა) წინაპირობები*

შპს-ის დირექტორი (ლიკვიდატორი), გარდა იმისა, რომ უფლებამოსილია, იგი ვალდებულიცაა შეიტანოს გაკოტრების განცხადება, თუკი სახეზეა გაკოტრების (ინზოლვენცის) რომელიმე საფუძველი (“მეწარმეთა შესახებ “კანონი, მუხლი 14.1.3; GmbHG, §§64, 71 IV). გაკოტრების ისეთი საფუძველი, როგორიცაა ზედავალიანება, საჭიროებს დადგენას. ზედავალიანების დადგენა კი დაკავშირებულია გარკვეულ ეკონომიკურ გაანგარიშებებთან და ღირებულებების შეფასებასთან. ამიტომ შპს-ის დირექტორი სისტემატიურად უნდა აკონტროლებდეს ზედავალიანების მდგომარეობას, კერძოდ, იგი მუდმივად უნდა ადგენდეს ზედავალიანების ბალანსებს.

გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება დირექტორს (ლიკვიდატორს) წარმოეშობა გაკოტრების შესაბამისი საფუძვლის დადგომიდან არაუგვიანეს სამი კვირის ვადაში. ეს ვადა ერთნაირია ორივე სამართალში (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, იგივე მუხლი; GmbHG, §64 II).

*ბ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები*

გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება განმტკიცებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით. აღნიშნული პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაში, თუ შპს-ის დირექტორი (ლიკვიდატორი) ბრალეულად გააჭიანურებს განცხადების შეტანას. ამასთან, ბრალეული გაჭიანურებისათვის მნიშვნელობა არა აქვს დირექტორი (ლიკვიდატორი) გაუფრთხილებლად მოქმედებდა თუ შეგნებულად. მთავარია,

---

174 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 22, გვ. 707

რომ მას ბრალი ედებოდეს განცხადების შეტანის გაჭიანურებაში. როგორც ქართული, ისე გერმანული სამართალი ერთიანია იმაში, რომ ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნიოს დირექტორის (ლიკვიდატორის) ისეთი მოქმედება, როდესაც იგი გაკოტრების წარმოების გახსნას ეპყრობოდა კეთილსინდისიერად ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლები 14.1.3 და 9.7). გერმანული სამართალი დირექტორისაგან ასეთ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების გარდა, მოითხოვს აგრეთვე ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებასაც (Sorgfalt eines ordentlichen Geschäftsmannes) შდრ. (GmbHG, §64).

თუკი გერმანულ სამართალში შპს-ის დირექტორის (ლიკვიდატორის) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გაკოტრების სამართლის თანმდევად არსებობდა (GmbHG, §84), ქართულმა სამართალმა ასეთი პასუხისმგებლობა დააწესა გაკოტრების კანონის ამოქმედებიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ – 2000წ. 1 ივნისიდან, როდესაც ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 207).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, განცხადების შეტანაზე ვალდებულ პირებს ეკისრებათ აგრეთვე ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობაც. ქართული სამართალი ცალსახად განსაზღვრავს ზიანის მიყენების ობიექტს – ესაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ("მეწარმეთა შესახებ კანონი", მუხლი 14.1.3, აბზაცი 2). გერმანული შპს-ის კანონიც მხოლოდ შპს-ას მიიჩნევს განცხადების შეუტანლობის „მსხვერპლად" (GmbHG, §64 II). თუმცა, გერმანული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა იქითკენ იხრება, რომ დირექტორმა ზიანი, შპს-ის გარდა, აუნაზღაუროს აგრეთვე საზოგადოების კრედიტორსაც. გერმანულ ლიტერატურაში შპს-ის კრედიტორების მიმართ პასუხისმგებლობა დასაბუთებულია BGB-ს შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით[175]. მაგალითად, BGB-ს §823 ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას საფუძვლად უდებს ისეთი კანონის დარღვევას, რომელსაც მიზნად ჰქონდა სხვისი დაცვა. სწორედ ამ "სხვაში" იგულისხმებიან შპს-ის კრედიტორები (მომავალში: "გაკოტრების კრედიტორები"). მათი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება ქვოტის შემცირებას (ე. წ. „ქვოტური ზარალი"[176]). ქვოტის შემცირება კი შეიძლება გამოიწვიოს განცხადების შეუტანლობის გამო გაკოტრების წარმოების გახსნის დაყოვნებამ, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს გაკოტრების მასის შემცირება. გაკოტრების კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სიდიდე უშუალოდ უკავშირდება გასანაწილებელი ქვოტის

---

175 Baumann, Konkurs und Vergleich, 2. Aufl. 1981, გვ. 26; შდრ. აგრეთვე BGB, §823 II

176 Kuhn-Uhlenbruck, §207, Vorb. D, Rdn. 14f, გვ. 1786

ოდენობას, ანუ რაც უფრო მაღალია ქვოტა, მით უფრო მეტ თანხას იღებს კრედიტორი. ამრიგად, ქვოტური ზარალი შედგება იმ სხვაობისაგან, რომელიც წარმოიშობა თავისდროულად შეტანილი განცხადებით მისაღწევ ქვოტის ოდენობასა და ფაქტობრივად მიღებულ ქვოტას შორის. გაკოტრების განცხადების შეტანა ერთი დირექტორის (ლიკვიდატორის) მიერ, ათავისუფლებს სხვა დანარჩენ დირექტორებს (ლიკვიდატორებს). განცხადების შეტანის მოვალეობისაგან, და შესაბამისად, თანმდევი პასუხისმგებლობებისაგან.

ამრიგად, გაკოტრების (ინზოლვენცის) სამართალში განმტკიცებული გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება ემსახურება შპს-ის გაკოტრების კრედიტორთა ინტერესების დაცვას. ამასთან, გაკოტრების განცხადების შეტანა არ უზრუნველყოფს იმ პირთა დაცვას, რომლებიც საზოგადოების კრედიტორებად მოგვევლინენ მხოლოდ იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც განცხადება უნდა ყოფილიყო შეტანილი. ამ პირებს არ შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოეშვათ მათ იმის გამო, რომ საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს გასაკოტრებლად მომწიფებულ საზოგადოებასთან[177].

ის, რომ საზოგადოება გასაკოტრებლად მომწიფებული იყო, სულაც არ ავალდებულებს შპს-ის დირექტორს ხელშეკრულების დადებისას აცნობოს ამის შესახებ ხელშეკრულების მხარეს. შპს-ის დირექტორი, ხელმძღვანელობის მოვალეობებიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ კეთილსინდისიერად, ანუ ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით წარმართოს საზოგადოების საქმეები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 9.7; GmbHG, §43 II). დირექტორის მიერ დადებული ყოველი ხელშეკრულებაც მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისაკენ და საზოგადოების შემოსავლების გაზრდისაკენ არის მიმართული. სწორედ ამიტომ ხელშეკრულების მეორე მხარე ხელშეკრულების დადებისას ვერ დასდებს ბრალს შპს-ის დირექტორს არაკეთილსინდისიერებასა და უნდობლობაში, და შესაბამისად, ვერც მოსთხოვს საზოგადოებას მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას დავა იმასთან დაკავშირებით, დაეკისრება თუ არა შპს-ის დირექტორს პასუხისმგებლობა გაკოტრების (ინზოლვენცის) განცხადების შეუტანლობაზე, თუკი იგი დარწმუნებულია იმაში, რომ წარმოების გახსნის შემთხვევაში საზოგადოების ქონება არ იქნება საკმარისი წარმოების ხარჯების დასაფარავად. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოვალის ქონების საკმარისობის შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. ამდენად ასეთი შეფასება მთლიანად

სასამართლოზეა გადატანილი. დირექტორის გამორიცხვას შეფასებისაგან ის უდევს საფუძვლად, რომ იგი ამაში გარკვეულწილად სუბიექტურიც კი შეიძლება იყოს. სწორედ ამიტომ ქონების საკმარისობის შეფასების ტვირთი გადადის დამოუკიდებელ და ნეიტრალურ ექსპერტზე, რომელსაც მოიწვევს სასამართლო. ხოლო სასამართლო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გაკოტრების წარმოების გახსნის ან გახსნაზე უარის თქმის შესახებ. ამრიგად, შპს-ის დირექტორს მაშინაც ეკისრება გაკოტრების (ინზოლვენციის) განცხადების შეტანის ვალდებულება, როცა საზოგადოების ქონება ფაქტობრივად მართლაც იმდენად მცირეა, რომ გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში იგი ვერ უზრუნველყოფს წარმოების ხარჯების დაფარვას. ამიტომ დირექტორი გაკოტრების განცხადების შეუტანლობას ვერ დააფუძნებს ქონების არარსებობას ან უკმარისობას. მისი ეს არგუმენტაცია არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ იგი გათავისუფლდეს განცხადების შეტანის ვალდებულებისაგან და შესაბამისად თანმდევი პასუხისმგებლობისაგან. დირექტორი ყველა შემთხვევაში ვალდებულია შეიტანოს განცხადება. ხოლო თუკი იგი არ დაეთანხმება გაკოტრების სასამართლოს წარმოების გახსნის საკითხში, მაშინ მას შეუძლია შეიტანოს კერძო საჩივარი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და თავის საჩივარში ამტკიცოს, რომ გაკოტრების სასამართლომ არასწორად დაასაბუთა წარმოების ხარჯებისათვის საკმარისი მასის არსებობა.

დირექტორის სამოქალაქო და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მაშინაც, თუ იგი ისე დატოვებს თანამდებობას, რომ არ შეიტანს განცხადებას. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თანამდებობის დატოვებისას საზოგადოება უკვე იყოს მომწიფებული გასაკოტრებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის დადგომისათვის გადამწყვეტია გაკოტრების რომელიმე საფუძვლის არსებობა. გარდა ამისა, გასული უნდა იყოს სამკვირიანი ვადაც, რომელიც დირექტორს მიცემული ჰქონდა განცხადების შესატანად. უდავოა ის ფაქტი, რომ დირექტორის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუკი იგი თანამდებობას დატოვებდა მანამდე, ვიდრე საზოგადოება გასაკოტრებლად მომწიფდებოდა, ანუ ვიდრე დადგებოდა გაკოტრების რომელიმე საფუძველი.

დირექტორის პასუხისმგებლობა დადგება მაშინაც, თუ იგი თანამდებობას დასტოვებს განცხადების შეტანის სამკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ. განცხადების შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობა წარმოიშვება მაშინვე, როგორც კი დირექტორი ბრალეულად გააჭიანურებს განცხადების შეტანას.

---

177 შდრ. Kuhn-Uhlenbruck, § 207, Vorb. D, Rdn. 14, გვ. 1784

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თანამდებობის დატოვების საფუძვლებს და მოტივებს. ისინი შეიძლება იყოს როგორც მნიშვნელოვანი, ისე უმნიშვნელო. გარდა ამისა, მნიშვნელობა არა აქვს თანამდებობის მიტოვების სახეს, კერძოდ, დირექტორი თავისი ნებით გადადგება თანამდებობიდან, თუ იგი პარტნიორთა (ზოგიერთ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს) გადაწყვეტილებით იქნება განთავისუფლებული. საზოგადოებისათვის კრიზისულ პერიოდში დირექტორის მიერ თავისი ნებით თანამდებობის მიტოვებისას ივარაუდება, რომ მას მიზნად ჰქონდა აეცილებინა გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულება, და შესაბამისად, აერიდებინა თავი პასუხისმგებლობისათვის. ამიტომ თანამდებობის ასეთი დატოვება ბათილად უნდა იქნას მიჩნეული, მით უფრო მაშინ, თუ საზოგადოებას ერთადერთი დირექტორი ჰყავს[178].

ცალკე უნდა აღინიშნოს ახლი დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებაც, რომელიც დაინიშნება სამკვირიანი ვადის ამოწურვამდე. ახალი დირექტორი ვალდებულია სრულად გაერკვეს საქმის ვითარებაში. ვითარების გარკვევაში მას უნდა დაეხმაროს წინა დირექტორიც. თუ საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ ახალი დირექტორი დარწმუნდება, რომ საზოგადოება მომწიფებულია გასაკოტრებლად, იგი ვალდებულია შეიტანოს გაკოტრების განცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სრულად დაეკისრება სამოქალაქო და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ისევე როგორც იგი დაეკისრებოდა წინა დირექტორს.

საინტერესოდ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ გათავისუფლებული დირექტორის ნაცვლად პარტნიორები სამკვირიანი ვადის განმავლობაში არ დანიშნავენ ახალ დირექტორს. გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ შემდეგნაირად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი. კერძოდ, ფედერალური სასამართლო პალატის შეხედულებით, ასეთ შემთხვევაში პარტნიორები არ შეიძლება დაავალდებულონ საზოგადოების კრედიტორების წინაშე, რომ დანიშნონ ახალი დირექტორი[179]. თუკი დირექტორი არ იქნება დანიშნული, კრედიტორებს შეუძლიათ დაანიშნინონ შესაბამის მარეგისტრირებელ მოსამართლეს სავალდებულო დირექტორი (Notgeschäftsführer), რათა მის მიერ განხორციელდეს განცხადების შეტანის ვალდებულება[180]. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო დირექტორის

---

178 შდრ. Kuhn-Uhlenbruck, § 207, Vorb. D, Rdn. 14w, გვ 1792
179 BGH (BB 1985, 6,7)
180 Kuhn-Uhlenbruck, § 207, Vorb. D, Rdn. 14v, გვ. 1792

დანიშვნის ხარჯებს გაიღებენ კრედიტორები, რომლებსაც ეს ხარჯები აუნაზღაურდებათ მასიდან, თუკი გაიხსნება გაკოტრების წარმოება[181].

*გ) ვალდებულებისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა*

შპს-ის პარტიორს არ აქვს უფლება, დირექტორი გაათავისუფლოს განცხადების შეტანის ვალდებულებისაგან. გაკოტრების განცხადების ვალდებულება კანონით დადგენილი ვალდებულებაა და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი.

დირექტორის ვალდებულება განცხადების შეტანაზე წარმოიშობა, თუკი არსებობს განცხადების შეტანის წინაპირობები. განცხადების შეტანისათვის სავალდებულო წინაპირობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის გაკოტრების ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა. პრაქტიკაში პარტნიორსა (პარტნიორებს) და დირექტორს შორის შეიძლება წარმოიშვას დავა გაკოტრების საფუძვლის არსებობის შესახებ. პარტნიორი შეიძლება არ ეთანხმებოდეს დირექტორს გაკოტრების საფუძვლის არსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია დირექტორის შინაგანი რწმენა, მისი დარწმუნებულობა.

პარტნიორებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება გაკოტრების განცხადების შეუტანლობის თაობაზე. თუმცა პარტნიორთა ასეთი გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო დირექტორისათვის და, შესაბამისად, იგი არ ათავისუფლებს დირექტორს განცხადების შეტანის ვალდებულებისაგან. ხოლო პარტნიორი არ არის ის უფლებამოსილი პირი, ვისაც შეუძლია მოუხსნას დირექტორს ის პასუხისმგებლობა, რაც მას შეიძლება დაეკისროს განცხადების შეუტანლობის გამო.

იგივე ითქმის გაკოტრების კრედიტორზეც, რომელსაც ასევე არ აქვს განცხადების შეტანისაგან დირექტორის გათავისუფლების უფლება, თუნდაც იმ მოტივით, რომ იგი უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე. დირექტორისათვის განცხადების შეუტანლობისათვის არსებითია, რომ აღმოფხვრილი იქნას გაკოტრების საფუძველი, როგორც განცხადების შეტანის წინაპირობა. ამისათვის გაკოტრების კრედიტორმა უნდა განახორციელოს კონკრეტული მოქმედება, კერძოდ, აპატიოს ან გადაუვადოს ვალი, მისცეს მოვალეს სხვა სახსრები და ა. შ. ამასთან, კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნების სიტყვიერი უარყოფა არ არის საკმარისი, რათა დირექტორმა უარი თქვას თავის კანონისმიერ ვალდებულებაზე.

---

181 Kuhn-Uhlenbruck, § 207, Vorb. D, Rdn. 14v, გვ. 1792

# თავი 7. შპს-ის გაკოტრების მასა

## §1. შესავლის მაგიერ

შპს-ის გაკოტრების მასის დახასიათებისას ამოსავალია ის ზოგადი ცნებები და პრინციპები, რაც დამახასიათებელია ზოაგადად ვალაუვალი მოვალის, როგორც ასეთის, გაკოტრების მასისათვის. ამრიგად, გაკოტრების მასის ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, შპს-ის გაკოტრების მასას წარმოადგენს შპს-ის კუთვნილი მთელი ის ქონება, რომელიც შეიძლება გადასახდელად იქნას მიქცეული იძულებითი აღსრულების წარმოებაში, ანუ შპს-ის დაყადაღებაუნარიანი ქონება. რაც შეეხება ქონებაზე საკუთრების უფლებას, გაკოტრების სამართალს აინტერესებს აღნიშნული უფლების არსებობა მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რომელიც გააჩნდა მოვალეს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის. იგივე პრინციპი გამოიყენება შპს-ის მიმართაც, როდესაც გაკოტრების სამართალი არ ინტერესდება, თუ რა ქონება გააჩნდა საკუთრებაში შპს-ას მთელი თავისი არსებობის პერიოდისათვის. გაკოტრების ინტერესის საგანს არ წარმოადგენს აგრეთვე ის ქონება, რომელიც შეძენილი იქნა შპს-ის მიერ გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, ანუ ახალშენაძენი (Neuerwerb).

მიუხედავად ზოგადი ცნებებისა და პრინციპებისა, შპს-ის გაკოტრების მასა მაინც ხასიათდება ერთგვარი თავისებურებებით. ეს თავისებურებები გამომდინარეობს შპს-ის, როგორც კაპიტალური საზოგადოების სამართლებრივი ბუნებიდან. კაპიტალური საზოგადოების ქონების შემადგენლობაში ჩართულია არა მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც ექვემდებარებიან იძულებით აღსრულებას (აღსრულებაუნარიანი ნივთები), არამედ ისეთი ნივთებიც, რომლებზეც დაუშვებელია დამოუკიდებელი აღსრულების განხორციელება. გარდა ამისა, შპს-ის ქონების შემადგენლობაში შედის აგრეთვე სხვადასხვა სახის მოთხოვნებიც, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ მესამე პირთა, არამედ პარტნიორების მიმართაც.

## §2. შპს-ის გაკოტრების მასის შემადგენლობა

შპს-ის ქონებას, პირველ რიგში, მიეკუთვნება აქტივები, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სახით. აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტივები. ქონებაში შედის აგრეთვე ისეთი უფლებები, რომლებიც ცალკე აღებულნი დამოუკიდებლად არ ექვემდებარებიან გადასახდევინებლად მიქცევას, ვინაიდან დაუშვებელია მათი დამოუკიდებლად გასხვისება. თუმცა ცალკე უნდა იქნას

დახასიათებული ზოგიერთი ქონება, რომელიც თავისებურებებით ხასიათდება და არ განეკუთვნება "ჩვეულებრივ ქონებათა" რანგს. ამ ქონების "არაჩვეულებრიობა" გამოიხატება არა მხოლოდ მისი გასხვისების თავისებურებაში, არამედ აგრეთვე – გაკოტრების მასაში მისი მოზიდვის სპეციფიურობით. განსაკუთრებით მსურს გამოვყო შპს-ის ქონების ისეთი საგნები, როგორიცაა: საფირმო სახელწოდება, მოთხოვნა პარტნიორის მიმართ და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

*ა) საფირმო სახელწოდება*

შპს-ის **ფირმა** (საფირმო სახელწოდება) – შესაბამისი ღირებულების შემცველი ქონებაა. ამიტომ საფირმო სახელწოდება როგორც ქონების შემადგენელი ნაწილი, მიეკუთვნება გაკოტრების მასას.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის სადაოდ გამხდარი საფირმო სახელწოდების ქონებრივი თვისებრიობა. იგი განიხილება მეწარმის კუთვნილი ქონებრივი კომპლექსის არამატერიალურ ელემენტად[182]. გარდა ამისა, ქართულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, საფირმო სახელწოდება სამოქალაქო სახელის ნაირსახეობად მიიჩნევა[183]. სწორედ თავისი არამატერიალური ბუნებიდან გამომდინარე, საფირმო სახელწოდება წარმოადგენს მეწარმის ერთ-ერთ უფლებას. ქართული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, უფლება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ერთ-ერთი ელემენტია (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 152). ხოლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე კი, თავის მხრივ, ქონების შემადგენელ ნაწილად არის განხილული (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147). ამდენად, საფირმო სახელწოდება წარმოადგენს ქონებას, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი შეფასებითი ღირებულება აქვს. როგორც ქონება ფირმა (საფირმო სახელწოდება) შეიძლება გახდეს ცალკე შეთანხმებისა და შეფასების საგანი[184]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაკოტრების მმართველს შეუძლია რეალიზება უყოს მას როგორც გაკოტრების მასას მიკუთვნებულ საგანს.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შეზღუდულია საფირმო სახელწოდების, როგორც ცალკე აღებული ქონების გასხვისება. იგი

---

[182] იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, 1998, გვ. 99

[183] იხ. დავით ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება II, კომერციული აღნიშვნები, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, თბილისი 1998, გვ. 138

[184] ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, იგივე, გვ 100

შეიძლება გაყიდული იქნას მხოლოდ საწარმოსთან ერთად[185]. მართალია, ქართულ სამართალში არ არსებობს პირდაპირი ნორმა ამის შესახებ, მაგრამ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების სისწორე არაპირდაპირ გამომდინარეობს "მეწარმეთა შესახებ" კანონის 6.8 მუხლიდან. ამ ნორმის თანახმად, საწარმოს შემძენს მინიჭებული აქვს არჩევანის უფლება საფირმო სახელწოდების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძინა მან ამ საწარმოსთან ერთად. კერძოდ, მას შეუძლია დაურთოს ან არ დაურთოს ადრინდელ საფირმო სახელწოდებას სამემკვიდრეო ურთიერთობათა აღმნიშვნელი დამატება, თუკი იქნება ამაზე ადრინდელი მფლობელის, მისი მემკვიდრეების ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა. მაშასადამე, ამ ნორმიდან პირდაპირ იკითხება, რომ საწარმოს შეძენასთან ერთად შემძენი იძენს აგრეთვე საფირმო სახელწოდებას. მაგრამ მისი შემდგომი გამოყენება უკვე გარკვეულ პირობებთან არის დაკავშირებული.

გერმანული სამართლის მიხედვით, საფირმო სახელწოდება, ცალკე აღებული, არ ექვემდებარება აგრეთვე გადასახდევინებლად მიქცევას[186]. შპს-ის საფირმო სახელწოდება მაშინაც არის გაკოტრების მასის ნაწილი, თუ ფირმა შეიცავს რომელიმე პიროვნების, მაგალითად, პარტნიორის სახელს. აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვალაუვალი მოვალე არის იურიდიული პირი (შპს), ხოლო მისი საფირმო სახელწოდება შეიცავს ფიზიკური პირის სახელს, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს სახელის უფლება (BGB, §12). გაკოტრების მმართველს ამ შემთხვევაშიც შეუძლია გაასხვისოს საფირმო სახელწოდება, თუმცა სავაჭრო კოდექსის (HGB) მოთხოვნათა დაცვით. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა კი დაკავშირებულია ადრინდელი მფლობელის ან მემკვიდრის თანხმობასთან (HGB, §22 I). როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთივე მოწესრიგება გვაქვს ქართულ სამართალშიც, როდესაც საწარმოს შეძენისას შემძენს შეუძლია საწარმო გააგრძელოს იმავე ფირმის გამოყენებით, ოღონდ ადრინდელი მფლობელის ან მემკვიდრის თანხმობით ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 6.8). ამრიგად, შემძენი საწარმოს შეძენით მოიპოვებს შპს-ის საფირმო სახელწოდების განკარგვის უფლებამოსილებას. ხოლო თუ ამის შემდეგ შპს გაკოტრდა, მაშინ ეს უფლებამოსილება გადავა გაკოტრების მმართველზე.

გერმანულ სამართალში, განსხვავებით ქართული სამართლისა, არსებობს პირდაპირი ნორმა იმის შესახებ, რომ საფირმო სახელწოდება არ შეიძლება გასხვისებულ იქნას იმ წარმოების (Handelsgeschäft) გარეშე, რომელსაც ერთვის იგი (HGB, §23). ამ ნორმით

---

185 ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, იგივე, გვ 100; დ. ძამუკაშვილი, იგივე, გვ. 150

186 Kuhn-Uhlenbruck, §207, Vorb. D, Rdn. 22f, გვ. 1801

შეზღუდულია გაკოტრების მმართველიც, რომელმაც ფირმის გასხვისება მხოლოდ საწარმოს (წარმოების) რეალიზაციას უნდა დაუკავშიროს.

საფირმო სახელწოდების მსგავს უფლებებს მიეკუთვნება, აგრეთვე, სასაქონლო ნიშანი, სხვისი საკუთრების სარგებლობის უფლება (უზუფრუქტი) და ა.შ.

*ბ) შპს-ის მოთხოვნა პარტნიორის მიმართ*

შპს-ის პასუხსაგები კაპიტალის ძირითად ბირთვს შეადგენს შპს-ის **პარტნიორის შესატანი** (Einlage) საწესდებო, ანუ ძირითად კაპიტალში (Stammkapital). პარტნიორს შეუძლია შესატანი შეიტანოს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. თუ პარტნიორმა არ შეიტანა შესატანი დათქმულ დროში, მაშინ შპს-ას როგორც კრედიტორს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება პარტნიორის მიმართ ამ შეუტანელი (დარჩენილი) შესატანის (rückständige Einlage) შეტანასთან დაკავშირებით. შპს-ის აღნიშნული მოთხოვნა პარტნიორის მიმართ აქტუალურია არა მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც შპს აქტიურ სტადიაშია, ანუ როდესაც მისი მიზანი მოგების მიღებისაკენ არის მიმართული, არამედ – მაშინაც, როდესაც შპს-ის მიზანი იცვლება მოგების მიღებიდან ლიკვიდაციისაკენ. მაშასადამე, შპს-ას შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს პარტნიორს გაკოტრების წარმოების დროსაც. ეს ნიშნავს, რომ შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნა არ სპობს პარტნიორის ვალდებულებას, შეიტანოს დარჩენილი, შეუტანელი შესატანი საწესდებო კაპიტალში. ამრიგად, გაკოტრების მასას მიეკუთვნება აგრეთვე შპს-ის მოთხოვნა პარტნიორის მიმართ დარჩენილი (შეუტანელი) შესატანის შეტანასთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქონებაა შპს-თვის, რომელიც უზრუნველყოფს მისი გაკოტრების მასის შევსებას.

შპს-ის აღნიშნულ მოთხოვნას საკუთარი პარტნიორების მიმართ საზოგადოების სახელით განახორციელებს გაკოტრების მმართველი, ვინაიდან გაკოტრების გახსნილ წარმოებაში იგი არის ერთადერთი უფლებამოსილი (ასევე ვალდებული) პირი, ვისაც შეუძლია (და ევალება) გაკოტრების მასაში მოიზიდოს შპს-ის ქონება, მათ შორის დარჩენილი შესატანები. თავისი ამ ფუნქციით გაკოტრების მმართველი ცვლის შპს-ის ორგანოს, კერძოდ, პარტნიორთა კრებას, რომლის კომპეტენციაშიც შედის მოთხოვნების წაყენება შესატანების გადახდასთან დაკავშირებით ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 47.3 "ნ"; GmbHG §46 Nr. 2).

გაკოტრების მმართველი, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, არ საჭიროებს რაიმე თანხმობის მიღებას პარტნიორებისაგან. პარტნიორთა კრებას აღარ გააჩნია რაიმე

კომპეტენცია ქონებასთან მიმართებაში. ამგვარად არის გადაწყვეტილი აღნიშნული საკითხი აგრეთვე გერმანულ სამართალში187. ამასთან, გერმანული სამართლის მიხედვით, გაკოტრების მმართველს შეუძლია წაუყენოს პარტნიორს შეუტანელი შესატანების გადახდის მოთხოვნა დაყოვნების პროცენტთან (Verzugszinsen) ერთად, ისევე როგორც ამას მოიმოქმედებდა საზოგადოება პარტნიორის მიმართ არასაგაკოტრებო ურთიერთობაში (GmbHG §20).

დარჩენილი შესატანის შეტანა დაკავშირებულია გარკვეულ ვადასთან, რომლის დათქმაც ხდება შპს-ის წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით, თუკი ადგილი აქვს საწესდებო კაპიტალის გაზრდას. ამ შემთხვევაში საზოგადოებას არა აქვს უფლება, მოსთხოვოს პარტნიორს დარჩენილი (შეუტანელი) შესატანის ვადამდე შეტანა. პარტნიორისათვის აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა შპს-ში ხორციელდება პარტნიორთა კრების მეშვეობით, თუკი წესდებაში ეს საკითხი სხვაგვარად არ იქნება გადაწყვეტილი, მაგალითად, თუკი ეს უფლებამოსილება დირექტორს არ ექნება მინიჭებული ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 47.3 „ნ"). გერმანული სამართალი მოთხოვნის წარდგენას კი მხოლოდ პარტნიორების პრეროგატივად აცხადებს (GmbHG §46 Nr. 2).

შესატანის ვადამდე შეტანა ვერ იქნება მოთხოვილი მაშინაც, როდესაც აღნიშნული ვადის დადგომამდე გაიხსნება გაკოტრების წარმოება შპს-ის ქონებაზე. რადგანაც შპს-ას ახლა უკვე გაკოტრების მმართველი წარმოადგენს, შესაბამისად, მას ეკრძალება პარტნიორის დავალდებულება, ვადის დადგომამდე გადაიხადოს შეუტანელი შესატანი. გაკოტრება არ იწვევს ავტომატურად გადახდის ვადის დადგომას გაკოტრების მასის მოთხოვნებისათვის[188]. თუკი დარჩენილი შესატანის გადახდის ვადა დადგება გაკოტრების საქმის წარმოების მიმდინარეობისას, მაშინ გაკოტრების მმართველს შეუძლია ვადის დადგომისთანავე მოსთხოვოს პარტნიორს დარჩენილი შესატანის გადახდა. თუმცა გაკოტრების მმართველის ასეთ მოთხოვნას აზრი აქვს მანამდე, ვიდრე დასრულდება გაკოტრების მასის განაწილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორის მიერ გაკოტრების მიმდინარეობისას დარჩენილი შესატანის ვადამდე გადახდა არ ანიჭებს მას არავითარ პრივილეგიას, რომ სხვა პარტნიორებთან შედარებით უპირატესად იქნას დაკმაყოფილებული მასის განაწილების შემდგომ დარჩენილი ქონებიდან. იმის გამო, რომ დარჩენილი შესატანის შეტანასთან დაკავშირებული მოთხოვნა მიეკუთვნება გაკოტრების მასას, გერმანული სამართლის მიხედვით გაკოტრების მმართველს შეუძლია პარტნიორის მიმართ გამოიყენოს

187 იხ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 49, გვ. 735

**კადუცირების** (Kaduzierung) უფლება, ანუ დამატებით მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ გამოაცხადოს საზოგადოების სასარგებლოდ პარტნიორის კუთვნილი წილი და მის მიერ ადრე შესრულებული შესატანები (GmbHG §21).

ამრიგად, გერმანული ლიტერატურის მიხედვით, კადუცირება წარმოადგენს შესატანის თავისდროულად შეუტანლობის გამო პარტნიორის გარიცხვის ერთ-ერთ სახეს[189]. კადუცირება შესაბამისად გამოიყენება აგრეთვე დამატებითი შესატანების მიმართაც (GmbHG §28).

პარტნიორის გარიცხვის ამ შესაძლებლობას იყენებს შპს-ის დირექტორი არასაგაკოტრებო ურთიერთობებში. თუკი გახსნილია გაკოტრების წარმოება, მაშინ ეს უფლებამოსილება პირდაპირ გადაეცემა გაკოტრების მმართველს[190]. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი[191].

კადუცირების ინსტიტუტს იცნობს ქართული სამეწარმეო სამართალიც (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 3.5, მე-2 და მე-3 აბზაცები). თუმცა ლიტერატურაში აღნიშნული ტერმინი (კადუცირება) ჯერ არ არის დამკვიდრებული. იგი მხოლოდ ფართოდ აღწერს შესატანის შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს[192].

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ქართული სამეწარმეო სამართალი კადუცირების (გარიცხვის) უფლებით აღჭურავს მხოლოდ შპს-ის პარტნიორს (პარტნიორებს). ამდენად, ვერ დავეთანხმები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ შესატანის შეუტანლობის საბაბით პარტნიორის გარიცხვის საკითხი წყდება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ[193]. საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის (ანუ თავად საზოგადოებისათვის) ასეთი უფლებამოსილების მინიჭება, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ თავად სამართლის ნორმა არ იძლევა ასეთი ფართო განმარტების შესაძლებლობას. მეწარმეთა კანონი კადუცირების უფლებით აღჭურავს “ყოველი პარტნიორს” და არა — თავად საზოგადოებას. პარტნიორი კადუცირების ურთიერთობებში მოქმედებს თავისი სახელით. პარტნიორის ჩართვამ მეორე პარტნიორის გარიცხვის საქმეში შეიძლება ბევრი პრაქტიკული პრობლემაც შექმნას. პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს კადუცირების პროცედურასთან. მაგალითად, საკმარისი

---

188 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 49, გვ. 736
189 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, 15. Auflage, München 1988, §21, Rdn. 1, 2, გვ. 276
190 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §21, Rdn. 6, გვ. 278
191 Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz, §21, Rdn. 10, გვ. 279
192 ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-2 გამოცემა, გვ. 68-69
193 ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გვ. 66

იქნება თუ არა ასეთ შემთხვევაში გასარიცხი პარტნიორისათვის მხოლოდ წერილობითი შეტყობინება, ან შეუძლია თუ არა მცირე წილის მქონე პარტნიორს გამოიყენოს კადუცირების უფლება დიდი წილის მქონე პარტნიორის მიმართ, ან პარტნიორთა კრებაზე ხომ არ უნდა ემსჯელა ამ საკითხზე, ანდა აქვს თუ არა ამ კრებაზე გასარიცხ პარტნიორს ხმის უფლება და ა.შ. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასევე სწორად იქნა გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, რომ კადუცირების გარემოებების არსებობისას, ანუ შესატანის შეუტანლობისას პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე[194].

ეს პრობლემები არ წარმოიშობა, თუკი კადუცირების უფლება კანონით მიენიჭება თავად საზოგადოებას, რომლის წარმომადგენელიც კადუცირების ურთიერთობებში იქნება მისი ხელმძღვანელობა (დირექტორი). ამდენად, ვიდრე ქართულ სამეწარმეო სამართალში არ იქნება შესაბამისი მოწესრიგება შემოთავაზებული, კადუცირების უფლება განხორციელდება მხოლოდ პარტნიორის მიერ. საზოგადოების ხელმძღვანელობას შეიძლება მიენდოს გარკვეული პროცედურების შესრულება და მისი შედეგების გაფორმება. მაგალითად, გამჭიანურებელი პარტნიორის მიმართ პარტნიორის წერილობითი განმარტება წილისა და შესრულებულ ვალდებულებათა დაკარგვის შესახებ გაიგზავნოს შპს-ის დირექტორის მიერ, შპს-ის დირექტორმა განახორციელოს ასევე სამეწარმეო რეესტრიდან პარტნიორის ამოშლის სასამართლო პროცედურა და სხვ.

რამდენადაც კადუცირება ქონებასთან დაკავშირებული გარიგებაა, ამდენად გაკოტრების წარმოების გახსნისას პარტნიორს აღარ ექნება უფლება თვითონ განახორციელოს იგი. აღნიშნული უფლებით აღიჭურვება გაკოტრების მმართველი.

კადუცირების განხორციელების დროს გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობა ძალაში რჩება ("მეწარმეთა შესახებ კანონი, მუხლი 3.5, მე-4 აბზაცი; GmbHG §21 III). კერძოდ, გარიცხული პარტნიორი ვალდებულია გადაუხადოს საზოგადოებას დარჩენილი შეუტანელი შესატანი (Ausfall), რომელიც დააკლდა საზოგადოებას. არაფულადი შესატანის შემთხვევაში დარჩენილი შესატანი შეიცვლება შესაბამისი ფულადი თანხით. ამასთან, დარჩენილი შესატანის გადახდის ვალდებულება ეკისრება არა მხოლოდ გარიცხულ პარტნიორს, არამედ აგრეთვე –

194 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები (სუსგ), 2001წ. მარტი, №3, გვ.248

სხვა დანარჩენ პარტნიორებსაც, მათი წილების შესაბამისად. შპს-ის გერმანული კანონი დარჩენილი პარტნიორების პასუხისმგებლობას ავრცელებს დათქმული საწესდებო კაპიტალის მთლიან ოდენობაზე (GmbHG §24), მაშინ როცა მეწარმეთა შესახებ ქართული კანონი დარჩენილ პარტნიორთა პასუხისმგებლობას შემოფარგლავს მხოლოდ მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობით, ანუ დარჩენილ პარტნიორებს ევალებათ შეავსონ საწესდებო კაპიტალი მხოლოდ მის მინიმალურ ოდენობამდე, ე.ი. 2000 ლარამდე ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 3.5, მე-4 აბზაცი, მე-2 წინადადება).

შპს-ის გაკოტრებისას კადუცირების უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იმის გამო, რომ დარჩენილი შეუტანელი თანხის გადახდის პასუხისმგებლობა წარმოიშობა გაკოტრების წარმოების გახსნამდე, ამიტომ შპს-ის გაკოტრებისას გაკოტრების მმართველს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ დარჩენილი თანხა გადახდილ იქნას გაკოტრების მასის სასარგებლოდ. მაშასადამე, დარჩენილი შეუტანელი შესატანის გადახდის მოთხოვნა წარმოადგენს აგრეთვე შპს-ის ერთ-ერთ მოთხოვნას პარტნიორის მიმართ და, შესაბამისად, იგი ჩაირთვება გაკოტრების მასაში როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის რეალიზაცია კი საშუალებას მისცემს გაკოტრების მმართველს გაადიდოს მასა მნიშვნელოვანი ფულადი სახსრებით.

ერთგვარ თავისებურებებთან გვექნება საქმე, როდესაც დადგენილია ძირითადი, ანუ **საწესდებო კაპიტალის გაზრდა**. თუ საწესდებო კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება მიღებულია გაკოტრების წარმოების გახსნამდე, მაშინ შესატანების შესრულების მოთხოვნა, რომელიც წარედგინება პარტნიორებს, წარმოადგენს მოვალის ქონების შემადგენელ ნაწილს და ჩაერთვება გაკოტრების მასაში. ამასთან, ამ დროს არსებითია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ნამდვილად იქნას ქცეული, ანუ ჩაწერილი იყოს სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრში. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ფაქტის რეესტრში რეგისტრაციამდე გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება. ამ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდება საზოგადოების და გაკოტრების მიზნები. თუ საზოგადოების მიზანი მოგების მიღებისაკენაა ორიენტირებული, სამაგიეროდ, გაკოტრების მიზანი საზოგადოების ლიკვიდაციითა და გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება. ამ შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა უკვე თავის აზრს კარგავს. გაკოტრების წარმოების გახსნა აუქმებს

რეესტრში რეგისტრაციის საჭიროებას[195]. თუკი საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ პარტნიორები გადაწყვეტენ გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ, მაშინ შესატანის განხორციელების გამო წარმოშობილი მოთხოვნები მიეკუთვნება ახალშენაძენს, რაც, ჩვეულებისამებრ, წარმოადგენს გაკოტრებისაგან თავისუფალ ქონებას და არ მიიქცევა გაკოტრების მასაში[196].

შპს-ის გაკოტრების მასას შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე საზოგადოების მოთხოვნა პარტნიორისადმი დამატებითი შესატანის (Nachschüsse) შეტანის შესახებ. დამატებითი შესატანი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი შესატანისაგან, რომ იგი არ აისახება საწესდებო კაპიტალში. შესაბამისად, დამატებითი შესატანის განხორციელებას არ მოსდევს წინასწარ საწესდებო კაპიტალის გაზრდა[197]. დამატებითი შესატანის შეტანას შეიძლება ითვალისწინებდეს თვით შპს-ის წესდება ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 46.7; GmbHG §26). ამ დროსაც გასათვალისწინებელია პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღების მომენტი. თუკი პარტნიორებმა დამატებითი შესატანის შეტანის გადაწყვეტილება მიიღეს გაკოტრების წარმოების გახსნამდე, მაშინ შეუტანელი დამატებითი შესატანების (rückständige Nachschüsse) გადახდის მოთხოვნა წარმოადგენს შპს-ის ქონების შემადგენელ ნაწილს და გაკოტრების წარმოების გახსნისას ჩაერთვება გაკოტრების მასაში. შესაბამისად, გაკოტრების მმართველს შეუძლია დამატებითი შესატანები მოიზიდოს გაკოტრების მასაში. და პირიქით, თუ პარტნიორებმა გადაწყვეტილება მიიღეს წარმოების გახსნის შემდეგ, მაშინ გაკოტრების მმართველს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს მათი გაკოტრების მასაში მოზიდვა – აღნიშნული შესატანები წარმოადგენენ საზოგადოების ახალ ქონებას.

როგორც გერმანული, ისე ქართული სამართალი ითვალისწინებს პარტნიორის ვალდებულებას, განსაზღვრულ პირობებში დაუბრუნოს საზოგადოებას მისგან მიღებული თანხა. ამრიგად, თუ პარტნიორმა არ დაუბრუნა საზოგადოებას მიღებული

---

195 შდრ. ამასთან დაკავშირებით, Franz Scholz, Kommentaren zum GmbH-Gesetz, 7. Aufl. 1986/1988, §55, Anm. 21, ასევე Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 52, გვ. 740

196 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 51, გვ. 739

197 ვერ დავეთანხმები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ დამატებითი შესატანი შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე საწესდებო კაპიტალში, ამ უკანასკნელის გაზრდის პირობით (შდრ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, 2002წ. გვ. 278)

თანხა, მაშინ საზოგადოებას წარმოეშობა მოთხოვნა მის წინააღმდეგ, რომელიც გაკოტრების წარმოების დროს განიხილება როგორც გაკოტრების მასას მიკუთვნებული ქონება. საზოგადოების ასეთ მოთხოვნად გერმანული სამართლის მიხედვით განიხილება, მაგალითად, შპს-ის მოთხოვნა პარტნიორის მიმართ იმ შესრულებების (ფულის გადახდების) უკან დაბრუნების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს საზოგადოების ქონებიდან, მიუხედავად პარტნიორებზე ასეთი გადახდის აკრძალვისა (GmbHG §30 II). ქართული სამეწარმეო სამართლის მიხედვით, სამეწარმეო საზოგადოებას, მათ შორის შპს-ას წარმოეშობა მოთხოვნა პარტნიორის მიმართ მხოლოდ მაშინ, თუკი პარტნიორს შესატანი უკან დაუბრუნდება საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებული შემცირების გარეშე. ასეთ შემთხვევაში პარტნიორი ვალდებულია დაუბრუნოს საზოგადოებას მიღებული თანხა ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 3.6, მე-2 აბზაცი). ხოლო შპს-ის გაკოტრებისას გაკოტრების მმართველს შეუძლია მოითხოვოს ამ შესრულებების (ასევე მიღებული თანხის) გადახდა გაკოტრების მასის სასარგებლოდ, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა მიეკუთვნება გაკოტრების მასას.

*გ) ანაზღაურების მოთხოვნები*

შპს-ის გაკოტრების მასაში შედის აგრეთვე ე.წ. **ანაზღაურების მოთხოვნები** (Ersatzansprüche). ანაზღაურება შეეხება არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას, არამედ აგრეთვე საზოგადოების მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურებასაც. ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლები ორივე ქვეყნის სამართალში თითქმის იგივეა. კერძოდ, იგი წარმოიშობა, ერთის მხრივ, საზოგადოების სასარგებლოდ კანონით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, და მეორეს მხრივ, ვალდებულებების, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის გამო.

ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება მიმართული იყოს დირექტორის, ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლები 9.7 და 14.1.3; GmbHG §§43, 64), სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ("მეწარმეთა შესახებ კანონი, 9.7-ე მუხლი 48-ე და 55.10 მუხლებთან კავშირში; ასევე GmbHG §52 in Verbindung mit AktG 116 und §93), ასევე

ლიკვიდატორის (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლები 14.2, მე-3 აბზაცი; ასევე GmbHG §§69 I, 73 III) მიმართ.

გერმანული სამართლის მიხედვით, ანაზღაურების მოთხოვნა გარკვეულ შემთხვევებში მიმართულია აგრეთვე შპს-ის პარტნიორის მიმართაც (GmbHG §9ა).

**დირექტორის** მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, თუ იგი არ შეასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ძირითად მოვალეობას, გაუძღვეს საზოგადოების საქმეებს კეთილსინდისიერად, ანუ მისი მთელი საქმიანობა განპირობებული უნდა იყოს საზოგადოებისათვის გულისხმიერი ზრუნვით, მისი საქმეები უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებას (შდრ. “მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 9.7; GmbHG §43 I.). გერმანული შპს-ის კანონი ითვალისწინებს დირექტორის პასუხისმგებლობას აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გადაუხდის პარტნიორებს იმ თანხებს, რომლებიც აუცილებელი იყო საწესდებო კაპიტალის შესანარჩუნებლად, ანდა შეიძენს შპს-ისათვის საკუთარ წილს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოქმედებების განხორციელება შპს-ის კანონის §30-ისა და §33-ის მიხედვით აკრძალულია (GmbHG §43 III).

დირექტორის მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მაშინაც, როდესაც იგი დაარღვევს გაკოტრების განცხადების შეტანის ვალდებულებას (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 14.1.3 1-ლი აბზაცი; GmbHG §64 I). ასეთ დროს დირექტორი ვალდებულია აუნაზღაუროს შპს-ის გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების დადგენის შემდეგ გაღებული ხარჯები (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 14.1.3 მე-2 აბზაცი). გერმანული სამართალი “ხარჯების” ნაცვლად საუბრობს შპს-ის მიერ გაღებულ “ფულად გადახდებზე” (GmbHG §64 II). თუ შპს-აში რამდენიმე დირქტორია, მაშინ თავიანთი მოვალეობების დარღვევისათვის ისინი შპს-ის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს (“მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 9.7 მე-2 წინადადება; GmbHG §43 II).

**სამეთვალყურეო საბჭოს წევრი** ვალდებული ხდება ზიანის ანაზღაურებაზე, თუკი იგი, დირექტორის მსგავსად, დაარღვევს საზოგადოების საქმეების გაძღოლის კეთილსინდისიერების პრინციპს, ანუ არ მოეკიდება აღნიშნულ საქმეებს გულისხმიერი ზრუნვით, ანუ წესიერი და კეთილსინდისიერი მეწარმის

გულისხმიერებით ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, 9.7-ე მუხლი 48-ე და 55.10 მუხლებთან კავშირში; აგრეთვე GmbHG §52 in Verbindung mit AktG §93 II ). გერმანული სამართლის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პასუხისმგებლობა დგება მაშინაც, როდესაც იგი დაარღვევს მისთვის მინდობილი მონაცემების ან საიდუმლოების გაუმჟღავნებლობის მოვალეობას. რამდენიმე წევრის მიერ მოვალეობების დარღვევის შემთხვევისათვის გამოიყენება ასევე სოლიდარულად პასუხისმგებლობის წესები.

**ლიკვიდატორის** მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შპს-ის წარმოეშობა იმ შემთხვევაში, როცა ლიკვიდატორი ლიკვიდაციის განხორციელების დროს საზოგადოების საქმეებს არ მოეკიდება კეთილსინდისიერებითა და გულისხმიერებით. ასეთ შემთხვევაში როგორც ქართული, ისე გერმანული სამართალი ლიკვიდატორის პასუხისმგებლობისათვის გამოიყენებს დირექტორის პასუხისმგებლობის ნორმებს ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, 14.2, მე-3 აბზაცი; GmbHG §69 I). გერმანული შპს-ის სამართალი განსაკუთრებულად გამოყოფს აგრეთვე ლიკვიდატორის პასუხისმგებლობას განაწილების წესების დარღვევისათვის, რისთვისაც ისინი პასუხს აგებენ განაწილებული თანხის ფარგლებში (GmbHG §73 III).

ზიანის ანაზღაურების ზემოთ განხილული ყველა მოთხოვნა შპს-ის გაკოტრებისას შეიძლება წარდგენილი იქნას გაკოტრების მმართველის მიერ და მათი განხორცილების შემთხვევაში ანაზღაურებები შევა გაკოტრების მასაში. მართალია, პარტნიორთა კრებას უფლება აქვს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე თავად განახორციელოს ანაზღაურების მოთხოვნები დირექტორის მიმართ, ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, 47.3 „ლ"; GmbHG §46 Nr.8), მაგრამ გაკოტრების მმართველი მაინც არ არის შებოჭილი პარტნიორთა კრების ამ გადაწყვეტილებით მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი უარს იტყვის ანაზღაურების მოთხოვნებზე.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, გერმანული შპს-ის სამართლით, შპს-ის პარტნიორს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოსთხოვონ ანაზღაურება, როდესაც იგი საზოგადოების დაფუძნების პერიოდში წარადგენს მცდარ მონაცემებს (GmbHG §9ა 1-ლი აბზაცი). ამ შემთხვევაში პარტნიორს დირექტორთან ერთად სოლიდარულად ეკისრება დანაკლისი თანხების, გასამრჯელოს (რომელიც არ შედის დაფუძნების

დანახარჯებში) და სხვა წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. გაკოტრების მასაში შევა აგრეთვე საზოგადოების ანაზღაურების მოთხოვნა პარტნიორის მიმართ, თუკი იგი საწესდებო კაპიტალში შესატანით ან დაფუძნების ხარჯებით განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანს მიაყენებს მას (GmbHG §9ა 1-ლი აბზაცი). რამდენიმე პარტნიორის შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. ამრიგად, გაკოტრების მმართველი განახორციელებს რა აღნიშნულ მოთხოვნას პარტნიორის წინააღმდეგ ანაზღაურებული თანხით შეავსებს გაკოტრების მასას.

## §3. გაკოტრების მასა საინვესტიციო საზოგადოებებში

გერმანული სამართალი განსხვავებულად აწესრიგებს საინვესტიციო საზოგადოებების გაკოტრების მასის საკითხებს, რომელიც შეიძლება მოგვევლინოს ასევე შპს-ის სამართლებრივი ფორმით. საინვესტიციო საზოგადოებების მარეგულირებელი ნოემატიული აქტია კანონი კაპიტალური დაბანდებების საზოგადოებების შესახებ (KapAnlGG). საინვესტიციო საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა მესამე პირთა ქონების (ძირითადში ფულის) მოზიდვა და ამ ქონების მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, — მათი განკარგვაც კი. მესამე პირთა ქონების მოზიდვით საინვესტიციო საზოგადოებაში იქმნება სპეციალური ქონება (Sondervermögen), რომელიც განცალკევებულად არსებობს საზოგადოების ქონებისაგან. სწორედ ამ ქონების მართვას ახორციელებს საინვესტიციო საზოგადოება. საინვესტიციო საზოგადოებამ შეიძლება შექმნას რამდენიმე სპეციალური ქონება (KapAnlGG §6 III) . ამრიგად, საინვესტიციო შპს-ში შექმნილი სპეციალური ქონება არ წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას — იგი მეპაიეთა (მონაწილეთა) თანასაკუთრებაა. აქედან გამომდინარე, სპეციალური ქონება არ შევა გაკოტრების მასაშიც, თუკი შპს-ის მიმართ გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება. სპეციალური ქონების საგნები მაშინაც არ მიეკუთვნებიან გაკოტრების მასას, თუ ისინი იმყოფებიან საზოგადოების ფიდუციარულ (ანუ მინდობილ) საკუთრებაში (KapAnlGG, §12).

შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნისთანავე, საზოგადოებას ესპობა უფლება, მართოს (და განკარგოს) სპეციალური ქონება. ამ შემთხვევაში იგი გამოცალკავებული უნდა იქნას მასიდან და დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირებს. ეს უფლება საზოგადოებას მაშინაც ესპობა, როდესაც სასამართლო უარს განაცხადებს გაკოტრების წარმოების გახსნაზე მასის უკმარისობის გამო. უარის თქმით წარმოიშობა ერთგვარი უნდობლობა საინვესტიციო საზოგადოების მიმართ, რომელსაც არასწორი მართვის გამო შეუმცირდა საკუთარი ქონება. ამიტომაც ეთქვა მას უარი წარმოების გახსნაზე. შესაბამისად, არის ვარაუდი, რომ ასეთივე საფრთხე შეიძლება დაემუქროს მინდობილ ქონებასაც! გერმანული სამართლის თანახმად, სადეპოზიტო ბანკის შემთხვევაში, ბანკს არა აქვს უფლება გაკოტრებისას გადასცეს გაკოტრების მმართველს თავისთან შესანახად მიბარებული სპეციალური ქონება (KapAnlGG, §11). ბანკმა თვითონ უნდა უყოს ლიკვიდაცია სპეციალურ ქონებას და გაანაწილოს მეანაბრეებზე ან საბანკო საზედამხედველო ორგანოს ნებართვით უარი თქვას ლიკვიდაციასა და განაწილებაზე და სპეციალური ქონება, განსაკუთრებით კი მისი მართვის საკითხები, გადასცეს სხვა საინვესტიციო საზოგადოებას (KapAnlGG, §13). სასურველი იქნებოდა, თუკი აღნიშნული მოწესრიგება გაზიარებული იქნებოდა სააქციო საზოგადოების ორგანიზაციული ფორმით შექმნილი ბანკების მიმართაც.

## §4. საწარმო - გაკოტრების მასის შემადგენელი ნაწილი

### *ა) საწარმო – სამეწარმეო სამართლის მიხედვით*

გაკოტრების მასის შემადგენლობაში მოხვდება აგრეთვე ვალაუვალი მოვალის საწარმო. ამ შემთხვევაში "საწარმო" არ შეიძლება გაიგივებული იქნას ქართულ სამეწარმეო სამართალში მითითებულ "საწარმოსთან" ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლები 2.1, 2.2, 2.4, 2.5, 4.1, 5.4.1, 5.8, 6.1, 6.8, 8. 14.1.3, 14.5, 14.6, 16, 17 და სხვ.).

გერმანული სამართალიც არ იცნობს საწარმოს ერთიან და საყოველთაო ცნებას, რომელსაც თანაბარი დატვირთვა ექნებოდა სამართლის ყველა სფეროში[198]. არ არის ერთიანი აგრეთვე საწარმოს მიმართ გამოყენებული საკანონმდებლო ენაც: მას ხან "სავაჭრო გარიგებას" (Handelsgeschäft) უწოდებენ სავაჭრო კოდექსის მიხედვით, ხან – "წარმოებას" (Betrieb) საწარმოო შინაგანაწესის შესახებ კანონით, ხანაც – იგივე "საწარმოს" (Unternehmen), საკარტელო და საკონცერნო სამართლის მიხედვით[199].

გერმანული სამართალმეცნიერება არ განიხილავს საწარმოს Verband-ად. ასეთად მოიაზრება ერთობლივი მიზნის განსახორციელებლად რამდენიმე პირის სამართლებრივად ნასურვები გაერთიანება (rechtlich gewollter Zusammenschluß)[200]. ლიტერატურაში Verband-ის ფორმებად განიხილება სავაჭრო საზოგადოება (Gesellschaft) და კავშირი (Verein)[201].

ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საწარმო (Unternehmen) წარმოადგენს ეკონომიკურ ორგანიზაციას, რომელშიც პირები და ნივთები თავმოყრილია რაციონალური ეკონომიკური პრინციპის მიხედვით[202]. შესაბამისად, საწარმო არ წარმოადგენს Verband-ისათვის დამახასიათებელ კერძო-სამართლებრივი მიზნის ერთობლიობას[203]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გერმანული ლიტერატურა Verband-ს განიხილავს როგორც სამართლის სუბიექტს, ხოლო Unternehmen-ს – როგორც სამართლის ობიექტს. შესაბამისად, Verband-ს, მათ შორის სავაჭრო საზოგადოებას შეუძლია განაგოს და იზრუნოს (unterhalten) საწარმოზე. ამ თვალსაზრისით კი საწარმო სხვა არაფერია თუ არა კონკრეტული წარმოება (Geschäftsbetrieb). სწორედ ამიტომ გერმანულ მეცნიერებაში საწარმოსათვის მზრუნველ სუბიექტებს სხვაგვარად აგრეთვე "საწარმოს მატარებელ სუბიექტებს" (Unternehmensträger) უწოდებენ[204].

საწარმოს შესახებ განსხვავებული მიდგომები არ არის მხოლოდ სამართლისათვის დამახასიათებელი – საწარმოს შესახებ განსხვავებული დეფინიციები არსებობს ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. უფრო მეტიც, გერმანელი ეკონომიკამცოდნეების მიერ მოცემული საწარმოს

---

198 შდრ. K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 1991, გვ. 404
199 ამის შესახებ იხ. E. Klunzinger, Grungzüge des Gesellschaftsrechts, 3. Aufl. 1981, გვ.1
200 Herbert Wiedemann, Gesellschaftsrecht, Band I, Grundlagen, München 1980, გვ. 674
201 Herbert Wiedemann, გვ. 673
202 Herbert Wiedemann, გვ. 106
203 Herbert Wiedemann, იქვე
204 Herbert Wiedemann, გვ. 107

ცნება არსებითად განსხვავდება სამართალმცოდნეთა მიერ განმარტებული საწარმოსაგან, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვაა სამართლის სხვადასხვა სფეროსათვის. თუკი სამართალმცოდნეთა შორის დავა მიმდინარეობს იმის ირგვლივ, თუ რას წარმოადგენს საწარმო: სამართალურთიერთობათა სუბიექტს თუ ობიექტს, ეკონომისტები, უმრავლეს შემთხვევაში, საწარმოში ხედავენ წმინდა ქონებრივ ერთობლიობას.

საწარმოს ცნების ირგვლივ მსგავსი დავები შეიძლება წარმოიშვას ქართულ იურიდიულ მეცნიერებაშიც. ამის საფუძველს კი იძლევა საწარმოს შესახებ დღეს არსებული განსხვავებული საკანონმდებლო მიდგომები. ასეთ მიდგომებს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 90-იან წლების დასაწყისში შექმნილ კერძო-სამართლებრივ აქტებში (კანონი საკუთრების შესახებ, კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, კანონი პრივატიზების შესახებ და სხვ.). ზოგიერთ სამართალში (განსაკუთრებით, ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართალში) საწარმო დახასიათებულია ქონებრივი ნიშნით, როდესაც იგი გათანაბრებულია წარმოებასთან (მაგ., ქარხანა, ფაბრიკა და სხვ.). მაგალითად, "საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ" 1991 წლის კანონის 1-ლ მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ **საწარმოებზე**, მათი **მესაკუთრის** მიუხედავად, ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, ხოლო მე-4 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა საწარმოს, დაწესებულების და ა.შ. ერთობლიობა ქმნის რესპუბლიკის **სამეურნეო კომპლექსს**[205]. ამრიგად, 90-იანი წლების დასაწყისში მკვიდრდება აზრი, რომ საწარმო წარმოადგენს სამეურნეო ერთეულს, წარმოებას, სადაც გარკვეული ღირებულებები იქმნება. ხოლო ასეთი წარმოება შეიძლება ყოფილიყო კონკრეტული მესაკუთრის საკუთრების ობიექტი. აღნიშნული აზრი ნორმატიულად განმტკიცებული იყო "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" 1991 წლის კანონშიც. ამ კანონის მე-3 მუხლში პირდაპირ იყო დახასიათებული საწარმო, როგორც რაიმე პროდუქციის წარმოების, სამუშაოთა შესრულების და მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილ **სამეურნეო ერთეული**[206]. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამავე კანონში ერთმანეთისაგან აშკარად იყო გამიჯნული **მეწარმე** და **საწარმო**. კერძოდ, მე-2 მუხლში მითითებული იყო, რომ საწარმოზე საკუთრების უფლება მეწარმის მიერ მოიპოვება საწარმოს შექმნით, ყიდვით და

---

[205] საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, ავტორთა კოლექტივი, წიგნი 1, თბილისი 1992, გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალი", გვ.4-5

[206] იგივე, გვ. 13

ა.შ.[207] მაშასადამე, აქ საწარმო დახასიათებულია როგორც სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული ქონებრივი ობიექტი, რომელზეც საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეს კონკრეტულ მეწარმეს. ამრიგად, საწარმო როგორც სამეურნეო ერთეული დახასიათებული იყო სპეციფიური ქონება, რომელიც არ შედგება მხოლოდ ნივთების მექანიკური ჯამისაგან. ამას ემატება აგრეთვე **საწარმოო ურთიერთობები**, რაც საწარმოს ანიჭებს განსაკუთრებული ქონების სახეს.

სამართალის სხვა სფეროებში საწარმო გვევლინება სამართალურთიერთობათა სუბიექტად, ანუ იგი წარმოდგენილია როგორც სამართალურთიერთობების აქტიური მონაწილე. ეს განსაკუთრებით ითქმის "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონზე, სადაც საწარმოს სამართალსუბიექტობა აშკარადაა ხაზგასმული. მაგალითად, 2.5 მუხლში მითითებულია, რომ საწარმო სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. შესაბამისად, ასეთი სუბიექტი ესწრაფვის კერძო-სამართლებრივი მიზნების განხორციელებას. მაშასადამე, ქართული სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საწარმო სხვა არაფერია, თუ არა სამოქალაქო ბრუნვის აქტიური მონაწილე, აღჭურვილი გარკვეული უფლებებითა და დატვირთული გარკვეული მოვალეობებით. თავისი სტატუსით ქართული “საწარმო” უთანაბრდება გერმანულ “სავაჭრო საზოგადოებას” (Gesellschaft). თუმცა საწარმოსათვის სამართალურთიერთობის სუბიექტის სტატუსის მინიჭებამ სადაოდ აქცია თავად მისი შინაარსი. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქართულ სამეწარმეო სამართალში საწარმო წარმოდგენილია როგორც პირთა, ნივთებისა და უფლებების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა, რომელსაც მიეკუთვნება აგრეთვე მუშაკები და მათი საქმიანობა, საწარმოში არსებული ყველა ფაქტობრივი ურთიერთობა, საწარმოო საიდუმლოებანი, არამატერიალური ფასეულობანი, უფლებები (პატენტები, სასაქონლო ნიშნები, ლიცენზიები და ა.შ.), მოთხოვნები და ვალდებულებები[208]. თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება სცილდება მის ნორმატიულ შინაარს. აღნიშნული მოსაზრება უფრო ახლოა საწარმოს ეკონომიკურ-მეცნიერულ გაგებასთან, რომელიც გაფართოებულია სამართლებრივი კატეგორიებით.

ამრიგად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, საწარმო წარმოდგენილია როგორც ეკონომიკურ-ქონებრივი ერთობლიობა. მაშინ როცა ქართულ სამართალში იგი დახასიათებულია, ცალკე, როგორც უფლება-მოვალეობათა

---

[207] საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული, გვ. 13
[208] იხ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 1-ლი გამოცემა, გვ. 11-12

მატარებელი სუბიექტი (მეწარმე), და ცალკე – როგორც წარმოება (ქონებრივი კომპლექსი). საწარმოს ცნებაში დუალიზმის დამკვიდრებას საფუძვლად უდევს თვით მეწარმეთა კანონის არათანმიმდევრულობა. როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ შემთხვევაში მეწარმეთა კანონი საწარმოს განიხილავს როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტად (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლები 2.5., 4.1., 6.1. და სხვ.), მეორე შემთხვევაში, საწარმო წარმოჩენილია, როგორც წმინდა ქონებრივი ერთობა, როდესაც იგი განხილულია როგორც გამსხვისებლის მთელი ქონება (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 8.1, აბზაცი 3), ასევე – როგორც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 47.3 „ბ''). საწარმოს ქონებრივი ხასიათი განსაკუთრებით გამოვლინდა ''სახაზინო საწარმოებთან'' მიმართებაში, როდესაც სახაზინო საწარმო განხილული იყო როგრც სახელმწიფოს ''განცალკევებული ქონება''[209]. იგივე შეიძლება ითქვას ინდივიდუალურ საწარმოზე, რომელსაც კანონი განიხილავს ინდივიდუალური მეწარმის ქონებას, რომლის ''მფლობელიც'' (ანუ ''მატარებელიც'') არის ინდივიდუალური მეწარმე (''მეწარმეთა შესახებ'' კანონი, მუხლი 2.2). შესაბამისად, ინდივიდუალურ მეწარმეს შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე ინდივიდუალური საწარმო. ამდენად, ვერ დავეთანხმები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა, თითქოს იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ისე ამ ურთიერთობათა ობიექტი[210]. ქართული სამართლის თანახმად, საწარმო არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლის სუბიექტად, არამედ განსაკუთრებულ ქონებად, რომელიც ნივთების გარდა მოიცავს აგრეთვე **საწარმოო ურთიერთობებს**. ხოლო მისი გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით.

მიუხედავად ლიტერატურაში გავრცელებული საწარმოს ცნების სხვადასხვაგვარი გაგებისა, ქართული სამეწარმეო სამართალი მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ ''საწარმოთა'' სამართლად. იგი, უპირველეს ყოვლისა, ''მეწარმეთა'' სამართალია. მეწარმეებად გვევლინებიან სწორედ ის საზოგადოებები, რომლებიც ჩამოთვლილია 2.1 მუხლში: შპს, სს, სპს, კს და კოოპერატივი, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმე. ქართული სამეწარმეო სამართალი რომ მეწარმეთა სამართალია, ამას ადასტურებს თვითონ ძირითადი ნორმატიული აქტის სახელწოდება – კანონი ''მეწარმეთა შესახებ''. თუმცა, მოცემულ კანონს შეიძლებოდა სრულიად წარმატებით დარქმეოდა კანონი ''სამეწარმო საზოგადოებათა

209 შდრ. მეწარმეთა შესახებ კანონის 1995წ. რედაქცია, მუხლი 2.3
210 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, მუხლი 2, გვ. 13

შესახებ" (ან უბრალოდ "საზოგადოებათა") ანდა "კომპანიათა" შესახებ, როგორც ეს არის მიღებული სხვადასხვა ქვეყნის სამართალში. ამრიგად, ქართული სამეწარმეო სამართლის თანახმად, სწორედ მეწარმეა კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, რომელიც წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან. მოქალაქე მხოლოდ მაშინ შეიძენს ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს, როდესაც იგი როგორც ასეთი რეგისტრაციაში გატარდება, ხოლო რამდენიმე პარტნიორის მიერ შპს-ის შექმნა დასრულდება მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით. მანამდე პარტნიორთა მიერ შექმნილი გაერთიანება (წინარე საზოგადოება) შეიძლება განვიხილოთ როგორც სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა[211]. ამიტომ მეთოდოლოგიურ შეცდომად მიმაჩნია მეწარმეთა შესახებ კანონის 2.1 მუხლში ჩამოთვლილ მეწარმეთა გაიგივება საწარმოსთან. საწარმო ყოველთვის წარმოადგენს მეწარმის ზრუნვის ობიექტს, მისი მმართველობისა და განკარგვის ქვეშ არსებულ ქონებას. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მეწარმე (სამეწარმეო საზოგადოება) განიხილება "საწარმოს მფლობელ სუბიექტად" (Unternehmensträger). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სწორი იქნებოდა, თუკი მეწარმეთა შესახებ კანონში სიტყვა "საწარმო", სადაც ის გამოხატავს სამართლის სუბიექტს, შეიცვლებოდა "მეწარმით" (ზოგან ასევე – "სამეწარმეო საზოგადოებით"). ეს კი დიდად წაადგებოდა სამეწარმეო და სასამართლო პრაქტიკას.

ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ინდივიდუალური მეწარმისა და ინდივიდუალური საწარმოს ურთიერთმიმართება, განსაკუთრებით მათი რეგისტრაციის დროს. სასამართლოები რეგისტრაციაში ატარებდნენ ინდივიდუალურ საწარმოს, მაშინ როცა სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი არის ინდივიდუალური მეწარმე. ეს უკანასკნელი ვალდებულია, ხელი მოაწეროს რეგისტრაციის განცხადებას ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.2 აბზ. 1), ხოლო რეგისტრაცია ხორციელდება ინდივიდუალური მეწარმის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.2 აბზ. 4). ინდივიდუალურ მეწარმეს (და არა ინდივიდუალურ საწარმოს) უნდა ჰქონდეს სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 2.2).

ინდივიდუალური მეწარმე თავისი საერთო ქონებიდან გამოაცალკევებს გარკვეულ ქონებას (ვთქვათ, გარაჟს), რომლის მეშვეობითაც (გარაჟის გაქირავებით) იგი განახორციელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას. სწორედ გარაჟი წარმოადგენს მის

---

[211] იხ. ამის შესახებ როინ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, დამხმარე სახელმძღვანელო 1-ლი გამოცემა თბილისი 1999, გვ. 19-20

ინდივიდუალურ საწარმოს. ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი (მაგალითად, ჰქონდეს ცალკე აგრეთვე ფეხსაცმლის საამქრო). შესაბამისად, როგორც სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, სწორედ ინდივიდუალური მეწარმე არის პირადად პასუხისმგებელი თავისი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, და არა ინდივიდუალური საწარმო ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 3.1). ამდენად, ვერ დავეთანხმები ქართულ სამეწარმეო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ინდივიდუალური საწარმო – ეს არის კონკრეტული ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა[212]. ინდივიდუალური საწარმო საქმიანობის ფორმა კი არ არის, არამედ იგი ინდივიდუალური მეწარმის განცალკევებული წარმოებაა, მისი ქონებრივი ერთობლიობაა, რომელსაც იგი იყენებს სამეწარმეო საქმიანობისათვის. მეწარმეთა კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ინდივიდუალური საწარმო, როგორც ქონება გაასხვისოს ინდივიდუალურმა მეწარმემ ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 8.1). ინდივიდუალური საწარმო, როგორც ქონება, იქცევა პასუხსაგებ ქონებად ინდივიდუალური მეწარმის კრედიტორების წინაშე. იგივე შედეგები დადგება, თუკი ინდივიდუალური მეწარმის ქონებაზე გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება. მაშასადამე, სამეწარმეო რეესტრის ფორმულარებში უნდა აისახოს სწორედ ინდივიდუალური მეწარმე როგორც სამართლის სუბიექტი და არა ინდივიდუალური საწარმო. თუ ინდივიდუალურ მეწარმეს გააჩნია რამდენიმე საწარმო, რომლებიც მდებარეობენ ინდივიდუალური მეწარმის ადგილსამყოფელის გარეთ, მაშინ ისინი რეგისტრირებულნი უნდა იქნენ არა როგორც ცალ-ცალკე ინდივიდუალური საწარმოები, არამედ როგორც ინდივიდუალური მეწარმის ფილიალები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეცდომის სათავე მეწარმეთა კანონის 2.1 მუხლია, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური საწარმო განხილულია როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ვინაიდან აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილია მეწარმეთა მოწყობის ფორმები, ამიტომ აქ "ინდივიდუალური საწარმოს" ნაცვლად ჩაწერილი უნდა ყოფილიყო "ინდივიდუალური მეწარმე". სწორედ ამ სახით იყო წარმოდგენილი მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის გერმანული ვარიანტი, რომელიც საწარმოს ერთ-ერთ სამართლებრივ ფორმად განიხილავდა სწორედ ინდივიდუალურ

---

212 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, მუხლი 2, გვ. 14

მეწარმეს (Einzelunternehmer). Einzelunternehmer როგორც სუბიექტი მითითებულია კანონის გერმანულ ვერსიაშიც[213].

*ბ) საწარმო – გაკოტრების სამართლის მიხედვით*

განსხვავებით სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლისა, საწარმოს სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს გაკოტრების სამართალში. გაკოტრების არც ქართული და ინზოლვენციის არც გერმანული სამართლის მიხედვით, საწარმო არ წარმოადგენს გაკოტრების სამართალურთიერთობათა სუბიექტს. გაკოტრების (ინზოლვენციის) სამართალში გაკოტრებაუნარიანობის თვისებრიობით აღჭურვილია მხოლოდ ვალაუვალი მოვალე, იგივე **საერთო მოვალე** (Gemeinschuldner). ვალაუვალ (საერთო) მოვალედ კი გვევლინება არა მხოლოდ კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აღსრულებას ქვემდებარე ქონება, არამედ – აგრეთვე ქონების მფლობელი ნებისმიერი სამართალწარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (მაგალითად, არარეგისტრირებული კავშირი, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა და სხვ.).

გაკოტრების სამართალი ერთმანეთს უპირისპირებს მეწარმის (ვალაუვალი მოვალის) და საწარმოს ცნებებს. სამართლის ეს ორი ელემენტი (საწარმო და მეწარმე) სწორედ გაკოტრების სამართალში არ არიან ინდენტურები. ეს აშკარა ხდება მაშინ, როდესაც გაკოტრების (ინზოლვენციის) სამართალი საუბრობს ვალაუვალი მოვალის საწარმოზე ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლები 1, 6.5, 7, 10.2, 22.6, 23.4, $25^{1,}$ $25^{2}$; ასევე InsO §§1, 19 (2), 22 Nr.2). მაშასადამე, თუ ვალაუვალი მოვალე არის შპს ან სააქციო საზოგადოება, მაშინ მისი საწარმო – ეს არის მისი ე.წ. სამეურნეო ერთეული, წარმოება, მისი მომსახურების (სამუშაოს) გაწევის მუდმივი ობიექტი. საწარმო – ვალაუვალი მოვალის კუთვნილი განსაკუთრებული ქონებაა, რომელიც მოიცავს მისი წარმოების (მომსახურების) ძირითადი საშუალებებსა და არსებულ საწარმოო ურთიერთობებს. ამდენად, საწარმო, თავისი ვიწრო გაგებით, სხვა არაფერია თუ არა კონკრეტული საამქრო, ფაბრიკა, ქარხანა და სხვა მსგავსი "სამეურნეო ერთეული", სადაც გარკვეული წარმოებაა მოწყობილი. ამდენად, საწარმო არ შეიძლება იქნას განხილული როგორც მხოლოდ ქონებრივი საგნების, ანუ მატერიალური ფასეულობების (დაზგების,

---

213 იხ. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, სამენოვანი (ქართული, რუსული, გერმანული) გამოცემა, თბილისი 1995, გამომც. "ნორმა", გვ. 201.

დანადგარების, მოწყობილობების და ა.შ.) მათემატიკური ერთობლიობა, მათი მექანიკური ჯამი. მატერიალური საგნების გარდა, საწარმო მოიცავს აგრეთვე არამატერიალურ ფასეულობებს, კერძოდ, უფლებებს (პატენტები, სასაქონლო ნიშნები, ლიცენზიები და სხვ), მოთხოვნებსა და ვალდებულებებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საწარმოს მიეკუთვნება აგრეთვე მუშაკები და მათი საქმიანობა, მუშაკებსა და საგნებს შორის არსებული ურთიერთობები, კლიენტურა და მიმწოდებლები, აგრეთვე საწარმოში არსებული ყველა ფაქტობრივი ურთიერთობა. ეს ყველაფერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს საწარმოო ურთიერთობებს. ყველაფერი ამის გათვალისწინებით კი საწარმოოს როგორც განსაკუთრებულ ქონებას აქვს თავისი შეფასებითი ღირებულება.

საწარმოს როგორც ქონების არსი განსაკუთრებით მაშინ ამოიცნობა, როცა საქმე მიდგება მის გაჯანსაღებაზე (რეაბილიტაციაზე[214]). რეაბილიტაცია მოვალის საწარმოს მიმართ განხორციელებული ის ეკონომიკური ბერკეტია, რომელიც გულისხმობს საორგანიზაციო, ფინანსური და სამართლებრივი ღონისძიებების მეშვეობით ეკონომიკურად დასუსტებული საწარმოს გამოყვანას კრიზისული სიტუაციიდან, და მისი (ან მისი არსებითი ნაწილის) ეკონომიკური არსებობის შენარჩუნებას[215]. გაკოტრების ქართული სამართალი რეაბილიტაციის საბოლოო მიზანად იმასაც მიუთითებს, რომ აღდგენილი იქნას მოვალის საწარმოს ლიკვიდურობა. ხოლო ლიკვიდურობის აღდგენით საწარმო იქცევა შემოსავალუნარიანად, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და პროდუქციის შემდგომ წარმოებას (სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას). შესაბამისად, როდესაც გაკოტრების ქართული კანონი პირველსავე მუხლში საუბრობს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევაზე, ამაში გულისხმობს სწორედ მის საწარმოებში არსებული ამ სირთულეების გადაწყვეტას მათი რეაბილიტაციის ან ლიკვიდაციის გზით (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 1). თავის მხრივ, ვალაუვალი მოვალე, როგორც სამართლის სუბიექტი, გაკოტრების სამართალს ნაკლებად აინტერესებს. გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ კონკრეტული შპს ამოიშლება რეესტრიდან თუ დარჩება სამოქალაქო ბრუნვაში, ეს გაკოტრების სამართლისათვის ნაკლებადმნიშვნელოვანია. არსებითია, რომ მოცემული შპს-ის საწარმოები ცალკეულ საგნებად არ გაიყიდოს და ამით არ მოისპოს მათი ეკონომიკური პოტენციალი. ამიტომ თუკი შპს-ის საწარმო გადარჩა რეაბილიტაციის გზით, მაშინ

---

[214] თავდაპირველი რედაქციის გაკოტრების კანონში აღნიშნული ღონისძიება ცნობილი იყო „სანაციის" სახელით

გაკოტრების სამართალი გულგრილია იმ პირთა მიმართ, ვის ხელშიც გადაა იგი ამ შპს-ის გაუქმების შემდეგ.

ამრიგად, რეაბილიტაცია მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, მეწარმის საწარმოების მიმართ. წარმატებით განხორციელებული რეაბილიტაცია, თავისთავად, მეწარმის (აქ: ვალაუვალი მოვალის) სამართლებრივი არსებობის შენარჩუნების წინაპირობაცაა. რეაბილიტაციის წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მეწარმის ქონების, მათ შორის მისი საწარმოების ლიკვიდაცია, რამაც შეიძლება საბოლოოდ დაასრულოს მის არსებობაც, ანუ მიიყვანოს მეწარმე სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრიდან ამოშლამდე.

საწარმოზე, როგორც განსაკუთრებულ ქონებრივ კომპლექსზე, ხდება მითითება, როდესაც საქმე ეხება ისეთ სარეაბილიტაციო ღონისძიებას, როგორიცაა საწარმოს გადაცემა მესამე პირისათვის, მათ შორის სამართავად (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლები 15.4, 23.4). მესამე პირისათვის საწარმოს გადაცემა არ ნიშნავს მხოლოდ მატერიალური ფასეულობების (დაზგები, დანადგარები და ა.შ.) გადაცემას. მესამე პირის განკარგულებაში გადადის აგრეთვე საწარმოს უფლებები, მოთხოვნები და ვალდებულებები და ე.წ. საწარმოო ურთიერთობები – საწარმოს კლიენტურა და მიმწოდებლები, რომლებთანაც არსებული ურთიერთობები წარმოადგენენ საწარმოს შემადგენელ ნაწილს.

ამრიგად, გაკოტრების კანონით მოწესრიგებული საწარმო არ ემსგავსება იმ საწარმოებს, რომლებიც ჩამოთვლილია მეწარმეთა შესახებ კანონის 2.1 მუხლში. სამეწარმეო სამართალს, როგორც უკვე აღვნიშნე, საწარმო აჰყავს სამართალურთიერთობათა სუბიექტის რანგში, მაშინ როცა გაკოტრების სამართალი არ ანიჭებს მას ასეთ მაღალ "რანგს." თუკი სამეწარმეო სამართალში მოწესრიგებული საწარმო გაკოტრებაუნარიანია, სამაგიეროდ გაკოტრების სამართლით მოწესრიგებული საწარმო ამ უნარს მოკლებულია.

გაკოტრების გერმანული სამართლის თეორიაც მეწარმისა და საწარმოს განსხვავებულობას იმით ასაბუთებს, რომ მეწარმეს ახასიათებენ საწარმოს “მატარებელ”, ანუ მფლობელ სუბიექტად (Unternehmensträger)[216]. ხოლო უფლებაუნარიანობის ან გაკოტრებაუნარიანობის ხარისხი მიეკუთვნებათ სწორედ საწარმოთა მფლობელ სუბიექტებს,

---

[215] შდრ. ამასთან დაკავშირებით, Kuhn-Uhlenbruck, Konkursordnung, Kommentar, 10. Aufl., 1986, Vorb., Rdn. 57-59, გვ. 49ff.

[216] შდრ. Karsten Schmidt, Unternehmenskonkurs – Unternehmensträgerkonkurs – Gesellschaftskonkurs, in: Festschrift 100 Jahre Konkursordnung 1877-1977, Hrsg. von W. Uhlenbruck, B. Klasmeyer, B. Kübler, Köln 1977, გვ. 248 ff.

ანუ მეწარმეებს და არა საწარმოებს. ამასთან, მეწარმეები თავიანთი წესდებებით გათვალისწინებულ საქმიანობებს ახორციელებენ სწორედ მათ საკუთრებაში არსებული საწარმოებით[217].

ამრიგად, გაკოტრების (ინზოლვენცის) სამართალში საწარმო გვევლინება მხოლოდ როგორც ქონებრივი ობიექტი. იგი წარმოადგენს ქონებრივი ღირებულების განსახიერებას, მეწარმის სტატუსის მფლობელი სუბიექტის კუთვნილ ქონებას[218]. როგორც მეწარმის ქონება, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას, საწარმოც, ქონების სხვა საგნებთან ერთად იქცევა გაკოტრების მასის შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, გაკოტრების მმართველმა რეალიზება უნდა უყოს საწარმოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული მართლწესრიგი არ იცნობს ისეთ სამართალგარიგებას (Rechtsgeschäft), რომლითაც ხდება საწარმოს როგორც ქონების გასხვისება. რადგანაც საწარმო შეადგენს სხვადასხვა ქონებრივი საგნების (მანქანების, ნედლეულის, საქონლის და სხვ.) ერთობლიობას, ამდენად მისი რეალიზაციისას გასხვისდება სწორედ ეს ცალკეული საგნები[219].

საწარმოს გასასხვისებლად საჭიროა მისი გასაყიდი ფასის დადგენა. საწარმოს გასაყიდი ფასის განსაზღვრა კი სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით ხდება. თუკი უცხოეთის წამყვან ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში, საწარმოს ფასის განსაზღვრისას გა-დამწყვეტია საწარმოს აქტივების ღირებულება და მომავალი შემოსავლების ერთობლიობა[220], ქართული ეკონომიკური მეცნიერება და პრაქტიკა განსხვავებულად უდგება ამ საკითხს. იგი საწარმოს ფასში მოიაზრებს მხოლოდ ძირითადი აქტივების ნარჩენ ღირებულებას და უგულებელყოფს არამატერიალური აქტივების ღირებულებას[221]. გარდა ამისა, ქართველი ეკონომისტების მიერ სადაოდ არის ქცეული ის ფაქტიც, რომ ფასის განსაზღვრაში მონაწილეობას იღებენ მყიდველებიც, რომლებიც, თავისთავად, დაინტერესებულნი არიან ფასის შემცირებით. ამიტომ საწარმოს შესაფასებლად მისაღებად მიაჩნიათ დამოუკიდებელი აუდიტორული ან კონსალტინგური ფირმების მოწვევა.

ამ ბოლო დროს ეკონომიკურ მეცნიერებაში მკვიდრდება მოსაზრება, რომ საწარმოს მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისათვის ამოსავალ ბაზად მიჩნეული იქნას ქონების საბალანსო ღირებულება, რომელიც კორექტირებული (შესწორებული) იქნება მომავალი

---

217 Karsten Schmidt, იგივე, გვ. 250

218 Karsten Schmidt, იგივე, გვ. 251

219 ამის შესახებ W. Uhlenbruck, Insolvenzrecht, Grundriß für Studium und Praxis, გვ. 64

220 იხ. ნ. ბაკაშვილი, გ. ძნელაძე, საწარმოს საწყისი გასაყიდი ფასის სწორი განსაზღვრისათვის, ჟურნალში: „ეკონომიკა“ (მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება), 2001წ. №1-2, გვ.83

221 იგივე, გვ. 83-84

შემოსავლებით. ხოლო ამ უკანასკნელის ოდენობის განსაზღვისათვის გამოიყენება შემოსავლების ნორმა, გამოხატული პროცენტებში და ბანკის სასესხო განაკვეთზე[222].

ვინაიდან საწარმოს მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად საჭიროა დიდძალი ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც საქართველოს პირობებში არც თუ ისე ადვილია, ამიტომ საწარმოს გასაყიდი ფასის დასადგენად საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი გარემოებები: საწარმოს ადგილმდებარეობა, მიწის ნაკვეთის ანალიზი, გაუმჯობესებათა (განვითარების პერსპექტივის) ანალიზი, მშენებლობის დანახარჯებისა და პირდაპირი კაპიტალიზაციის შეფასება, ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადების ანალიზი და სპეციალური გამოყენება შემოსავლების კაპიტალიზაციაში, აგრეთვე აუცილებელი ცვეთის შეფასება[223].

---

[222] იგივე, გვ. 84

[223] დაწვრილებით ამასთან დაკავშირებით იხ. პაატა მიქაძე, უძრავი ქონების შეფასება, მე-2 კანადური გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 7.1 – 25.1

# თავი 8. პარტნიორი შპს-ის გაკოტრების დროს

## §1. პარტნიორის შესატანი და მისი მოთხოვნები

შპს-ის საწესდებო კაპიტალში შეტანილი შესატანის მიმართ შპს-ის პარტნიორი არ წარმოადგენს საზოგადოების კრედიტორს, ვინაიდან შესრულებული შესატანი იქცევა შპს-ის საკუთრებად და პარტნიორს აღარ აქვს მისი უკან მოთხოვნის უფლება. თავისი შესატანის გამო პარტნიორი ვერ შეიძენს ვერც გაკოტრების კრედიტორის სტატუსს, როდესაც შპს-ის ქონებაზე გაიხსნება გაკოტრების საქმის წარმოება. პარტნიორის შესატანი, პირიქით, შპს-ის გაკოტრებისას ხშირ შემთხვევაში გვევლინება გაკოტრების კრედიტორების წინაშე პასუხსაგები მასის ბირთვად[224]. ამიტომ თუ პარტნიორს ბოლომდე არა აქვს შეტანილი თავისი შესატანი, მაშინ გაკოტრების მასას მიეკუთვნება აგრეთვე შპს-ის მოთხოვნა (როგორც ქონება) პარტნიორის მიმართ შეუტანელ შესატანზე.

ამრიგად, გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს შპს-თან ერთად მისი პარტნიორიც თავისი შესატანით მონაწილეობს საზოგადოების კრედიტორების (მათ შორის გაკოტრების კრედიტორების) მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. ხოლო პარტნიორს უშუალოდ არ წარმოეშობა მოთხოვნები შპს-ის მიმართ. რაც შეეხება უკვე განხორციელებულ შესატანს, შპს-ის გაკოტრებისას იგი, უმრავლეს შემთხვევაში, პარტნიორისათვის დაკარგულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი გაკოტრების წარმოების დასრულების შემდეგ საზოგადოებას დარჩება რაიმე ქონება (რაც მეტად საეჭვოა), რომელიც გაუნაწილდებათ პარტნიორებს თავიანთი წილების შესაბამისად.

შპს-ის პარტნიორი შეიძლება იმავდროულად მოგვევლინოს ასევე საზოგადოების კრედიტორადაც. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შპს-ას და პარტნიორს შორის არსებობს რაიმე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, მაგალითად, სესხის, ქირავნობის, ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს-თან გარიგებაში მყოფი პარტნიორი საზოგადოების მიმართ წარმოადგენს მესამე პირს. თუკი შპს-ამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება ამ პარტნიორის მიმართ, მაშინ იგი იქცევა შპს-ის კრედიტორად თავისი მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძოდ, მას წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში პარტნიორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება გაცხადებული იქნას როგორც გაკოტრების მოთხოვნა.

---

224 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 37, გვ. 723

შპს-ის პარტნიორს მაშინაც არ ესპობა საზოგადოებასთან გარიგებაზე დაფუძნებული მოთხოვნა, როცა იგი შპს-ის ერთადერთი ან გაბატონებული პარტნიორია (herrschender Gesellschafter). გაბატონებულ პარტნიორად ყოფნა ნიშნავს, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, შპს-ის საწესდებო კაპიტალის 51% ან მეტი წილის ფლობას. სამწუხაროდ, ჩვენს სამეწარმეო პრაქტიკაში დღესაც ბატონობს მოსაზრება, რომ კაპიტალური საზოგადოების ერთადერთი ან გაბატონებული პარტნიორი (აქციონერი) მოცემული საზოგადოების მესაკუთრეა, შესაბამისად, ასეთი პარტნიორი (აქციონერი) საზოგადოების ქონებას განიხილავს როგორც საკუთარს და მიაჩნია, რომ ამ ქონების განკარგვა მას თავისუფლად შეუძლია. ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება კერძო სამართლის არსს. კერძო სამართალში ერთმანეთისაგან გამიჯნულია სხვადასხვა კერძო სუბიექტების ქონება და პასუხისმგებლობა. გამონაკლისს ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა კანონი პირდაპირ ადგენს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას ან თვითონ სუბიექტის სამართლებრივი ფორმა უშვებს ერთი სუბიექტის ქონებრივ პასუხისმგებლობას მეორე სუბიექტის ვალდებულებებზე (მაგალითად, სპს და მისი პარტნიორი).

კაპიტალური საზოგადოება (შპს, სს და სხვ.) და მისი პარტნიორი (აქციონერი) წარმოადგენენ ორ სხვადასხვა კერძო სუბიექტს, ერთმანეთისაგან აშკარად გამიჯნული ქონებითა და ერთმანეთისაგან მკაცრად განსხვავებული ქონებრივი პასუხისმგებლობით. ისევე როგორც პარტნიორის (აქციონერის) პირადი ქონება არ შეიძლება მიექცეს გადასახდევინებლად შპს-ის ან სს-ის კრედიტორების სასარგებლოდ, ასევე საზოგადოების კუთვნილი ქონება არ დაექვემდებარება აღსრულებას პარტნიორის (აქციონერის) კრედიტორების სასარგებლოდ. ამრიგად, სამეწარმეო სამართალშიც მკვეთრი მიჯნაა დადებული ამ ორი სხვადასხვა სუბიექტის ქონებასა და პასუხისმგებლობას შორის. ერთადერთ ან გაბატონებულ პარტნიორს კაპიტალურ საზოგადოებაში აქვს საკუთრების უფლება მხოლოდ თავის წილზე. წილის ფლობა კაპიტალურ საზოგადოებაში ანიჭებს პარტნიორს (აქციონერს) სხვადასხვა უფლებას, რომლითაც ექმნება მას, ერთის მხრივ, მატერიალური სარგებლის (მაგ., დივიდენდის, აგრეთვე ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების) მიღების შესაძლებლობა, და მეორეს მხრივ, აღიჭურვება იგი მოთხოვნებით მესამე პირების წინააღმდეგ (მაგ., საზოგადოების დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა). ამრიგად, წილი (თუნდაც 100%) როგორც უფლება წარმოადგენს პარტნიორის არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს კაპიტალურ საზოგადოებაში, რაც სრულებითაც არ ნიშნავს მის საკუთრების უფლებას აღნიშნული საზოგადოების ქონებაზე. პარტნიორის (აქციონერის) ეს საკუთრება (წილი, აქცია) არ არის ჩართული საზოგადოების ქონებაში

და იგი არ შეიძლება მიქცეული იქნეს საზოგადოების კრედიტორების სასარგებლოდ. ხოლო თავად პარტნიორს (აქციონერს) შეუძლია თავისი წილი (აქცია), როგორც მისი საკუთრება, გაასხვისოს საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

საზოგადოებასთან გარიგებაზე დაფუძნებული პარტნიორის მოთხოვნა შპს-ის მიმართ განიხილება როგორც კრედიტორის ჩვეულებრივი მოთხოვნა. დაუშვებელია პარტნიორის მოთხოვნის იგნორირება სხვა კრედიტორების მოთხოვნებთან შედარებით იმის გამო, რომ იგი მოვალე – შპს-ის პარტნიორია. გერმანული სამართალი მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას უშვებს პარტნიორის მოთხოვნის უკან გადაწევას კრედიტორთა რანგში, კერძოდ მაშინ, როდესაც პარტნიორი სესხს აძლევს შპს-ას. ზოგიერთი ავტორი გერმანულ ლიტერატურაში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საზოგადოებისათვის სესხის მიცემა თავისი პრაქტიკული შედეგების მიხედვით უთანაბრდება პარტნიორის შესრულებას საზოგადოების მიმართ, რის გამოც იგი განხილული უნდა იქნას როგორც შესატანის შეტანა (ე.წ. „დაფარული შესატანი“)[225]. ხოლო შპს-ის გაკოტრებისას ამ შესატანს (ანუ სესხს), რომელიც უკვე ჩართულია გასანაწილებელ მასაში, ჩვეულებრივ შემთხვევაში, მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნებენ პარტნიორს, როდესაც დაკმაყოფილდება სხვა კრედიტორთა მოთხოვნები და გასანაწილებელ მასაში დარჩება რაიმე ქონება.

გერმანული სამართალი არ ითვალისწინებს პარტნიორის მოთხოვნების დაკმაყოფილე-ბის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორი შპს-ას სესხს მისცემს საზოგადოე-ბის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ნაცვლად საკუთარი კაპიტალის მიცემისა. გერმა-ნულ ლიტერატურაში ასეთ სესხს „პარტნიორის კაპიტალშემცვლელ სესხს“ (Kapitalerset-zender Gesellschafterdarlehen) უწოდებენ. პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხის შესახებ დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალშემცვლელი სესხის მიცემისას პარტნიორის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობას საფუძვლად უდევს შპს-ის გერმანული კანონი, რომელიც პირდაპირ კრძალავს პარტნიორზე შპს-ის ქონებიდან რაიმეს გადახდას (GmbHG, §30). ამ აკრძალვაში ხვდება აგრეთვე პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში განიხილავენ როგორც კრედიტორების წინაშე შპს-ის პასუხსაგებ კაპიტალად. ამრიგად, თუ შპს-ის კრიზისის პერიოდში, მაგრამ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე, შპს პარტნიორს სესხს უკან დაუბრუნებს, მაშინ გაკოტრების წარმოების გახსნისას გაკოტრების მართველს უფლება აქვს მოითხოვოს პარტნიორისაგან მისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება

225 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 38, გვ. 725

(GmbHG, §31). თვითონ პარტნიორს კი მისთვის სესხის დაუბრუნებლობისას არა აქვს უფლება, თავისი მოთხოვნა გაკოტრების გახსნილ წარმოებაში განაცხადოს როგორც საგაკოტრებო მოთხოვნა.

შპს-ის პარტნიორს შეიძლება წარმოეშვას მოთხოვნა საზოგადოების მიმართ აგრეთვე თავისი პარტნიორობიდან გამომდინარე. ეს შეეხება, უპირველესად, მოთხოვნებს წინა წლის ბოლოს დარჩენილი მოგების განაწილებასთან და დამატებითი შესატანების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მაგრამ შპს-ის გაკოტრების დროს დაუშვებელია პარტნიორის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ შპს-ის გაკოტრების პერიოდში პარტნიორებს შორის მოგების განაწილება გამოირიცხება. რაც შეეხება დამატებითი შესატანების უკან დაბრუნებას, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული ჰქონდეთ პარტნიორებს მანამდე, ვიდრე შპს-ის ქონებაზე გაიხსნებოდა გაკოტრების წარმოება. შპს-ის კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს გადახდილი დამატებითი შესატანების უკან დაბრუნებას პარტნიორებზე, თუ ისინი არ არიან აუცილებელნი ძირითად კაპიტალში წარმოშობილი ზარალის დასაფარავად (GmbHG, §30, Abs. 2). თუკი მათი დაბრუნებით ძირითადი კაპიტალი შეიძლება დაზარალდეს, მაშინ ასეთი გადახდაც, თავისთავად, გამოირიცხება, ხოლო პარტნიორს საზოგადოების გაკოტრებისას აღარ წარმოეშობა მათი დაუბრუნებლობის გამო საგაკოტრებო მოთხოვნა.

პარტნიორის აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ასევე პირდაპირ გამომდინარეობს შპს-ის გერმანული კანონიდან, რომელიც კრძალავს საზოგადოების ქონებიდან პარტნიორებზე რაიმეს გადახდას (GmbHG, §30, Abs. 1). თავის მხრივ, ასეთ აკრძალვას საფუძვლად უდევს საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების აუცილებლობა. აღნიშნული ნორმა კრედიტორთა ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი. ამიტომ პარტნიორის მოთხოვნები შპს-ის მიმართ არ მიიჩნევა შპს-ის გაკოტრებისას თანაბარუფლებიან საგაკოტრებო მოთხოვნებად, არამედ მათ გადაანაცვლებენ საზოგადოების სხვა დანარჩენი კრედიტორების მოთხოვნებზე უკან[226]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასის განაწილებისას პარტნიორი-კრედიტორები შეიძლება საერთოდ დაკმაყოფილების გარეშე დარჩნენ.

საინტერესოა საკითხი, წარმოეშობა თუ არა პარტნიორს შესატანის უკან დაბრუნების მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში. საწესდებო კაპიტალის შემცირებისას პარტნიორებს გადაეცემათ კაპიტალის ნაწილი. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის არის მიღებული გადაწყვეტილება

---

226 Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 40, გვ. 729

კაპიტალის შემცირების შესახებ, საზოგადოების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, თუ – ასეთი კრიზისის დადგომამდე. თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნა საზოგადოების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, მაშინ პარტნიორი ვერ მოითხოვს შესატანის უკან დაბრუნებას, და შესაბამისად, შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნის შემთხვევაში მისი მოთხოვნა არ განიხილება როგორც საგაკოტრებო მოთხოვნა. ეს ნაკარნახევია შპს-ის სხვა გარეშე კრედიტორების ინტერესების დაცვით. ეკონომიკური კრიზისის პერიოდში საწესდებო კაპიტალის შემცირების შედეგად, თავისთავად, მცირდება შპს-ის პასუხსაგები ქონებაც, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში, უნდა წარიმართოს კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. ხოლო საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით პარტნიორებს სურთ, დაასწრონ შპს-ის გარეშე კრედიტორებს და მიიღონ საზოგადოების ქონება მათზე უფრო ადრე.

საწესდებო კაპიტალის შემცირებისას კრედიტორთა ინტერესების დაცვის გარანტიები მოცემულია თვით კანონში. მაგალითად, შპს-ის გერმანული კანონი უშვებს პარტნიორებზე შემცირებული კაპიტალიდან მათი კუთვნილი თანხის გადახდას, თუკი სახეზე იქნება საწესდებო კაპიტალის შემცირების წინაპირობები, როგორიცაა: პარტნიორთა სათანადო გადაწყვეტილების არსებობა, მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება, კრედიტორების სავალდებულო გამოხმაურება, გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე კრედიტორების დაკმაყოფილება და სხვა (GmbHG, §58, Abs. 1). ქართული სამეწარმეო სამართალი საწესდებო კაპიტალის შემცირებისათვის ითხოვს ისეთი პირობების შესრულებას, როგორიცაა: ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში და მისი შესაბამისი რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 3.3. აბზაცი 2).

პარტნიორს წარმოეშობა შესატანის უკან დაბრუნების მოთხოვნა, თუ ეკონომიკური კრიზისი საზოგადოებას დაუდგა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ და კრიზისის ამოცნობა პარტნიორებისათვის შეუძლებელი იყო. შპს-ის გაკოტრებისას პარტნიორის მოთხოვნა მიიღებს ჩვეულებრივი საგაკოტრებო მოთხოვნის სტატუსს და იგი თანაბრად დაკმაყოფილდება სხვა საგაკოტრებო მოთხოვნებთან ერთად.

## §2. პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი

შპს-ის გაკოტრებისას მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და მისი პარტნიორის ფინანსური ურთიერთობის გარკვევა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა

პარტნიორის მიერ შპს-თვის ფულადი სახსრების მიცემას. ამ დროს საინტერესოა, რამდენადაა შპს-ის პარტნიორი თავისუფალი თავისივე საზოგადოებისათვის საკუთარი სახსრების მიცემაში. კერძოდ, როდის და რა ფარგლებში შეუძლია მას გამოიჩინოს ასეთი "გულისხმიერება" და რამდენად მიზანშეწონილია, რომ პარტნიორის ფულით აღიჭურვოს საზოგადოება, რომლისთვისაც იგი მაინც უცხო კაპიტალად განიხილება.

ჩვეულებრივ, პარტნიორს შეუძლია ნებისმიერ დროს მისცეს შპს-ას საკუთარი ფული, რომლის (როგორც სესხის) უკან დაბრუნებაც მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროის პერიოდს. თუკი პარტნიორი სესხს მოითხოვს და უკან დაიბრუნებს შპს-ის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების გაკოტრება და შედეგად — მისი გაუქმება. ამიტომ მნიშვნელოვანია თავად პარტნიორის დამოკიდებულება მიცემული ფულადი სახსრებისადმი. თუ პარტნიორი შპს-თვის ფინანსურ დახმარებას გადაწყვეტს კრიზისის დადგომის შემდეგ, მაშინ მან როგორც "წესიერმა მეწარმემ" უნდა მისცეს მას მხოლოდ საკუთარი კაპიტალი და არა უცხო კაპიტალი[227]. საზოგადოებაში შესული კაპიტალი ყოველთვის **უცხო კაპიტალია**, თუ იგი სესხის სახით არის მიღებული. სესხი კი მკაცრად დაბრუნებადია. თუკი პარტნიორი შპს-ის კრიზისის პერიოდში საკუთარი კაპიტალის მაგივრად მისცემს შპს-ას ფულს, მაშინ საქმე გვექნება განსაკუთრებული სახის სესხთან. ასეთი სესხი შპს-თვის განიხილება არა როგორც უცხო კაპიტალი, არამედ — როგორც საკუთარი კაპიტალის შემცვლელი სესხი. ასეთი სესხის დაბრუნება არ შეიძლება მოითხოვოს პარტნიორმა საზოგადოების გაკოტრების დროს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში და მართლმსაჯულებაში ასეთ სესხს პარტნიორის საკუთარი კაპიტალის შემცვლელ სესხს (Eigenkapitalersetzender Gesellschafterdarlehen) უწოდებენ (მოკლედ: "პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი"). ფუნქციონალურად აქ საქმე გვაქვს საკუთარი კაპიტალის შეცვლასთან, ხოლო ფორმალურად - სესხთან[228].

პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი გერმანიაში სამართლებრივად მოწესრიგდა 1980 წელს მიღებული შპს-ის კანონის (GmbHG) საკანონმდებლო ნოველით, როდესაც აღნიშნულ კანონში შეტანილ იქნა დამატებით ორი მუხლი: §32ა და §32ბ[229]. აღნიშნული

227 Insolvenzrechts-Handbuch / von Hans Arnold... Hrsg. von Peter Gottwald, 1990, გვ. 785

228 Insolvenzrechts-Handbuch, იქვე

229 უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხის მოწესრიგება გათვალისწინებული იყო მეწარმეთა შესახებ ქართული კანონპროექტის თავდაპირველ გერმანულ ვარიანტში (მუხლები 3.5 და 3.6). მაგრამ გერმანელი ექსპერტების წინადადებით იგი, როგორც იმ დროისათვის ძნელად გასაგები და ჯერ კიდევ მოსაწესრიგებლად ადრე მიჩნეული, ამოღებულ იქნა პროექტიდან.

საკანონმდებლო ნოველა გაკოტრების გერმანულ სამართალშიც აისახა. კერძოდ, გაკოტრების 1877 წ. დებულებაში დამატებული იქნა ახალი (ანალოგიური ნუმერაციის §32ა) მუხლი, რომელიც თითქმის უცვლელად აისახა ინზოლვენციის ახალ 1994წ. დებულებაშიც (InsO, §135).

შპს-ის საკანონმდებლო ნოველის მიზანი იყო არა მხოლოდ პარტნიორის პასუხისმგებლობის გაზრდა საზოგადოების მიმართ, არამედ აგრეთვე საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესება.

პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხის მიმართ შესაბამისად გამოიყენება შპს-ის გერმანული კანონის §30 და §31, რომლებიც კრძალავენ შპს-ის ქონებიდან პარტნიორისათვის ზოგადად რაიმეს გადახდას. ეს აკრძალვა, თავისთავად, შეეხება აგრეთვე პარტნიორის კაპტალშემცვლელ სესხსაც. მართალია, შპს-ის კანონში არ არის პირდაპირი მითითება ასეთი სესხის დაბრუნების აკრძალვაზე, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ ინზოლვენციის დებულება ხდის საცილოდ პარტნიორისათვის კაპიტალშემცვლელი სესხის დაბრუნებას (შდრ. InsO, §135) თუკი პარტნიორისათვის მაინც მოხდა რაიმეს გადახდა, საზოგადოებას ყოველთვის აქვს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (GmbHG, §31 I), რომლის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 5 წელს[230]. საკანონმდებლო ნოველით შპს-ის კანონში ახალი მუხლის (§32a) შემოღებამ გაკოტრების მმართველს მისცა ნორმის გამოყენების დამატებითი შესაძლებლობა. კერძოდ, მან ცალკეულ შემთხვევებში უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ნორმის გამოყენება არის მისაღები, რათა უფრო უკეთესად იქნას გათვალისწინებული კრედიტორთა ინტერესები.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სადაოდ არის ქცეული სესხის სამართლებრივი სტატუსიც, კერძოდ, არის იგი "სესხი" ვალდებულებით-სამართლებრივი გაგებით, თუ არის იგი "კაპიტალი", რომლითაც საზოგადოებამ შეიძლება პასუხი აგოს კრედიტორების წინაშე (ანუ პასუხსაგები კაპიტალი). მართალია, კანონმდებლობაში იგი მოიხსენიება როგორც “სესხი” (Darlehen), მაგრამ ავტორთა უმრავლესობა არ მიიჩნევს მას ვალდებულებითი სამართლის კატეგორიად. შესაბამისად, გამორიცხავენ მის უკან დაბრუნებასაც, ვინაიდან უკან დაბრუნება განიხილებოდა არა როგორც სესხის დაფარვა, არამედ როგორც კაპიტალის თანხის უკან გადახდა (Rückzahlung), რასაც კრძალავს შპს-ის კანონი (GmbHG, §30). ვალდებულებითი სამართალი კი სესხს მიიჩნევს გარკვეულ ვადაში

---

230 შდრ. Insolvenzrechts-Handbuch / von Hans Arnold... Hrsg. von Peter Gottwald, 1990, გვ. 786

უკან დაბრუნებად კატეგორიად და არ ასხვავებს ერთმანეთისაგან გამსესხებელ პირებს, იქნება ეს გარეშე მესამე პირი საზოგადოების მიმართ თუ — საზოგადოების პარტნიორი.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნული სესხის იურიდიული ბუნების ახსნისას სიტყვა-სიტყვით ამოდის კანონის ტექსტიდან, სადაც იგი "სესხად" (Darlehen) მოიხსენიება. შესაბამისად, მას განიხილავენ ვალდებულებით-სამართლებრივ მოვლენად, ხოლო სესხის გამცემ პარტნიორს, მიუხედავად საზოგადოებასთან თავისი პარტნიორული ურთიერთობებისა და საზოგადოების კრიზისისა, — სესხის ჩვეულებრივ კრედიტორად, ოღონდ უფრო დაბალრანგიან და ნაკლებუფლებიან კრედიტორად სხვა კრედიტორებთან მიმართებაში[231]. ჩემის აზრით, ასეთი მიდგომა არასწორია. ჩვეულებრივი სესხის კრედიტორის მოთხოვნა საგაკოტრებო წარმოებაში წარმოადგენს საგაკოტრებო მოთხოვნას და იგი სხვა მოთხოვნებთან ერთად თანაბრად განიხილება. ასევე თანაბრად უნდა იქნას განხილული პარტნიორი—გამსესხებლის მოთხოვნაც და არ უნდა მოხდეს სხვა კრედიტორებთან შედარებით მისი რანგში და უფლებებში დამდაბლება თუნდაც იმის გამო, რომ იგი ამავე საზოგადოების პარტნიორია. ამ დროს არსებითია, რომ პარტნიორის მიერ სესხის მიცემა არ დაემთხვეს საზოგადოების კრიზისის პერიოდს. ამასთან, აქ გასათვალისწინებელია სუბიექტური მომენტიც, კერძოდ, ის, თუ სესხის მიცემის დროს რამდენად შეეძლო პარტნიორს ამოეცნო საზოგადოების კრიზისი და როგორ შეეძლო მას ემოქმედა.

შეიძლება ითქვას, რომ შპს-ის ეკონომიკური კრიზისი განაპირობებს პარტნიორის მიერ საზოგადოებისათვის მიცემული სესხის სამართლებრივ შეფასებას. კერძოდ, თუ სესხი გაცემულია ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე, მაშინ იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე შებოჭვას და შეზღუდვის გარეშე შეიძლება დაუბრუნდეს გამსესხებელ პარტნიორს[232]. პარტნიორი, მიუხედავად საზოგადოებასთან მისი პარტნიორული დამოკიდებულებისა, განიხილება ჩვეულებრივ კრედიტორად. განსხვავებული სიტუაცია გვაქვს მაშინ, როდესაც პარტნიორი ფულადი სახსრებით აღჭურავს შპს-ას მისი ეკონომიკური კრიზისის დროს, აგრეთვე იმ პერიოდში, როდესაც შპს-ის ქონებაზე გახსნილია გაკოტრების წარმოება. ასეთ დროს პარტნიორის მიერ საზოგადოებისათვის მიცემული ნებისმიერი ფულადი სახსრები იქცევა შპს-ის პასუხსაგებ კაპიტალად, რომელიც წარიმართება საზოგადოების კრედიტორების დასაკმაყოფილებლად, ხოლო პარტნიორს მოესპობა უფლება, მოითხოვოს მიცემული სახსრების უკან დაბრუნება. პარტნიორის მიერ

---

231 იხ. ამასთან დაკავშირებით Bruno Kruse, Kapitalersetzende Geselschafterdarlehen in der Krise der GmbH: eine konkurs- und konkursstrafrechtliche Untersuchung, 1987, გვ. 6 ff

232 Insolvenzrechts-Handbuch / von Hans Arnold... Hrsg. von Peter Gottwald, 1990, §82, Rdn. 14, გვ. 786

საზოგადოებისათვის მიცემული ფულადი სახსრები კაპიტალური საზოგადოებების სამართლის კატეგორიაა (კაპიტალშემცვლელი სესხი) და მაქსიმალურად შორდება სამოქალაქო-სამართლებრივ სივრცეს (ვალდებულებით-სამართლებრივი სესხი).

მაშასადამე, შპს-ის პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხის ჩართვა შპს-ის პასუხსაგებ კაპიტალში, სრულად გამორიცხავს პარტნიორს შპს-ის გაკოტრების წარმოებიდან როგორც გაკოტრების კრედიტორს. მას გაკოტრების წარმოებაში არ შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნა კაპიტალშემცვლელი სესხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, და შესაბამისად, ასეთი მოთხოვნა არ განიხილება საგაკოტრებო მოთხოვნად. ხოლო თუკი პარტნიორის კაპიტალშემცვლელი სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც იქნა პარტნიორისთვის უკან დაბრუნებული გაკოტრების წარმოების გახსნამდე ერთი წლის განმავლობაში, გაკოტრების მმართველს შეუძლია შეეცილოს ამ უკან დაბრუნებას და მიაღწიოს გაკოტრების მასაში სესხის თანხის უკან დაბრუნებას (GmbHG, §32a, წინადად. 2). პარტნიორს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება თავისი სესხის გამო, თუკი გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ დარჩება რაიმე გასანაწილებელი ქონებიდან, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაკლებად მოსალოდნელია.

### §3. პარტნიორის გაკოტრების გავლენა შპს-აზე

როდესაც ადგილი აქვს შპს-ის გაკოტრებას, ამ დროს გადამწყვეტია იმის ცოდნა, თუ რა ზეგავლენას ახდენს მისი გაკოტრება თავისი წევრის – პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობაზე. შესაბამისად, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა სამრთლებრივი შედეგები დგება შპს-თვის, როდესაც გაკოტრების წარმოება იხსნება მისი პარტნიორის ქონებაზე და რა გავლენას ახდენს იგი თავად შპს-აზე.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს-ის პარტნიორის გაკოტრებით არ დგება არავითარი სამართლებრივი შედეგი საზოგადოების მიმართ. იგი არ ახდენს აგრეთვე ზეგავლენას შპს-ის სამრთლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობაზე. შპს-ის პარტნიორის გაკოტრება არ იწვევს, მაგალითად, საზოგადოების გაუქმებას.

თავისი წევრის გაკოტრებით საზოგადოება უქმდება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება, მაგალითად, გერმანულ პიროვნულ საზოგადოებებს – ღია სავაჭრო საზოგადოებასა (OHG) და კომანდიტურ საზოგადოებას (KG). გერმანული სავაჭრო კოდექსის (HGB) მიხედვით, ღია სავაჭრო საზოგადოების პარტნიორის ან კომანდიტური საზოგადოების კომანდიტის გაკოტრება წარმოადგენს საზოგადოების გაუქმების ერთ-ერთ კანონისმიერ საფუძველს (HGB, §131 Nr.5, §161 II). თუმცა ასეთ შემთხვევაში პიროვნული საზოგადოების არსებობის

გაგრძელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ე.წ. **საზოგადოების გაგრძელების დათქმით** (Fortsetzungsklausel, HGB, §138). ამ ნორმის თანახმად, გაკოტრების შემთხვევაში პარტნიორი (კომანდიტი) გადის საზოგადოებიდან, ხოლო საზოგადოება გაგრძელდება სხვა დარჩენილ წევრებს შორის[233].

ქართულმა სამეწარმეო სამართლმა, გერმანული ანალოგიური სამართალწესრიგისაგან განსხვავებით, გამორიცხა პიროვნული საზოგადოებების (სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების) გაუქმება მისი წევრის (პარტნიორის, კომანდიტის) გაკოტრების გამო. მეწარმეთა კანონში სპს-ის თავში არ არის მითითებული საზოგადოების გაუქმების ისეთი საფუძველი, როგორიცაა პარტნიორის გაკოტრება ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 28). სპს-ის პარტნიორის გაკოტრებას მოჰყვება, ჩვეულებრივ, მისი გასვლა საზოგადოებიდან ამ ფაქტის ძალაში შესვლის მომენტიდან ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 31.1). იგივე წესები მოქმედებს კომანდიტური საზოგადოების კომანდიტის მიმართაც ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 34.2).

პიროვნული საზოგადოებებისგან განსხვავებით, კაპიტალური საზოგადოებების სამართლებრივი არსებობა, ანუ ექსისტენცი (existenz), უფრო მყარია და მეტად არის დაცული იმ ცვლილებებისაგან, რაც შეიძლება განვითარდეს პარტნიორის სამართლებრივი ან ეკონომიკური სტატუსის მიმართ. შესაბამისად, ასეთი ცვლილებები არ აისახება კაპიტალური საზოგადოების ექსისტენცზე. ამრიგად, შპს-ის პარტნიორის გაკოტრებამ არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების გაუქმება. ერთადერთი მიზეზი შპს-ის გაკოტრებისა, შეიძლება იყოს თვითონ შპს, კერძოდ, მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. შპს-ის გერმანული კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნა წარმოადგენს მისი გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლს (GmbHG, §60, აბზაცი 1, Nr.4).

ქართული სამეწარმეო კანონი, რომელშიც ჩართულია აგრეთვე შპს-ის სამართალი, გერმანული სამართალწესრიგისაგან განსხვავებით, არ იძლევა შპს-ის გაუქმების საფუძვლებს. ხოლო ის, რომ გაკოტრების წარმოების გახსნა წარმოადგენს შპს-ის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს, გამომდინარეობს (თუმცა არაპირდაპირ) უშუალოდ გაკოტრების კანონიდან[234]. გაკოტრების ქართული კანონით, მარეგისტრირებელ უწყებებს

---

233 K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 2., völlig neu bearb, und erw. Aufl. - Köln; Berlin; Bonn; München, 1991, გვ. 1251

234 როინ მიგრიაული, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან", ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი", 2002წ. №1(5)

მოეთხოვებათ, რომ გაკოტრების წარმოების გახსნა შეიტანონ შესაბამის რეესტრში ("გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მუხლი 12). ეს წესი ეხებათ სარეგისტრაციო სასამართლოებსაც, რომლებმაც შპს-ის გაკოტრების შესახებ აღნიშვნა უნდა გააკეთონ სამეწარმეო რეესტრში. ამ აღნიშვნით, მარეგისტრირებელი სასამართლო "მონიშნავს" გაკოტრებულ შპს-ას და გაკოტრების წარმოების დამთავრებისთანავე მოახდენს მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციას, ანუ ამოშლის მას რეესტრიდან ("მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 5.7). მართალია, კანონი არ ხმარობს სიტყვებს "რეესტრიდან ამოშლას", მაგრამ ამ სამართლებრივ შედეგს გამოხატავს სხვა სიტყვებით – "საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია".

შპს-ის რეესტრიდან ამოშლისათვის არსებითია, რომ გაკოტრების საქმის წარმოება მის ქონებაზე უკვე დასრულებული იყოს და მასის განაწილების შემდეგ აღარ იყოს დარჩენილი არავითარი ქონება. სამწუხაროდ, მეწარმეთა კანონის 5.7 მუხლს აკლია სრულყოფა და იურიდიული გამართულობა. ამან კი შეიძლება ბევრი გაუგებრობა შექმნას პრაქტიკაში. კერძოდ, ამ მუხლიდან ისე ჩანს, თითქოს გაკოტრების წარმოების გახსნა არის ლიკვიდაციის რეგისტრაციის, ანუ რეესტრიდან ამოშლის საფუძველი. ასეთი განმარტება უკვე მიეცა მას ლიტერატურაში[235]. გაკოტრების წარმოების გახსნა არ შეიძლება გახდეს საზოგადოების რეესტრიდან ამოშლის საფუძველი, არამედ იგი არის მხოლოდ მისი გაუქმების საფუძველი. გაუქმებას კი აუცილებლად უნდა მოჰყვეს ლიკვიდაცია. ხოლო თუ ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას აღარ დარჩება რაიმე ქონება, მაშინ მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ამოიშალოს იგი რეესტრიდან. ასეთივე მდგომარეობაა გაკოტრების შემთხვევაშიც. საზოგადოება შეიძლება ამოიშალოს რეესტრიდან არა უბრალოდ "გაკოტრების შემთხვევაში" (როგორც ეს მითითებულია 5.7 მუხლში), არამედ "გაკოტრების წარმოების დასრულების შემთხვევაში" (Abschluss des Konkursverfahrens)[236].

თავის მხრივ, "გაკოტრების წარმოების დასრულება" შეიძლება გამოვიდეს სამეწარმეო საზოგადოების რეესტრიდან ამოშლის წინაპირობად, მაგრამ არა სავალდებულო პირობად. გაკოტრების დასრულების შემდეგ თეორიულად არსებობს სულ მცირე შანსი

---

235 შდრ. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, მე-2 გამოც., გვ. 87. იგივე სახის განმარტება მიეცა ამ მუხლს ამავე კომენტარის მე-3 გამოცემაში, გვ. 87.

236 ასე იყო მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის გერმანულ ვარიანტში. სამწუხაროდ, თარგმნის დროს დაშვებულმა შეცდომამ სულ სხვაგვარი შინაარსობრივი დატვირთვა მისცა აღნიშნულ მუხლს.

იმისა, რომ სამეწარმეო საზოგადოებას შეიძლება დარჩეს რაიმე ქონება და საქმე მის ამოშლამდე არ მივიდეს.

პარტნიორის გაკოტრება არც მაშინ ახდენს ზეგავლენას შპს-ის ექსისტენციზე, თუ ამ პირის ქონებაზე მანამდე იყო გაკოტრების წარმოება გახსნილი, ვიდრე შპს სამართლებრივად წარმოიშობოდა, ანუ ჩაიწერებოდა სამეწარმეო რეესტრში, ხოლო მოცემული პირი კი შეიძენდა პარტნიორის სტატუსს.

თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ შპს-ის გაკოტრება და მისი პარტნიორის გაკოტრება ერთდროულად მიმდინარეობდეს. შპს-ის პარტნიორი დამოუკიდებლად ისეთივე გაკოტრებაუნარიანია, როგორც თვითონ შპს. შესაბამისად, პარტნიორის პირადი კრედიტორები დაკმაყოფილდებიან მხოლოდ მისი პირადი ქონებიდან. ამიტომ შპს-ის გაკოტრებისას საქმის წარმოება ხორციელდება შპს-ის ქონებაზე, ხოლო პარტნიორის გაკოტრებისას – პარტნიორის პირად ქონებაზე. შპს-ის გაკოტრებისაგან განსასხვავებლად, მისი პარტნიორის გაკოტრებას გერმანულ ლიტერატურასა და მართლმსაჯულებაში განსაკუთრებულ (სპეციალურ ან კერძო) გაკოტრებას უწოდებენ (Sonderkonkurs). რადგანაც სპეციალური გაკოტრება მიმდინარეობს მხოლოდ პარტნიორის ქონებაზე, ამიტომ დაუშვებელია, რომ შპს-ის გაკოტრებისას პარტნიორის პირადი ქონება მოზიდული იქნას საზოგადოების გაკოტრების მასაში და რეალიზებული იქნას შპს-ის გაკოტრების კრედიტორების სასარგებლოდ. შპს და მისი პარტნიორი სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები არიან, ამასთან, მათ გააჩნიათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქონება. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ შპს-ის ქონება და მისი პარტნიორის ქონება, რომელიმე მათგანის გაკოტრების შემთხვევაში, ლიკვიდირებული იქნას გაკოტრების ერთ წარმოებაში. ორი სხვადასხვა კერძო ქონება არ ქმნის ერთიან პასუხსაგებ გაკოტრების მასას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შპს-ის ქონებაზე გაკოტრების წარმოების შემთხვევაში საზოგადოების პასუხსაგებ გაკოტრების მასაში ჩაირთვება არა მისი პარტნიორის კერძო ქონება, არამედ მხოლოდ შესატანები, რომლებიც სრულად შეტანის შემდეგ მიეკუთვნებოდა საზოგადოების ქონებას და იქცეოდა მის საკუთრებად.

მსგავს სამრთლებრივ მოწესრიგებას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, თუ შპს-ის ჰყავს ერთადერთი ან გაბატონებული პარტნიორი. ასეთი შპს-ის არსებობას არაფერი ემუქრება მისი პარტნიორის გაკოტრების შემთხვევაშიც, ისევე როგორც პარტნიორისათვის არავითარი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება შპს-ის გაკოტრებისას.

# თავი 9. შპს-ის გაკოტრების წარმოების დამთავრება

## §1. გაკოტრების წარმოების დამთავრების საფუძვლები

შპს-ის ქონებაზე გახსნილი გაკოტრების წარმოება გარკვეული დროის შემდეგ უნდა დამთავრდეს. ამასთან, წარმოების დამთავრება მთელ რიგ წინაპირობებს ეფუძნება.

გაკოტრების ქართული სამართალი, ვიდრე 2001 წელს მისი ნოვაცია განხორციელდებოდა, გაკოტრების წარმოების დამთავრებას მხოლოდ ერთი საფუძვლით – გაკოტრების წარმოების შეწყვეტით გამოხატავდა. კერძოდ, გაკოტრების წარმოება შეწყდებოდა შემდეგ შემთხვევებში: ა) ამონაგების განაწილებისა და სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშისა და მოხსენების შემოწმების შემდეგ, ბ) როდესაც ძალაში შევიდოდა საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, გ) გაკოტრების წარმოების ხარჯების დაფარვის შეუძლებლობისას, დ) თუ მოვალე მოითხოვდა წარმოების შეწყვეტას და ყველა კრედიტორი დაეთანხმებოდა მას და ე) გაკოტრების საფუძვლის გაუქმებისას[237].

გაკოტრების გერმანული (ინზოლვენცის) სამართალი იცნობს გაკოტრების წარმოების დამთავრების ორ საფუძველს: გაკოტრების წარმოების გაუქმებას (Aufhebung) და გაკოტრების წარმოების შეწყვეტას (Einstellung). ამასთან, გაკოტრების წარმოების გაუქმება შემოიფარგლება ორი შემთხვევით. კერძოდ, როდესაც მთლიანად განაწილდება გაკოტრების მასა (InsO, §200) ან ძალაში შევა ინზოლვენცის გეგმა (InsO, §258). ეს, კერძოდ, ის შემთხვევებია, როდესაც გაკოტრების წარმოება თანმიმდევრულად დასრულდება გაკოტრების წარმოების მიზნის მიღწევის ან შეცვლის გამო. მასის მთლიანი განაწილებით გაკოტრების წარმოების მიზანი მიღწეულად მიიჩნევა, ხოლო ინზოლვენცის გეგმის ძალაში შესვლით აღნიშნული მიზანი ძირფესვიანად იცვლება – მას მორიგების მიზანი ცვლის. რაც შეეხება გაკოტრების წარმოების შეწყვეტას, ამ დროს გაკოტრების წარმოება ლოგიკური დასრულებისაკენ კი არ მიემართება, არამედ გარკვეული მიზეზების გამო იგი მოულოდნელად წყდება, რაც აზრს უკარგავს მის შემდგომ გაგრძელებას. გაკოტრების წარმოების შეწყვეტის შემთხვევებს, კერძოდ, მიეკუთვნება: ა) როდესაც გამოვლინდება, რომ წარმოების ხარჯების დასაფარი გაკოტრების მასა არასაკმარისია (InsO, §207) ბ) როდესაც გაკოტრების მასა მთლიანად განაწილდება მხოლოდ მასის კრედიტორებზე (InsO, §211) გ)

---

[237] შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, 1996წ. რედაქცია, პარლამენტის უწყებები, №19-20, ივლისი, 1996, მუხლი 30

როდესაც მოისპობა გაკოტრების საფუძველი (InsO §212) და ბოლოს, დ) როდესაც მოვალე მოითხოვს წარმოების შეწყვეტას და გაკოტრების ყველა კრედიტორი დაეთანხმება ამას (InsO §213). აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართალი ითვალისწინებს გაკოტრების წარმოების როგორც გაუქმების, ისე შეწყვეტის სავაჭრო რეესტრში ჩაწერის აუცილებლობას ( InsO §32).

გერმანულ სამართალთან უბრალო შედარებაც კი თვალსაჩინოს ხდის, რომ ქართული სამართალი, გაკოტრების წარმოების ერთი ინსტიტუტის (შეწყვეტის) ფარგლებში, თითქმის უცვლელად იმეორებდა გაკოტრების წარმოების დამთავრების ყველა შემთხვევას, გარდა ისეთი შემთხვევისა, როგორიცაა წარმოების შეწყვეტა მასის კრედიტორებზე მასის განაწილების გამო (InsO, §211).

2001 წელს განხორციელებულმა ნოვაციამ გარკვეული სიცხადე შეიტანა გაკოტრების წარმოების დამთავრების საფუძვლებში. ნოვაციით ერთმანეთისაგან გაიმიჯნა გაკოტრების წარმოების თანმიმდევრული დამთავრება გარკვეულ მიზეზებზე დამოკიდებული შეწყვეტისაგან. შესაბამისად, გაკოტრების წარმოების დამთავრება გამოიხატა ასევე ორ საფუძველში, როგორიცაა გაკოტრების წარმოების დასრულება და გაკოტრების წარმოების შეწყვეტა (შდრ. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, 2001წ. რედაქცია, მუხლი 29[1].1) მაგალითად, გაკოტრების წარმოების დასრულება შეესაბამება გერმანული გაკოტრების წარმოების გაუქმების ინსტიტუტს, რომელიც ასევე ორი შემთხვევით არის გადმოცემული: ა) ამონაგების განაწილება გაკოტრების მმართველის მიერ და მისი საბოლოო ანგარიშისა და მოხსენების შემოწმება და ბ) საგაკოტრებო მორიგების ძალაში შესვლა. რაც შეეხება წარმოების შეწყვეტას, ისიც თითქმის ემთხვევა გერმანულ ანალოგიურ ინსტიტუტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაკოტრების ქართული სამართალი არ ითვალისწინებს წარმოების შეწყვეტას მასის კრედიტორებზე მასის განაწილების გამო. მისთვის ამოსავალია მხოლოდ წარმოების ხარჯების დასაფარავი მასის არასაკმარისობა.

ქართული სამართლის მიხედვით, წარმოების ხარჯები მიეკუთვნება გაკოტრების მასის მოთხოვნებს, (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 19“გ“) რომლებიც უფრო ადრე უნდა დაკმაყოფილდეს, ვიდრე გაკოტრების მასა განაწილდებოდა გაკოტრების კრედიტორებზე. გერმანულ სამართალში გაკოტრების წარმოების დამთავრება მეთოდურად სხვაგვარადაა აგებული გაკოტრების მასასთან მიმართებაში. კერძოდ, გაკოტრების წარმოების დამთავრების საფუძვლებია, ერთის მხრივ, გაკოტრების მასის საბოლოო განაწილება (Schlussverteilung) და მეორეს მხრივ, გაკოტრების მასის არასაკმარისობა (asseunzulänglichkeit) მასის დარჩენილი ვალდებულებების (sonstige

Masseverbindlichkeiten, InsO §208) დასაფარავად[238]. პირველ შემთხვევაში, გაკოტრების წარმოება გაუქმდება, ვინაიდან მასის საბოლოო განაწილებით აღსრულდება გაკოტრების წარმოების ერთ-ერთი მიზანი, ხოლო მეორე შემთხვევაში – წარმოება შეწყდება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მასის არასაკმარისობა მასის დარჩენილი ვალდებულებების მიმართ გულისხმობს იმას, რომ იგი არ არის საკმარისი მასის ყველა კრედიტორის სრულად დასაკმაყოფილებლად. შეიძლება ამ დროს გაკოტრების მასა საკმარისი იყოს მხოლოდ მასის პირველი რიგის ვალდებულების – წარმოების ხარჯების დასაფარავად, მაგრამ იგი შეიძლება მთლიანად ვერ გასწვდეს მასის ყველა დანარჩენი კრედიტორის დაკმაყოფილებას. ამიტომაც გაკოტრების გერმანული სამართალი სპეციალურ ტაბულასაც კი ითვალისწინებს მასის კრედიტორებისათვის (InsO, §209). მათთვის დადგენილია ასევე დაკმაყოფილების განსაზღვრული რიგითობა, თუკი ხარჯების დაფარვის შემდეგ მასა ვერ გასწვდება მასის ყველა კრედიტორის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

ამდენად, გერმანული სამართალი თანმიმდევრულია იმაში, რომ თუკი გაკოტრების მასა მთლიანად გადანაწილდა მასის კრედიტორებზე და მასში აღარ დარჩა სახსრები, ბუნებრივია, დაკმაყოფილების გარეშე დარჩებიან უკვე გაკოტრების წარმოების ძირითადი კრედიტორები – გაკოტრების კრედიტორები. ამიტომაც, მასის კრედიტორებზე გაკოტრების მასის მთლიანად განაწილების შემთხვევაში ისპობა გაკოტრების წარმოების გაგრძელების მიზანშეწონილობა და გაკოტრების სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს გაკოტრების წარმოება (InsO, §211).

ქართული სამართალი ასევე ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს გაკოტრების მასის მოთხოვნებს (შდრ. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, კანონი მუხლი 19“ბ“). ამ მოთხოვნებში შედის აგრეთვე წარმოების ხარჯები, რომელშიც იგულისხმება სასამართლოს ხარჯები. სასამართლო ხარჯები, თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს აგრეთვე გაკოტრების მმართველის გასამრჯელოსა და კრედიტორთა კომიტეტის გასამრჯელოს (თუკი ასეთი დადგინდება)[239]. წარმოების ხარჯებისაგან განსხვავდება ის ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა გაკოტრების მმართველის აქტიურობის შედეგად და დაკავშირებულია გაკოტრების მასის მართვასთან. ამდენად, გაკოტრების ქართული სამართალი წარმოების

---

[238] გერმანული სამართალი მასის პირველი რიგის ვალდებულებად მიიჩნევს წარმოების ხარჯებს (InsO, §209 Nr.1)

[239] 1996წ. რედაქციის კანონის 19 "ბ" მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯებში პირდაპირ იყო ჩართული ("მათ შორის") გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის გასამრჯელო. 2001წ. რედაქციის კანონის იმავე მუხლში სასამართლო ხარჯები გამიჯნულია გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის წევრთა გასამრჯელოსაგან, რაც არასწორია.

შეწყვეტის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს გაკოტრების მასის ისეთ სიმცირეს, რომელიც არასაკმარისია მხოლოდ წარმოების ხარჯების დასაფარავად. მისი ინტერესის საგანს აღარ წარმოადგენს ის გარემოება, საკმარისია თუ არა გაკოტრების მასა მასის დანარჩენი კრედიტორების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის შესანახი თანხის, ხელშეკრულების კონტრაგენტის გასამრჯელოს და სხვ.) დასაკმაყოფილებლად. თავისთავად, ქართული სამართალიც უშვებს იმის ვარაუდს, რომ თუ მასა არ ჰყოფნის წარმოების ხარჯებს, იგი ასევე ვერ გასწვდება გაკოტრების კრედიტორების მოთხოვნებს და ამიტომ გაკოტრების წარმოება უნდა შეწყდეს.

### §2. შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ

გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდგომ შპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, მასის განაწილების შემდეგ რჩება თუ არა მას რაიმე ქონება. უმრავლეს შემთხვევაში საზოგადოების მთელი ქონება უნარჩენოდ განაწილდება, ანუ მთლიანად გამოიყენება გაკოტრებისა და მასის კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა იშვიათ, მაგრამ თეორიულად დასაშვებ შემთხვევებში გაკოტრების წარმოება შპს-ამ შეიძლება ისე დაამთავროს, რომ მისი ქონება მთლიანად არ იქნას განაწილებული – გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ შეიძლება მასაც დარჩეს რაიმე გასანაწილებელი ქონებიდან. შპს-ას ქონება შეიძლება მაშინაც დარჩეს, თუკი წარმატებით განხორციელდება მისი ეკონომიკური და ფინანსური გადარჩენის ღონისძიებები. თუკი შპს-ას აღარ დარჩება რაიმე ქონება, მაშინ დადგება მისი სამართლებრივი არსებობის მოსპობის საკითხი, ანუ შპს როგორც სამართალსუბიექტი უნდა გაუქმდეს და თანმიმდევრულად გაქრეს სამართალბრუნვიდან.

გაკოტრების წარმოების დამთავრება, ისევე როგორც გაკოტრების წარმოების გახსნა, არ სპობს მაშინვე შპს-ის სამართალსუბიექტობას. გაკოტრების წარმოების დამთავრებისას სამართალსუბიექტობის შენარჩუნება ასევე ლიკვიდაციის განხორციელებით არის განპირობებული. ამ დროს შპს-ის სამართალსუბიექტობის გაგრძელება დამოკიდებულია იმაზე, დარჩება თუ არა მას რაიმე საზოგადოების ქონებიდან. თუკი გაკოტრების წარმოება დამთავრდა მასის მთლიანი განაწილებით, ანუ შპს-ის ქონება უნარჩენოდ განაწილდა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაშინ საზოგადოების სამართალსუბიექტობაც მოისპობა. გაკოტრების მასის მთლიანი, ანუ უნარჩენო განაწილება – ეს ის შემთხვევაა, როდესაც საბოლოოდ უნდა დასრულდეს შპს-ის სამართალსუბიექტობა და იგი როგორც უქონელი

სუბიექტი ამოიშალოს სავაჭრო (სამეწარმეო) რეესტრიდან. მასის უქონლობის გამო შპს-ის ამოშლას სავაჭრო რეესტრიდან პირდაპირ ითვალისწინებს ინზოლვენცის გერმანული სამართალი (InsO §§31, 200, 215). შპს-ის სამართალსუბიექტობის მოსპობა დადასტურდება რეესტრიდან ამოშლით. ამასთან, ამოშლისათვის სავალდებულო წინაპირობაა, რომ გაკოტრების წარმოების დამთავრება ძალაში იყოს შესული. ანალოგიური სამართლებრივი შედეგები დადგება მაშინაც, თუკი გაკოტრების წარმოება დამთავრდა შეწყვეტით, რომელსაც საფუძვლად დაედება მასის არარსებობა. უქონელი შპს ასევე უნდა ამოიშალოს რეესტრიდან.

განსხვავებული სამართლებრივი შედეგები დადგება, თუკი გაკოტრების წარმოების დამთავრების, ანუ გაკოტრების მასის ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ შპს-ას დარჩება რაიმე ღირებულება გასანაწილებელი ქონებიდან. ეს იქნებოდა თეორიულად დასაშვები, მაგრამ პრაქტიკულად იშვიათი შემთხვევა, როდესაც გაკოტრების მასაში აღმოჩნდება იმდენი ქონება, რომ მისი განაწილების შემდეგ ყველა კრედიტორი სრულად დაკმაყოფილდება და მოვალეს კიდეც დარჩება რაიმე. დარჩენილი ღირებულების ოდენობას არავითარი მნიშვნელობა აქვს – ეს შეიძლება იყოს 1 თეთრი ფულადი თანხა ან მისი ექვივალენტი ღირებულების ქონება. ასეთ დროს დაუშვებელია, რომ შპს ამოიშალოს სამეწარმეო რეესტრიდან და ამით მოისპოს მისი სამართალსუბიექტობა, ვინაიდან 1 თეთრი ღირებულების „მქონებელ“ შპს-ას ვერ მივიჩნევთ „უქონელ“ სუბიექტად და მას ვერ ამოვშლით რეესტრიდან. ქონების „მქონებელი“ მესაკუთრის ამოშლამდე უნდა გაირკვეს უფლებამოსილ პირებზე მისი ქონების გადანაწილების საკითხი. სხვა შემთხვევაში არ შეიძლება, რომ გაუნაწილებელი ქონება უპატრონოდ „გამოეკიდოს ჰაერში“.

საერთოდ, ბუნებაში არ არსებობს უპატრონო ქონება. ბუნებაში არსებულ ნებისმიერ ნივთს ჰყავს (ან უნდა ჰყავდეს) თავისი პატრონი[240]. თვით დროებით უპატრონო ქონებაც საბოლოოდ ვიღაცის საკუთრებაში გადადის. ეს ვიღაცა შეიძლება იყოს როგორც პირი, ვინც „მფლობელობაში მიიღებს“ უპატრონო ნივთს, ისე – მპოვნელი ან სახელმწიფო (შდრ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 190, 191). იმისათვის, რომ ქონება უპატრონოდ არ დარჩეს, სამართალი გვთავაზობს სამართალმემკვიდრეობის ინსტიტუტს. თუკი სამართალმემკვიდრეები სახეზეა, მაშინ დარჩენილი ქონებაც უპატრონოდ არ დარჩება. სხვა საკითხია, როდესაც მესაკუთრის მოსპობა არ იწვევს სამართალმემკვიდრეობას. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მხოლოდ იურიდიული პირის გაუქმების (ლიკვიდაციის) დროს.

ამიტომ იურიდიული პირის გაუქმებისას, სასურველია, რომ წინასწარ გადაწყდეს მოსასპობი სუბიექტის კუთვნილი ქონების უფლებამოსილ პირებზე გადანაწილების საკითხი. ამიტომ არის, რომ კერძო სამართალი გვთავაზობს, ლიკვიდაციის დროს გაირკვეს, თუ ვინ მიიღებს დანაშთ ქონებას[241]. რაც შეეხება სამეწარმეო საზოგადოებას, აქ ასეთ უფლებამოსილ პირებად გვევლინებიან, პირველ რიგში, კრედიტორები, ხოლო მათი სრულად გასტუმრების შემდეგ – საზოგადოების პარტნიორები, თუკი წესდება სხვაგვარ წესს არ ითვალისწინებს (შდრ. "მეწარმეთა შესახებ" კანონი, მუხლი 14.3).

მაშასადამე, მხოლოდ ქონების სრული გადანაწილების შემდეგ შეიძლება გაუქმებული იურიდიული პირის გაქრობა სამართლებრივი ცხოვრებიდან, როგორც უქონელი სუბიექტისა. დაუშვებელია ლიკვიდირებული იურიდიული პირის ისე გაქრობა სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომ მას მოსპობის, ანუ რეესტრიდან ამოშლის მომენტისათვის საკუთრებაში ჰქონდეს რაიმე ქონებრივი ღირებულება. თუკი მაინც მოხდა რეესტრიდან ქონების „მქონებელი" მესაკუთრის ამოშლა, მაშინ წარმოიშობა დროებით მისი "სამართლებრივი გაცოცხლების" აუცილებლობა, რათა მისი დარჩენილი ქონება დანაწილდეს უფლებამოსილ პირებზე. ასეთი „სამართლებრივი გაცოცხლება" შემოიფარგლება მხოლოდ იმ ვადით, რაც საკმარისია დარჩენილი ქონების სალიკვიდაციოდ. სწორედ აღნიშნულ ურთიერთობას აწესრიგებს გერმანული სამართლის Wiederbelebung-ის („კვლავგაცოცხლების") ინსტიტუტი[242].

გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ შპს მანამდე შეიძლება დარჩეს სამართალსუბიექტად, ვიდრე უნარჩენოდ არ დასრულდება მისი ქონების ლიკვიდაცია და შედეგად – არ ამოიშლება იგი სამეწარმეო (სავაჭრო) რეესტრიდან. გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ, ნებისმიერი ქონების შენარჩუნების შემთხვევაში, შპს-ას ეძლევა შანსი დარჩეს სამართალურთიერთობების მონაწილედ და განაგრძოს აქტიური ეკონომიკური საქმიანობა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პარტნიორთა ნებაზე.

---

240 შდრ. ამასთან დაკავშირებით, როინ მიგრიაული, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან"), პუნქტი 6, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი", 2002წ. №1(5)

241 მაგალითად, კავშირის ან ფონდის ლიკვიდაციისას წესდებით წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქონება გადაეცემა საქველმოქმედო ორგანიზაციას ან სახელმწიფოს (შდრ. სამკო, მუხლი 39, აბზ.4)

242 Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht, 2., völlig neu bearb, und erw. Aufl. - Köln; Berlin; Bonn; München, 1991 გვ. 275, აგრეთვე როინ მიგრიაული, „სამეწარმეო საზოგადოება: გაუქმება, ლიკვიდაცია, ამოშლა (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან"), პუნქტი 6, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი", 2002წ. №1(5)

უნდა აღინიშნოს, რომ გაკოტრების წარმოების დამთავრება, თუკი გაკოტრების მასის განაწილების შემდეგ შპს-ას დარჩა რაიმე ქონება, არ იწვევს ლიკვიდაციის მდგომარეობიდან მის მაშინვე გამოსვლას. ეს აიხსნება იმით, რომ გაკოტრების წარმოება დასრულდება მხოლოდ გაკოტრების მასის მიმართ, რომლიდანაც მორჩა რაღაც ქონებრივი ღირებულება. ლიკვიდაციის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გაკოტრების წარმოების გახსნით, დროებით, გაკოტრების წარმოების მიმდინარეობის ვადით, შეავიწროვა გაკოტრების წარმოებამ, რომელიც თავად არის სალიკვიდაციო წარმოება. როგორც კი დამთავრდება გაკოტრების წარმოება, ლიკვიდაციის მდგომარეობაც კვლავ აღდგება და შპს (თავისი გაგრძელებული სამართალსუბიექტობით) განიხილება ისევე როგორც სალიკვიდაციო საზოგადოება (შდრ. GmbHG §66 I). ეს იმას არ ნიშნავს, რომ შპს, როგორც ყოფილი ვალაუვალი მოვალე, კვლავ ბრუნდება ლიკვიდაციის მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში ლიკვიდაცია შეეხება მხოლოდ მასიდან გამონთავისუფლებულ და გაკოტრებისაგან თავისუფალ ქონებას. ხოლო ქონებაზე უფლებამოსილ პირებად მოგვევლინებიან ის კრედიტორები, რომლებიც სრულად ვერ დაკმაყოფილდნენ გაკოტრების წარმოებაში ან რომლებმაც არ განაცხადეს თავიანთი მოთხოვნები გაკოტრების სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ასეთი კრედიტორების არარსებობისას შპს-ის გამოსვლა სალიკვიდაციო მდგომარეობიდან და მისი სამართალსუბიექტობის გაგრძელება უკვე პარტნიორთა კომპეტენციაა.

შპს-ის სამართალსუბიექტობის გაგრძელების შესახებ პარტნიორები გადაწყვეტილებას იღებენ მაშინაც, თუკი გაკოტრების წარმოება დასრულდება საგაკოტრებო მორიგების დადებით (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 29, პუნქტი 2 "ზ"), ინზოლვენციის გეგმის დამტკიცებით (InsO §258), აგრეთვე მაშინაც, როცა კრედიტორები დაეთანხმებიან გაკოტრების წარმოების შეწყვეტას (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 30 „დ“; InsO §213). ორივე ქვეყნის სამართალი ამოდის იქიდან, რომ მითითებულ შემთხვევებში არსებობს გაუნაწილებელი ქონება, რაც საზოგადოების სამართალსუბიექტობის შენარჩუნების საფუძველია.

შპს-ის სამართალსუბიექტობის გაგრძელება გულისხმობს სალიკვიდაციო მდგომარეობიდან მის დაბრუნებას წინარე მდგომარეობაში, როდესაც იგი განიხილებოდა როგორც აქტიური და მოგებაზე ორიენტირებული საზოგადოება (Erwerbsgesellschaft)[243]. თუმცა ქონების არსებობა არ განაპირობებს საზოგადოების არსებობის გაგრძელების

---

243 შდრ. Jaeger/Lent/Weber, §§207, 208 Anm. 64, გვ. 753

აუცილებლობას. შპს-ის არსებობა შეიძლება სულაც არ გაგრძელდეს გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ, თუნდაც იგი გაკოტრებიდან რაიმე ნარჩენი ქონებით გამოვიდეს. ხოლო თუკი პარტნიორებმა მაინც გადაწყვიტეს მისი არსებობის გაგრძელება, ეკონომიკურად მისი გაჯანსაღება და ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა – ეს უკვე საზოგადოების საქმეა და იგი კრედიტორების (ამ შემთხვევაში როგორც გარეშე მესამე პირების) გადასაწყვეტი აღარ ხდება. შპს-ის არსებობის გაგრძელებისათვის საჭირო სახსრები შეიძლება მოზიდული იქნას, კერძოდ, საწესდებო კაპიტალის (Stammkapital) გაზრდით ან დამატებითი შესატანების გადახდით. ამაზე კი გადაწყვეტილებას მხოლოდ პარტნიორები იღებენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაკოტრების წარმოების დასრულების შემდეგ შპს-ის არსებობის გაგრძელება დამოკიდებულია საგაკოტრებო მორიგების დადებასა და წარმოების შეწყვეტაზე გაკოტრების კრედიტორთა თანხმობით. საზოგადოების არსებობის გაგრძელებაზე ზეგავლენას არ ახდენს გაკოტრების წარმოების დამთავრების სხვა შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, გაკოტრების მასის საბოლოო უნარჩენო განაწილება (‘‘გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 29, პუნქტი 2 "ა"; InsO §200) და მასის უკმარისობა (“გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, მუხლი 29, პუნქტი 4 "გ"; InsO §207). ეს განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს შპს-ის არსებობის გაგრძელებისათვის, და შესაბამისად, მისი სამართალსუბიექტურობის შესანარჩუნებლად საჭირო ქონება. ამ დროს საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება არ გამოიწვევს გაკოტრებული შპს-ის გარდაქმნას მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებად. აქ შეიძლება მხოლოდ ხელახალ დაარსებაზე იყოს საუბარი.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი საკითხი: თუკი გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ შპს-ის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესახებ, მათ ასევე წარმატებით შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება შპს-ის გარდაქმნის შესახებ[244]. ასეთ შემთხვევაშიც მივიღებთ აქტიურ და მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებას.

---

244 UmwG §2 II